

ISSN 0132-599 X

საქართველოს  
საბჭოთავო კავშირი

# გნებობა



5

---

1984



# გნათობა

საქართველოს  
წიგნების  
და მწიგნობრობის  
საზოგადოებრივი-კულტურული  
კავშირების  
საბჭოთაო  
კავშირების  
საბჭოთაო  
კავშირების

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივი-კულტურული შტრხალი

წიგნის № 50-60

№ 5

მაისი, 1984 წ.

საქართველოს საბჭოთა მწიგნობრობის კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ირაკლი აბაშიძე — ციკლიდან „იბერიკი/დან იბერიკი“: ლექსები	3
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე, რომანი, დასასრული	5
ჯანსუღ ზარკვიანი — დიდიმეფის დროით... პოემა	37
თაბუკი ზუბინი — აღსაკრება ანუ პროფესორი სოფლია, მოთხრობა	47
ივანე გურჯი — გამოსაქვეყნებელი ლექსები, წინასიტყვაობა — ვიქტორია ქვიციანი, კრიტიკული, ტარიელ ქვანტარია	118

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი ნატროსილი — ახლის დაფუძნების გზით	124
--	-----

### მეცნიერება

გივი შოთაძე — თეორეტიკული მიზნის და მისი უნივერსალიზაცია	137
ვახა კიკნაძე — ვინ არის მართლმადიდებელი?	148

### საზღვარგარეთის ლიტერატურა

ჯორჯ კილიანი — „მოლონის რევიზია“ — შილინა მოლონისა და ალბერტ კამიუს ტრაგედია	158
---	-----

### წიგნების მიმოხილვა

პარმენ ვუჯაიანი — დიდიმეფის მხატვრობის, რომელიც მარტინსტულის ლიტერატურული იდეოლოგიის ფილოსოფიური საფუძველი	162
ფრიდონ სოხონიძე — „მისი იუსტიციის საკანონიდან ალა“	165
მურმან თაბატაძე — ანტიკური ლიტერატურის ლექსებისა	167
გიორგი აბულაძე — სწავლება ახალი სინკრეტიზმისა	169

### საზღვარგარეთის ცხოვრება

ფატიმი, მოვლენები, კომენტარები	173
--------------------------------	-----

---

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

საკრედიტო კოლეგია:

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამბუშაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),  
მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიანიშვილი, ბ. დოჩინაშვილი, კ. კაჭაძე,  
მ. ლასურია, მ. ლეონიძე, ვ. მარტოვი, მ. მრეღვენი, ბ. ნატრო-  
შვილი, რ. პატარია, თ. პაპიანი (პ/მგ. მდივანი), ჯ. ჩარკვიანი, ნ. წუ-  
ლენიძე, თ. შილაძე, ბ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

---



## სიკლიდან „იბაკიიდან იბაკიანში“

### სიცოცხლას ვაჟა!

ერთს მეც შეგვივლევ ამ სიბერეში,  
ამ სიბერეში

დღეს მეც გავმდიდრდი;  
აგერ, ბრიალებს ცაში ფერები —  
ლამის ზეიმში იწვის მადრიადი.  
ცაში ხმა აღის ათას მაგიდის,  
აქ არც ანტრაქტი,

აქ არც ფინიში;  
ლამის ზეიმში იწვის მადრიადი,  
როგორც ომის წინ ღამე თბილისში.  
ამეგებულა გემზე აფრები,  
დულს და ცხარდება,

ქუხს და ფიცხდება  
სიცოცხლე, აქაც ზეაღმაფრენი,  
სიცოცხლე, აქაც თავდავიწყება.  
სიცოცხლეს ვაჟა!

ყოვლად უვნებელ  
ლხინს, სულ ძმობას და  
ზავს რომ ამყარებს;  
სიცოცხლეს ვაჟა! დაუსრულებელს,  
ათასჯერ უფრო დღეს უსაყვარლესს!  
სიცოცხლეს ვაჟა! სუნთქვას ორი დღის,  
ამ ტებელ „მანოლოს“,

ამ გრძელ „ბოლეროს“...  
ეს გაუმარჯოს მქუხარ კორიდის  
ველზე დაცემულ ყველა ტორეროს!  
თუ რამ ომია კართან დამდგარი  
ეს არც ჭირია,

ეს არც ომია —  
ჭერ ხომ სიცოცხლეს საფრთხე ამგვარი  
ქვეყნად არასდროს არ დადგომია.

სიცოცხლეს ვაჟა! —  
მზე და მთა-ბარი,

„Архивная копия Трудностей  
Черномора Пранопы  
Республиканская библиотека  
УРСР local KJPC“

ხმა და ძახილი უცხო ნაპირთა...  
 ეს იყო ლორკას შესანდობარი —  
 დახვრეტის წინ რომ მწარედ ატირდა.  
 ზის სადღაც ისევ ის ყვავ-ყორანი  
 ვაჟკაც რაინდთა,

ვაჟკაც ლაშქართა...

ეს იყოს ლორკას მოსაგონარი —  
 ვაი, თუ მართლა სადღაც აჩქარდა.  
 ცამდე ხმა აღის ათას მავიდის —  
 ჰანგებს ჰანგები,

გუნდებს გუნდები;

აწეულია ცამდე მადრიდი —  
 ლხინოებს სიცოცხლე ზღვარდაუდები.  
 ერთს მეც შეეძახებ ამ სიბერეში,  
 ამ სიბერეში დღეს მეც გაემდირდი,  
 აგერ, ბრიალებს ცაში ფერები —  
 ლამის ზეიმში იწვის მადრიდი.

## სალამანკა

...— ის ხსოვნას

იმ „სალამანკას“ ღიღინებს მძლოლი  
 შენ რომ ოდესღაც ლაღად იწყებდი...  
 წინ კასტილიის სოფლების ბოლი —  
 მანქანა მიჰქრის თავდავიწყებით;

იმ დავიწყებულ,  
 იმ დამწველ მოტივს  
 ღიღინებს მძლოლი ისევ თავიდან;  
 მე არც მახსოვდა

სად,

ვინ და

როდის...

რა დრო გავიდა, რა დრო გავიდა!

წინ უკვე ბინდი  
 ა, იმ მთის ძირში,  
 სულში კი, სულში სხვა რამ განგაში...  
 დღეს, ალბათ, სიზმრად შენ განახავ  
 ძილში —

ამაღამ მძინავს სალამანკაში.

## შავი და ცისფერი მღინარი

რომანი

თავი მესამე

1.

— იქნება... იქნება კი არა, ასეცაა ეს... ჩვენთვის არ ჩაუბარებიათ სოფლის თავიკობა. იმათ უკეთესად იციან ვის ჩააბარონ და ვისგან მიიბარონ, მარა... — პავლე მშვენიერაძე შეჩერდა, ლამაზ, ლურჯ წვერზე მარცხენა ხელის ხუთივე თითი ნება-ნება, ალერსით ჩამოისვა და ბუხარში მოღუღუნე, აკაციის ძირის ბუკუნტალზე მიდებულ ორი ღერი კობიტის შეშის ალს თვალი გაუშტერა. — მარა... ჩემო ფარნა, რომ არ გკვირებო, ჩვენ არ ვიკითხოთ?

— იკითხე და იჩივე, ბატონო პავლე, რამდენიც გინდა. ამ გაგანია ომის დროს კი არა, ვითომ მშვიდობა რომ ერჭვა, მაშინ არავის ეყურებოდა.

— ვარგა, კაცი სოფელში ცხოვრობდეს და სოფლისა არა იცოდეს?..

ნაბიჯ-ნაბიჯ, მწვადისა და შამფურის დაუწველად, უახლოვდებოდა ფრთხილი გლეხი სათქმელს; არა მარტო იმისთვის, რომ ჭკვიანი კაცის სახელს დაპატრონებოდა, არც მიწისა და კუთხე-

მეზობლის სატკივარი არ იყო მისთვის „უტკივარი თავი“.

ფარნამ იცოდა — პავლე მშვენიერაძე რომ ელაპარაკებოდა, სოფელი ელაპარაკებოდა. თუ შენს ცხოვრებას კაცის ცხოვრებას ეძახი, სოფელს უნდა მოუსმინო. სოფელი რა დედინაცვლადაც არ უნდა გეჭყეს, მისი შვილი ხარ, იმით იწყები და თავდები. ის რომ განაჩენს გამოგიტანს, ვერავითარი მეფე და სჯულმდებელი ვერ შეცვლის.

— ნანა! — გასძახა სოხანაინი პალატის ფიცრულ ტიხარს იქით ცოლს, — შენს გახარებას, წიწილის საქმე ვერაფერი გავვიხერხე?..

— ახლავე, პავლე, შენი ჭირიმე, ახლავე!.. — იქვე, კარზე მოდარაჯებულ ივით გაეპასუხა ცოლი.

— პავლე, ხომ ვითხარი, რა წიწილი და მწვადები გვინდა?.. ამის დროა? ან ჩვენ რა უცხო და გადამთიელი ვართ ერთმანეთისთვის?..

— ღმერთმა გიშველა მაგის თქმისთვის. ჩვენ ერთმანეთისთვის... ლუკა, შენი ძმა რომ იყო... იცი, იგი ჩემთვის რა იყო, შენ უმცროსი ხარ... იგი იყო ჩემი კბილა და, რაცა თარი ანბანი ვიცი, ერთად გავიარეთ მაშინდელი ოთ-

ხი კლასი. მერე იმან ქე გაყვა, მარა მაინც ერთმანეთის გვერდით დავრჩით. ფრთხილად შემოაღო კარი დაისახლისშა ცალი ფეხით და, კაფანდარა ტანიანმა, ძლივს გაბედა გამორჩენა.

— ნიორწყალში, ტყემალში თუ... დამიციდით და ნიგვზის ბაქეში...

— ვა, შე ქალო, — არ შეიმჩნია, თორემ ეწყინა მასპინძელს, რომ სათქმელი გაუწყვიტეს. ქალს უნდა დაეცადა, სანამ წამოწყებული საუბრის ერთი მთლიანი აზრი არ ჩაივლიდა. — არ უნდა ვიცოდეთ მეზობელს, მეგობარსა და შეიდი შევიღის გამზრდელ მისწავლებელს რა ეამება?

— პავლე!.. ბატონი ფარნა რო არაა ისეთი კაცი...

— ყოველდღე რომ აქ იჯდეს თავს მაინც არ შეგეფწყინდა, მარა, მით უმეტეს, ნანა, მით უმეტეს...

— არ მინდა, ქალბატონო, უფრო პატივს მცემთ... — ფარნას სიტყვა გაუწყდა. პავლეს მხრიდანაც მერტისმერტი იყო და თავის მხრივაც არ ღირდა ამდენი თავპატიეი.

— არ გვეჩქარება ჩვენ... ლემენცი აქეთ რომ მორბოდა, მაშინ არ გავექცეულვართ. ახლა აბრუნებინეს პირი მგონია, და...

— დიდი ბოდიში, ფარნა ბატონო... — დაისახლისშა კარი უხმაუროდ მიიხურა, ერთი შეცდომისთვის რომ მეორე არ დაემატებინა.

— ხომ ქვეყანა იქცევა, ფარნა, და ამოწყდა ქვეყანა შიმშილით, შვიდი შვილი, ახლა კი არა... კი იცი შენ... მარა. არ მომიშვივებია მე ცოლ-შვილი. არც ვიცი როგორ ვახერხებ. ამიტომ ვიყავი შევისიელი, რატომ შიმშილით არ კვდებიო, თვარა მაშინდელს თუ არ მივუმატე, რა მოვაკელი და ქე ხედავ რისი პატრონიც ვარ. მაშინვე, არსენას, ნათელდამღვარი დედაშენისგან გექნება გაავონილი, ორი ნაბადი ჰქონდა. ერთი შუა ცეცხლის ოჯინჯალაზე რომ ეკიდა და შრებოდა, მეორე მოსხმული ჰქონდა და ქარ-წყვიმაშიც კი მისი ხელი არ ჩერდებოდა. ჩვენში სულ წვიმა და

ქარია. მე ვერა ვარ ექსტრემული, ჯანიც არ მიწყობს ხელს რატომღა ჩემი ბოვშვები ფრიალოსნები რომ არ არიან, საქმეს ვაჩოვ... რა გქნა. ჩემ შეილებს სტავლა არ უნდა უქირდეს. „ვეფხისტყაოსანი“, „თამარიანი“ ვიცი ზებირად. ნაპალევონის დღიურები აგერ მიდევს, ბუხრის თავზე... წმინდა ელენეს კუნძულზე რომ სწერდა... კუჭის ტკივილი მკლავს მეც, მარა შენთან მაინც რომ ორი ქიქა არ დავლიო, სულიც გამცხებია.

— ნუ გვგონია, ბატონო პავლე, თუ არ დავლევეთ და ეზოდან სტუმარი ფხიზელი გადავა, ქვეყანა დაგვექცევა.

— ფარნა, იცი შენ, მასე რომ არ მგონია, ამიტომ არ ვუყვარავარ მე სოფელს. ღვინო უძმარებდებო, ჩემზე ამბობენ, არ მიყვარს მე უპრაგონო სძა და ოხოხოიე. გვეყავს ჩვენ მეზობლები, სადაც ქვაბი ვაწყარუნდება, იქ გაჩნდებიან... მარა, არც ჩემი ბიძაშვილივითა ვარ... კაცმა ჩემი ქიქა ღვინო არ იცოდეს... მომჭირნე ვარ მე, ჩემო ფარნა, ანგარიშიანი გლეხი და არა ძუნწი და პირშავი... საბანი რამდენზეც მწვდება, ფეხს იმდენზე ვკიმავე. შენი მეზობელი, ვასილიე დალაქი რომაა, ექვსი შვილი იმასაც ქე ყაუს, ახლა დალაქი ვილას უნდა, სოფელ-ქვეყანა თვალატირებული და წვერმოშვებულია, მარა დალაქი რო დალაქობდა, მაშინაც იჯრას ტყემლის კაკალზე გადადიოდნენ. ახლა რისი სული უდგიათ... ღმერთო, შენ ხარ მოწყალი!

პავლე ტყუილად არ მოდგა თავსაც და კუთხე-მეზობელსაც და ფარნაც ყოველნაირად ცდილობდა ჩაპყოლოდა. ჩაპყოლოდა გულმართლად და ისევე პირუთენელად ეთქვა პავლე-სოფელს, რას ფიქრობდა ფარნა ამაღლობელზე. შენ თავი როგორადაც არ უნდა იგულვო, მაინც ისა ხარ, რადაც სოფელს მიაჩნისარ. მართალია, კაცის ცხოვრება ისე არ მიდის, როგორც მას უნდა და იმაში თვით სოფელიცაა დამნაშავე, მაგრამ კანონმდებელიც თვითონაა, განაჩენიც მას გამოაქვს. და გი-

ნდა არ გინდა უნდა დაემორჩილო, ან სოფელზე უნდა თქვა უარი, რაკი იგი თავისაზე არაფრით გადავა.

„მაგ ოჯახიდან მეზობელს ხმამალა-ლი სიტყვა არ გაუგონიაო“, — ერთი მუხლი მისი კოდექსიდან; „მაგ ოჯახი-დან უპურ-ღვინოდ კაცი არ გადასულაო“ — მეორე. „მაგისგან მეზობელს წიწილი არ დამარცხებიაო“; „მაგის შვილებისგან მეზობელს ვაშლი არ და-პკლებიაო“ — მეთრე; „მაგის ეზოში ქალისთვის ძალს არ შეუყვავიაო“ — მეხუთე და ასე შემდეგ... ასე შემდეგ — დაუწერელი, მაგრამ რომც დაეწე-რათ, ქალაღღზე დაუტყვარი, დაუზე-პირებელი, დაუთვლელი და თაობიდან თაობას გადმოცემული, დროისა და წუთისაფლის უკუღმართობით გამდი-დრებული და გავრცობილი...

სოფლისაგან გაღამდული კაცი სა-შვილიშვილოდ სასჯელმოუხდელად მსჯავრდადებულია. სოფლისგან ძუნ-წად, მაგრამ თუ მაინც შექმბულია, შვილისა და შვილიშვილისათვის საკრ-ძალი და საფრთხილოა, რაკი სოფელი კარგი წარსულიდან მხოლოდ კარგს მოითხოვს და ავს რომ სიავე აპატიოს, კარგისგან კარგითაც არაა კმაყოფილი: „კი, ვარგისიანია, მაგრამ მაგის ბაბუა-მამის შვილი უკეთესი უნდა იყოსო“. ავზე კი: „მაგის წინაპრის პატრონი ასეთიც რომაა, მაღლობელი ვიყოთო“.

ფარნას ვერც კარგი პედაგოგობა, განათლების განყოფილების და სამი-ნისტროს მაღლობები უშველიდა და ვერც მთავრობის ჯილდოები. თავი და თავი იყო: მკაცრი, შეუბრალებელი და ტრადიციებით ბორკილადებული სო-ფელი რას ამბობდა. მშობელი რა უსა-მართლოდაც არ უნდა მოგექცეს, მთე-ლი სიკოცხლე მაინც მის გვარს და მამის სახელს ატარებ.

სოფელი, თუ არ მოიყრუებ, თავი-სას ამბობს. თავიდან იქნებ მოკრძალებით და მოიარებით. მაგრამ მაშინვეა ანგარიშგასაწვევი, თორემ თუ იყვირა, მერე ცოცხალი თავით უკან არ წაი-ღებს, გამოტანილ განაჩენს მისხალს არ

დააკლებს. ვაი შენ, თუ მხარზე რიყის ქვით სავეს ხურჯინი გადაგვიდა; მოთ-მინებითა და ჳირთათმენით თუ არ ჳი-ღე და ქვები ისროლე, სულ კაკალ-კა-კალა ჩავიმატებს იმ „ხურჯინში“, ჳირ-ზე ჳირს მოგისართავს.

გულჩინა თითის წვერებზე შემოი-ლალა. მომინანქრებული ჳამით ბრო-წულის ბაყეში ჩაწყობილი „წიწილი“ და კეცის ცხელი მჳადი ტაბლანზე ჩა-მოდგა.

— ე, შე კაი დედ-მამის შვილო, ასე არ ჳობია! — შესცინა მასპინძელმა. — ვადღეგრძელოთ, ფარნა ბატონო, მო-ვიგოთ ნანას გული და რა იცი... ქალი ავაშენებსო, გავვიგონია... — და „ქა-ლი დაგვაქცევსო“ აღარ უთჳვამს, — იქნება ქე გვიპირებს აშენებას...

ესეც პავლეს „განათლებას“ მოწმო-ბდა, რომ ცოლს უძველესი კოლხური ნაყოფიერების ქალღმერთის სახელს — ნანასაც ეძახდა.

— გაუმარჯოს! — სტუმარმა ჳვინით სავეს მორჩილა სასმისი აილო, — შვი-დი შვილის მშობელი და გამბრდელი ქალი... აგვაშენა და ესაა... რაღას ვთხოვთ მეტს? მაღლობის მეტი რა გვეთჳმის.

— კი, ჩემგან რა გესწავლება, მარა დიდ გობ ფაფას დიდი სულის ბერვა უნდა. შვილის შექმნა, ქალის მშობიარობას რა ვუთხრა თვარა, სიამოვნე-ბაა...

— კაი, შე კაცო, ნუ იცი რაცხა... — რა ვიცი... აბა, შექმნაც რომ ისე-თი ტანჯვა იყოს, როგორც შობა და გა-ზრდაა, ადამ და ევათი გათავდებოდა ქვეყნიერება.

— პავლე, ნუ მომჳირი ამ ჳირსეულ კაცთან თავს...

— კაი, კაი... ახლა ქვეყანა იქცევა და რა გავვეწბილება, თვარა შვიდი შვილი ცალ-ცალკე ყოველთვის ჳობდა და აჯობებს თითო კაკალას. თვალის ჩინიო, მეტი კაი სტავლა ჳირდება ჩვენ ბოვეშებს...

— რაც დრო აქვთ... — ჳო, იცის ფარნამ მაგი. იცოცხლე,



გულჩორა, შენი კაი ქმარ-შვილით და თუ მეტი არაფერი... ასეთ დროში მაგის მადლობელიც ვართ...

ქიქა ნელ-ნელა, დაგემოვნებით დაცალა და დიასახლისი რომ გაიგულა, ტახტის კიდევ ჩამოდებულ სიმინდინ ტომარას თვალი გაუშტერა.

— არ უნდა გექნა მაგი შენ ჩემთვის, ფარნა. — ფარნამ თავი ჩაღუნა. ამბზე თავიდან ითქვა და ხელახლა ბოდიშები მეტისმეტი იყო. მაგრამ ღვინო ნელ-ნელა უხსნიდა არტახებს მასპინძლის დაუოკებელ პატივმოყვარობას და მის „სიბრძნეს“ წყალს უყენებდა. — მე რო ჩემი სოფლის ჰაერს ვსუნთქავ და აგერ, ჩემი ეზოს ქანქეთივით ღვინოს შენთან ერთად ვწრუბავ, შენი ძმის კაიკაცობითაა. ერთი ფული სიმინდი მისი უბედურების დროს არ უნდა შემომეწია? „მკედარს სოფელი ტირისო“, ასე ვიცოდით ძველთაგანვე ეს ჩვენ.

— მოდი, პავლე, ცალკე დავლიოთ ლუკას შესანდობარი.

— ვაი, ჭურ-მარანი არმად დამჩქეს და ღმერთმა მას მიმწიოს, თუ არ გაგხარებოი!

— ლუკა ის კაცი იყო... ჩემი ძმა რომაა ეს არაფერს ნიშნავს, შენც იცნობდი... ამ ბოლო დროს ავადმყოფობამ გატეხა...

— მე მესწავლება, ფარნა, ლუკას კაცობა?

— მიცვალებულზე ან არ ლაპარაკობენ, ან ცუდს არ ლაპარაკობენო, არ გვინდა ჩვენ ეს არც ერთი. მაგრამ ლუკას ჰქონდა თავისი დიდი ნაკლი...

— აჰ, თუ ხათრი გაქვს, მაგას ნუ მეტყვი.

— იგი არ იყო თანამდებობის კაცი.

— აბა მე ახლა სადღაც ყინულების ჯირკოზე ვმჯდარიყავი?

— „საქმე“ ამას მოითხოვდა, ჩვენ იქ უნდა ვმჯდარიყავით და ის ილბათ უფრო დიდ ადგილზე. ან ჩვენ აქ და ის „იქ“, სადღაც ახლავ.

— მერე, ეს სამართალი იქნებოდა, ან ეს სამართალია?

— მაგრამ ეს მაინც <sup>მასწავლებელი</sup> ~~მასწავლებელი~~

— ებ... ისევ ჩვენი <sup>ნაჯახის ტარის</sup> ~~ნაჯახის ტარის~~ ტარის რომ არ ემტრო, მტერი ვერ მოგვეჭრიდა.

— არა, არც „ნაჯახის ტარია“ დამნაშავე...

— ბარბაქაძეზე ამბობ, ფარნა, მაგას?! — წაყდა „დარბაისელ“ მასპინძელს და ფიცრულ ტინარს მერე მიაცურადა: — ნანა... გახედე გარეთ საქონელს და ეზო-გარემოს... — არავის უბასუხია, იქ ან არ იყვნენ, ან ამის შემდეგ აღარ დადგებოდნენ.

„ამ კაცმა იცის ოჯახის მართვა“.

— ჩვენ ძალიან ახლოს ვიხედებით, პავლე. მე რომ ღმერთი გამიწყურეს და შენი დალუბვა მოვიწოდო, ეს ჩემ აცაცობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული.

— ახლა ამბობ მაგას შენ, ფარნა?

ფარნა შეჩქვითდა:

— პავლე, არ გვინდა ჩვენ მიკიბულ-მოკიბული. „ახლა“ რას ნიშნავს, აღრე სხვანაირად ვამბობდი, თუ... რაღაცა მოხდა და იმას გულისხმობ.

— არა, საწყენად კი არა... ამის თქმა რაგა არ მინდოდა... — მასპინძელს „სიბრძნემ“ საბოლოოდ უღალატა — ვითომ, რომ ამბობენ... კაცო, სოფელი მაინც ჭრელია...

— ჭრელი სოფელიც ჩვენია და არც ის სიჭრელია ილბათ არაბუნებრივი. არც მე ვაპირებ ყველაფრის დაჭერებას, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე? თუ შენც არ მეტყვი...

— ყურმოკრული და...

— ყურმოკრული და ნაჩურჩულევი უნდა მოვისმინოთ, თორემ როცა აყვირდება და ქვას გვესვრის, დედიშენის შვილი ხარ და ნუ გაიგონებ, ან ნუ დაინახავ.

— ჰოდა, ხომ ამბობენ იმ შენს ბიჭზე...

— ჰო, ბაკურზე...

— მე ხომ ვიცი. მეორეზე, თბილისში რომაა, იმაზე ეთქვათ, კილო ჰოდა, ბაკურზე მაგას ვინ დაიჭერებს.



— რომ არ დაეჯერებინათ არც იტყოდნენ.

— ახლა, ფარნა, არ გაგიგონია? — ტაშტი გატყდა და ხმა გაეპარდაო? არ გატეხილა, მარა ხმა კი გაეპარდაო" და...

— მოიცა, თუ ღმერთი გწამს. რათ მიინც? ბაკურმა შური იძიო და ბიძამისის დამბეზღებელს ქალიშვილი გაუბახაო?

— ახლა, ფარნა, ლუკას სულს გაფიცებ კი არ გეწყინოს და... არ გამთქვა და მაგას თურმე ის... კაი გოგოა... რა ვუყოთ, რომ მამამისის შვილია...

— რაო, ის გოგოო?

— ახლა, ნამეტანი კორიკანა დედა-კაციკით გამომიდის...

— იცი შენ, მაგას მე ქუჩაში არ ვიყვარებ და, შით უმეტეს, პავლემ მოკორა-მეთქი. ჩემ ადგილზე შენ არ მოინდოვებდი ასე უბედური ძმის უბედურებასთან დაკავშირებული ამბის გაგებას? თუმცა ლუკა შენთვისაც არ იყო შორებელი.

— რა საკადრისია... და ის, რომ ის გოგო — გუგუტაც არ უარყოფს, თურმე, მაგ ამბავს...

2.

არავინ დაიჯეროს; კორები ციდან ცვიოდეს. ალბათ გაპორილს და განქიებულს უნდა ასე იყოს, თორემ ცალი ფეხი მაინც მიწაზე უდგას და ეს ფარნას უნდოდა არ უნდოდა, უნდა დაეჯერებინა. პავლემ იმ ღამეს დიდხანს ათრია სათქმელი და როცა ცოლ-შვილი ძილად გაისტუმრა, გაეყუილს გატეხილი ამჯობინა. ჩაის კიჭა რომ ააგსო: „ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას ულხინოს ღმერთმაო!“ — და ბოლომდე დასცალა. სინანულით მუცელზე ხელი იტაცა: „ეს წყალზე დღეს დამყარის, მტრისასო“. თანამეინახეს კი შურიოთ შესცინა:

— შენ კი შეგერგება დედის რძესავით. ქე გეცოდინება, ნახევარზე მეტი ციკქა და კრახუნაა. არაა მართალი, ჩვენს სოფელში ღვინო არ დგებოთ. იმ

დედის სულს გაფიცებ, მამას წყნად დედება?

— ეჰ, პავლე, არც კი ვიცი რას ვსვამ, ან რას დავემებ...

— აჰ, არ გეკადრება მაგი, ფარნა, შენ ლეკი ხარ ყამახად! ჰო, შენი მამუკას საზეიმო ღამეს უწყენია ვითომ, მარა ღვინოს არ დააბრალო მაგი შენ...

— არა, ეს ის ღვინო არაა.

— ის ცოლიკაური და იზაბელა იყო, ხეებზე მაქვს იზაბელა აშვებული, ინრდილება და ღვინო შენი მოსაწონი ვერ დადგება... ეს ორი წლისაა. ერთი ორფუთიანი ყუბარი მაქვს, შენისთანა ვინმეს რომ ფეხი მოუცდეს, მეც მიინდა ორი კიჭა მოვწრუბო და კუთხე-მუზობელში ჩემი ბიძაშვილივით არ გამოვწყდებ.

— იმღამინდელს... ღვინოს არც მე ვაბრალებ. — დამწვარს მდღლარეო და ფარნამ ბარემ იქით მიაბრუნა საუბარი, რასაც პავლე უტრიალებდა და თქმა ვერ გაბედა. იმაზე უარესი რა იცოდა, რაც უკვე თქვა?

— აჰ, არა! ღმერთი არ გამოიწყრეს. მე ღვინოს, ზოგიერთივით, მწარე კვახის თესლისთვის, ნიგვზის წებურისთვის და შუხის ქერქისთვის ვერ გავიმეტებ.

— მაგრამ ჩემი მოწამვლა არც იმის ბრალია, რაც შენ და სოფელს გგონიათ.

— იმე, მე მგონია, ფარნა, რამე უცნოური? — შეჩქვფდა მშვენიერაძე და ხელი წვერზე იტაცა.

— იქნებ არც უცნოურია, კაცს ჰყვარებია ქალი და ქალს კაცი... — ჰა, ეს გინდოდა გეთქვა და ბარემ სადავე ხელში მომიციო.

— არა... — პავლემ ღამის ისედაც დაწეულ პატრუქს და ხმას კიდევ დაუწია. — ხალხს უთქვამს: ხარი, კამეჩი — თავისი, ცოლი უყვარდეს სხვისაო.

— არა, პავლე ბატონო, სხვისი ცოლის სიყვარული კაცის საქმე არაა, და ქალსაც თუ ცოლი ჰქვია, დაეტოს თავის უკანალზე.

— ფარნა, ბრძენი კაცი ხარ, რა გე-

სტავლება, მარა მამლარი ბოვში მეზობლის ვაშლს მოწყვიტავს?

— კი, ნუ გაწუწუდება თორემ მოწყვიტავს... მაგრამ ის ქალი არავის ცოლი არაა.

— არა, ვინ გკადრა!

— შენ ისიც იცი, ვინც რაღაც-რაღაცები მოინდომეს...

— რავე გეკადრება, ჩემო ფარნა, მე შვილებსთვის მინდა, იქნება რუსულში ხელი წოუკრას-მეთქი, თვარა... ოჯახში რომ აღამიანი შემოვა...

— შენზე არ მითქვამს... იმაზე ვამბობ ვინც იყო...

— კი, აბა, ის კი ჩვენი თავმჯდომარე... შეარცხვინა ღმერთმა... მაინძელმა სტუმარი პატიოსნად ვერ უნდა შეინახოს?! სულ გამოიქცა იქიდან და ბინა მთლად სკოლაში დაიდო.

— მაგას მე ვერ დავუშლი. ომია, ბინა სკოლაში კი არა, ხის ძირში რომ მოინდომოს...

— ვითომ ის დეზერტირები რომ გორმალაში დაიჭირეს და დახვრიტეს, აქ ფარებდნენ თავს?... თუ არაფერი თქმულა ასეთი და მე მეშლება? ქვეყანა არეულია. არ გაგიკვირდეს შენ მაგი, ასიდან ერთი აღარაა მართალი. გამოყრუებულია ის შენი დარაჯი, ვედროსა და კიბეს ის აიტანდა ცხვენში და დაავიწყდებოდა.

— რაო? ეს მეც არ გამიგია! — ფარნას ერთბაშად წამოახურა და იმღამინდელი მოწამელისა არ იყოს, მთელი სხეულით მოწყდა.

— დააშინეს ალბათ. იმ საცოდავი ენუქის დაშინებას და დაბრეყებას რა ვაქაცობა უნდა, ან ოქრუე დორბლიანმა რა იცის... ანთიმოზის თვალს კი, იცი შენ, არაფერი გამოეპარება.

— ანთიმოზს უნახავს?

— ანთიმოზა გაიგებდა, აბა ისე სოფლის გულში რაფერ შემოძვრებოდნენ. ოქრუსთან, ეკლესიის ნასენაკარში რომ ღამე გაუთევიათ, ეს იმ სულელს ქე უთქვამს: «ქარისკაცები იყოო», იმ ღამით მქადის ნატები ჩამოუმათხოვრებია. ვინ რას მისცემდა იმ უბედურს.

ახლა ცივი მქადის ნატები რუმელ ოჯახში რჩება, ვინაა მასეუ მტანხვრისკაცი, საწყლები, ქე გაისამართლეს, ერთი... შენთან რა დავმალო, გულჩინას ძმის, ქვისლის ძმა იყო. ლემენცებს გადმოუსხიათ სვანეთის თუ ლეჩხუმის მთებში, კავასიონზე რომ იყვნენ მომდგარი... მომდგარი კი არა, სვანეთში და აფხაზეთში კინალამ ქეც შემოსულან... რა გაგახსენე ეს, გონია გადავრჩით რავარცხა იყო და...

„რას ვერჩი, ცამდე მართალი ყოფილა ის ქალი. — ემაყოფილებით გაიფიქრა ფარნამ, — მე მაინც მისი შიშის და რაღაც განზრახვის ბრალი მეგონა. იმ ქალს მეტად უნდა ენდოს აღამიანი, ვინემ ამ გაუტანელ წუთისოფელს“.

— წავალ ახლა, პავლე, მე... — თქვა და წამოდგა, რამაც მასპინძელი ისევ ექვის ბურუსში გაახვია.

— რატომაა, ჩემო ფარნა, შენი ბიჭების სადღეგრძელოს რომ არ ვსვამ თუ იცი? არ მახსოვს და არ მეჭავრება, თუ რავე გგონია.

— ეეპ... — ამოიხვნეშა ფარნამ და ისევ ჯორჯოზე ჩაიქეცა, — იმათ არც სადღეგრძელო უშველით და არც ღმერთი და ხატი. თქვა ანთიმოზმა, ზომ იცი...

— ვეფო, ეს უკუთ სავეს კაცი ანთიმოზა შერეკოს უგდებ ყურს?

— მეგ გაუცნობიერებელი გლეხი, ნაქარისკაცალი „ბრძენია“. იქნებ თვითონ უგნური და ავეყია, მაგრამ იმდენის ნაწვენევი და ნათრევი ტყავი ალაპარაკებს. „ვინც ომში მიდის, უკან არ ბრუნდებაო“.

— კი, თუ ღმერთი გწამს! თვითონ მაგერ არ მოეთარა?

— რომ მოვიდა, რაა მაგის მოსვლა და დაბრუნება. ოჯახისთვის მაგან არ ივარგა და საქმისთვის. ზის მთელი ღამე ღუქნის კიბეზე და გიტარას უკრავს...

— ახლა, ფარნა, ერთი რომ ცხვრისკენ, მეორე — მგლისკენ. კვიდრი ბიძაშვილის ცოლი კაცს ყვარებოდა, გავიგონია?

— რა უყვარდა, რაღაცა თავის გუნებაში ამოიჩემა...

— არცერთნაირად არ გაგონილა მაგისთანა...

— და ესეც დალუბვა იყო... შენ რა გგონია, იმდენი ნათრევი, იმდენი საშინელებების მნახველი და გერმანიაში იმდენხანს ტყვედ ნადგები რომ არ ყოფილიყო, მაგიც არ დაემართებოდა. ის ანთიმოზი არ დაბრუნებულა, აქედან რომ წაიყვანეს და ვენც და რაც დაბრუნდა, ამ სოფლის შვილად ვეღარ ივარგა. ვერ ჰგუობს სოფელი, როგორც გაუცხოებულს თუ დალუბულს, როგორც დაუმარხავ მკვლარს, თვითონაც ამიტომ მყრალდება. არ ისისხლხორცებს, როგორც მოჭრილს და მოკვეთილს... ე, დაუბდე ყური, ახლაც მღერის... ამ სიტყვეში ცივ ქვაზე ჯდომა და სიმღერა რას ჰგავს? ვერც სხვაგან წავა. არსად არაა მაგის ადგილი, რაკი მაგი არ არსებობს. შეშლილი ათასნაირია. ანთიმოზას კაცი ვერ კითხავს როგორ ბრძანდებო, მაშინვე შეუბრუნებს: წუხელ მაგის ჯავრით არ გეძინა ხომო?

— არც ქვა მაგი თლათ ტყუილი...

— პავლემ ისევე მოზდილა ჭიქა ავსო.

— ტყუილია ჭკუა. სიმართლე სიგიჟეა.

— შენი ბიჭები ღმერთმა დეიფაროს ანთიმოზეს „სიბრძნისაგან“ და დავვიბრუნოს ღმერთმა შვილობით. ერთი ქე ჩამოსულა და რაღა ვერ მოვესწარი.

— მერედა, რატომ ვერ მოუსწარი, რა გგონია? ორი კვირის თავისუფლება ჰქონდა და ორ დღეში ვაჭრა. რა ჭირს, შენ რა გგონია, სრულ ჭკუაზეა?

— კაი, ფარნა, დედის სულს ვაფიცებ, ლუკას... ლუკას სული ნუ წავიწყდება!..

— მე ძალიან გულით მინდა, რასაც გაშობო?

— არა, მე მესმის... — ჩანავლულ ტეცხლს წამწვარი მუგუზლით გული გამოუშალა. ღვინით და მეგობრის ნადვლით თვალში მოწოლილი კურცხალი დველფში მალულად ჩააგდო.

— იქნება არც სოფელია მტყუანი. იქნებ მართლა ჰქნა ისე ჩანს... ჩვენ ვლაპარაკობდით. რას ჩაიღწენს გამწვარებული და ჭკუიდაბნეული კაციშვილი, რა იცი.

— შენი შვილი, ფარნა... არა, სხვანაირი ბოვში იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, სხვანაირი...

— ჰო, ვითომ რაღაცაზე... ქვეყანაზე ბრმად სიარულს და სხვისი ჭკუით ცხოვრებას არ აბირებდა აზრი და ლოგია კი ვერსად და ვერაფერში იპოვა. ან სადაა აზრი... ღმერთმა კარგად გამყოფოს, ზრდი აგერ შვილებს. ესენია შენი საწყისი და სასრული, თუ რაიმეს იმედი და რწმენა ვაგაჩნია, ამათი შემყურე ხარ და, თურმე სადღაც საფრანგეთში, ან გერმანიაში ვიღაცა ეფრეიტორი, თუ იმპერატორი გადაირევა, მიდი შენ და აგე პასუხი. ან ვიღაცას რაღაცა დაეისხმრება, ან სხვის ნასიზმარს ისიზმრებს, ეს შენ რატომ არ გეზმანაო, დაგავლებს ხელს და მიგაყენებს კედელთან. მამუკა გმირიაო! რანაირი გმირია მამუკა. რომელ საგმიროდ და სარაინდოდ ის გაჩნდა და ჩვენ რომელ სარდლებს და მხედართმთავრებს ვზრდიდით, სანადირო თოფი არ სჭერია ხელში, როგორ დაეიჭერო მბ...

— კაცო, ვინც იცის ის ამბობს, ჩვენ ხომ არ გვეთქვამს.

— ვინ იცის, პავლე, ჩვენი შვილის ამბავი ჩვენზე უკეთესად. ჩვენ უწინ უნდა გვეცოდნოდა, თუ გმირი და დევგმირი გყავდა. და რაც ჩვენ ვიცით, თუ ის არ იყო და ის ისაა, რასაც ამბობენ, მაშინ ის აღარაა ვინც ჩვენ ვიცოდით. ანთიმოზი გმირი არ ყოფილა, ერთი მედალიც არ ჩამოჰყოლია, იქნება თოფი სულ არ გაუსვრია. სადღაც ტყვეობაში კინალამ ამოჰხადეს სული... და კინალამ კი არა, სწორედ იმ ჩვენ ანთიმოზს ამოჰხადეს — იგი ჩვენ არ დაგვბრუნებია... ის ომი ამ ომთან რიკ-ტაფელას თამაშია და შენ ფიქრობ, ისინი, ვისაც ამ სამი წლის მანძილზე ყოველ დღე ჰკლავენ, და ვინ

იცის კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება, ეს, მაინც „სტოხალი“ დაგვიბრუნდება?

— დაბრუნდნენ... თითო-ორთა... მართალია, დასაბიჯრებული, მარა, დაბრუნდნენ

— კი, ერთი ჩვენთანაცაა სკოლაში, ახალაქე...

— რაღა არ ვიცო...

— ხელი რომ აღარ ჩამოჰყვა და ლუკმაჰურიც გაუჭირდა, ძალაუფლება მოინდომა, ჯერ სკოლის პარტუჯარედი იყო, ერთ თვეში ჰკუთის სწავლება დაგვიწყო. ახლა რაიონში გადაიყვანეს, აღმასკომის ინსტრუქტორად და ჩვენ კი არა, მგონი დედამისი ველარ სცნობს. ის მესხის უფეხო ბიჭი რომ დაბრუნდა, უშანგი, დღე სახლიდან არ გამოდის. ღამე, მთვარიანში ჯორკოზე ჯდება, დააჩოჩილებს ყანაში და თოხნის. მაშამისი გადაყვა მაგათ ჯავრს და ვითომ გამწარებულ დედაჩემს კისერზე საჩჩნად რად ვაწვევარო, და დღისით ჯდომელა საქნარი რცხენია, ღამით ნათოხარი და ისიც სამფეხა ჯორკოზე წამომჯდარი?.. ჰკუთა მოეკთხება? ერთ მილე ჯანგაჰის საშულო, არ ვიცო? ჩემი გაზრდილია. კონტუზირებულიაო, ხომ მაშინვე... ეს ბესო ორსულ ქალად დაბრუნდა.

— ვიცო, ფარნა...

— ცეცხლის შიში აქვს. ბაწრით დასაბმელი ხდება ცეცხლს რომ დაინახავს. ესტატე კინწურაშვილის ის ორი ხომ მაშინვე... ეს ბესო ორსულ რუსის ქალად დაბრუნდა.

— დაღუპულა საწყალი ზესოიე? მაგარი გლეხი იყო, მოსაწონისი.

— იმ ქალს წყალი აქვს პირში ჩაგუბებული. ეს ჩემი ვაჟიც სად გაქრა, ვერც იმას გაუგია ვერაფერი. ბესოსი, არ ამბობს თორემ, იცის... ჩემი უფროსი — ლეონი იტყოდა, როგორც კი ქეყნის დაქცევა დაიწყო, იმდღესვე დაგვაქცია და დაგვაშხო. ჩემს რძალს — ნორას იქნებ ბავშვი მაინც დარჩენოდა და მთლად არ ამოვწყვეტილიყავი. ვაღმოსკდა ვაგონიდან და მუცე-

ლაც მოწყდა და თვეწიწი წყალმანკით თუ სისხლის გმწყალმანკით გაქრობაზე... ჩემ თავს არ დავეძებ, დედამისი — ჩემი მზახალი მეცოდება, არაა ურიგო ადამიანი, ერთი ხატავით ქალიშვილის შემყურე იყო.

— ფარნა, ნუ იშლი ძარღვებს, იქნება არ გვაქვს გაჩენილი უსაშველო.

— ნეტავ მაგის სულელი მქნა, მაგის იმედი გამაჩნდეს... ჩემი ცოლის რა უნდა შურდეს ადამიანს და სულ მაგას ვნატრობ, მაგის ჰკუთავ ერთი დღე და ღამე მამყოფა-მეთქი.

— არა, რუსუდანს... ახლა, აბა რაღა მოიქცეს... თბილისში იყო?... მთლად იქ ჯდომაც არ შეშვენის. აქეთ შენ და ოჯახი, მერედა შენ რომ იმ შენი დედამისი და ძმიშვილების ოჯახი ფეხზე გყავს, შენი მეორე დიდი კაცობაა. ის, ლუკას ქვრივი რომ გიწყობს ხელს, პატარა ცოლმაც უნდა გაგიდგეს მხარში, მე პირში მთქმელი კაცი ვარ, იმ შენს თბილისელ ვაჟს არ უჭირს ისე, ადგილიც დიდი ჰქონია და ცოლოურობაც დიდზე დიდი, ქე მიხედავენ ერთ ბოვშს...

— იცი შენ, ბავლე, რაც ჩემი რწმენისა არაა, ის არც ჩემი არაა. არაფრის და არავის მქონებელი და მყოლებელი აღარა ვარ.

— ჩუ, ჰკუთას მეეგე ყაბხო! — „გაუწყარა“ ბავლე და ფარნას ჰკუთ ხელში შეაჩერა. — მომირტყი, მომიჰახუნე. არ გამიგონია მე შენი გულის გატეხა... კაცი გქვია შენ სახელად, ფარნა ამაღლობელი, და „პირსა შიგან გამაგრება“ გამართებს!

— კი, ბატონო, მაგრამ „კაცმა პირი მალა, მალაო და პირმა რომ თავი არ დამალა?“ — ესეც რომ ვიცით...

### 3.

— ფარნა ბიძია!..

— აჰ...

— ბიძია, მე ვარ — თიკო.

— ვიცო... პო თიკო, ხო კი ამბავია?.. თენდება?

— თენდება, ბიძია, და რომ არ მე-

ჩქარებოდეს არ გაგაღვიძებდი. წუხელი უნდა შეთქვა, მარა ნამეტანი დაგავიანდა.

— ჰო, რა დამემართა ეს, პავლესთან შევეყვით...

— ენუქი იყო. შელამებულში...

— ენუქი?!

— ჩვენი... რავა ყაჩაღივით დაგეცი და არ გაცალე ძილი, ჩვენი დარაჯი.

— ჰო, ენუქი, რაო, დღეს კვირა არაა?

— კი და მედულის უთხოვია, წუხელივე... რომ ყოფილიყავი...

— კარგი, კარგი. ბავშვები?

— ძინავთ ჯერ... ვამეცადინე ვითომ...

— თვითონ...

— ჰო, მარა, პატარა წავეხმარე. კაკოს უჭირს... ანდროს მაგი ეხმარება, თვითონ მას... ჩვენ რომ არა ვართ კაცივით საქმიანობს... ღამე ნავით არაა და სანთელი... შავი სატინის ბლუზა დაგიკერი, რა ვიცო... — ის უამური, სევდიანი ღიმილი მოიშველია, ბიძამის რომ ყოველთვის თანაგრძნობით განაწყობდა.

— ანდროს?..

— ანდროს, ვითომ კაკოს შარვალს დოუპატარავებ და შენი გალიფე მაინც კაკოსთვის მინდა გადავაცეთო.

— გალიფე ბავშვისთვის...

— ტოტებში ნაჭერს ჩაუღვამე-მეთქი, მარა უშენოდ ვერ გავებდე... თუ მოიცლიდი და ცარკით გამომიხაზავდი... მამას შარვალი ჭე გადმოგიტანე, გარეცხილი და გაუთოვებულა...

— მიყავს, ვითომ, დედაშენს ძროხა ბაზარში?

— ჰოდა, უნდა წაყვე. მარტო მე კი არა, მზიაც. რა იცი, ქვეყანა გავიბვირებულა... ან სიმინდიც რომ ვიყიდოთ... წამოღება ხომ უნდა...

— თაკო გადმოაკითხოს აქეთ ბიჭებს... რა ვიცი, მე... არაფერი უთქვამს ენუქის?

— არ იცი, ბიძია? „მატავლებელმა მევიდესო“, ჩაიბურღლუნა და გაბრუნდა...

— ბავშვებს საკმელი...

თიკოს ისევ უნდილად, მაგრამ რაღაც სიამაყით თუ რიდიტ ჩაეცინა.

— მე ხომ დამავიანდა... გუშინ ოქმები იყო გადასაწერი, თვითონ კაკოს დაეცხო ერთი თხელი პური, ანდროს მოშვიდაო, უსაფენელოდ დაეცხო. ვერც კეცი გაეხურებინა და დანით ძლივს აეფხიკათ... შენთვისაც შეენახათ...

ფარნას თვალები მოუხინათლდა.

— კარგი უქნია...

— კი, მარა მე რას ვაკეთებ?.. — თიკოს თავი გვერდზე გადაუჯარდა.

— წადი ახლა, დედაშენს მიხედეთ... ბაზარში როდისღა ჩახვალთ...

— ღამით წასვლა ვერ გავბედე და... — კარი მაინც ისე ვერ გაიხურა, მეორე ოთახში ბავშვები არ გაელვდიებინა. წაიკვნესა: — უი, მომიკვდა თავი...

„ჭალი ამირანია და ჭვრივი კიდე ამირანთ ამირანო“, აქვს ხალხს ნათქვამი. ჭვრივ-ობოლი ჩვენს მუდამ დარბეულ ქვეყანაში, საუბედუროდ, ყოველთვის კმაროდა. ლუკას ცოლმა — ნინომ, ტანჯული ქმრის იმდენი ავადმყოფობის დროსაც იამირანა და დაქვრივებულიც ამირანთ ამირანობს. სახლში, ეზოში, ვენახში, კოლექტივის ყანაში და ჩაის პლანტაციებში, ბიჭებივით ამოიყენა მხარში ქალიშვილები და დღეს და ღამეს ასწორებს. ასეთი ქალები ამავრებდნენ, ალბათ, დარბეულ და დაქცეულ ქვეყანას. ის ბრუციანი აგრონომი, აბრეშუმის ჭიის მოვლა-პატრონობას რომ ამოწმებს ვითომ და კარდაკარ დაწანწალობს, თიკოს გააჩვიებია. ვითომ ართვალის გოგოა, მაგას, ისიც ამ უკაცობის დროს, ვინ მოგტაცებთო და აბრეშუმისჩელტებთან ხელის ფოთილი დაუწყია. ეს, სახეაღწერილი ქალიშვილისთვის, მაშინვე შეუნიშნავს ღეღამისს და ის აგრონომი წალდით გადაუგდია გადაღმა იმის მერე იყო, მაზუს რომ შებედა, სკოლაში დამლაგებლად თუ ამუშავებ, შენთან იყოლიეო. სამსახურის შემდეგ ობოლი მაზლიშვილების: კაკოს და ან-

დროს მოვლა-პატრონობა დაეკისრა და დედამთილ-მამამთილისეულობას მიუჩინა, მაგრამ არც ისე, შვილს დედის ხელი, დების სითბო და სიყვარული რომ მოეღებოდა. ლუკას სიცოცხლეში ხომ რძლები ვითომ უმძრახად იყვნენ. მას მერე დაივიწყა თუ ვულში რაიმე ხინჯი ედო და რაც რუსუდანიშა შვილიშვილი და მამისგან აძულებული ვატუტი საქმედ გაიჩინა, იკაურობაც, აქაურობაც, თავისი ოჯახიც ხელში ნინომ აიღო და ფარნას ვეგრდით დადგა. წელს მესამე გოგოც ამთავრებს და ახლა ვის ეუმალღესება და ემეცნიერება, მაგრამ თიკო რაკი სამსახურში დაიგულა, საგაისოდ მზიას ტენიკუმში მოწყობას მაინც უპირებს.

თიკო გვიანობამდე ყოფილა გულში სკოლაში და მერე რა უნდა მომხდარიყო? ფარნა დღეს ისვენებდა და მთელი კვირის საქმე უნდა მოეწყრო. მარტო სამი ეზოს ღობეა საკავებელი. შუშა, საქონლის ბოგა, ჭურ-მარანი... რაღაც ხუთი ძირი სკა ვადაურჩა, ისიც არ დაუზამთრებია... კინწურაშვილებთანაც საჭიროა ვადარბენა. ეიქინას ქალი, როგორც ახლობელს, ისე ელოდება. ორ სიტყვას ფარნას თუ დაეღაპარაქება. „პატარა ბესოც შენ უნდა მოგვინათლოო“ — ყალიონის ტარის ღებვით რომ თქვა ესტატემ, შემთხვევით კი არ წამოცდენია. ამით თავისი ქვისლის ივკაცობა შეაჩვენა და ჩვენ რაღაც სიყვარული და ნათელ-მირონობა გვჭონდა, იმად ვრჩებითო.

ფარნა საწოლიდან ფეხებჩამოყრილი იჯდა, თავიჩაქინდრული, და წუხანდელ ნაღვინევს, ამდენი საფიქრალი და სადარბებელი თავში ჩაჭუჩივით ურახუნებდა.

„...თუ ეს ასეა... სიყვარულს ზოგჯერ ოჯახების მტრობა და შუღლი პირიქით აძლიერებს, აკრძალული ხილის ამბავია... ეს თითქოს ვასაგებია, მაგრამ თუ გოგო ბიჭთან შეიცდა და ამას შეცდენილი და გაუბედურებული არ მალავს?... რას ნიშნავს, „თვითონაც არ უარყოფსო“. ვინ ჰკითხა ამის თაობა-

ზე და ვისთან დასპირდეს, ამეცნა, უარყოფა?“ ესეც იცის, რა უნდა დათავსდეს „იზღვევს?...“ „თავის დაზღვევა“ ამ უნიათოს ძველისძველი და საძაგელი თვისებაა. სანამ საქმეს ბოლო არ მოეღება, პირზე ბოქლომი ადევს, მერე იმ ჩერჩეტ თავს მალავს და, ცხვირჩამოშვებული, პურის გულს ასორსოლავებს. ათასჯერ რომ ჰკითხო, ათასჯერვე ჯიუტად თვალგაშტერებული „რა ვუყოთ ახლას“ იმეორებს. კარგს იზამს, ბარემ სულ ვატუტისთან რომ ვადაბარგდებოდეს, მაგრამ თავისი პატივმოყვარეობის პატრონი, იქ ზედღედ ორ თვეს ვერ ვაძლებს. რძალი და მზახალი საავადმყოფოებში და ოპერებში „ისიერინებენ“ და ეგ ბავშვის საგებებს რეცხავდეს? რატომ არ უნდა ჰქნას, მაგრამ ამისთანა კულდაზიკა გონებაშეზღუდულებმა როდი იციან, რისი ძალიც შეგწევს ის რომ უნდა აქეთო და დიდი და პატარა საქმე არ არსებობს. არც ალხაზიშვილის ქალს დაუდგამს ვინმე ძეგლს, მაგრამ იგი ქვეყანას ოპერაში სპირდება, ჩაის საკრეფად და ყანის საბარავად მისი მოცდენა დანაშაულია. არც ფარნა ამბრებდა და ამბრებს ჭავახიშვილობას, მაგრამ ამიტომ დაჯდეს და ფაჩუაშვილის ქალი მწყემსოს? და ისტორიაში ორი სიტყვა მაინც ახალი არაფერი თქვას, თუნდაც სადაო და საკოკმანო?

ამ ცირეკიძის ქალს რა ეცა წუხელ და რა დესპანებს და მალემსრობლებს აგზავნის? ისიც კაი ჰკუის კოლოფია, მაგრამ ერთი რამ უტყუარია — სიცრუესიყალბეს არ მოჩმხავს. იქნებ ეს იყოს მისი ღირსებაც და დამღუბვლიც. რა თქმა უნდა, ყალბ, ცრუპენტელა ჰკუათხელს ალალი და ჰეშმარიტი უნდა გერჩიოს. მაგრამ რატომ ჰგონია უბედურს, რომ ფარნას მაგის მერე საქმე არა აქვს და ამდენი დარღითა და ბოღმით გულგასიებულს მაგის მართალი ოფოფების სადევრად სცალია? ვითომ ისეც ყაჩაღები და დეზერტირები მოუხტა თუ თავმჯდომარეს და „დაწინაურებულ“ ახლაძეს სიყვარულ-

ლის ხუსტურმა მოუარა?... ამ კვირა დღეს რომ სოფლის „პატრონი“ ანთიმოზე და პავლე მშვენიერაძე სკოლაში მიშვეალ ფარნას დაინახავენ... რას ამბობდა ის კაცი წუხელ? „სოფელია აქ და რა ქვეყანაშიც ჩახვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“.

კი, ცირეკიძის ქალი აპირებს თავის თავთან მართალი იყოს, და ეს დღეს თუ არ ხერხდება, მით უფრო დასაფასებელია; მაგრამ ფარნას თავისი სიმართლის ჰიაც ჰყოფნის გულ-გვაშის გამოკმეღლად, რომ უთაური შედუღის ქეშმარიტებაც თავისეულად არ გაიხადოს.

4.

შედუღის კარი ღიად დაეტოვებინა და თავის ერთადერთ ტაბურეტზე იჯდა. უცეცხლო ოთახში, შემოდგომის ქართა და სუსხით ოდნავ აპრეხილი ცხვირი ფირუზისფრად გალურჯებოდა. გაქცეული კურდღლის ბეწვიანი გაფხეკილი პალტო მოედო ზურგში და კალთაში ჩაყრილ, ცხვირივით გალურჯებულ ხელებში ქაღალდის ნაგლეჯი ჩაებლუჯა, წამწამზე მოცისფრო ცრემლი გარჩენოდა. ფარნა რომ შევიდა, თავი არ აუღია.

— ქალბატონო შედუღო, რა ქვეყანა დაგვექცა? — იკითხა მოგუდულუნ, დანჯღრეული ხმით და, რაკი თამბაქოს ეწყოდა, ბუხართან გაჩერდა, მხრით თაროს მიაწვა.

— არავის ქვეყანას არ ვაქცევ მე!..

„დღეა არ დაუფიცია, ესე იგი თავს იმორჩილებს, — გაიფიქრა ფარნამ, — მაგრამ ამის ლოლიავი მაინც არ შეიძლება. იგი მარტოა, იქნება მართლაც სრულიად მარტო და გალახულმა ბავშვმა თუ ხელის გადაშსმელი იშოვა, ვეღარ გააჩუმებ“.

— ვითომ?...

— დიახ, არავის ქვეყანას... და არც ქმარს ვართმევ ვინმეს.

— ოპო!..

— რატომ არ გჯერათ ჩემი. რატომ, რატომ?!

— გვიბრძანეთ რა დაგვეჯეროთ?

— დამიჯერეთ, რომ არაფერი დასაფრთხილებია არ მინდა. მე ჩემ მართობას, ჩემ გაპირებებს, შიშს და მიუსაფრობას ვაკვდები და ჩემთვის ვარ.

— ისევ გიტყვენ კარებს სხვისი ქმრები?

— აბა გაბედონ! ის აღარა ვარ, მაგათ რომ ჰგონიათ. ახალაქმეც მიიღო თავისი. მე მაგის ინსტრუქტორობის კი არა, კომისრების არ მეშინია.

— მინისტრებია უკვე, მგონი...

— მინისტრი იყოს და თუ უნდა მინისტრის მინისტრი.

— გაგიწესრიგებია საქმე და ვითომ ერთი დღე ვერ გაძელი უჩემოდ?

— ვერ გაფიქლი... უშენოდ რომ ვერ ვძლებ მე, იცი შენ!

ფარნას ერთი წუთით ყელში სიმშრალე ამოაწვა. თამბაქოს მოჭაჩა, ბუხარში ჩაფერფლა და ცალთვალწაქუტულმა გახედა.

— ჰო, ჰო, არც მაგის თქმის მეშინია... არა, მეშინია და მაინც ვამბობ. მე სულ მეშინია... მთელი ღამე მეშინია და მაინც აქედან ფეხს არ ვიცილი. მივეჩვიე... ისე მივეჩვიე, რომ არ მეშინოდეს, ალბათ, აღარც შემძლია... არ ვიცი როგორ ვამბობ, მაგრამ, შენ რომ არ გაიგო რაა ისეთი... მეშინია შენი და, ხომ ხედავ, გეუბნები, მაგრამ ვისი რა საქმეა თუ ჩემთვის, ჩემი შიშის, მართობისა და გაპირებებისთვის ვინმე გავიჩინე და მყავს ჩემ გუნებაში. რა თქვენი საქმეა ეს! ფეხი არ მომიჭამია შენთვის და ხელი. არც შენი ცოლისთვის შემისხამს თვალეებში ქეძაფი. რა გინდათ ჩემგან, ხალხი არა ხართ? სოფელია ეს თუ ჯოჯოხეთი? არავინ გკვარებიათ, არავინ მოგწონებიათ, არავინ გილოციათ? ასე უგულო, უსულო და უხატო რაფერ ხართ!

„რაფერ“ — აქაურია. თავიდან „როგორს“ ამბობდა, — გუნებაში ჩაელიმა ფარნას და თავი დაიტუქსა, — რა დროს ამაზე ფიქრიაო“.

— რაო, მერე, არა გაქვს ამის ნებო... ეს ასეც რომ იყოსო?..



— ეს როგორცაა ჩემი საქმეა. იმან კიდევ, რომ აღუბუღებია ის წამწვარი ცხვირი: თუ ასე იყო, შე ქალო, თავიდან გეთქვა, თავმჯდომარე რას გადაამკიდო...

— კი მარა, შენ უთხარი, რომ ეს ასეა?

— ვუთხარი, ჯობრზე ვუთხარი. ტყუილი ხომ არ იყო და ვუთხარი...

— ახლა, შენ და ზოგიერთები კიდევ თუ თვითონ იძახით...

„რა ბედი გვაქვს მაინც... — დაცეცხლა ფარნას, — ეს მამა-შვილი არ დავერიეთ ქალებს და თანაც ისეთებს, ნამუსსაც რომ არ გვინახავენ...“

— კი, მაგრამ ეს მართალი რატომაა?.. აღეკე, დამაჭინე მაგ სკამზე. — მუხლებში მოესტრა, ამას ვის გადავეყარეო.

— მართალია, მართალია, მაგრამ შენთვის კი არა...

— თუ ჩემი საყვარელი ხარ, მე არ უნდა ვიცოდე?

— მე საყვარელი არა ვარ.

— იმ ქალს თუ უთხარი?

— ეგ არ მითქვამს. შენ რომ მიყვარხარ, კარგად იცი და, ალბათ, იცის ყველამ...

— მომხედა ღმერთმა.

— მოგხედა ღმერთმა თუ გაგიწყრა, ეს ასეა, მაგრამ ჩემთვის... შე, ხომ შეიძლება... ეგერ, ბებერი კობიტის ხე რომ დგას, ის მიყვარდეს და ვილოცო იმ ხეზე... რა გგონია, იმ ხეს რაიმე დეუსაღებია? ვინ ყოფილხართ, კაცო, თქვენ. რომ მაწვიმს, მათოვს თუ თაკარა სიცხე მაზრობს, იმის ჩრდილს რომ თავი შევაფარო, რა მოხდება, გახდება? თუ ერთ ტოტს არ შევატებ და ერთ ფოთოლს არ შევაწყვეტ, რა უნდა ვინმეს. რა გინდათ ჩემგან? არ ვიცი, იქნება ქვეყანა სავსეა ანგელოზებით, იქნება თვითონ ჰეპელა და თქვენი თავმჯდომარეა ციო მოვლენილი, მაგრამ შე ვერ ვხედავ. ვერ ვიტან, ვერ ვიტან ჩემიანებსაც კი, ვინც... ვინც კაცი არაა, ვინც ცრუა, ორპირი, თაღლითი და გათახსირებული... ბავშვები რა-

ტომ მიყვარს? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ჰგვინან მშობლებს, რომ გაიზრდებიან, ვიცი, ჩემი გაზრდილებიც არ მიყვარებია...

— თუ ვერ გავზრდით...

— რას გავზრდი მე თქვენს ხელში? თუ არავის და არაფრის სიყვარული არ შეიძლება, თუ ხატი არ ეყოლა და ღმერთი, რა გაზრდის? თუ მარტო ჰამაზე, ძლომაზე იფიქრა და წმიდათაწმიდა შეურყვენით და შეუბილწით... რაა, რომ ერთმანეთს არ ინდობთ და მეც, ისედაც უმწივოს და მიუსაფარს, ფეხით მთელავთ. ქალაქიდან აქეთ გადმომავდეს. სოფელი ესაა და აქედან საღ მიპირებთ გადასახლებას. მაინცდამაინც თავი უნდა მოაკვლევინოთ აღამიანს?

„ღაინახა მაინც თანაგრძნობა და ასეა... მეც რა ღმერთი მიწყრება... რა უბედურება მჭირს?... დასწყევლოს ღმერთმა, კაცს რამდენადაც გიჭირს და სული კბილით გიჭირავს, იმდენად ვილაცა გჭირდება... ჰკუა და გონება რამდენადაც გაიკძალავს, გული იმდენად გეცლება ხელიდან... მაგრამ ეს ჩემ შვილებს თუ არ მიეტყვებათ, მე ვინ მამატივს“.

— არავინ გერჩის, მაგრამ ჩემი სიყვარულობანას თამაში ნამეტანი გვიანა... ეს უნდა იცოდე!

— ყველაფერი ვიცი და კისერზე არავინ გეკიდება, მაგრამ ვერც თვლებს დაეთხრი...

— „თუ თვალი შენი გაცდუნებდეს“...

— არაფერს მაცდუნებს თვალი ჩემი და ეგაა, რომ მღუბავს. ვერ ვხედავ, გგონია, რა იყავი დედაშენისთვის და შენი ძმისთვის? მას აქეთაა კრიჭი არ გაგხსნია. როგორ იტირე და დასაფლავე. რა ხარ შენი ძმისშვილებისთვის?.. თავიანთ ლეკვებს მგლებიც კი ზრდიან. ამ გაჭირვებულ, მშვიერ-ტიტველ მოწაფეებს მამა ვერ მიუხედება ისე, როგორც შენ, ამდენ ობოლ გაჭირვებულს სულს უდგამ. როგორ დამაწიყვდება, შენ რომ განთესილი გურამ კუჭავის ღეღამ, ხეიბარმა ქალმა, გაგ-

ლანძღა იმისთვის, — ბავშვს სკოლაში ვერ გამოვუშვებ, ეგაა ჩემი ბატონიო. და შენ, ასე ამაყმა, სიტყვის შებრუნებას რომ ვერ იტან... ახლაც არ გეხატება გულზე, ამდენს რომ ვტლიკინებ, მაგრამ მეყო მე ბოღმა და სიმუნჯე... უნდა ვთქვა, სახსენებელი რომ არ ინდომო, მაინც... და იმ ქალს სულ „შენი ჰირიმი“, „შენ გენაცვალე“ უძახე, ჭერ არავისთვის რომ არ ვითქვამს.

— არც შენთვის...

— არც ჩემთვის. იცი, რას ნიშნავს ეს ჩემთვის, მაგრამ მაინც... ბავშვისთვის კი ვაჟეთე. დახმარებაც ვაუხერხე. განათლებიდან და კოლექტივიდან. და რამდენს, კიდევ ვინ ჩამოთვლის... შენს ძმას, შენ რომ არ შეგეძრა ქვეყანა და როგორც ამბობენ: თავიც კინალამ გადააყოლო, ვერც ცოცხალს ნახავდი და ვერც მკვდარს... მე კიდევ... მომდგებით და შენ თუ კაი ქალი იყავიო... ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ვთქვა?

— რა ვიცი, დაგვეშუქრე და...

— აღამიანს ისე ვერ უნდა გაუგოთ, რომ ყველაფერი არ ათქმევინოთ და სინდისზე ხელი არ ააღებინოთ?

— ქვეყანაში გილაპარაკია და მე მიმალავ?...

— ის ღირსი იყო და ვუთხარი.

— აბა, ჩვენ ვართ უღირსი?

— ნუ მიხეთქავ გულს! ისედაც ყელში მაქვს გასაგლეჯად მომდგარი და საცაა გამგუდავს.

— როგორც ვინდა...

— რატომ... რატომ და „მისი“ ძმა რომ დიპირეს, „მისი“ ძმა იყო, ჩემი — მაზლი, მაგრამ არიქა, ვუშველოთ რაღაცა, ქვეყანა შევეძრათ-მეთქი! სანახავადაც არ წავიდა, მეც რომ რაიმე შარი მომღონო... წარმოგიდგენია? ამაზე დიდი სიღელღე და...

— ოპო, შენ ლაპარაკიც გცოდნია...

— ვიცი, ვიცი უსამველოს რომ გამოჩენთ, ვიცი, აბა არ ვიცი?... და როგორ?... როგორ გავჩერებულყავი იმისთანა გაუტანელთან. ან შეილი რად მინდოდა მისი და ან მისი თვალით და-

ნახვა. მისი ზიარი ქვეყანა არ მინდა... ფარნა ერთბაშად შეძრა ქალის აღსარებამ და უქილურესად კეთილად განეწყო. თითქოს ასეთი უქმენი და უბოდიშო მისი სიტყვა-ბასუბიც, თუნდ უტაქტობაც, სწორად და სამართლიანად მოეჩვენა.

— მართლა შენისთანა ხომ არ უნდა ყოფილიყო ის ქალი... მე რომ ასე ადრე არ დავბადებულყავი და თავის დროზე შეგხედროდი?

— არ ვიცი შენ როდის დაიბადე და მე როდის, რატომ არ დაიწვა ჩემი გაჩენა, ამ უქულმართ წუთისოფელში.

— სხვას რომ თავი დავანებოთ, მე შენზე, თუ მეტი არა თექვსმეტი წლით უფროსი მაინც ვარ.

— მიმატება-გამოკლება მეც ვიცი... მაგრამ იმ დამეს... ზემოზე, შენს მეტი არავინ მოწამლულა, მით უმეტეს, ჩემი კბილა...

ფარნა ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა, აწრიალებულ ქალს თვალი მიაშტერა.

— და შენ გგონია ღვინის ბრალი არ იყო?

— მე შენთვის თვალი არ მომიშორებია... შენ, მე კი არა, იმ დამეს, არავინ დაგინახავს... ყველამ შენზე მეტი დალია.

— შენ, მე რაც მწამლავს და მკლავს, იმის დანახვას აპირებ? — „დავავლებ ხელს ამ ფრთებდალეწილ, გალურჯებულ „ჩიტს“, ამიანად საღდაც ვაღვიკარგები და ჯანდაბას ყველაფერი!“

— კი არ ვაპირებ, ვხედავ... გეწყინოს თუ ვინდა, ვხედავ და რა ვქნა.

— რატომ უნდა მეწყინოს? უნდა მეწყინოს თუ...

— იმიტომ, რომ არ გგონია თუ შენს მეტს ქეშმარიტების დანახვა შეუძლია. თუმცა... შენი ცოლი, მე არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, სად იხედება არ იცი და გგონია ის თუ ვერ გხედავს, სხვამ როგორ უნდა გიგონოს. იმ დამეს ვახშამმა მეც მომწამლა.

— გამოდის რომ...

— აი, ხომ ხედავ, გეწყინა. შენი თავმოყვარეობა შეილახა და გეწყინა.

მე ღვინისთვის პირიც არ დამიკარგებია და მომწამლა. შენ კი შესვი...

— მეწყინა? იქნებ მივივრს...

— ყველაფერი ერთად... და არ გგონია, თუ შენს გარდა ვინმეს სტანჯავს უსამართლობა და სიყალბე, თუ ხედავს და ვერ ეგუება.

— გაჩუმდი, ქალო, შენ!

— რატომ გავჩუმდევ, სანამდე გავჩუმდევ, გასკდა გული!

— ჩემ მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი.

— ჩემსას აღარა აქვს... და ამას რომ გეუბნები, ეს რას ნიშნავს... თავგანწირვა არაა?

— მერე, ჩემზე არ უნდა იფიქრო, თუ ეს ასეა?

— თუ ეს ასეა... — ქალმა ტუჩი აიბზუა, — არაა ასე და ვიგონები!..

— კარგია, თუ ასეა... მაგრამ მე?

— მე?..

— შენ...

— ჰო, ვინ ფიქრობს ჩემზე... რამდენი იფიქრე ჩემზე? ახლაც ეკლებზე ზიხარ, ვინმემ რომ დაგინახოს გული გავისკდება... თქმა ვერ გაგიბედა, ვითომ რა შენი საქმეა, თორემ ახალაქემ რომ გაგახელა: მინისტრი გაქურდაო...

— გაქურდაო?.. როდის...

— როდის და როცა იყო, ამ ზაფხულში. მას მერე არც მინახავს დედაჩემი. მეშინია თბილისში რომ წავიდე, რა ეციო რას იფიქრებ... რატომ მაშინვე არ მითხარი... აგერ, დედაჩემს რომ არ მოეწერა... თუ ჩემზე ფიქრობდი და ფეხებზე არ გეკიდევ, რატომ მაშინვე არ მეციო და კისერში ხელი არ წამიკირე... სკოლაში, მოსწავლეებთან შემისვი ქურდი და მპარავი?

— ნუ სულელობ, მაგას დავიჯერებდი?..

— მადლობა ღმერთს, კახა გეგონე და კიდევ კარგი, მძარცველიც რომ არ გგონებოიარ. მაგრამ რატომ არ კითხე, რა ოქრო და ბრილიანტი აქვდაპნე. თუ ნუცქიას კახა და საცვალი მივითვისე... აა, აგერაა რითაც მაგენი გაგძარცვე, — მონჯღრეული, დაკილული განჯინა მო-

ფელა და უმინო კარიანი თორეები გამოამზეურა.

— მეც ასე მითხრეს, წიგნებით. სხვა არც იმათ უთქვამთ.

— თუ მეტი არაფერიო, ქვეყნის დაქვევად რატომ მოგახსენეს...

— წიგნიც ხომ...

— არა, არა და არა! არც ნუცქია მემჩანს და არც ჩემ დოყლაპია, ლეყე დეიდაშვილს, ეს წიგნები გადაშლილი არა აქვთ და არც ვადაშლიან. არასოდეს, არაფრით, რომ მიუსაჯონ მაინც. ან რას გაიგებენ, ტყუილად გაცვეთენ ქალალს...

— ან აქ ვინაა? ვთქვით შენ გარდა... ისიც რუსულ ენაზე... უმრავლესობა ხომ მაინც რუსულია...

— არიან, და სხვათა შორის, ეს მე „მათი“ გულისთვის უფრო გავაკეთე...

— აქ რა იყო დასამალო... თუ შენ ჩემი ამდენად გესმის, მაინც გეგონა რომ მეწყინებოდა?

— გეგონა და ახლაც მგონია, რაკი თქვენ აქ გადაყვეით ერთმანეთის დასმენას, გაცემას, დაბეზლებას. მერე მტრობას, შურს და შურისძიებას.

— გუგუტა! — ფარანამ ზედა ტუჩი და უღვაში კბილებში მოიქცია. ცალი თვალი ისე დაუვიწროვდა, გაკაპანებულ მედუღიზე ცალითა მიშტერებული დარჩა.

— გუგუტა... ის რომ არ იყოს ამ სოფელში, ამდენხანს გავგეულებოდი. ფოთოლაც, მაგრამ ის მაინც ზერე და თქვენი სოფლის ტიპიური...

— და შური ვიძიეთ?! — გააწყვეტინა ენაღწასულ, ნერვებდაგლეჯილ ქალს. თუ რამის გაგება შეიძლებოდა, მაინც ახლა შეიძლებოდა.

— შური იძიეთ! დიხაკ რომ შური იძიეთ...

— მე, ჩემმა ძმამ და შვილებმა?..

— რატომ ასე ზუსტი მისამართებით; არა, მთელმა სოფელმა, ქვეყანამ უდანაშაულო არსებაზე. ისე, როგორც მე არაფერი დამიშავებია და ჯვარზე გაყვართ გაკრული.

— შენ: ამბავს მოეშვი... ჩემს ოჯახს

შენთან მაინც არა ჰქონია მტრობა...

— ეგ სულ ერთია, შენი ოჯახიდან იყო თუ სხვისგან. დაღუპული, ვისი ხელიდანაც არ უნდა იყოს, დაღუპული არაა?

— კარგი, ვთქვათ ერთმანეთი უყვარდათ... და თუ ღმერთი გაუწყრათ, ეს მაინცდამაინც შურისძიებაა?..

— თუ სიყვარულით შეცდა ქალი კი, მაგრამ...

— აბა როგორ, ძალით გააუპატიურეს?

— ძალით, რა თქმა უნდა, შურისძიებით...

— ბაკურმა!.. — ფარნას ყბის კუნთები ლოყებზე ბურთებივით დაასხდა.

— რატომ ბაკურმა, იქნება მან ყველაზე ნაკლებად და უფრო მეტად შენ, შენმა ძმამ, ან შენმა რძალმა და ძმისშვილებმა.

— ჩემმა ძმისშვილებმა, ალბათ, არც კი იციან...

— არც ამას აქვს მნიშვნელობა, ხომ გაიგებდნენ, ან უკვე გაიგეს. სოფელმა, ქვეყანამ იცის, სეირი ნახა, გული მოიოხა და დაწყნარდა.

— შურისძიების მიზნით ვაცდუნეთ ქალიშვილი...

— არ გიცდუნებიათ, მით უმეტეს, თქვენი ის ვაჟი მთლად გამორჩეული ყოფილა, სულ არაა თურმე ამის გამეფებელი.

— მაშინ ვინ?!

— თქვენ, ყველამ ერთად და ალბათ იმ გოგოვაც...

— იმ გოგოვაც თავის თავზე?!

— თავის თავზე, მამამისზე, თუ საერთოდ მოღალატეზე, გამცემზე, გაუტანელზე!

— ილაპარაკე, ილაპარაკე, ეტყობა შენ მეტი იცი...

— მეტი მე არაფერი მაქვს სათქმელი.

— როგორ თუ მეტი არაფერი მაქვს სათქმელი!

— ამისთვისაც რა მელის, კაცმა არ იცის.

— რა გელის... არ შემშალო... თქვი, ვისზე ვიძიებ შური?

— დამნაშავეზე, იუდაზე... ამ სოფელს სატუსაღო არა აქვს და კატორღა. გამცემს და ბელზებელს, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა მიეზღოს თავისი და მიეზლო.

— რა მიეზლო, ვის მიეზლო...

— გუგუტაც ხომ ამ სოფლის შვილია? ისიც, რა გგონია, თქვენს მხარეზე.

— გუგუტა ჩვენ მხარეზეა?.. მაშინ ვინაა დასჯილი და გაუბედურებული...

— დამნაშავე.

— დამნაშავე?..

— დამნაშავე რომ ჩაგეჭოლათ და მოგეკლათ, თქვენს განაჩენს კანონი ვერ დაგიბეჭდავდათ. არც შვილს აპატიებდა ვინმე მაშის მკვლელობას. ახლა საქმე მოწყობილია. იუდას სიკვდილზე დიდი და მძიმე სასჯელი აქვს გამოტანილი. უღანაშაულო კაცის — თქვენი ძმის დამღუბველის ერთადერთი მეშვიდრე ვაბაზებულია. ქვეყანამ იცის, თქვენ მისი მთხოვნელი არა ხართ, სხვას კი ნამუსახილი და ქუჩის კახა რად უნდა, ან გუგუტას სხვა ვინ უნდა.

— გამოდის, რომ ჩვენ სხვა გზა არ დაგვრჩენია...

— არავითარი გზა თქვენ არ გჭირდებათ. ეს გუგუტამ ჩაიდინა. რაც მოხდა მის გარდა არავინ იცოდა, ვთქვათ ფოთოლამაც, მაგრამ ეს მაინც იგავება. თქვენი შვილი და თქვენ, მით უმეტეს, ამბზე არ იყვირებდით. ეს, ვინც შური იძია, იმან გასცა, ყველანიარი გზა მოუჭრა იუდას... თვითმკვლელობას ეს ვამჯობინეო... მაღლობა ღმერთს მას მაინც სჯერა ჩემი, არაფერს მიმალავს.

ფარნას შეაძაგძაგა და ხელები გაუცოვდა:

„ისევ ვიწამლები? ისევ არაა ჩემი საშველი... ჩვენ ვშვით იუდაც და ქრისტიეც? ქრისტიეც ხომ თავისი ნებით ეწამა...“

„ვირნი ენახენ და მოცამხედა ნაცვალი ჳირ-ნახელისა...“

## თავი მეოთხე

საქართველო  
საბჭოთაო

1.

გამეცხადებულმა შავლეგიშვილის პოლკმა იმ ჰაოზებს ვითომ თავი დააღწია, მაგრამ აქ, თურმე, ერთი ქენჭყოიანი ლაფიდან რომ ამოხვალ, მეორეში გადავარდები. ზამთარში და ადრე გაზაფხულზე რა გიჭირდა, ვაზაფხულის მეორე ნახევარი გამოდგა ცოდვის კითხვა. ახლად გამდნარ ყინულის წყალში კუბრივით აზელილ, ჩამბალ წყალმცენარეებს, ხავსსა და ლაყაბოს, ნოყო მიწასთან ერთად ბომბები და ქურეები რომ ცაში აზიდავს და ამ წყალ-ტალახში გაშხლართულს თავზე დაგაქცევს, შენი ხელით საგულდაგულოდ მორგებული ერთი მშრალი სანგარი იმ საკუთარ სახლს გირჩევნია, დედა რომ ფაჩულებით დაბაჩუნობს — მიწინარე შეილს ძილი არ დაეუფრთხოო.

მცირე კალიბრის ნაღმსატყორცი მილების, ტყვიამფრქვევებისა და ჯაფან-გამტანების წელამდე წუმბეში გადათრევა გაჭირდა და ესენიც უტყვიანაშალოდ ხშირად ზედმეტი ბარგი იყო. ამდენი წვალეებით ნაპორწყილებისა და ნათრევის გაწმენდას ვერ აუღიროდნენ ნესტითა და ქენჭყოთი დაბიჭვინებული მებრძოლები.

„რაკი მტერმა ფეხი აიდგა, არ მოეშვათ, სდიეთ, თორემ რომ ჩასანგრდეს, ინგლის-ამერიკა კი აპირებს მეორე ფრონტის გახსნას, მაგრამ მაგ სახარჩობ საფლობში თქვენს მეტი მაგათი მღვეარი მაინც არავინაა!“ — უკვირებდნენ დივიზიის შტაბიდან და შავლეგიშვილს, სანამ მარცხენა ბარძაყში მსუბუქი ქრილობა ჰქონდა, ესმოდა; მაგრამ სიყვილეშიც რომ გადაუარა, ცვილის მუშისავეთი ქარვისფერი გახდა... წელამდე ლაფით გალესილმა ჯარისკაცებმა თავის სანბატში, კეტებზე დაკრული რომ მიიტანეს, ექიმი ტატიშვილი ვერ იცნო; ახალი პოლკის მეთაური სადღა იყო, ციდან თუ ჩამოგიგდებდნენ, თორემ თავისი ფეხით აქ მომსვლელი მე-

თაური კი არა, ჯარისკაციც აღარ იყო.

დივიზიის შტაბმა, რომელიც ამ ჰაოზების მოვლას ჩრდილოეთიდან აპირებდა, გზიდან მოაძახა: „დროებით პოლკის უფროსობას ბატალიონის მეთაურმა ბოკერიამ მიხედოს, წინსვლას ნუ შეაფერხებთ. ამასობაში მავას გზადაგზა ჩინზე და ორდენზე წარვადგენთ, თუ რაიმეზე გული წყდებაო. თვითონ ჩვენც დივიზიის ახალ მეთაურს ველოდებით, მაგრამ თქვენ ამაზე ნუ იდარდებთ, მტერს მუსრი ვააგლეოთ; გმირი მანდ გყავთ; პოლიტნაწილის უფროსს გაუფრთხილდით, მებრძოლებში პანიკა და დეზორგანიზაცია არ შეიტანოთ; იარაღი მტერს მაგ წყალ-ტალახში ეფანგება, მაინც ოხრად რჩება, თქვენ გამოიყენეთ; სანამ ჩრდილოეთიდან ტბებით და არხებით რაიმეს მოგაწვდიდეთ, მოწინააღმდეგე არ დაზოგოთ და თქვენი პატივისცემა ჩვენზე იყოსო.“

რას აპირებ ახლა ავთანდილ ბოკერია. ეს პოლკის თაოსნობაც შენ, ეს მაიორის ჩინიც შენ და ეს წელამდე წუმბეში ჩამდგარი მტერი და მოყვარეც შენი!

ერთადერთი იმედი და ხსენის არის, რომ რასაც შენ და შენი ჯარისკაცები აიტანთ (თუ არ აიტან რა ჯანი გაქვს), იმას მტერი ვერ გაუძლებს. გერმანელი თუ არ ჩააკალი, წყალში არ ჩაწვება. მით უმეტეს, რომ ჩაწვეს კიდევ, იარაღით და შაძლარი კუჭით ისეა დამძიმებული, ჩაძირავს. შენ არც ტყვია-წამალი გამძიმებს, არც მუცელი და ნაფოტი იტოთა ხარ. აქ ომის სასწორი შენკენ იხრება, მაგრამ ეს საფლობებიც ხომ ასე უსასრულო და უკაცრიელი არაა. არის ალაგ-ალაგ „სოფელ-ქუჩალები“ და მტერიც ფეხს იქ იკიდებს. შენ რომ თავდაცვა, წყალში წოლა და ძილი გქონდეს ნაბრძანები, ჯანდაბას, ასე ტანმჩატე გაწვებოდი ამ ტლაპოზე; მალე ლაქაშები და კილოფები წამოიზრდებოდა, ბაყაყები მოწყენის და უხა-

სიათობის საშუალებას არ მოგცემდნენ. მე შენ გეტყვი, კოლხეთის შვილს, დედის ნანასავით არ გეყურება ეს მშობლიური „სიმფონია“, მაგრამ წინ უნდა და იარო, ახლა ყველა ფრონტი წინ მიდის და შენ მხარეთმცოდნე წამოწოლის ნებას ვინ მოგცემს.

ამ ტლაპოში თოფ-ზარბაზნის ნმარების ცოდნა აღარ სჭირდება ჯარისკაცს. ცივ წყალში ძილის და ლაქაშელის ძირებით კვების „ტაქტიკა“ უნდა შეასწავლო. შენი მეტროლოგები რომ დამორიშორებულ სოფლებში დაძვრებიან, ხეზე ჩამომხრჩვეალ პატრონს რომ იქვე ასაფლავებენ, მერე მის სახლში გათოშილ ხელებს ითბობენ და შესანდობარს სვამენ, ეს არ შეიძლება. რალა საკითხავია შტაბი — ომის კუთვანებაც არ ტყუის. სანამ შტაბი და საბჭო იარსებებდა, ხალხმა მანამდე თქვა: „აგორებული ქვა ხავს ვერ მოიკიდებს“, და სანამ მტერი აგორებული და აღოლებულია, მანამდე დევნა გერჩიოს, თორემ თუ ფეხი მოიკიდა, ხავს სწორედ აქ მოეკიდება.

აქ რომ ჯარისკაცი წამოწვება, ცალი მხარე და თავი, ყურებამდე მაინც, წუმბეში უნდა ჰქონდეს. ამას ვინც ვერ შესძლებს, განწირულია და ვინც გაუძლებს და მიეჩევა, თუ მტრის ტყვიას გადაურჩა, რალაცის შანსი რჩება. თბილი ლოგინიდან რომ ბიჭები წამოპყარო, ამ თამთამა, აბუყბუყებულ ქაობებში ჩაპყარო, ტყვია და საფლობი რად უნდათ, ისედაც ჩატოვებენ შიგ სულს. ამას ვარდა, არ გინდა თბილი ქვეშაგებიდან მათი გამოტყუება? — მით უმეტეს, თუ ახლო-მახლო ქალის კაბა თუნდაც კედელზე ჰკიდა. იქვე, ქვეშაგებში დაცხრილო ურჩევია, ვინემ ამ წელამდე წუმბეში ორდენი ჩამოაქიდა.

მტრის დაზერვას მაინცდამაინც ხელსნუ შეუშლი, თავისი თვლით ნახონ და დარწმუნდნენ, რომ შენ ყინვის, შიმშილისა და უძილობის ვარდა, ქაობებში თავს ბაყაყივით გრძნობ. აბა, სინჯოს და შიგ შენსავით ჩაწვეს, ნახევარი გვერდი რომ ტლაპოში ექნება და

ცივი წყალი დააქნობს, დაუტყვის, მეორე ნახევარს კოწო მტკნარად დატუნდის. დილით, თუ გაეღიძა, თავისევე ერთი ნახევარი მეორეს ვერ იცნობს.

პოლკის ახალი მეთაურის ბრძანებით ყველა ქვედანაყოფს უნდა შემოეკრიბა მეტროლოგები და პირდაპირ ჰაობიან ველებზე დაბანაკებულიყვნენ. თვით მეთაურებიც კი, ლაბადების და ბრუნენტის კარვების უპირატესობით თუ ისარგებლებდნენ. მხოლოდ დაჭრილები და მღარიით დასნეულებულები უნდა დაეტოვებინათ სოფლებში, მაგრამ ჯარისკაცს ფეხზე ღვომა თუ შეეძლო, დასახლების სიახლოვეს ვერ გაიქაჰანებდა. გაზაფხული ძალაში შედიოდა და კოლო ჰაერში ნისლივით ირეოდა. ეს მტრისთვის საშიში იყო, ქონი და გასაღები სისხლი მას მეტი ჰქონდა. ვისაც დასაყარავი აქვს, იმას უნდა ეშინოდეს...

მეტროლოგებს ისე გაუჭირდათ, შავლეგიშვილის მზეს ფიცულობდნენ. გაწამებულები და განწირულები, ახალი მეთაურის დედის გინებით ცვიოდნენ ქენჭუობებში: იმუქებოდნენ, პირველივე შეტევისა და სისხლისღვრის დროს „გავასალებთო“, მაგრამ ბოკრია ყურს არ იბერტყავდა.

ერთ ღამეს, მწვანე ტალახში ჩურჩხელასავით ამოვლებული, გოშეთელიანის დაზერვა რომ დაბრუნდა და ამბავი მოიტანა — უახლოესი დასახლებული პუნქტი ცარიელია, შიგ მტრის ჯარისკაცი არ ჰკაჰანებსო, აღრენილ ჯარისკაცებს მეთაურზე გული მოუღობათ და მეორე დღეს თოფის გაუსროლელად „ალებულ“ სოფელში შესვლა აღარც უფიქრიათ.

უკანდახეულ, ტბორებში გადაშვებულ მტერს მძიმე იარაღი მოესპო, ტვირთი შეესუმბუჭებინა; იმდენზე გაერთობა, ტყვიას ველარ მიუწვდნდი.

იმ დღეს ჰო, ზოგი ნალაფარით, ზოგი მშვიერი სოფლის გაყოფილი ლუკმით, ზოგი ძალით, ზოგი ნებით ვითომ სული ჩაიბრუნეს და პოლკი კვლავ ასაფრენი ყვავივით მეთაურის ხელის აქ-

ნევას უცდიდა: მტერი კი ვეუზება, ხელი შეეწყვით, არაფერი გადაიფიქროსო.

ბოკერის, ღმერთწინაშე, ხელის აქნევა არ დაუგვიანებია და გამთენიის ხანს, ამჯერად წელს ქვევით წყალში დამბალმა და დამკნარმა, წელს ზევით კი გაბიჟინებულ-დასიებულმა ჯარისკაცებმა მტრის ახალ „სამოსახლოსთან“ ტყვის მისაწვდენზე ტბორში ჩაიშურეს და ჩასანაგრდნენ.

## 2.

იმ გაუვალ, დაუსრულებელ დამბალ ჭაობებს, დამყაყებულ ტბორებსა და მტერთან უმარავ შეტაკებას ვინც გადაურჩა, მყარი მიწა ზემბული ეგონა. მარტო სიცოცხლეს კი არა, სიკვდილსაც ფასი დაედო. ტლაპოში აცურებულ, დახოცილ ბიჭებს, წყლით გალიცილებულ სამშო საფლავში ბარით აღარ აყვინთებინებდნენ და ღიად დარჩენილ, გადმოთერებულ თვალბუმე წუმბესა და ლაფს არ ასხამდნენ.

და ვინ წარმოიდგენდა, თუ „ვიას“ გაყრილ „უის“ შეეყრებოდნენ. იმაზე უარესს, რასაც გეცამტვერებულმა პოლკმა თავი დააღწია, კაცი კი არა, სატანა ვერაფერს მოიფიქრებდა. ჯოჯოხეთს თავდაღწეულები ორ ზღვას შუა, გრძელ, ვიწრო ხმელეთის სოლზე გარჩენენ — წინ წყალი, უკან მეწყერი!

ათი დღე სცემდა მძიმე არტილერია წყალგაღმა სანგრებად დათხრილ გორაკებს. ბომბავდა ავიაცია: მოთხრილს და დანგრეულს ხელახლა თხრიდა და ანგრევდა. ჩამარბული და ჩაქვესკნელებული ზევით ამოჭონდა და ისევ მარხავდა და აქვესკნელებდა. ბელტი არ დარჩენილა და ქვის ნატეხი, რომ ნაცარტუტად არ ქვეულოყო. და მანაც ამდენ თხრილს, ორმოს, ვეშაბის პირივით მორღვეულ ძაბრებს, ნაპირს, ფერდობსა და გორაკებს ბუღედანგრეული ქინკველებივით ეხვია მტრის ჯარი. თითქოს აქედან დაუშურვებლად გაგზავნილ ჭურვსა და ბომბს ციდან

მტრის მეთმრები ჩაბყვადეე ეუ ჟე ულოტა და მუსრავდა, გამრავლესდა.

მძინევიარე ქარიშხლისაგან დაზაღრული თოლიები აქეთა ნაპირს ენარცხებოდნენ და ზღვიდან შემოგორებული გაფოფრილი ტალღები გემებს, ბორნებსა და კატარებს იტაცებდა. მკლავის სიმსხო ბაწრებს, ბაგირებსა და ჯაჭვებს ბამბის ძაფივით წყვეტდა. სახელდახლოდ გამართულ ნავმისაღვომებს ფერდებს აღეწდა. დღედაღამ მოზარე ჭირისუფალივით მოთქვამდა, კიოდა, ცას და მიწას არისხებდა, გრუხუნ-გრიალით ნაპირს თავდაღმა ასკედებოდა, კლდეს ანგრევდა, რასაც „ხელს“ უწვდენდა ოხრად და მუდრეგად აქცევდა.

ავთანდილ ბოკერის კი არა, შიშდაკარგულ მამუკა ამაღლობელსაც უაზრო თვალბუმე ძრწოლა ჩასახლებოდა და ქარბორბალასაგან შესხმული მლამე წვეთები სახეზე ცრემლებივით ჩამოსდიოდა. კენჭუოებიდან რომ გამოაღწიეს, თავიდან თითქოს გაიხარა. ზღვამ მის დათიშულ ხსოვნაში ჩარჩენილი, რაღაცა დაიწყებული და კარდახშული გამოიხმო. იჭდა სილაში და ბავშვივით თამაშობდა კენჭალბიას. ჯიბით დათრევდა ფერად, ცისფერ კენჭებს და რომ გეკითხა, ეს ჩიტის კვერცხების ტოლა ქვეები რა ჯანდაბად გინდაო, ან მხოლოდ ცისფერი რატომ, სხვადასხვა ფერი არ გერჩიოა? შარვალჩახდილი ბალღივით იმორცხვებდა და კენჭებთან ხელს წინ იფარებდა. რომელი უცნაური მოგონება გააღვიძა მისში წყალმა და წყალში შეჭრილმა სოლივით ვიწრო ნახევარკუნძულმა, სილამ და ზრეშმა, ავთანდილმა ვერაფრით დატყუა.

ამ დღეებში, რაც ეს გრიგალი ამოტყდა და ზღვა ორივე მხარეზე ქვეყანას აქცევდა, ისევ მოეშვა.

— ამხ...

— კაცო, რას მიეჩვიე ამ სისულელეს და არ იშლი! — გაუწყრა თვალზე კოვრიტიკრული მიგობარი. — რა მქვია მე არ იცი მაგი შენ?!

— აეთო... რატოა ორივე მდინარე შავი?

— სადაა აქ მდინარე, მამუჯა, ზღვას და მდინარეს ვერ არჩევ, შენ, დავიჯერო მაგი?

— ორივე შავი რატომია?!

— აბა წითელი უნდა იყოს?

— არა... შავი და ცისფერი.

— შავი და ცისფერი რატომ, ორივე ცისფერი არ სჯობია?

— ორივე რაფერ, ორივე ცისფერი არ შეიძლება...

ავთანდილმა თვალთაგან კოგრიტი მოიცილა, მაგრამ გრიგალმა კინალამ ხელიდან გამოგლიჯა და სანამ მოსაუბრეს დაინახავდა, ქართი მოტაცებული დივიზიის პოლიტნაწილი — პოდპოლკოვნიკი ჩაჩავა დალანდა. აქეთ თავისი ნებით მოდიოდა თუ ბუნების სტიქიას მოჰქონდა, ვერ დაადგენდი. ჩაჩავა ასე სხვის ჭკუაზე და ნებაზე სატარებელი კაცი არ იყო და ავთანდილი ამით მიხვდა, მე შეძებსო.

— სადა ხარ, კაცო, შენ! — ბლაოდა პოლიტგანყოფილების უფროსი. ამასაც ვერ გაიგებდი: ბრაზობდა თუ, უყვირლად ვერ გავაგონებო, პირი ამიტომ მოელო, — შავლეგიშვილისაგან ისწავლე მაგი?..

ბოკერიას ეწყინა. შავლეგიშვილი არ იყო ასე ხელწამოსაკრავი არც კაცი და არც ჯარისკაცი, მაგრამ შეიცადა, სანამ სტიქია პოდპოლკოვნიკს ახლოს მოიტანდა. როცა ბეწვის ქუდს ორივე ხელით ჩაფრენილი ჩაჩავა იმ აქონრილი მამალივით, ბოლოს რომ ქარი აგლეჯდა, ცხვირწინ დაუდგა, ავთანდილმა გაჯგიმულ ამაღლობელს ხელით ანიშნა, აქედან მოშორდიო და კითხვაზე კითხვით უპასუხა:

— რა მისწავლა, ამხანაგო პოდპოლკოვნიკო, მე შავლეგიშვილმა ისეთი... ვიცოდე იქნება?

— იმან იცოდა, შეტყვის წინ თვლების დათხრა. სანთლით რომ გეძებნა, ვერ მიაკვლევდი...

— მე ყოველთვის ვპოულობდი... რომ იცოდეთ თქვენ!

— თავს ნუ გაგივით... თქვენ... თუ გმირები და ორდენები... ჩვენთანაა ყველაფერი... უნდა იცოდეთ თქვენ ეს!

— თქვენი მეთაურობით არ დამიწყია მე ომი და არც დავამთავრებ, ალბათ...

— მოსკოვი... მოსკოვი და თერგი... ეს ჭაობებიც... მაგრამ აგერ გამოჩნდება შენი...

— რა ჩემი! — იყვირა ბოკერიამაც, ქუდი მოიშვლია და უბეში ჩაიტენა.

— ვის ელაპარაკები შენ! — ჩაჩავა ქუდიდან ცალ ხელს შეეღია და წელზე გაისვა.

— მაგ ქუდი დამიმაგრე თავზე, ფიშტოს ამოღებას შენ ვერ დამასწრებ მე... სამი წელიწადი მეტი არაფერი მიკეთებია...

— ვინ იღებს ფიშტოს... — ჩაჩავამ ქარის მოტაცებული ფარაჯის კალთები მუჭში ჩაბლუჯა და ლაჭებში მოიქცია. — მარა, შტაბის საბჭო რომ დატოვე, მე და შენ ვინ გვაპატიებს მავას?!

— ბაწარი მომეცი-მეთქი, გითხარით, და ორფუთიანი გირები ან ქვებიმეთქი.

— კაცო, გაგიჟდი შენ? ხუმრობ შენ მოხელძალლო?

— აქ გამსვლელ კაცს თუ ეხუმრება... — ბოკერიამ ორივე ხელი შეისროლა და ადუღებულ ზღვას, ამბოხებულ ცასა და გაღმა შავ კვამლში გახვეულ ცეცხლწაქილებულ გორებს მიაპყრო.

— არ აერება ამ საქმეს გვერდი... — ხმას დაუწია ჩაჩავამ.

— ეს „საქმე“ არაა და თუ პოლკი ჩასაბრჩობად გინდათ, ჩააბით კისერში ბაწარი, დაკიდეთ ქვები და აქვე ჩაპყარეთ. ის ფერდებშელეწილი ნაგები შუამდე უტყვიოდ და უზარბაზნოდაც ვერ მიაღწევინ...

— მთლიანად ხომ არ მიდის შენი პოლკი, ერთი ბატალიონი... და მარტო შენი ბატალიონია?.. კუზნეცოვი, ვორობოვი...



— ვორობიოვი კი არა, ორლოვიც კი ნაპირს ვერ გაშორდება!

— მთავარსარდლობის ბრძანებაა. მე არ დამიდგენია მავი... — თავი იმართლა ჩაჩავამ; ქარმა ზღვიდან მოტანილი შხეფები ცხვირ-პირში ისე შეასხა, თითქოს სახეზე წამონთებული ცეცხლის განელება მოუნდომო.

— მთავარსარდლობა ამისთვის, ბოლოს და ბოლოს, ჩინებს აგვეყრის და ტრიბუნალს გადაგვეცემს... ათასი კაცის ერთ საათში ზღვაში ჩაბრძობას, დამხვრიტონ მირჩვენია მე.

— ჩვენ რა გვიჩვენია არავინ გვეკითხება... ეს იცი შენ! და არც უშენობა იქნება, გამოცდილი მეთაურები სჭირდება ამ საქმეს...

— გამოცდილმა იცის აქ რა ელის, თორემ ბრიყვი იქნება ქე შეცდეს...

— როგორც იმ ნაპირზე ფეხს დაადგამ, გმირობა ზედა გაქვს, იცოდე შენ!

— ნაპირზე არადა, ფსკერზე რომ დავადგამ, მაცოდინა მინდა, შენ ჩამომეიდებ ოქროს ვარსკვლავს თუ დივიზიის ახალი მეთაური.

— შენ იმისთანა ვარსკვლავზე ხარ, ბოკერია, დაბადებული არ დაიკარგები... მე შენი ვარ, რომ გეუბნები გიგონე. თუ გინდა შენს თვალწინ შევავსებ შენი გმირობის...

— მე ქარისკაცი ვარ, ამხანაგო პოლკოვნიკო!.. — გააწყვეტინა, ზურგი შეაქცია და სილაში ჩაჩოქელ მამუკას ხელით მოუხმო. თავისი პოლკისაკენ ქარს გაჰყვა.

## 3.

შეტევა იმ ღამით მიინც გადაიღო. მეორე დღეს დაღწეული სანაოსნო ტრანსპორტის შეკეთება და შეკოწიწება სცადეს, მაგრამ განწირულ მეზღვაურებს ქარიშხალი გემბანიდან იტაცებდა და უფრო მამაცი წყალნაყლაპნი ნაპირებამდე ძლიერ აღწევდნენ, სხეებს კი თვითონ გააფთრებული ტალღები ისროდნენ ვაგუდულს და გონდაკარგულს. ახალ-ახალი ბაგირებითა და ჯაჭვებით აბამდნენ ნავმისადგომების პა-

ლოებზე და ბეტონის ქოქებზე დასაღუბავად იწყებდნენ მოწყობას გემებს, ბორნებსა და კაპარტებს. ტივები ნაპირზე ამოათრიეს, ხერხეს და შედეს, გადააბეს ერთმანეთს, აკერეს და აკოწიწეს და მთავარსარდლობას შეტრევისთვის მზადყოფნა უბატაკეს.

რა პროპაგანდა ვიშველის ქარისკაცთან, როცა თავისი, შიშნამდგარი ორივე თვალით ხედავს, ხახამორღვეული ვეშაპი ნაპირს რომ მოდგომია და ერთ ჩასუნთქვაზე პოლკს ისე ჩანთქავს, სანახევროდ მაინც მშვიერი დარჩება.

— ეს ოხრადლასარჩენი, კუნძული ხომ არაა? ნახევარკუნძულია, ეს უპატრონო... — კვენესოდა ბატალიონის მეთაური რეზო შაჰარაძე, ღამის სამსაათზე განწირული ქარისკაცები ნავმისადგომებისაკენ დამბაჩებით რომ წამორეკვს.

ავთანდილი დუმდა.

— მოგუაროთ. არ შეიძლება მიწაზე დავიხოცოთ? ერთ კაკალა ტყვიას მაინც გავაძიებ. ამ ქარ-ყინვაში ზღვარად მინდა, ერთი კოკა წყალი რომ გადამასხა, ისიც გამაჩინებებს.

— წვიმასაც იწყებს, მგონი, და აღარც წყალი დავგვირდება. — შუბლში ხელს ირტყამდა ზემღვეი გოცი-რიძე.

— მე, ამისთანა ქარი, ისედაც წამილებს. — წიკვინებდა ღამენელში კაფანდარა სერჯანტი ადამოვი.

— შენი ბრალია ყველაფერი; ადამოვი! — ჩაჰყვიროდა ყურში რუსულად უმცროსი ლეიტენანტი ხარატიშვილი, — იყო. შე უღმერთო, ქვეყანა ამ ზღვის, ქარისა და სეტყვის ანაბარა, ამოდენა დედამიწის პატრონი, შენც მეფეთ მეფე იყავი, რას აიტეხე და ევარად გამოივონე...

— მე რომელი ევა გამოვივონე?! — გულგახეთქილ ადამოვს ქვეყნისა და აღამიანის გაჩენა ახსოვდა? თავის დაბადების დღეს იწყევლიდა.

— ადამოვი ხომ ხარ შენ? — საკუთარი ცხედრის წინ ხუმრობდა ხარატიშვილი.

— შერეო... — მაინც ვერაფერი გააგებინა ადამოვს.

— ადამო რა იყო შენი?

— ოჰ, ეშმაკმა წაიღოს ადამიც, ევაც და პიტლერიც: — ძლივს რაღაცას მიხვდა და ერთსაც, მეორესაც და მესამესაც შეუტყურობა.

— ეს არ მოიშორო, შენ, კაცო. — ტუჩი ყურთან მიუტანა ვოშხეთელიანს ბოკერიაშ და გვერდით მობორობილე მიამუჯაზე ანიშნა, როცა ტალღების ზეინებზე ქარიშხალში შესროლილმა შუშუნამ წამით ზღვაც და ნაპირიც გაანათა. — მე მაგის თავი არ შექნება და ის მაინც ვიცოდეთ წყალი სად ჩაძირავს.

— ვითომ... მე გეტყვი მაგის ამბავს?

— სულ ყველა ჩაეწყვლებით? არაფერი საშველი იქნება?

— მიწაზე ფეხი შედგას, ასე უტარო დანასავით არ დაეიკარგებოდი. ზღვას, ეს ღღებია, პირველად ვებდავ და ნეტავი ახლაც არ მენახა.

— არც ცურვა იცი?

— საიდან, ან რად გინდა.

— არაფრად, თვეზებს თავგაჩერებულებს ყრის ნაპირზე...

— ავთანდილ, მგონია მე გაჯობო. შენ ერთხანს არ დანებდები და გაწვალდები, მე ქვასავით წავალ ფსკერზე, უკეთეს ადგილს ავირჩევ.

— მოიცა, კაცო! შენ რომ მაგას ამბობ, ათას ცეცხლში გამოშვარი...

— სადაა ცეცხლი, თუ არა, შემშინებელს რა ვუთხარი ჩემდა თავად...

— მოიცა შენ, ჩასხდომას შევაჩერებ მე კიდევ ერთხანს, აქ მიხედე შენ საქმეს!

— რომელ საქმეს? — მხრები აიწყო რა გოშხეთელიანმა, თავის ცხოვრებაში ასე უმწყოდ პირველად დაბნეულმა და შინაუკამმა.

— გაჩუმდი, კაცო, შენ! აქ შენს მეტი ვინაა, რომ ჰქუა მოეკითხოს, უმრავლესობა ახალი შეესება... ეს კიდევ თავისით გადაფარდება წყალში... — მამუკა გვერდით დაუყენა და თვითონ ნაპირისკენ წავიდა, სადაც შუშუნე-

ბის ციალზე, თოდის დაშლამდე მონადირე ძაღლივით, ტალღებზე ბული გემები და კარპაჭები ილანდებოდნენ.

4.

ზღვისა და ცის დამქვევ გრივალს ორივე მხრის არტილერიამ ცეცხლი შეუწო. გაღმა მთებს და გამოღმა ნაპირს ატყდებოდა მეხი, ყველაფერი ინგრეოდა, ირღვეოდა, იწვოდა, მიჰქონდა მთების ოდენა ტალღებს. ცა მიწას და მიწა წყალს ურისხდებოდა, წყალი თავის მხრივ — ცას და მიწას. ზღვას ქვესკნელი ამოჰქონდა და ზესკნელს საყრდენ-საფუძველს აცლიდა. ყინვას და თოვლ-ჰყავს ვინლა დაეძებდა, ან რას გააჩვენდი, როცა ჰაქვეებზე და ბავირებზე ჩაფრენილ მებრძოლებს, ცას შელგეილი ტალღები იტაცებდა და ნთქავდა. გემებზე, კატარღებსა და ბორანზე ასვლამდე გლუჯდა და მიჰქონდა.

ავთანდილის უკან, ნაღმებით დამძიმებულ ყუთს რომ მიათრევდნენ, აქანავებულ კიბიდან მოწყვეტა გრივალმა ორივე მებრძოლი. დიდხანს ყუთს ხელი ვერაფერ ახლო, როგორც საბედისწერო მისატყუარს. არადა, პალიკონი თითქოს ვანგებ, ამ საშიშ ცდუნებას ზოგავდა. გრივალის სულის ჩათქმისას, ამაღლობელი გაუსხლტა გოშხეთელიანს, ამობობლებულმა სერყანტმა შაქარაშვილმაც წამოუკრა ხელი და ტვირთი გემბანზე ამოაგდეს. მაშინვე ამოასკდა დაჯანბნებულ გემს დუფმორეული, გაყოფებული ტალღა და შაქარაშვილი გემბანიდან მოლოკა. მამუკა ყუთს სიღრმეში წათრევას უპირებდა და ზედ ჩაფრენილი, ტვირთის სიმძიმემ იხსნა. როგორც კი ამოსასვლელს გამოაშორა და ხელი უშვა, ქარიშხალმა მამუკა საქვაზე მილის ძირში მიჭუქულ ბოკერიას ესროლა და იქვე, ტრიუმის ხუფის სახელურს ჩაფრენილი გოშხეთელიანიც ტალღამ ხელახლა დაალობ და ქვევითაც ჩაიქცა.

ბომბებით, ქურავებით, შუშუნებითა და მებრძოლებით, თვალის დახამხა-

მებაში ცვლიდა ხიბნელე — ნათებას. ამ ერთმანეთში აღუფხულ, ცოცხლის და მკვდრის, ამომსვლელის, ამომორევის, ხელიდან გამოტაცებულის, ბომბების, ტყვიის, ნგრევის, ლეწვის, წყალს ვატანებულის, განწირულის ბღაველის და ძრავების ქოთქოთის არავითარი გასაგისი არ იყო და ვერავითარი მკრეული თვალი და სხარტი გონება ველარაფერის აღქმას ვერ შეძლებდა.

და მაინც, ამ წყალსა და ცეცხლში ჩანთქმული ქვეყანა ნელ-ნელა იძროდა. ამბოხებულ ვეშაპს ბირში უძვრებოდა და ნალალატვე, დედნაცვლად ქცეულ, მაგრამ მაინც მიწას ტოვებდა. წყდებოდნენ აღამიანები ხმელეთს, ასე ერთმანეთზე დანასისხლად შერკინებული ცისა და წყლის ანაბარა. მტრისაგან ყოველ ნაბიჯზე გამოთოფილი, გაღმა ნაბიჯის „სტუმართმოყვარეობის“ მოიმედელა რჩებოდნენ.

პოლკის მეთაური და მისი ადიუტანტი ჭიხურში რომ შეუტყვევდნენ, კაპიტანი გრომოვი გათეთრებული დაუხვდათ. გემის შემინული ჭიხურიდან ოთხივე მხარე ჩანდა და არც ერთი გადარჩენის იოტისოდენა იმდენ არ იძლეოდა. არც მოსულებს და არც დამხდურს კრიკა არ გახსნიათ. ჭარით, ტყვიით, იარაღით, შიშითა და ბოღმით დაზურგული ხომალდიც კი ვერ „დადინჯდა“, ტალღამ მაინც ნაფოტივით მოიტაცა და ქორჩორზე მოიგდო. ამოდ ქოთქოთებდა, ფხაკურობდა და იკინებოდა, ვერაფრით სიჩქარე და კურსი ვერ აიღო. მით უმეტეს, ისედაც უმწყეოს, კულში ასევე ჭარითა და იარაღით გაძებელი ბარჯა მოსთრევედა: მკვდარი მკვდარს ეკიდებოდა, სამარემდე მიმიყვანეო.

გომხეთელიანი კაპიტნის ჭიხურში პოლიტნაწილ ხომასურბიძეს შემოჰყვავდა, მთლად ნირწამხდარს, ამდლობელი რომ ბოკერისათან დაინახა, ერთი ტვირთი მაინც გულიდან მოეხსნა. მაგრამ, ალბათ, ამდენხანს ამით დაეძებდა, ამ ჭოჭოხეთურ რყევაში და კედლებზე ხეთქებაში ეს ამბავებდა. ახლა

კი, შემოსვლისთანავე, გულისრევა აუტყდა და ხომასურბიძე წაიწიწა და თვითონაც დაოხრდა. ბოლოს სახელურებსა და კედლებზე პორწილის უნარიც დაკარგა, იატაკზე, კაპიტნისა და მისი „სტუმრების“ ფეხებში დაიწყო ცურვა და რაც დააოხრა, სველი ფარჯითა და გალიფეთი „მოსაუფთავა“.

მტერი უთუოდ დაიბნა. ასეთ წარღვნაში მოწინააღმდეგე თუ ზღვაში თვითონ გადაეშვებოდა, იმას რაღა თოფი და ზარბაზანი სჭირდებოდა. ვინც გულზე ლოდს იკიდებს და უფსკერო მორევი ხტება, რაღა შენი ხელის კვრა უნდა. მტერი თუ შუბლში ტყვიას იხლის, შენ ამაზე მეტი რა უნდა უმტრო.

გაღმიდან ცეცხლს უკლეს და შუშხუნები გაამრავლეს: ქვეყანა იქცევა, რა გასაკვირია მეჩვენებოდესო! ერთი შეწყვეტა, მტრის განლაგებიდან, არტილერიის ბათქი სულ შეწყდა: ენახოთ ერთი, რუსებმა რა აღქაჯის მანევრები წამოიწყესო.

თავისი საქმისა მან უკეთესად უწყოდა. რაც კი ჩრდილოკავკასიის თვალუწვდენელ ფრონტზე ჭარისკაცი ჰყავდა, ამ წყალგაღმა გორაკებზე მოუყარა თავი და რაც ამოდენა მრისხანე იარაღი გააჩნდა, ერთმანეთს გვერდი-გვერდ მიუდგა. ათიდან ცხრა რომ მწყობრიდან გამოგეყვანა, ნორმალურ საბრძოლო განლაგებას დარჩენილი იარაღი მაინც ეყოფოდა. მთელი ზღვისპირეთი ეშელონებდა ჰქონდა დაყოფილი, ეშელონები კი სანგრებში ერთმანეთზე მიჭუჭკული ჭარისკაცებით ჩასანგრებული. წყლის პირს ზევიდან ხელისგულივით დასკვეროდა და ომის ღმერთივით ბატონობდა. ნაღმებით და მავთულხლართებით ხმელეთი კი არა, წყალი და ზღვის ფსკერი არ დაუტოვებია დაუნდამავ-შემოუღობავი. იმლამინდელ გრიგალსა და ღვთის რისხვას, მით უმეტეს, სხვა აღარაფერი სჭირდებოდა. თვითონ განრისხებული ცა და ზღვა არ ზოგავდნენ ერთმანეთს. თევზი და კიბორჩხალა ხმელეთზე ხტება, თავიანთ ქვეყანაში არ გაეძლეობათ. თუ

თავზე ხელადებული კაცი ღმერთს მი-  
აფურთხებს და თევზებს სამყოფელს  
გაუცვლის, ამას როგორ დაიჭერებ?

ავთანდილ ბოკერია სამი წლის წი-  
ნადელი ღლაბი აღარ იყო და თუ ვინ-  
მემ მართლა იცოდა ომის გზაგაუკე-  
ლეველი და ყოვლად მოულოდნელი რა-  
ღაც ზრკები (სამხედრო ტაქტიკას რომ  
ეძინიან), მან იცოდა. ომში ერთი რომ  
გეგმავს, მეორე ასრულებს. ძვირად,  
რომ ვინმეს თავისი გეგმა მასაგვით თი-  
ვისივე ხელით და სისხლით ეთრიოს.  
და ბრძოლაში თუ ჯარისკაცი მაინც  
ბეცი და ბრმა იარაღი არაა, ავთანდი-  
ლმა უკვე იცოდა სად იყო ძაღლის თა-  
ვი დამარხული. ამას რამოდენა თეო-  
რიული მნიშვნელობაც არ უნდა ჰქო-  
ნოდა, და მტერს გაოცებისაგან პირი  
რამდენზეც არ უნდა დაედო, ამლამინ-  
დელი ღესანტის გადასხმა მაინც სარ-  
ღლობის სიჭიურტე და პატივმოყვარეო-  
ბა იყო: „შენ, ნაბირზე გადაშომღვარს,  
შიშით რომ გულს ვიხეთქავს, მე იმის-  
თანა ბობოქარ ზღვაში გადავფეშვები და  
არ იფიქრო, ჯარისკაცი დათვლილი  
მყავდესო“.

უთუოდ მანძილი განახევრდა, რაკი  
აღარც ერთი მხარე ჩანდა, მაგრამ ეს  
მხოლოდ ზარბაზნების ქუჩილითა და  
მძინვარე ცას შეტყუარცნილი შუშხუ-  
ნების ცქრიალით შეიძლება გადავხა-  
ნა, თუ თვალში კიდევ იხედებოდი და  
ღელვით და ყანყალით გალაყებულ თა-  
ვში კიდევ აზრის ნატამალი შეგრჩენო-  
და.

„რუსები, ეტყობა, აღარ ხუმრობე-  
ნო — დაუჭერებელი დაიჭერა მოწინა-  
აღმდეგემ — ნუ გვაჯახბირებთ, ბარემ  
ხელი მოვუთათოთ“ — და წამოვიდა...  
რა მანვერირება და კუჟუ-დამალობია  
შეეძლო ბობოქარ ტალღებზე ატაცე-  
ბულ გემებს, ბარეებს, ბორნებს, კატა-  
რლებსა და სათრეველებზე ჩაბმულ ტი-  
ვეებს. ხან ერთ გვერდს მორეცხდა და  
მოასუფთავებდა მთა-ტალღა, ხან მეო-  
რგს. ისედაც მიჰქონდა წყალს და ჭა-  
რიშხალს ჯარისკაცები და საჭურველი.  
შეუძლებელი იყო თვალის მოკვრაც

კი, სად რა ილევებოდა, იმსჭვრეუდა  
და იბირებოდა. ტალღა რომ მადლოდ  
გისროდა, დალანდავდი ბორანს, რო-  
მელსაც გავეშებული სტიქია აბურთა-  
ვებდა და როგორღაც მაინც მოლოდა-  
და; უკვე ნახევარი გზადა აკლდა. აღარც  
იმ კატარას თუ საწვეარს ება ის ტივის  
სათრეული, ამდენხანს რომ ბორკავდა  
და წელს წყვეტდა. ახლა წინ უფრო  
მარჯვედ ეშურება და მტრის სამიზნეს  
უახლოვდება.

ბარქასთან ერთმანეთის მიყოლებით  
დაეცა ბომბები და მალა აზიდულმა  
თქეშმა და ისედაც შეშლილმა ტალღამ  
იატაკს დატმასნილი ჯარისკაცები მო-  
ლოკა.

კაპიტან გრომოვს ყვითელ სახეზე  
ცივი ოფლი ნექამთან ენასკებოდა და,  
გემის შენჯღრევისას, ფართო ნიკაპი-  
დან ერთბაშად წყდებოდა. არც რაიმე  
მაჩვენებელს უყურებდა და არც გვერ-  
დზე მოუხედავს. ორივე დაკუნთულ-  
დაძარღვეული ხელით საჭეს მიციებუ-  
ლი, ერთი მიმართულებით იხედებოდა,  
მაგრამ ვერაფერს ხედავდა. ჭურტი, ფო-  
სტებში ღრმად ჩამჯდარი თვალები  
ბრმასავით უსხვიოდ და უგრძობლად  
ჩაქრობოდა. ზედ ცხვირწინ რომ ბომბი  
აუფეთქდა და ხომალდი აყირავდა, კა-  
პიტანმა იბდავლა — ეს აღმათ დაღუ-  
პვას ნიშნავდა. ვითომ სასწაულმა იხს-  
ნათ, მაგრამ გემის ქვეშ რაღაცა და-  
კოდილი მოზვერივით აბლოჩინდა,  
წყლით დაყრუებული და სიმუხაზე ჩაბ-  
შობილი. „დაჭრილმა“ სვლას უკლო,  
მაგრამ სტიქიას კიდევ ეურჩებოდა. ნა-  
პირი შორს აღარ უნდა ყოფილიყო (თუ  
ნაბირს ეს ღმერთგამწყურალი ზღვა არ  
ჯობდა), მაგრამ როგორმე რომ მიახ-  
ლოვებოდნენ და მტერს ხელიც არ  
ეხლო, რომელი ნავსაყუდელი და გემ-  
მისაღგომი ელოდებოდათ. თუ ვინმე  
გადარჩა, წყალში რომ გადაცვივდებო-  
დნენ, ბრძოლას იქ დაამთავრებდნენ.

როცა ისევ მალა ატივტივდნენ და  
ტალღის თხემს გადაველნენ, ამ ისედაც  
გულდაკოდილ გემს კატარა მოასკდა,  
ფერდი ფერდს გაპკრეს, მაგრამ ქარიშ-

ხლის მოტანილი ისევ ქარიშხალმა წაიღო; შემდეგი „ამაღლებისას“ იმდენზე გაესწრო, ერთმანეთზე ხელი აღარ მიუწვდებოდათ. ეს უარესის უარესი იყო, მტერი ორ მომიჯნავე ნავს გაძლიერებულ ცეცხლს დაუშენდა, რაკი მოხვედრის შანსი იზრდებოდა: ერთს რომ დააცილო, შეიძლება მეორეს წამოსდო.

ასეც მოხდა, გამრავლდა და გამრავლდა ფერადი შუშხუნების ციალში აგორებულ ტალღებიდან ატყორცნილი და ცის ჯანღში გაცმული ლივლივს სვეტები.

კიდევ ერთი „ამაღლება“ და კატარლის ხილვა მოასწრეს, რომლის ქვევითაც ამბოხებული ზღვის გული გასკდა და უკან მოტოვებული გემიც კი შეისროლა. ჭიხურის მინას და ლითონის ჩარჩოს მიახეთქა თავი ბოკერიამ; თვალეში დაუბნელდა, მაგრამ მიანიც გაარჩია, წინ აქუნებული ნაპირიღარ რომ ჩანდა. მათი დაკოდილი გემი კი სწორედ დაღუპულის კვალზე მიბობლაგდა, აფეთქებულ წყალქვეშა ნაღმზე უკვე გადაეცლო, ამჯერად გადარჩნენ: წინა კაცი უკანასი ხიდი რომაა, იმ კანონის ძალით.

ვითომ ნაპირს უახლოვდებოდნენ, თუ ნაპირი ერქვა. დუქმორებული ზღვა რომ დაიქუხებდა და დაენარცხებოდა, ჭეხს ჭეხზე არ ტოვებდა და ზევიდან გაოგნებულ-გაცოფებულ მოწინააღმდეგე ყოველნაირი ჯურის იარაღით ცეცხლს აწვიმდა და ათოვდა. გემბანების მოაჯირთან ამოცვივდა სვეტები და კიჩოში დაცემულმა ჭურჭელმა გემის ბოლო მოანგრია. ერთიანად დაფშენა ჭიხურის მინები, სამზერი, და ცივმა თქვეშა მოაბრუნა თავბრუდასხმული კაპიტანი და მისი ერთმანეთს შეღეწილი „სტუმრები“. ახლა ბოლომონგრეული, უსახსრო გემის ნაპირზე გავდებოდა თვითონ ზღვამ ითავა. გასატყორცნად რომ ზედინედ შეაბურთავა, ერთხელაც წყალქვეშა ნაღმს გვერდით დაახეთქა. ძლიერმა აფეთქებამ და შეყალყულმა ღონიერმა ტალღამ საქმე ერთბაშად მოათავეს. გემი ნაპირზე ფერდით დაანარ-

ცხეს. ზედ გარჩენილი თითო-ორიოლა ჯარისკაცი კი ქვეაორღში ახელილ მლაშე, ყინულივით წყალში გადაყარეს. სისხლმოწყურებულ, კბილებდაღესილ მტერს გადაულოცეს.

## 5.

მტერი, მძვინვარე სტიქიასთან ერთად, გადარჩენილთ ათასი ჯურის იარაღით უშენდა, აფეთქებდა, ლეწდა, ამსხვრევდა, წვაავდა, ძირავდა... ცოფმორეული ზღვა ყველაფერს ნთქავდა, ივსებდა სტომაქს და ხდებოდა მიანიც დაუჭერებელი: შუშხუნებისა და ნაღმების ცეცხლის შუქზე ოკრობოკროდ აბრკვეიალებულ, შეკირხლულ ნაპირზე გამორიყული მეღუზებივით ილანდებოდა მიწას გაართმული შავი ჩრდილები, რომლებსაც ტალღების ნაპირზე გაფთხებული დანარცხება ამრავლებდა. ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო, რაკი ზღვის ამოგსებული სტომაქი დაუტევარს ვერ დაიტევდა; მაგრამ საოცარი იყო, ეს ჩაყალაული, ჩანთქმული, დაღეჭილი და მონელებული ნადავლი ისევ ჩოჩვასა და ფორთხვას რომ იწყებდა. და იქვე, დანაალესილი მტრის ფერხითი: ქვეშა, კლდის ხვრელებში, ცალ ფესვზე შერჩენილ ჩირგვში, ბელტებსა და გოროხებში უჩინარდებოდნენ, ან ეგებ თავისსავე ფერში ინთქმებოდნენ და ითქვიფებოდნენ. ზღვას გამორიდებულ ტვირთს კიანჭველებივით მიათრევდნენ და გორაკების ძირას საცეცებით თხრიდნენ, ბურღავდნენ და ამოჩუღნულ-ამონაყარი ხვრელის პირით ხვდებოდა, რომ წყლის სიღრმეშიდან ამომძვარაი იქ ჩაიკარგა.

ვერ გაიგებდი, ზღვის ფსკერზე მოსიარულეს ხმელეთზეც შეეძლო ევლო თუ ზღვა ამოივსო, ჩაძირულები ხიდად იქცნენ და ასზე მედასერთე გამოდიოდა?

ნაპირთან გემის დანარცხებისას, კაპიტნის მინებჩამსხვრეულ ჭიხურში ცივად გამდნარი ტყვიის თქვეშევით შეიქრა ტალღა და ლითონის ჩარჩოებზე თუ კარის ძვიდზე ჩამკვლელებული, გრომოვი და მისი „სტუმრები“ ერთი

მოსმით გამორეცხა, ხმელეთს შესტყორცნა. კაპიტნის ღილებდაწყვეტილი კიტელის კალთას ჩაფრენილი გოშხეთელიანი ნაპირზეც ათრია, ხელის გასაშვებად მიწაზეც ვერ შეეღია.

როცა ბოკერია ორ ვეება ლოდს შუა ლოკოკინასავით შეძვრა, ამაღლობელი იქ დახვდა.

კაპიტანმა გრომოვმა მუნდირის კალთით გოშხეთელიანიც მოათრია და ხელი იქაც რომ ვერ გააშვებინა, შერყვნილი კიტელი შეატოვა, ხალათისა და ჰალსტუხის ამარამ, გაშილიფება არჩია.

ამ ოთხი კაცის სიმაღლე ტინებს გააფთრებულ ტალდა დაგრძელებულ „ხელებს“ ზოგჯერ მაინც უწვდენდა, მაგრამ რომელ კლდესაც ეს ლოდები მოსწყდა, სწორედ ის კლდე გადმოშობოდათ და, ქურვეებით ფერდობჩამოცხვებული, ქარიშხალს ირიდებდა — ქარბორიოდ ხვნივლიდა.

ნაპირზე წამოწოლილ დაღწილ გემს სტიქია მომჭირნენ, თავპირისა და კისრისტეხით იმეტებდა. მაგრამ ზღვის ნაპირიდანაც ისევ უკან ითრევდა, ფსკერზე თუ სადმე იყო ადგილი დარჩენილი, იმის ამოსავსებად.

ამ ცის ჩამოქცევაში, გაღმიდან მოყვარეს თუ არაფერი შეეშლებოდა, მტრის არტილერია, თოფი და ტყვიამფრქვევი პირდაპირი დამიზნებით აქ, რაც ვერ არ ჰქირდათ, იმაზე უარესს ვერ დამართებდა. მაღლიდან ნაღმსატყორცნებიც რომ გადმოეყიდეზინათ, შეზნეტილი კლდეს იმათგანაც კი დიფარავდათ. მაგრამ ეს ერთი ნაბდისგაშლა ადგილი რამდენ კაცს დაიტევდა, როცა გულმოყრქებული მძვინვარე ზღვა იმათ, ვინც გულს ურევდა, თითო-ოროლოებით ისევ იცილებდა.

მეზღვაურთა დესანტის მონჯღრეულმა კატარამ მიწასთან მოახლოება რომ ვერ გაბედა: მეზღვაურები მაინც ზღვის შვილებიაო და ტვირთი წყალში ჩაცალა. უკან კენესითა და ვი-ვიშით გაბრუნდა.

ვინც დედინაცვლად ქვეულმა „დე-

დამ“ დაინდო და ხმელეთზე აფრთხილდა, იმ „შვილებიდან“ ამგვარმდებლობით რამდე მერეც ვერ მიიღწია: ნაღმებს გადააწყდნენ და წყალს გადაჩინილნი ზეცად ამაღლდნენ.

კლდის იქითა მხარეს დღევამ ცეცხლწაქილებული ბორანი მოაგდო. მაზუთი იწვოდა, კუპრი თუ ნავთი, ტალდა ამაოდ ლოკავდა და საშველს ვერ უჩენდა. მალე ყველაფერი სახელდახელოდ დამთავრდა. ტყვია-წამლის ყუთებმა რომ სკდომა დაიწყეს, აღმოდებულმა ჭარისკაცებმა თავი წყალს მისცეს და ზღვა ასე ამბოხებული რომ არ ყოფილიყო, შიშით ალბათ ზედ გაივლიდნენ. უთუოდ არც უმისობა იყო, ნაპირზე ერთმანეთის მიყოლებით გამოილანდა კედლომწვარი, ფარაჯადმოკლებული დესანტი...

6.

გათენებამდე მესანჯრეთა ათეული შეაკაწიწეს და ფერდობების ძირში ბილიკები განაღმეს. თავზე ქორივით დამყურე მტრის ახლომახლო საცეცხლე წერტილები დილაშდე როგორმე უნდა ჩაეჭროთ, რათა პლაცდარში გაეფართოებინათ და ზელსაყრელი პოზიცია თუ არა, თავდაცვის გამაგრება მაინც მოესწროთ; წარღვნას ასიდან ერთი რომ გადაურჩა, მოწინააღმდეგეს ისიც კაკალ-კაკალა არ უნდა გაეყუთა.

ზღვა გულდრძოდ იცილებდა იმას, რაც დაამსხვრია, დაღწეა, გაგუდა და ჩაყლაბა, მაგრამ ფსკერზე არ მაგრდებოდა: მორსა და ფიცარს, ცარიელა ყუთებს, წყალგაუმტარ ფუთებს, დამბალ ორცხოზილიან ტომრებს, ნატეხსა და ნაგლეჯს... ბრძოლა მაშინვე, ასე დაზუზულ-დაღუმულუნებს, დასახიჩრებულუნებსა და გულ-მუცელ ამობრუნებულუნებს უნდა დაეწყოთ... სანამ თავგზა-არეული მოწინააღმდეგე გაიგებდა რა მოხდა, რაკი თეორიაში და სტრატეგიაში კი არა, მსგავსი არაკად ნათქვამიც არაფერი სმენია.

გამთენიისას ბოკერიას ჭარისკაცებმა, სადესანტო მეზღვაურებმა და ვო-

რობიოვის ბატალიონის ნარჩენებმა თოფის ლულებიდან წყალი დაწრიტეს და განაღმულ ბილიკებზე ავთანდილი თვითონ შეუძღვა ფლატეებზე შებობ-ლებულ გათოშლ მებრძოლებს. ჩქარობდნენ, ამ აღმართში ქვა-ღორღს ქარიშხალი მოგვეწყვიტავს და წაგვიღებსო, ან, რომ შევჩერდეთ, ზედ მიგვეყინ-მიგვალურსმავსო. მადლობა ღმერთს, ვალმა დარჩენილმა სარდლობამ რიყრაჟისას საარტილერიო ცოცხალი გადაღიერა. გაანგარიშებაც მოახერხა, თავის ვანწირულსა და წყალს გატანებულ მებრძოლებს ცეცხლი აარიდა, მტერიც სანგრებში ჩაუშვა.

ქარიშხალს ქარბუქი დაემატა და ზღვის ხახაში უარესის მნახველმა ქარისკაცებმა მშაშანით, ავტომიტით, ხელუქმბარით, ხიშტითა და ნიჩბით მოსინათლებამდე გაარღვიეს მტრის მიუვალი, პირველი სიმაგრეები. ღრმად გათხრილ ორმოებში რომ გადაცვივდნენ, უკან წასასვლელიც რომ ჰქონოდათ, აქედან ცოცხალი თავით ფეხს არავინ მოიცივლიდა.

ღილის ნათელს ავთანდილ ბოკერია ვერმანელი ობერლეიტენანტის ისეთ კეთილმოწყობილ ძელმიწურში შეხვდა, რა ექნა, თავისიანიც უამრავი ჰყავდა მოსავონარი თორემ, ასეთ „გულუხვ მასპინძელს“, ფრანგული კონიაკით კინაღამ შეხანდობარი შეუთვალა.

სანგრები ალაგ-ალაგ ჩაენგრია არტილერიის ჰურეებს, თორემ სხვა მხრივ წუნი არ დაედებოდა. ახალი შესადგომები შეჭრეს და იარაღი გამართეს.

იცოდნენ, ამ ფუფუნებას არავინ შეარჩენდათ, მაგრამ ახლა სიკვდილიც ლეთის წყალობად უჩნდათ. საქმეს ისლა აჭირვებდა, სანაწილი მთლიანად დაღუპულიყო და ზღვამ მხოლოდ მედიკამენტები გამოიმეტა. ქვევით, კლდის ძირში, „გამართულ“ ლაზარეთს ორიოდ სანინსტრუქტორი ბიჭი „განაგებდა“; დასტაქრებიც ისინი იყვნენ, „შინავანიც“ და „გარეგანიც“...

ამაღლობელისთვის გერმანელ მეტყვიამფრქვევეს ხელჩართულ ბრძოლა-

ში ჩექმის ნაღით ევადედლიტა მუხლის კვირისტავი, ზღვანეცხლად და.

— რატო შობი, შე შობელძადლო, მაგას!.. — უყვიროდა კონიაკით გულმუცელ შემთბარი ავთანდილი მიწურის ნარზე ჩამომჯდარ, მუხლოშიშვლებულ აღიუტანტს.

— ვიხვევ ამბ... ავთო. — თავწახრილმა ისე მოგვებულად ამოხედა, მონადირე ძაღლს რომ ნანადირევი შემოეკვამბა და პატრონთან ხელცარიელი მოძუნძულდება.

— ესროლე, კაცო, ხელით რომ ახრჩობ, რას ფიქრობ?! — ამდენი უბედურების შემდეგ, თუ ჰგვეყნად კიდევ რაიმე იყო ისეთი, ავთანდილს რომ შეაძრწუნებდა, ვერაფრით წარმოედგინა.

— მე ხომ ვიცი... ავთო...

— რა... შე უბედურო, კაცის დახრჩობა?!

— აი ასე... — გახეული პაკეტი ხელიდან გააგდო. კისერი ისე წაიგრძელა და გაკიმა, ზედ მაშინვე ცერის სიმსხო ძარღვები დააქდა. ქვედა ყბა დაუგრძელდა და კბილები გაუშიშვლდა. დაუქნელი, ჰუჭუყ-სისხლჩამდგარი ფრჩხილებიანი ქანგისფერი თითები დაფარჩხა და უცებ იმოღენა ნახტომი გააკეთა, მიწურის კუნჭულს მიაფრინდა...

დამჯდარი კაცი გამოუქცევლად და ზიფათის დაუნახავად ამდენზე, ასე ფეხდარტყმული რეზინის ბურთივით გადამბტარიყოს, ავთანდილი პირველად ხედავდა.

— ასე... ავთო... ასე, ასე!.. — მობრუნებულს თითები მტაცებლის ბრჭყალებად ქცეოდა. ხელები კაცის უელის ტოლა რგოლად ეკირა. ცერს „განწირულის“ საძილე არტერიას, თუ ხორხს „აპერდა“, „ჰყლერდა“, „ხერგრტა“... აცალა, სანამ „მსხვერპლი“ სუნთქვას შეწყვეტდა და როგორც კი განწირულს „უქანასკნელად გააძაგძაგა“, ხელიდან „გააგდო“.

ავთანდილმა მუცელგამობერილ ბოთლს ყელში მუჭი წაუჭირა და პირ-

ზე მიიყუდა. სულმოუთქმელად სვამდა იმ მამულა ამაღლობელის შესანდობარს, თავდაპირველად რომ შეხვდა და ნო-შრევან არდაქესთან, ლადო ცინცაქესთან, ვიშნევსკისთან, სიცხიან ჩეჩენ ნურადილთან და სხვა უამრავ ანგელოზ ბიჭებთან ერთად დაიღუპა.

7.

მოწინააღმდეგემ ზარბაზნები რომ გადაახურა და ლულები დაუზარა, ავიაციაც არ დაზოგა და მოძულეებულებით ქარიშხალში შელექა. ბომბებს სად ყრიდნენ, მტერი სად იყო და მოყვარე, მტრინავეებს ამის გაგება არ ჰქონდათ, შუადღემდე იქაურობა მტკაველ-მტკაველ დადლიზეს და დააქიბეს. მიწა და ბალახი რა სახსენებელია, ნიჟარის კლდე, ქვა და ლოდი უმარილივით დაფშენეს. ვინც გადაურჩათ, ისე დაარეტიანეს და დააყრუეს, როცა საიერიშოდ ჯავშნოსნები აუშვეს, ტანკების გრიალი და მუხლუხოების ხრკი-ალი ჯარისკაცს გასრესამდე რომ აღამბლავებს და ანიარაღებს, ის ფსიქოლოგიური შიში აღარც კი არსებობდა.

ყველამ იცოდა, არსად გასაქცევი არ იყო. არც „წინ“ არსებობდა და არც „უკან“. არსიდან საშველი არაა. ხსნა მხოლოდ სიკვდილშია. აი, ისიც გიბხლოვდება. და ილაშქრებ, იმიტომ კი არა, რომ გადარჩე, გაიმარჯვო, დაამარცხო და გაანადგურო. იბრძვი, რომ გულხელდაკრეფილი არ ელოდო აღსასრულს. სიკვდილის შიშს ებრძვი, რომ აღსასრულამდე სული არ ამოგხადოს. ერთხელ შობილი ერთხელ ჩაძაღლდე. ერთხელაც ძნელად შესაღვეი სიცოცხლე ხელიდან ასჯერ არ გამოგტაცოს. სული კბილით გიჭირავს, რომ დასასრულამდე არ დასრულდე და სიცოცხლეს გაყრამდე არ გაეყარო. სიკვდილი უნორცოა, უძლეველი, შეუვალი და მასთან შებმა უაზროა, უნუგეშო. დაგადგამს ფეხს და გაგსრესს, მაგრამ უძრაობა ასჯერ და ათასჯერ გაგკყულებს. საქმე გინდა, რიტუალი, ექსტა-

ზი, თავდავიწყება, რომ სიცოცხლეცა და სიკვდილიც ჩაღის ფასად აქცეო.

პოლკის მეთაურის ბრძანებით ის ათიოდე ჯავშანგამტანი თოფიც არ უნდა გაესროლათ და ასეთ მრისხანე იერიშს დადუმებულნი დახვედროდნენ. მარტო კი არ უნდა მოეშვათ, თავზე გადაეტარებინათ, გაეშვათ. — თუ რაიმე ძალა შესწევდათ, ხელყუმბარებით, ცეცხლწამკილი ბოთლებით, ტყვიამტრქვევებით, თოფითა და იმ ჯავშანგამტანებითაც ზურგიდან უნდა დაეცხობთ. ვინც დარწმუნებული არ იქნებოდა — ზუსტად ვერ მოვარტყამო, შეეძლო დაეცადა. მოსასწრებად და გასაქცევად საქმე არ ჰქონდათ. ყურში აღარავის ესმოდა, ჩაწოლილიყვნენ ამ საგულდაგულოდ, აკურატულად გაჭრილ ხერგელებში და ეხრივინა ზევით ურჩხულებს და ერბინა. სანამდე ირბენდა? ზღვას ვერ გადაცურავდა და ისევე უკან უნდა მობრუნებულიყო. აქ სანგარი ზოგჯერ ისეთ კლდოვან ნიდაგში გადიოდა, დესანტს მიწაში ჩამარხვა-მოსარგალება არ ელოდა.

ტანკები თხრილებს ისე მოადგენენ, ხელი არავის შეუშლია. მოზრიალდა, შედგა მიწაყრილზე, აიქნია კოშკურაზე გამოჩრილი ხორთუმი, ასწია დრუნჩი, აღნიმართა და სანგრის მერეო მხარეზე მიწაყრილს დაასკდა. გადაიბუღრაგა, ჩამოაზვევა ქვა და ღორღი, ჩამოაფრქვია მხუთრი, ჭეჭა-ჭეხილი და ორმოზე რომ გადაქვესკენელდა, კვამლში, ბუღში და ზარდამცემ ხრკილში, მუხლუხოებით ატაცებული ნათხარი ერთხელ კიდევ ჩამოაშავა. მაშინვე ზურგში დაჰკრეს. უგრძობებელმაც კი იგრძნო სიკვდილის ის მგეზავი, მსახვრალი ხელი, ფერდები და კული რომ მოსწვა. ბარე ორი იმდენად შეარყია და შეზანზარდა, მუხლიც კი მოეკვეთა... ქარიშხალმა ფოლადის ზურგზე ავარდნილი კუბრივით სქელი მხუთრი ცას არ დაანება და მიწაზე განართხო, სანგრების ორმოებში და ხერგელებში ჩატენა. ჯარისკაცებს ცხვირში ხელი წაუჭირა,



მაგრამ ტანკების ფრთებს შეეყუთული მეთვრამეტეების თვალსაც მოარიდა.

ჯავშნოსანი იმიტომ არაა ჯავშნოსანი, შერ თოფითა და ხელყუმბართ გვერდები ჩაუმტვრიო. ტანკი ათიდან ერთიც რომ დიდი მსხვერპლის ფასად დააზიანო, იგი მერეც არაა ჯართი. საიმიერო საფარია, ზარბაზნის ცეცხლით მუყფარი და ტყვიამფრქვევის სამიზნე წერტი. მხოლოდ აღმურშენთებული თუ გამოიფერთახავს შიგანს და განირიღებს თავის ფრთის ქვეშ შეეყუთულ „წიწილებს“. სხვა მხრივ იგი დაკოკლებული კი არა, კუტიც საშიშია, თუმცა მისი ქვეშეში იქვე, ახლომახლო სანგარში ჩამძვრალ-ჩაქვესკენლებული მოწინააღმდეგისთვის უფნებელია. თავის ცხვირწინ ვერაფერს ხედავს. თუ ფრონტ ვერ გაისივრძეგანა, შეზღუდულ ასპარეზზე მისი შესაძლებლობები იბღალევა — დევი რომ ნაცარქექიას დაავიდო. მაგრამ, თუ არაფერს ეპუება, და ეს ღონიერის დაუფიქრებლობითაც ხდება, ძალა ატყუებს.

ითარეშეს აღმა-დაღმა, წინ და უკან, მაგრამ რამდენჯერაც ორმო და სანგარი გადაეგეს, მიწაყრილი და თხრილები გადაიგლიჯინეს, რამდენი დესანტის მრსრა და მოთელვა მოინდომეს, იმდენს შეენგრა ფერდი, ან შავ-წითლად აენთო... ფრთებში შეფარებული მებრძოლი დაკარგა. შეაჩევა თავი მოწინააღმდეგის თვალ-ყურს და თავისი მრისხანება და შეუვალობა გააიაფა.

ბოლოს და ბოლოს, ჯვარშერუჯულმა „ფერდინანდმა“ რბილობებში ორმოს ცალი მხარის ჩაქცევა და შიგ ვასულრული მებრძოლების ცოცხლად ჩამარხვა რომ მოიგუნება, სანგრის კიდეს გამოჰყვა, რაკი გარდიგარდმო გადათელვა-გადმოთელვით გულის ჯავრი ვერ ამოიყარა. ამ ამზრზენ გიგანტს ერთი ცხვირ-პირ გამურული ჯარისკაცი (მეთაური კი არა, დედა ვერ იცნობდა) მანამდე ამოუხტა, სანამ მის ჩამქვესკენლებელ კედელს ჩამოამზღველევა და და ხელყუმბარის კონა ბეჭითად სტყორცნა, „ფერდინანდს“ მუხლუხოს

დღედში გაურკუო. თვითონ კი თავის ხერელში კისრულით ისე ჩაეყუდა, ნამსხვერვეებმა მხოლოდ ცალი ფენსაცემლის ლანჩა ააგლიჯა.

დაკოდილი ჯავშნოსანი რომ აღგილზე დატრიალდა და იმ ბიჭის სანგართან წრე შემოხაზა, ბოკერიამ მერელა გადაინაცვლა, ამალობელიც იქით გაფორთხდა. მაგრამ ტანკისტს, ურჩხულის სტომაქიდან თავის გამოყოფისთანავე, მეთაურმა პისტოლეტით შუბლი რომ გაუხვრიტა, ამალობელმა თავდაღმა ჩამოხობილი აეტრიატით მერე დაეცხრილა. ეკიპაჟის დანარჩენმა წვერებმა იქვე, სანგარზე გადებულ „ციხესიმაგრეში“ უშიშრად ყოფნა არჩიეს — ლუკი ჩამოხურეს.

სალამონის ბოკერიის ყოფილი ბატალიონი სულს დაფავდა...

## 8.

რადიოპროპაგანდას რომ დაიწყებდნენ, გერმანელები მაშინ თუ ჩააჩუმებდნენ იმ უბანს, რომლის „დამუშავებასაც“ აპირებდნენ. კეთილმოწყობილ ზღვისპირა აგარაკებსა და ფეხი ფეხზე გადადებულ ფუფუნებს ვერ ჰპირდებოდნენ, მაგრამ შემოთავაზებულს არც არაფერი აკლდა... ოღონდ ავთანდილ ბოკერიის გონება მოეკრიბა და ამ უაზრო სისხლისღვრაზე ხელი აეღო. ნახევარკუნძული, მტრის იმ საგანგებო შეიარაღებისა და უთვალავი ჯარის ვარდა, ბუნებრივადაც მიუვალი იყო. ამდენ უპირატესობას რომ მოწინააღმდეგე ხელიდან არ გაუშვებდა, ამის ცოდნის დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა.

დაყრუებული და თავ-ხელ-ფეხ დაბლონდილი მებრძოლების პატრონ ბოლკის მეთაურს, ისედაც მარცხენა ბეჭში გარჩილი ნამსხვერვეთ ცალ გვერდზე მწოლიარეს, „ლემენცის“ ყეფა მონაქრეულ ძელმიწურშიც წიათვლემის საშუალებას არ აძლევდა.

„თქვენ ღია პოზიციებზე რას უნდა გახდეთ, როცა შარშან, უკეთესად შეიარაღებულმა და ათობით კილომეტ-

რიან კატაკომბებში გამაგრებულმა უთვალავმა პარტიზანმა, რაჟი ვერაფერი შევასმინეთ, გვიძულა გავით ამოგვებრხო. დაგვენდით და თქვენი თვალით ნახეთ, შესასვლელები ისე ამოვჭოლეთ, იქიდან თავი აღარ გამომძვრალა, — წუხდა ქადაგი, — რაც თქვენს ფლოტს წყალში ჩასაშვებად გააჩნდა, ის იყო, რაშიც დასაღუბავად ჩაგყარეს და იმასაც რა ბედი ეწვია, თქვენი თვალთ ნახეთ, არც ერთი უკან არ გაგვიშვია. ახლა ძალიანაც რომ მოინდომონ თქვენი შევსება და მხარდაჭერა, ამის საშუალებაც არა აქვთ. თქვენ ბედს მთლიანად და ერთპიროვნულად ჩვენ განვაგებთ“—ო...

ათანადილი ამას დაიჭრებდა თუ არა — სიმართლე იყო. მაგრამ, რომელი ათეულ კილომეტრიანი მიწისქვეშა ხერხელები და გამოქვაბულები არსებობს ამ მიდამოებში... რატომ დასკვირდა მტერს იმდენხანს იმის აღება და ვერ აიღო? რატომ გახდა იძულებული გახით ამოეგუდა? ტყვია უჭირდა, თუ „შეიბრალა“ და ამიტომ ამოახრჩო?

გომხეთელიანს ყურის ძირიდან ქინჩში ჰქონდა ტყვია გავლილი. მაგრამ მგელივით კისერგაშეშებულს თავი მაინც მაღლა ეჭირა... სახვევიდან სისხელი ჟონავდა.

— კაკო!

კაკოზე უწინ მამუკა წამოხტა და ავტომატის ჩახმახი გააჩხაკუნა.

— კაკო ხარ შენ? დაეგენ მაქ! — უნდოდა არ უნდოდა, მასთან ბრძანებით უნდა ელაპარაკა და ისიც უსიტყვოდ მორჩილდებოდა.

წამოდგა. ჩემებში გაერუებული ფეხების თრევით გომხეთელიანს წამოადგა და ფარნის შუქი წაბლისფერი წვერით გაბურძნულ სახეში ჩაანათა.

— ჰო, მაგის დედა ვატირე!.. — წამოიყვირა მზევრავმა და წამოიწია, მაგრამ პრილობამ მაშინვე კისერში წაუჭირა და ცალი ხელით რომ იარაღი აიტაცა, მეორე სახვევზე წაივლო.

— მე ვარ, კაკო...

— ჰო, ავთანდილ... დაიწყეს?

3. „მნათობი“, № 5.

— ჯერჯერობით სახარებას ვეცდებით ხევენ.

გ. ბ. ლ. მ. მ. მ. მ.

— მაგათი სახარება და ღმერთი და რჯული...

— ხომ ვიდგას მიწაზე ფეხი... ზღვას ხომ გამოგტაცა გრომოვმა.

— დატულოყო ჩვენთან. მეზღვაურთა დესანტი და ქვეითი აქ ერთი ოხერია...

— ეს არ მაინტერესებს ახლა მე...

— თქვი.

— რა კატაკომბები და კატაბარდები ამ დასაქცევში? რას ამბობენ შენი მზევრავები?

— რავა არა... რალაცა ქვის სამტეხლოები ყოფილა... პარტიზანები და იატაკქვეშელი ორგანიზაციები შეუყურით შეგ ჩვენებს იმ უთავბოლო უკან დახვევისას... ამოუგუდიათ გახით, სითოფეზე არ წაეკაროთო...

— რატომ ამოგუდეს გახით, რას ამბობენ.

— რატომ გვგუდავენ და გვსაობენ, მაგი მეკითხა?

— ის კატაბარდები... თუ რალაცა ოხრობაა.

— კატაკომბები.

— მაგი გვინდა ახლა ჩვენ?... ..

— აქ გაზს ვერ ხმარობენ, ერთმანეთთან ისე ახლოსა ვართ, ეშინიათ, თვითონაც არ მიწედეთ და იმიტომ?

— რომ არ გაპირებოდით, ვაზამდე არ მიიყვანდნენ საქმეს.

— ახლა ჩვენ გაუჭირვოთ?..

— ახლა ჩვენ გვიკირს და, თუ მართლა კილომეტრებზეა გაკომული ის რალაცა, და ავიაციისაგან, არტილერიისაგან, ტანკისა და ჯავშნოსანისაგან დაგვიფარავს, გაზი ხომ, ბოლოს და ბოლოს, სამართში უნდა შემორეკონ... სამართში თუ ვერ მოვიგერიებთ, ამოდენა ღია პოზიციაზე ათასი ჯურის ფარალთან რას გავაწყობთ, კაკო!

— რა ვიცი...

— არა, ადგილი მაინც უნდა გამოვიცვალოთ, ერთ დღეს აქაურობა ცარიელი უნდა დახვდეთ. ყველა იარაღი ჩვენს თავზე აქვთ დამიზნებული.

— რა ვიცი.

— რა არ იცი, კაცო, არ გადამჩიო მე შენი ახლაც ზღვაში ხომ არა ხარ.

— აქაურობა მაინც ზღვასავით ტოტმანებს და ფუთფუთებს...

— დავასწოროთ, სანამ ეს ოხრები დაგვატყვევებენ აქაურობას. ჩვენსა და „მეზღვაურებს“ შორის სანაპიროზე გამაგრებული ვორობიოვის ბატალიონის ნარჩენები უარეს დღეშია...

— შენ იცი... — გოშეთელიანი ჩექმის ყელში ფეხგარჩენილი წაფლახუნდა, მიწურის საძრომიდან გაიხედა. — ყოიამეთი ღამე კია, — ჩაილაპარაკა და მობრუნდა.

— მე მგონი მარჯვენა, ფერდობებით მეზღვაურებისკენ უნდა გახვიდეთ და გორაკების კლდეებში გაძვრეთ. ამალობელი!

— აქა ვარ, ამხანაგო პოლკის მეთაურო! — აღიუტანტი იმწამსვე იქ გაჩნდა.

— მოძებნე ლეიტენანტი მაჭარაძე, უმცროსი ლეიტენანტები: შჩეგლოვი და ზარბაბოვი!

— არის, ამხ...

— უსიტყვოდ!

— არის უსიტყვოდ... მაგრამ მაჭარაძე...

— რა მაჭარაძე...

— დაჭრილია, ამხ...

— არ ვიცი მე დაჭრილი. ვინ არაა აქ დაჭრილი და დაკოდილი...

— არის!..

გოშეთელიანიმა ობერლეიტენანტი სეულ სიგარეტს მოუკიდა.

## 9.

გამთენიისას, სისხლისაგან დაწრტილი ბოკერიას ბიჭები ვრცელ, ოღროჩოლოდ ველზე მიბოგინებდნენ. წინ მთა კი არა, შემალღებაც კი არ ჩანდა, რომ შესაძრომი ხერელი ჰქონოდა. მტერიც ფეხდაფეხ მოსდევდათ და შუადღემდე, ალბათ, ამბის წამლებს არავის დატოვებდა.

ნუთუ ასე გამოცდილი მზვერავი გზას

აცდა? არადა, მოთენდა, ახლაც თავზე საფართან უნდა იყვნენ.

უეცრად, დაწინაურებულმა გოშეთელიანიმა ხელი აიჭინა — ყველა თავისკენ იხმო და იმწამსვე მიწამ პირი უყო. ავთანდილმა ვითომ ფეხს აუჩქარა და ცალ მხარეჩაფერდილ, ჩაფარდნილ ვეება ორმოს გადააწყდნენ. ზევიდან ჩამავალი დამრეცი ნაგზური, კლდოვანი შვეულის ძირში დუღაბით ამოქოლილ კედელს ეტაკებოდა. ეტყობოდა ახლომახლო კარგა ხანია კაცს არ გაველო, მაგრამ ასეც რომ არ ყოფილიყო, არჩევანის დრო ჰქონდათ?

და, ვინც აქამდე სული მოიტანა, შიგ ერთბაშად გადაეშვა.

ქვით, ლოდით, თოფის კონდახითა და ხიშტით როგორმე ქვითკირი უნდა შეენგრიათ. თუ ამას იქით, თუნდაც ასი მეტრის სიღრმის კაცის სიმაღლე ხერელი იქნებოდა, თავშეფარებულთა ბედს ერთხანს ის ძალიც არ დაჰყუფდა, რომლის გნისაც იქვე, დარბეული სოფლიდან ისმოდა.

ავთანდილმა ხელი აღმართა, ამოქოლილ საძროშზე ასე ჯიქურ მიხტომა ვერ გაბედა, მაგრამ შარშანდელი ჩამხმარ-ჩამბალი ბალახით ჩაფარული ნაგზური და ნაბომბარი ობმოები თითქოს ხიფათს არ უქაღდათ. იმედმოცემული მებრძოლები კედელს შესანგრევად მიაწყდნენ...

ფეხებთან, ცხვირწინ, ჩაგებული ხმელი ბალახის ქვეშ რაღაც ყრულ გასკდა. ფესვებით გაკრული ბელტი ამოგლიჯა და დააქიპა, მოყვითალო კვამლი ამოხოლქვა, „ვაი დედას“ ამოსაბღავლებელი ჰაერი დამხუთრა...

მოკელილ პოლკის მეთაურს ვილაცვილაცები თავზე დააცივდა, გოშეთელიანის ყვირილიც ჩაესმა, მაგრამ ავთანდილს ამქვეყნად აღარაფრის გაგონება და დანახვა არ უნდოდა. უროსავით თუთქა თავში მომაკვინებულმა აზრმა: — „თუ ეს „ის“ ნაღშია, კაცო... და აქვე არ გამოთავა, დავიღუპე!!!“

რა ჭურის იარაღი იყო, მას რომ არ

ენაბა და თავის ტყავზე არ გამოეცა-  
და. ამ „უწმინდურის“ არსებობაც ჰქო-  
ნდა ყურმოკრული და მისგან დაჭრილი  
— ზეზეურად მკვდარიც გაუგონია, მა-  
გრამ თუ ამდენი უბედურების მომგონ,  
კუთვადობრუნებულ, ბედარულ ადამი-  
ანს (მაგრამ მაინც კაცს), ხელი საამისო-  
დაც, მოუბრუნდებოდა ამის გა-  
მომგონებელი ცვედანი რომ ყოფილი-  
ყო, ვერაფრით დაიჯერებდა. ვერ წა-  
რმოიდგენდა, კაცს კაცი ასე გაემეტე-  
ბინა და, ერთხელ სიკვდილისთვის გა-  
ჩენილის, ასი ათასი ჭვარცმული სიკვ-  
დილით ეგნო.

დიდი ზანი ავთანდილი დაღუპვის  
შინს შეეჩვია, რანაირი ბედის უკულ-  
მართობა არ დაიჯერა და ამ იუდას  
იარალის არსებობას ვერ... ახლაც, რო-  
გორც გონება, ასევე ხელებიც ვერაფ-  
რით დაემორჩილა, დაცხავებულ მუხ-  
ლებზე და ბარძაყებზე რომ მოესვა.  
ვერ შეძლო იმის გაგება, წელქვევით  
რა სჭირდა. ასი ათასგზის ერჩია ის,  
რამაც წელქვევით დაფლითა, მუცელ-  
ში, გულ-ფილტვში, თავში... ტვინში  
აფეთქებოდა და დაენაყუწებინა...

კი, ეს „ის“ მგლის საფანტით გატე-  
ნილი ნაღმი იყო. თუ მიწაზე არა ხარ  
გაკრული, დგომელას ჰიპს ზევით ვერ  
აწვდებდა, ვერც ქვედატანის ძვლებს  
დაგიმტვრევს, მაგრამ რბილობს ისე  
დაგიცხავებს, იმ აფეთქების წუთიდან  
ყოველი დღე-ღამე სკდება და გვლე-  
ჯავს, გწეწავს, გკლავს და, საკუთარი  
ცხედრის ჰირისუფალს, კბილით ხორცს  
გაგლეჯინებს.

10.

მთელი კვირა ბნელში გულაღმა უძ-  
რავად დაგდებულ პოლკის მეთაურს  
იქვე, მის გვერდით ფერდებშენგრეუ-  
ლი, სულთმობრძავი აკაკი გომხეტე-  
ლიანის ცვენსაც არ გაუგონია. არც  
მის სასთუმალთან ძალიცივით დაბმულ,  
გამოლენჩებულ მამუკა ამაღლობე-  
ლისთვის უთქვამს ერთი სიტყვა. მისი  
სმარტი და საზრიანი გონება ისე ჩაჭ-  
რა, ჩაბნელდა, ჩაშავდა და ჩაირაზა,

თვით დედის მოგონებამაც კეტქუტქა  
ვერ უბოვა.

მეთერთმეტე დღეს, ამ ჩონჩხებით  
სავეს ხვრელების სიცივესა და ყიამეთ-  
ში „სინათლე“ გაჩნდა სრუტეზე ახალ-  
ახალი ბატალიონები და პოლკები გად-  
მოსხესო და ბოკერიას დესანტისთვის  
საგანგებოდ დაკომპლექტებული სან-  
ნაწილი ამალამ აქ იქნებოა; არც მაშინ  
შეურხვევია წამწამი პოლკის მეთაურს.  
მისთვის უკვე სულ ერთი იყო — აწი  
აქ, და, საერთოდ, ქვეყნიერებაზე მტე-  
რი იბატონებდა თუ მოყვარე. ახლა ერ-  
თი კაკალი ტყვია იყო მისთვის უდბარი  
წამალი და ყველა მკურნალზე უკეთე-  
სი მკურნალი. მაგრამ როცა აქ შემოე-  
თრიათ და ერთი წლის წინ გაზით გა-  
გუდულებს ფარაჯებზე გულაღმა და-  
ეგდოთ, ეს ბედნიერებაც წაერთმიათ,  
მისი განუყრელი „ფიშტო“ სანინსტ-  
რუქტორს წელში გაერკო.

მეორე ღამეს ახლად გადმოსხმული  
სანნაწილი კატაკომბებში შემოვიდა.  
სახელდახელო კურსდამთავრებული  
მედდა, ფრონტზე და სახელდობრ ბო-  
კერიას დივიზიაში მოხალისედ წამო-  
სული ვარია კუდრიაშოვა, პოლიტგან-  
ყოფილების უფროსის — ჩაჩავას გან-  
კარგულებით მოვლენილი, ავთანდილს  
თავზე დააფრინდა.

საყვარელ გოგოს, ცრემლებით ამოოდ  
დაეწურა მწვანე და ცისფერი კამკამა  
თვალეში, ამოოდ დაუღლო ავთანდილს  
გულისპირი და ვერაფრით ჰერზე მი-  
ყინული მზერა ვერ გაუმრუდა, თავის-  
კენ ვერ მოახედა.

იმ ებრაელმა დასტაქარმა, ლენინგ-  
რადში ომამდე სამეცნიერო ხარისხიც  
რომ დაეცვა და მთელი ომის მანძილზე  
კი ისეთი პრაქტიკა შეეძინა, პიპოკრა-  
ტეს გააწბილებდა, დაჭრილი მთელი  
საათი აწვალა. კუდრიაშოვა რომ და-  
სახიჩრებულს გულზე ძალისძალიად მო-  
წყვიტეს, ორივე ხელში დაჭრილმა ბა-  
ტალიონის მეთაურმა შავარამემ დას-  
ტაქარი თავის ქვაბულ — „კაბინეტში“  
შეიხმო. მკურნალმა თავის უნუგეშო  
გადაქნევით მიუსამძიმრა:

— რად გინდას, — სიტყვებს რატომღაც „ს“-ს ამბობდა. — რომც გადაარჩეს, კაცად აღარს ივარგებს დას...

როცა ქარიშხალი დაცხრა და სანაოსნო საშუალებებს ხელახლა თავი მოუყარეს, სრუტეზე დღედაღამ ახალახალი ნაწილები გადმოჰყავდათ, საბრძოლო იარაღი გადმოჰქონდათ. გაღმიდან სცემდა მძიმე არტილერია, გააძლიერეს ავიაცია და შევჭვრიანი ფრთოსნები ცის ერთპიროვნული ბატონ-პატრონები აღარ იყვნენ. გემივით ტორტმანებდა ნახევარკუნძული, თავისი მთებით, გორებით, ქალაქებითა და სოფლებით დასაღუპავად განწირული...

ხვრელებში საცოდავად შეყუჟული, განადგურებული დესანტის განადგურების დარდი ვილას ჰქონდა, მტერს ქვეყანა ისედაც თავზე ეპტეოდა.

ჩონჩხების სამარეში ამდენ უღმერთოდ ამომხრჩვალთა, კირისუფალმა ესლა იღონა: ძვლებს შერჩენილ ძონძებში საბუთი, „გილზი“, წერილი თუ სხვა რაიმე მიცვალებულთა ვინაობის დამდგენი მოიძებნებოდა, შეაგროვა, რათა ოდესმე, ამ ჭურღმულეებიდან, სიცოცხლითა და სიკვდილით დასამარებულების გვარი და სახელი მიიხსენებინათ.

ეს საქმე არც ისე იოლი გამოდგა. დასასრული არ უჩანდა ჯოჯოხეთის ხვრელებსა და დაქვლეტილებს. ჯარისკაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცი, ჩვილი... მოშხამულებსა და მოგუღულებს ძვლებიც დაკრუნჩხვოდათ და თავის ქალა თითქოს ახლაც უსკდებოდათ. ვინ გაარჩევდა, რა ეროვნების, ჯურის, ასაკისა და სქესის ტანჯულმა ჩალია სული ამ ქვესკნელში.

თავ-ყმა ახვეულმა უფროსმა სერჯანტმა, ნოღაელმა აბდულქალილოვმა (პურგების ძველ, ცარიელ ყუთში რომ ყოველნიარ ქალადის ნაგლეჯს წყობილად აღაგებდა), ჯარისკაცის გაქუ-

ცულ-გალესილი პირადობის მოწმობა მაჰარაძეს ლოდზე დაუდო. თვალმბდაკარკულმა ჯარისკაცმა შიშით ესლა ამოიბლუქუნა: თვითონ გმირმა ამალლობელმა მოიტანაო...

გაშლილ ფეხებში გადაბრუნებულ ქვაბზე დამხობილ სიის ჩამწერ ეგრეთიტორს ხელი გაშეშებოდა და მხრჩოლავი ტრაქის მურიან აღს მიშტერებოდა.

რეზო მაჰარაძემ სახვევიდან გამოჩრილი მარცხენა ხელის ფრჩხილებგაღურჩებული სალოკი და შუა თითი დაინერწყვა და მოწმობა გაშალა.

„ამალლობელი ლეონ ფარნაოზისძე“.

— ჩვენი ამალლობელიც ფარნაოზისძეა?!. — თვითონაც შიშით ჰკითხა თანაშემწეს.

— რა თქმა უნდა, ეს ვინ არ იცის... — უკან-უკან დაიწია სერჯანტი, თითქოს მოწმობას ცხედარი დასწოლოდეს და გასამართავი, გასაკიმი ადგილი მოეთხოვოს.

ბოკერია ვერც ამოდენა მოულოდნელობამ — მისი ასე ნასათუთები, საბრალო მეგობრის, მამუკას ძმის ჩონჩხის პოვნამ დააბრუნა სააქაოს. რაკი ვარია გვერდით, ცივ ქვაზე თავთან ჩაჩოქილ მაჰარაძისკენ მხოლოდ თვალები მიიატრიალა და ქართულად ძლივს ამოიბლუქუნა:

— ბედნიერი...

— თვითონ ძმა წაწყდომია... სასწაულია, ავთანდილ, ღმერთმანი, სასწაული... არაფერი ვუთხრათ?

თავი ოდნავ, სულ ოდნავ გადააქნია:

— ჩემთვის და მამუკასთვის ყველაფერი სულ ერთია...

მაჰარაძეს დაკოდილი, დაბანდული, ჩამომბული ხელები ისე დაუშმინდა, დახვეულმა, დაწვრილებულმა მარლამ კისერი ჩაჭრა.

იმედგადაწურულმა, უსასოო ავთანდილმა მზერა კვლავ ტინის უფერულ, მკვდრისფერ ოღროზოლორ კერს შეაყინა.

## დედაშინის ღრობით...

პოემა

არ მახსოვს, ვინ თქვა: „ბირთვული კატასტროფის შედეგები ცხადზე უცხადესია, ეკობრბიონას სრული მოსპობა ემუქრება, ჰომო საპიენსის არსებობა შეწყდება“. ანდა, რა მნიშვნელობა აქვს ვინ თქვა, ადამიანსაც რომ არ ეთქვა, ეს საშინელი დასკვნა კომპიუტერული კვშიარიტება გახლავთ. მთელი ღამეები ვფიქრობ: რა დააშავეს ზაქვეებმა, „ბირთვული ზამთრის“ მომავალმა შეილებმა, რა დააშავეს?

სამყაროს ამ დიდი ტკივილის გამო დიწერა ეს პოემა.

ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები მომიწოდა პოეტმა ვიტალი კოროტინმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

### პროლოგი

სიციოცხლეში  
შეუცდენლად,  
სიკვდილში ხომ  
შენთანა ვარ,  
შენთან უნდა  
ერუსთველად,  
შენთან უნდა  
ეთხმარად.

მეცოდება,  
ჰგავს ხეიბარს,  
ვინც შენს გულში  
ვერ დაიწვა,  
რა ლამაზი  
სახელი გაქვს,  
დედამიწა,  
დედამიწა.

### 1.

არის მსოფლიო,  
მტრობის, გმობის,  
და უწმინდობის,  
არის მსოფლიო,

ქნარის, ზეარის,  
გულისმიმნდობის,  
ადემქ ცისკარად  
და ქვეყანას  
იყავ მკვიდრობით,  
დილა მშვიდობის,  
გზა მშვიდობის,  
მოხველ მშვიდობით.

### 2.

გიყვები ზღაპრებს,  
დევებს ვუხმობ  
ცხრათავიანებს,  
მძიმე ყოფილა  
შენი ტვირთი,  
ადამიანო.  
ვარსკვლავებიდან  
სასაფლაომდე,  
ჩვილთა სახლიდან  
სასაკლამდე,  
სიყვარულიდან  
სიძულვილამდე,  
უსაყვარლესი  
ქმის გულს ცხრილავდენ...  
სისხლის ღრუბელით

ლამის თავზე  
 გადამიარო,  
 მძიმე ყოფილა  
 შენი ტვირთი,  
 აღამიანო.  
 მე შენ დამლაღე,  
 არ შემინდე,  
 არ შემიწყალე,  
 ჩემი სიმშვიდე  
 წარიტაცე,  
 ჩემი სიწყნარე,  
 განა რას ითხოვს  
 ჩემი ძველი  
 სისხლის სიბერე?  
 მზე მოგვეახლოს,  
 არღა იყოს  
 ჩვენთვის სიბნელე.

## 3.

განილო კარი  
 მოწყალებისა  
 და განიწმინდა  
 სული ჩემი  
 ყოველის ბიწისგან.  
 ძალი და გვემა  
 იყო მამის,  
 მოსვლა მშვიდობის,  
 შენ დაიბადე  
 და დაგარქვეს  
 სახელი წმინდა.  
 შენი სახელი  
 გასცდა ლატალს  
 და უშბას გასცდა,  
 შენი სახელი  
 მოამინე  
 ანგელოსს ჰქვია.  
 იქმენ სულისა,  
 ირინოლა,  
 შემწე ყოველთა,  
 მეოხი იყავ  
 მარადისი  
 სულთა ჩვენთათვის.  
 დიდება შენდა,  
 ირინოლა,  
 აწ და მარადის.

## 4.

ღუმს ხეივანი,  
 ხეივანში

სიმშვიდეს სძინავს,  
 არა, ისვენებს,  
 კი არ სძინავს,  
 იგი ისვენებს,  
 ვით სავარძელში  
 დალოლი მახვში.  
 სიმშვიდეს  
 დიდი თვალეზი აქვს,  
 მაგრამ ნატანჯი,  
 მისი ნათელი  
 ადგას ნამგალს,  
 კალოს და ბეღელს,  
 მისი ნათელი  
 ყანებშია,  
 მარნებში, ზვრებში.  
 მისი ნათელი  
 სიტყვას  
 პირველ ვნებით  
 ალავსებს,  
 ყელს იღერებენ  
 მისი ეშხით  
 ჩალის ღერები.  
 მისი ნათელი  
 სუფრას აწყობს  
 ღარიბებისთვის,  
 მისი ნათელი  
 მზის ჩასვლისას  
 იმედით გვავესებს,  
 მისი ნათელით  
 შენდებიან  
 ქალაქნი დიდნი,  
 მისი ნათელი  
 დირიფორობს  
 ჩვენს დიად სამშოს,  
 — გენიალური  
 არის სიმშვიდე.

## 5.

დიდება შენდა,  
 ირინოლა,  
 აწ და მარადის.  
 წახვალ, წამოხვალ,  
 ყველაფრის წინ  
 მე და შენ ვრჩებით,  
 ღმერთის წინაც და  
 მაცულის წინაც...  
 მე ვერ გელევი  
 და ყოველ დილით,

როგორც ნაძვის ხეს,  
 ერთვ და გაფორმებ  
 ნაირნაირი  
 შანებით და  
 გულსაკიდებით.  
 შენს სილამაზეს  
 ვაჩუქებ ნესტანს  
 და ორ პატარა  
 ლამაზ სიტყვას  
 გაგატან მზესთან...  
 ერთი, მშვიდობა,  
 რა თქმა უნდა  
 ერთი, სამშობლო.  
 ისინი ერთურთს  
 ერთმებთან,  
 ისე ვით ცეცხლი  
 ერთმება  
 კაცის სიცოცხლეს.  
 მეტი რა გინდა,  
 ცეცხლი, სიცოცხლე,  
 მშვიდობა და  
 ძველი მამული,  
 მიუტეხე სიყვარული  
 ნესტანს, თინათინს  
 და დადუმებულ  
 ხეივანებში  
 იარეთ წყნარად.  
 ყური დაუგდე  
 ძვირფასო რუსთველს,  
 ვით შეენის ლომსა  
 ხმარება შუბის,  
 არ შეამოკლო  
 დმერთო, ქართული,  
 არა ქმნა ქვეყნად  
 სიტყვამცირობა.

## 6.

მტრის არასოდეს  
 მშინებია,  
 მაგრამ ჩემს მტერს რომ  
 წარმოვიდგენ,  
 იმის შიში მაქვს —  
 ადამიანი  
 შიშითა და  
 იმედით ცხოვრობს!  
 ჩემო ძვირფასო,  
 ლანდი ვარ, მაინც  
 შენზე ვფიქრობ.

შენზე და სხვებზე...  
 ნატიფი ცრემლი  
 ვის უნახავს?  
 არავის, რადგან  
 მე მაქვს იგი  
 შენახული  
 გუგათა ფსკერზე.  
 გუშინწინ ვნახე  
 მუხის ტირილი,  
 მართლა ტიროდა,  
 აი, ისე,  
 როგორც მე ვტირი  
 მარტოობისას,  
 ცრემლებს ვმალავ,  
 არავის ვუშხელ,  
 გულისგულში  
 შეღვრება იგი  
 და ილექება  
 სამუდამო  
 წუთისაფელში  
 ვით თეთრი ლექსი.  
 ერთი შეხედვით  
 რა მაკლია,  
 არც არაფერი,  
 პური მაქვს, ფულიც,  
 კანადური  
 ქურქიც მაკვია,  
 ვარ მსაჯული და  
 ჭირისუფალი,  
 სიმართლის თქმასაც  
 ვბედავ, ანდა  
 მახედინებენ  
 და რაც არა მწამს,  
 ვამბობ, რომ  
 არ მწამს,  
 ხოლო რაცა მწამს,  
 არ გადავთქვამ  
 სიცოცხლის ფასად.  
 უამრავს ვშრომობ,  
 დროის გრიალზეც  
 არ ვამბობ უარს,  
 მაქვს სტალიონზე  
 მუღმივი საშვი  
 და სიყვარულით  
 შესალმება  
 ხალხი ქუჩაში.  
 ისე, ვით თქვენ არ  
 გიღალატნიათ



მეუღლისათვის,  
 მეც, რა თქმა უნდა...  
 და უცხოეთში  
 როცა მივდივარ,  
 მორალურად მდგრადიაო —  
 ასე მიწერენ.  
 მყავს ერთი ბიჭი,  
 ისეთივე ჩვეულებრივი,  
 როგორც სხვებს ჰყავთ,  
 არცა მეტი და  
 არცა ნაკლები,  
 მთავარია რომ  
 არ ეკუთვნის  
 „მომხმარებელთა  
 კოპორტის წევრებს“,  
 ვით ამ ხალხს  
 უზმობს  
 ის პოეტი,  
 რომელმაც მთხოვა  
 არ გაეამხილო.  
 გოგოც მყავს ერთი,  
 რომელთანაც  
 ყოველდღე ვჩხუბობ, —  
 სხვა აზრისაა  
 წუთისოფელზე,  
 გაუტანელზე,  
 უსამართლოზე...  
 მტრ გუნებაში  
 თუშეცა ვემხრობი,  
 ჩამალა მაინც  
 არ ვეთანხმები,  
 რომ დავეთანხმო,  
 უპრინციპოდ ჩავითვლები  
 ჩემს პარტიულ  
 ამხანაგებში.  
 სუყველაფერი  
 სად ყოფილა  
 რიგზე, აქ იყოს.  
 ხანდახან  
 სკდება მილი  
 კანალიზაციის,  
 რაიც სიზმარში  
 ღმერთმა მოგცეს,  
 ცხადში ცუდია.  
 ხანდახან, ერთი  
 გონებაჩლუნგი  
 ტელეფონზეც  
 შირეკავს ხოლმე,

მისი ხმაც  
 მილის გასკდომას გავს  
 ჩახლეჩილი ხმა.  
 ხანდახან, ისეთ,  
 ისეთ რამეს  
 დაგაბრალებენ,  
 რასაც ებრძვი  
 მთელი შენი  
 წუთისოფელი...  
 ხანდახან  
 დედა გენატრება,  
 სულ სხვანაირი,  
 შორეული  
 და აბსტრაქტული.  
 ხანდახან ფიქრობ:  
 ამ გულის ცეცხლი  
 ნაძირალების  
 სულის ბერვით  
 ხომ არ ღვივდება?  
 „მაინც სიტურფით  
 ჰყვავის“ ბუნება,  
 მოძულეთ მაინც  
 ვუყოფთ კეთილსა.

## 7.

და ვცხოვრობ ასე,  
 დაუყვედრებლად,  
 ვილაყას  
 ჩემი იმედი აქვს  
 და მიზარია,  
 ვილაყა  
 ფეხზე დავყენე  
 და მტრად გადმექცა —  
 ამნაირებიც  
 არსებობენ,  
 წარმოიდგინეთ.  
 მაშ ასე, ძმებო,  
 საჭიროა  
 ხალხს დავეხმაროთ,  
 იუველიერის  
 ნატიფი ხელით,  
 მისხალ და მისხალ,  
 კარატებში  
 არ აიწონოს  
 დახმარება  
 თორემ, ვათავდა,  
 გაგიმრავლდება  
 მტერი ისე,

ვით ჰიანჰველა,  
 ან უფრო სწორედ,  
 ვით ტარაკანა,  
 რომლის მოსპობა  
 დღეს, მსოფლიოში  
 გახლავთ პრობლემა,  
 რაღა თქმა უნდა,  
 ვირთხებთან ერთად.  
 ღიახ, ბატონო,  
 თუკი შესძლებთ,  
 არ დაეხმაროთ,  
 დახმარება — სასიკვდილოა...  
 ადამიანის  
 თავის ქალა მიახატეთ  
 ამ რკინის სიტყვას.  
 ეპ, რას ვბეჭუტურობ,  
 რას ვიტუშებები,  
 ხომ ვერ აწონი  
 აუწონელს  
 წუთისოფელში?  
 ვისაც სიკეთე  
 შეუძლია  
 აზომ-აწონოს,  
 ჩვეულებრივი  
 ვერაგია  
 და ნაძირალა.  
 რაც მართალია,  
 მართალია,  
 სხვისთვის არაფერს  
 არ ვაკეთებთ,  
 ვაკეთებთ ჩვენთვის...  
 აი, ის კაცი,  
 შენ რომ ფეხზე  
 წამოაყენე,  
 ჩაფი ღვინით  
 იტიკნის სტომაქს,  
 შენს გარდა ყველას  
 სადღეგრძელოს სვამს,  
 შენი შურს, რადგან  
 წაჭყეული წამოაყენე...  
 ესეც საქმეა,  
 კაცი ხარ და  
 მისთვის შურთ შენი,  
 სხვისთვის არაფერს  
 არ ვაკეთებთ,  
 ვაკეთებთ ჩვენთვის,  
 ედემში ზრდილი  
 რომ დაგვერქვას,

მისთვის ვაკეთებთ,  
 და ამ საწუთრო-გაცულებულ  
 ქვეყნისგან დასჯილთ  
 ხელს ვუწყობთ, რათა  
 ჩვენ აღვზევდეთ  
 და გავიხაროთ.  
 ვწუწუნებთ, მაგრამ  
 ვით ბრძანებს შოთა:  
 ცხოვრება გვაქვს  
 „მოფარდაგული“.

**8.**  
 თაყვანს ვცემ ფარდაგს,  
 თუშურ ფარდაგს,  
 შავ-წითლით ღებულს,  
 სიკვდილის ვიშოთ  
 შეცბუნებულს  
 და ჯერებით შემკრთალს.  
 ბროლის ცრემლები  
 დასდით ღურაჯებს  
 და შუაგულში ჩამალულა  
 ღმერთის წყალობა.  
 თაყვანს ვცემ ფარდაგს,  
 თუშურ ფარდაგს,  
 მინდორს ჰგავს მდიდარს,  
 სევდიან მინდორს,  
 სიხარული რომ აუკრძალებს  
 და პირი მაინც  
 ყურებამდე გასთენებია.  
 ულურჯეს ლილის  
 თაყვანს ვცემ ფარდაგს,  
 ფარდაგსა თუშურს —  
 შავ-წითლით ღებულს...  
 დედამიწაზე დამასახლა  
 უზესთავისა,  
 მშვენიერებას რომ ვუმზირო  
 ნისლის ფარჩაში...  
 ვის გაუყვია მარტოობა  
 ვარსკლავებისგან?  
 დღეც ანათებენ  
 ვარსკვლავები მარტოობისა.  
 ირინოლაკი  
 მიბრძანდება  
 საწინააღმდეგო  
 მიმართულებით.

**9.**  
 ვინ არის იგი,  
 ირინოლა?

ხატოვანად რომ ვთქვათ —

ცეცხლი გახლავთ  
კერის სიციცხლის,  
უფრო მაღლიდან,  
ჩვეულებრივი  
მსხვერპლია იგი.  
სიყვარულის  
მზეა პატარა,  
მწუხრის გენია  
ანთებული  
ვარსკვლავთა ტოტზე,  
პაპის საფლავის  
მყუდროების  
ეპიტაფია.

ისე კი,  
ჩემი შვილიშვილია,  
ჩემი ყვავილი,  
ზოგჯერ კოშკში ზის,  
ზოგჯერ კიდევ  
ძირს დაბრძანდება,  
სურს გაეყაროს  
ამ საწუთროს,  
უნდაოს, უხიაგს.  
დაიმახსოვრეთ:  
„დღეს, მოზარდები  
ბირთვულ მუქარას  
ჩვენი თაობის  
უთავობით მიყენებულ  
ჭრილობად თვლიან,  
მძიმე ჭრილობად,  
თავის დღიურში  
ბოსტონელმა  
ერთმა ბიჭუნამ  
ასე ჩასწერა:  
„ჩემს ბავშვობას  
განადგურება  
არ უწერია,  
რაც აღარა მაქვს  
იმას როგორ  
გაანადგურებთ?“  
და თუ კი მართლა  
ბავშვობიდან  
მოვდივართ ყველა,  
მე შემეშინდა  
იმ ბიჭუნასი,  
რომელსაც უკვე  
აღარა აქვს  
თავის ბავშვობა.

— ჩვენი ბავშვობა  
ერთნაირად  
ფიქრობენ ყველგან.  
ეჭვიანი  
ბავშვის ბუნება,  
მიეც, რუსთველო,  
პოეზია  
მოზარდის ტკივილს,  
ის მაღამოა,  
სიყვარული  
და პატიება.  
დადგი კარვები  
მოედანსა,  
ატლასებისა,  
ატლასებისა  
ლურჯებისა  
და წითლებისა.  
სინათლედ თვალთა  
ჩემთა მიჩნდეს  
სიცილი ყრმათა.

## 10.

ახლა თოვლია,  
მარტო ვარ სახლში,  
დაჭირბულულ მინებს  
შენს სახელს ვაწერ.  
მიყვარხარ ძლიერ,  
სიციცხლეზე  
უფრო მიყვარხარ,  
შენ შემოგველე,  
გენაცვალე,  
შენი ჭირიმე.  
„ზამთრის ყინვა  
არ მაშინებს,  
შენ რომ გხედავ  
მაშინ მცივა...“  
ჩემო ძვირფასო,  
ჩემო კარგო,  
ჩემო ბაია,  
მე ვმღერა ჩემთვის  
სევდის ზაითს,  
— აღარ იქნება  
ქვეყნად ზამთარი,  
აღარ იქნება  
ქვეყნად სიცივე,  
აღარ იქნება  
აღარც შიში  
და აღარც სევდა.



აღარ იქნება,  
 არც სიმღერა  
 აღარ იქნება  
 აღარ იქნება.  
 გაზაფხულის  
 ძუძუნა წვიმა,  
 აღარ იქნება  
 ფოთოლცვენა  
 შემოდგომისა.  
 დავით-გარეჯის  
 თაკარა მზე  
 აღარ იქნება,  
 აღარ იქნება  
 მთაწმინდა და  
 შოთა რუსთველი.  
 აღარ იქნება  
 თინათინი,  
 თაკო და თეა,  
 აღარ იქნება  
 ტარიელი,  
 მზექალა, მზია.  
 აღარ იქნება  
 სიყვარული  
 აღარ იქნება,  
 აღარაფერი  
 ჩემო კარგო,  
 აღარ იქნება...

— რაც ჩვენს სამშობლოს  
 დაუმიზნეს  
 იმისი ძალა,  
 იმისი ძალა  
 დამანგრეველი,  
 3505 მეგატონით  
 განიზომება...  
 მე ძალღის პირი  
 გამოვიბი  
 და ვიყუფები:  
 ადემ, ცისკარად  
 და ქვეყანას  
 იყავ მკვიდრობით,  
 დილა მშვიდობის,  
 გზა მშვიდობის,  
 მოხველ მშვიდობით.

11.

ეს არის ჩიტი,  
 ბულბულია,

ბაბუ, ეს ჩიტი,  
 ეს, ყვავილია,  
 მინდვრის ყვავილი,  
 ეს, მიჯაჭვული  
 ამირანია,  
 რომელსაც 'ყურმა  
 მოუკლეს თოფით...  
 ეს, მე ვარ,  
 წითელქუდას  
 კაბა მაცვია.

12.

რა მიუვალი  
 გზებით დადიხარ,  
 შენ მომავალზე  
 არც გიფიქრია,  
 რა ჩაკტილი  
 მთებით იჩქარი...  
 რა იცი, რაა  
 იმ მთების იქით,  
 რა იცი, იქით  
 რა მგლის ხროვია,  
 რა ტაძარი დგას  
 იქით, რა იცი,  
 რა ჩუქურთმა აქვს  
 იმ ტაძარს სულში,  
 რა სივრცე არის  
 იქით, რა იცი,  
 რა ჭიანჭურზე  
 უკრავენ იქით,  
 ვის სადღეგრძელოს  
 ამბობენ იქით,  
 რა იცი,  
 იქით  
 რისთვის იჩქარი.

13.

ის მაინც მიდის,  
 ის მაინც მიდის,  
 საწინააღმდეგო  
 მიმართულებით.  
 გზებზე ხვდებიან  
 ფრიად ბოროტნი,  
 ის მაინც მიდის,  
 ის მაინც მიდის,  
 უცეცხლო მხარეს  
 და უწყლო მხარეს,

უმზეო მხარეს  
 უმიწო მხარეს,  
 ახლის წყურვილით,  
 ახლის სურვილით,  
 მიდის მხნედ, ცოცხლად  
 და გულმოდგინედ.  
 — საითკენ, საით,  
 ირინოლა,  
 ცას თუ უდაბნოს?  
 — ცისაკენ მივალ,  
 ახლიდან უნდა  
 გადავხურო,  
 დამპალია სახურავი  
 დედამიწისა.  
 — რაი გაქვეს სარჩოდ,  
 ირინოლა,  
 რაი გაქვეს სარჩოდ?  
 — მკალი მაქვეს და  
 თაფლა ველური...  
 — არ შედრკე, შვილო,  
 დაო და დედავ,  
 ორმოცი დღე და  
 ორმოცი ღამე...  
 შეხვალ ქალაქსა,  
 წმინდა ქალაქსა,  
 ქვანი ესე  
 პურ იქმნებიან,  
 თუმცა წერილ არს —  
 არა პურითა,  
 პურითა ხოლო  
 ცხონდების კაცი...  
 ო, იქნებ, რწმენით,  
 ო, იქნებ, ივეით,  
 ის მაინც მიდის,  
 ის მაინც მიდის,  
 იქნებ, ღვთიშობლის  
 სანატრელი  
 გზა არის იგი,  
 რომლითაც მიდის...  
 ნუ შეაჩერებთ,  
 ვის გაუყვია  
 მარტოობა  
 ვარსკვლავები ისგან?  
 დღეც ანათებენ  
 ვარსკვლავები  
 მარტოობისა.

## კოეტი

ეპიკური  
 გიგლოფიქსი

ქალას რომ მოდგა ხალხის ჯოგია.  
 ფეხისგულეები დასცხრია ქაცვით,  
 ალტქმულ ქვეყანამდე ქაცვთა მორგვია —  
 ეყოფათ კია ამდენი კანცი?

მავანნი მოკლე გზებით მორბიან,  
 იციან გზები ამ მიწის, ამ ცის,  
 ხანდახან ვფიქრობ: ხომ არ ჯობია  
 გაორებული ცხოვრება კაცის?

თავად ვპასუხობ ჩემსავე კითხვას:  
 დრო საცერივით ყველაფერს გაცრის,  
 არ უწერია სიცოცხლე დიდხანს  
 თვითონ სიცოცხლეს სინდისში  
 გაცვილის!

## 14.

მესამე კლასის  
 სასტუმროში  
 ვარ, ვაშინგტონში,  
 სახელი მქლერი —  
 „პ რ ე ზ ი დ ე ნ ტ თ ა თ ვ ი ს“  
 დროის გარეშე  
 ჰკიღია კედელს.  
 აქ ერთმანეთსაც  
 ვერა ცნობენ,  
 მე რა შუაში ვარ...  
 დაგკარგე ყოველგვარი  
 სურვილი  
 და ამ უმდიდრეს  
 ჯოჯოხეთში  
 იღბალს მივენდე...  
 რომანტიკული ქრონიკებით  
 სავეს გაზეთებს  
 მაწვდის  
 სასტუმროს დიასახლისი.  
 „რუსულ ხმას“ ვირჩევ  
 და შიგ ვკითხულობ:  
 შტატებში ისე არ ეძებენ  
 დაკარგულ ბავშვებს,  
 როგორც დაკარგულ  
 ავტომანქანებს  
 და რაც ზერელედ  
 ვიანგარიშეთ,  
 აქ, წელიწადში  
 მილიონი

მოზარდი ბავშვი  
 მიდის სახლიდან,  
 მიდის სახლიდან  
 ნეტა რომელი  
 მიმართულებით?  
 რაც შეეხება  
 პრეზიდენტს, თავად  
 180 გრადუსით  
 ჩამოშორდა  
 ამერიკის  
 ყველა პრეზიდენტს...  
 ისიც გავიდა  
 სიმშვიდისა და  
 სათნოების  
 ლურჯი სახლიდან,  
 ნეტა რომელი  
 მიმართულებით?

15.

რაო, რა ბრძანე?  
 ეგ არ წამოგცდეს,  
 (პოი, განგვწმინდე  
 კეთროვნებისგან)  
 ღმერთმა ნუ ქნას,  
 ეგ არ წამოგცდეს,  
 ეგ არ იქნება,  
 არასოდეს  
 ეგ არ მოხდება,  
 ეგ ცხოველების  
 ფიქრია და  
 სხვა არაფერი.  
 ო, არა, აგრე  
 ნახირი ფიქრობს,  
 ასე მხოლოდ  
 მგლები ყმუიან,  
 ასე მხოლოდ  
 დათვი ღრიალებს,  
 ასე მხოლოდ  
 გველი სისინებს,  
 არა, ბატონო,  
 ეგ მსუქანი  
 ღორის ფიქრია.  
 ყური დავუგდოთ  
 რასაც ფიქრობს  
 კაცის გონება,  
 კაცური კაცის,  
 განათებული და მზრუნველი  
 კაცის გონება.  
 ჩვენ იმ ბედნიერ

ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი  
 ყრმას რომ ეკუთვნის.  
 მსოფლიოს სიყრმეს  
 გაუმარჯოს,  
 მთვრალს  
 მზის სიცილით,  
 ჩვენს ბებერ თბილისს  
 გაუმარჯოს,  
 მის სილაყვარდეს.  
 არც არასოდეს  
 არ ყოფილა  
 დედამიწა პრეზიდენტების,  
 დედამიწა ჩვენია,  
 ხალხის,  
 ჩვენ, ყველას, ყველას  
 ერთნაირად  
 მოგვეთხოვება...  
 შენც, რა თქმა უნდა,  
 ჩემო სამშობლოვ —  
 კარი ქალაქთა  
 უომრად რომ  
 გააღებინო.

რაც არ გაქვს,  
 შეიძლება  
 ყველაფერი ისესხო,  
 რაც არ გაქვს,  
 შეიძლება  
 ყველაფერი ითხოვო,  
 რაც არ გაქვს,  
 შეიძლება  
 ყველაფერი იყიდო,  
 სამშობლოს  
 ვერ ისესხებ,  
 სამშობლოს  
 ვერ ითხოვებ,  
 სამშობლოს  
 ვერ იყიდი.

16.

დღეს მოზარდები  
 ბირთვულ მუქარას,  
 ჩვენი თაობის  
 უთავობით მიყენებულ  
 კრილობად თვლიან,  
 მძიმე კრილობად.  
 თავის დღიურში  
 ბოსტონელმა  
 ერთმა ბიჭუნამ

ასე ჩასწერა:  
 „ჩემს ბავშვობას  
 განადგურება  
 არ უწერია,  
 რაც აღარა მაქვს  
 იმას როგორ  
 გაანადგურებთ?“

## 17.

ის მაინც მიდის,  
 საწინააღმდეგო  
 მიმართულებით.  
 გზებზე ხედებიან  
 ფრიად ბოროტნი,  
 ის მაინც მიდის,  
 ჭიუტად მიდის,  
 უცეცხლო მხარეს  
 და უწყლო მხარეს,  
 უმიწო მხარეს,  
 უმზეო მხარეს,  
 ახლის წყურვილით,  
 ახლის სურვილით.  
 მიდის მხნედ, ცოცხლად  
 და გულმოდგინედ.  
 — საითკენ, საით  
 ირინოლა,  
 ცას თუ უდაბნოს?  
 — ცისაკენ მივალ,  
 ახლიდან უნდა  
 გადავხურო,  
 დამპალია სახურავი  
 დედამიწისა.  
 — რაი გაქვს სარჩოდ  
 ირინოლა,  
 რაი გაქვს სარჩოდ?  
 — მკალი მაქვს და  
 თაფლი ველური...  
 არ შედრკე, შეილო,  
 დაო და დედავ,  
 ორმოცი დღე და  
 ორმოცი დამე...  
 შეხვალ ქალაქსა,  
 წმინდა ქალაქსა,  
 ქვანი ესე  
 პურ იჭმნებიან,  
 თუმცა,  
 წერილ არს —  
 არა პურითა,  
 პურითა ხოლო

ცხონდების კაცია რწმენით,  
 ო, იქნებ, რწმენით,  
 ო, იქნებ, ივეით,  
 ის მაინც მიდის,  
 ჭიუტად მიდის.  
 იქნებ, ღვთიშობლის  
 სანატრელი  
 გზა არის იგი,  
 რომლითაც მიდის...  
 ნუ შეაჩერებთ,  
 ვის გაუყვია  
 მარტოობა  
 ვარსკვლავებისგან?  
 დღეც ანათებენ  
 ვარსკვლავები  
 მარტოობისა.

## 18.

არის მსოფლიო,  
 მტრობის, გმობის  
 და უწმინდობის,  
 არის მსოფლიო,  
 ქნარის, ზვარის,  
 გულისმიმნდობის,  
 ადექ ცისკრად  
 და ქვეყანას  
 იყავ მკვიდრობით,  
 დილა მშვიდობის,  
 გზა მშვიდობის,  
 მოხველ მშვიდობით.

## ვაილოგი

სიციცხლეში  
 შეუცდენლად,  
 სიკვდილში ხომ  
 შენთანა ვარ,  
 შენთან უნდა  
 ერუსთველად,  
 შენთან უნდა  
 ეთამარად.  
 მეცოდება —  
 ჰგავს ხეიბარს  
 ვინც შენს გულში  
 ვერ დაიწვია,  
 რა ლამაზი  
 სახელი გაქვს —  
 დედამიწა,  
 დედა-მიწა.



# აღსარება ანუ პროფესორი სორდია

მოთხრობა

პატივცემულო მეგობარო! თქვენს წერილში მთხოვთ, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიისათვის მოგაწოდოთ „დამატებითი ცნობები ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ქართველი გენეტიკოსის პროფესორ ალექსანდრე ეპიფანეს ძე სორდიას შესახებ“.

პირვლი ის უნდა მოგახსენოთ, რომ შედარებით გვიან გავეცანი თქვენი მომართვის შინაარსს — ჩემი მოხუცებულობის გამო ამ შემოდგმაზე ვეღარ შევძელი სოფლიდან ქუთაისში დროზე ჩამოსვლა, თუმცა თქვენი ბარათის მიღება შვილიშვილებმა ადრევე მაცნობეს. ამიტომ დამიგვიანდა პასუხი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე.

მეორე ის უნდა ვთქვა, რომ ბარათში ნახსენები „დამატებითი ცნობები“ გულისხმობს თქვენს განკარგულებაში რაღაც ძირითადი ცნობების არსებობას. რას მოიცავს თქვენი ძირითადი ცნობები, მე არ ვიცი, თუმცა ვვარაუდობ, რომ თქვენს ხელთაა ჩემი ძმის პირადი საქმე, უნივერსიტეტის არქივში რომ ინახებოდა და ალბათ კიდევ იმავე უნივერსიტეტის სათანადო კათედრის მიერ წარმოდგენილი მასალა.

შესაძლებელია, თქვენს ხელთაა აგრეთვე ჩემი ძმის ის ორიოდ წერილი გენეტიკის საკითხებზე, ქართულ პრე-

საში რომ გამოქვეყნდა ოცდაათიან წლებში, აგრეთვე მოსკოვის ფილოსოფიურ ჟურნალში დაბეჭდილი რამდენიმე მოზრდილი სტატია იმ პერიოდისა, როცა აღნიშნულ საკითხებზე გაცხოველებული კამათი გაიმართა.

ვეჭვობ, რომ გერმანიისა და ამერიკის შ. შ. ჟურნალებში გამოქვეყნებული მისი წერილები გქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, გეცოდინებათ მისი ყველაზე ცნობილი წიგნი „ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის საკითხები“, პირველად რომ მოსკოვში 1947 წელს გამოიცა, ხოლო მეორედ — იქვე, ოცი წლის შემდეგ.

და. ბოლოს, ისიც უნდა ვთქვა, რომ საკმაოდ დავუძლურდი — წელს სამოცდამეცხრამეტეში გადავდექი, წერა საკუთარი ხელით მიჭირს (ხანდახან შვილიშვილებს ვეარჩახობ), თანაც მალე ვიღლები. და თუმცა მეხსიერება ჭერ თითქოს არ მღალატობს, მაინც ვთხოვთ, ფრთხილად მოეკიდოთ ქვემოთ ნაამბობს ჩემი ძმის შესახებ — იქნებ ჩემი ბებრული საუბარი ვერ გაიგოთ, ან, შეიძლება, გვარები ამერიკის, ან თარიღი ვერ გავიხსენო, ხომ შეიძლება მიკერძოებულიც ვიყო — და მხოლოდ გადამოწმების შემდეგ, თუ ამის საშუალება გექნებათ, დანიშნულებისამებრ გამოიყენოთ.



ეს არის სულ, რის თქმაც წინასწარ მინდოდა.

გარდა ამისა, ჩემი ძმის სახელზე ზრუნვისათვის მინდა მადლობა მოვახსენო ქართული ენციკლოპედიის ხელმძღვანელობას, მის ყველა მუშაკს. თქვენთვისაც კარგად ცნობილია, რომ, სამწუხაროდ, დღეს ჩემი ძმა და მისი ნამოქმედარი წარსულს ეუთუნის, მაგრამ, მოგეხსენებათ, წარსული დღესაც ცოცხლობს და დღევანდლობა მომავალშიც იჩენს თავს. გონიერი ადამიანიც ზომ მას ჰქვია, ვინც ამ უბრალო ჰემპარიტებას ითვალისწინებს და ისე მოღვაწეობს, რომ არც ერთი ავიწყდება; არც მეორე და არც მესამე. და, ვგონებ, თქვენი ერთ-ერთი საზრუნავი სწორედ ეს არის — მიაწოდოთ ხალხს უტყუარი ცნობები იმაზე, რაც იყო წარსულში და რაც არის დღეს, რომ საშუალება მისცეთ შეძლებისდაგვარად განპვიტოს ის, რაც იქნება მომავალში...

ანლა კი დავიწყებ ჩემს ამბავს, უფრო სწორად — ჩემი ძმის ამბავს...

მე და ჩემი ძმა ალექსანდრე დავიბადეთ 1900 წლის 16 იანვარს იმ დროს ცნობილი ქუთაისელი კომერსანტისა და ქველმოქმედის ეპიფანე სორდიას ოჯახში.

ოდესღაც ყმაწვილკაცობაში მამაჩვენი სამეგრელოდან ქუთაისში მოხვედრილა. რა მიზეზით წამოსულა (თუ გამოქცეულა) სამეგრელოდან, ჩვენთვის, ბავშვებისათვის, არასოდეს არ უამბუნია. ვეგვობ, რაიმე საკომპანო საქმეში ზომ არ მონაწილეობდა — ბუნდოვნად მახსოვს დედაჩვენის ერთხელ გამოთქმული საყვედური მამის მიმართ, ნათესავებს რატომ არიდებ თავსო... შემდეგ საეპურო საქმეში ჩამდგარა, ბუნებრივი ნიჭისა და ენერჯიის წყალობით მალე სახელიცა და ჭონებაც მოუხვეჭია. უკვე ჩვენი დაბადების დროს მამინდელი მჭედლების ქუჩაზე ორსართულიანი ქვიტკირის სახლში გვხოვრობდით (ანლა რომ ოთხი ოჯახი ცხო-

ვრობს და წინათ რექსაბალოსნო ტექნიკუმი იყო), რომლის ქვიტკედლებოს კიდე რიონის მაღალ ნაპირს ებჯინებოდა (ახლა ცოტა აკლია იმ ეზოს, რიონმა ჩამოაჭამა თანდათან, შემდეგ კი ქვიტკირის კედლით გაამაგრეს).

დედაჩვენი ტასო, მამაზე თითქმის თერამეტრი წლით უმცროსი, ვანელი ლორთქიფანიძის ქალი იყო. ის მშობლების ლოცვა-კურთხევის გარეშე გამყალიბდა მამაჩვენს, რაც მამინდელს სსსკანდალო ამბავად ითვლებოდა (ანლა კი სასაცილოდაც არავის ეყოფა). დედაჩვენის ნათესავებიც თითქმის არ დადიოდნენ ჩვენთან. მხოლოდ ბაბუას, სპირიდონ ლორთქიფანიძეს, უყვარდა აუხსნელი სიყვარულით ჩემი ძმა ალექსანდრე, რომელსაც სანდროს ვეძახდით. სანდრო მის გაზრდილად ითვლებოდა, რადგან გიმნაზიამდეც წლობით ცხოვრობდა ბაბუასთან, ხოლო განსწავლის წლებში ყოველ ზაფხულს მასთან ატარებდა.

აუხსნელი სიყვარულით უყვარდა-მეთქი რომ ვთქვი, ისე არ გამიგოთ, თითქოს ბაბუას სიყვარული შვილიშვილისადმი მართლაც „აუხსნელი“ მეგონოს. არა, უბრალოდ, ბაბუაჩვენი საკმაოდ მკაცრი ხასიათით გამოირჩეოდა, ბებიას დედაჩვენისა და სხვა ნათესავების მიმართაც ცოვად ეჭირა თავი, მგონი არასოდეს გაუღიმიდა, გულიან სიცილზე რომ აღარაფერი ვთქვა, ეზოში სულ ჯოხმომარჯვებული დადიოდა, ძალი მას ვერ მიუაღერებდა და ქათამი ვერ მიეკარებოდა. თანაც ნამეტანი ფიცხი იყო. ნასადილევს რომ ბაბუა დაიძინებდა, მეზობლებიც კი ერთმანეთს აჩუმებდნენ, რადგან ახსოვდათ: ერთხელ ბაბუა ვიღაც გლეხს გამოვარდნია ნამძინარევი, ნიფხვისამარა და მიუბეგვია ის კაცი, მეზობელს რომ ხმამაღლა უბოძდა.

სანდროს მიმართ კი ბაბუა სპირიდონი უცნაურად დამთმობი იყო: დღისით გვერდითაც იწვენდა, ზღაპრებსაც უამბობდა, წერა-კითხვასაც ასწავლიდა დიდი მოთმინებით. უნებურადაც რომ

გაელემებინა სანდროს, გაწყრომის მაგირად აკოცებდა, რაც უნდა ეცელებოდა, აპატიებდა. აი მაგალითები: ერთხელ ხუთი წლის სანდროს ტანზე დალაგებული თოფ-იარაღიდან (კედლის ნიში გასაფერთხად ჰქონდათ გატანილი და ბაბუას იარაღი ჩამოეხსნა) აურჩევია სწორედ ბაბუას საყვარელი, რუსეთ-თურქეთის ომიდან მოტანილი, სულ ვერცხლით მოჭედული ძველებური თოფი, ოთახიდან გაუთრევეია (ბაბუა სადღაც გასულიყო), კიბეზე ჩაუხრავინებია და კიშკრის წინ რომ წყლით ავსებული ორმო ყოფილა, იქ ჩაუგდია... არავითარი გაწყრომა, მთელ იმ დღეს თოფის წმენდით გართულ ბაბუას შვილიშვილი წინ ევდა და უღიმოდა. ერთხელ, ბაბუას რომ დღისით ეძინა, სანდროს მაღალი მაგიდიდან მისი ოქროს საათი ძეწვეით დაუთრევეია, გარეთ გაუტანია და ქვით ნაყვას შედგომია... სანდროს ამგვარ ოინებს ფიცხი კაცი კი არა, მშვიდი და გულთკილიც უსიტყვოდ და გაუჭავრებლად ადვილად ვერ აიტანდა, ბაბუა კი სწორედ ასე მოქცეულა: სანდროსთვის ლოყაზე ღიმილით ხელი მოუთათუნებია, თავზე უკოცნია და უთქვამს — „ამ ბიჭს ისეთი თვალები აქვს, ვერ გავუწყობი“.

მიუხედავად თავისი მკაცრი ხასიათისა, ან სწორედ ამის გამო, ბაბუა კარგი მეურნე ყოფილა. მასავეთ მოვლილი კარმიდამო, ყანები და ვენახები იმ მხარეს იშვიათად თუ ვინმეს ჰქონია. დროებით ვალდებული გლეხებიც ჰყავდა და ქირაობდა კიდევ მოჭამაგირებებს.

„გლეხი ხარ და გლეხებით იმუშავე, შე შამაძილოო“, — სიყვარულით ეუბნებოდა ბაბუა სანდროს და პატარა ბიჭს თოხნის, ბარვისა და ხეხილის მყნობის ხელოვნებას ასწავლიდა. შემდეგ ხშირად უთქვამს ჩემთვის სანდროს, სპირიტონ ბაბუა და მისი ხეხილიანი კარმიდამო რომ არ ყოფილიყო, იმდენი ზე და ბუჩქი რომ არ დამემყნა და მყნობის შედეგს ბაბუას ხელმძღვანელობით წლობით რომ არ დაგკვირვებოდა, ვეპეობ, გენეტიკის საკითხე-

ბით ოდესმე დაინტერესებულყავიო. მე და სანდრო ტყუამბო (ტყუამბო) (მეცოტა ადრე გაჩნდი), ამიტომ, როგორც ყველა ტყუას, იშვიათი სულიერი აბლობლობაც გვაქვს მირება.

დიდი ოჯახი იყო ჩვენი ოჯახი, შვიდი და-ძმანი ვიყავით (დღეს მხოლოდ მე ვარ ცოცხალი...).

ჩვენს ოჯახში კარგად შეირწყა მეგრულ-იმერული ტრადიციები: საკმელი (უცხოეთში სანდროს სულ ჩვენებურად შექმავული ლობიო, მეგრული სულგუნი და ცხელი ღომი ენატრებოდა თურმე), ენა (მამამ დედაც გაწაფა მეგრულში, ჩვენ კი ბავშვობაში სულ მეგრულად მოგვემართადა — არ დავიწყებდეთო), ზრდილობა, ერთმანეთისათვის თავდადება, სტუმრის განსაკუთრებულად შიღება-გაცილება, ხელგაშლილი ქველმოქმედება.

ჩვეულებრივი ბავშვობა გვქონდა. ნამდვილ ქუთათურებად ვიზრდებოდით. ეს კია, რომ ბევრ სხვასავეთ არ გვიკირდა, მდიდრებად ვითვლებოდით (და ვიყავით ალბათ), მაგრამ ამ გარემოებას არც ხელი შეუშლია ჩვენი ბავშვური ცხოვრებისათვის და არც არაფერი გამოგდგომია განსაკუთრებით. ადრეულ ბავშვობას რომ ვისხენებ, უმეტესად ეს მახსოვს:

მე და სანდრო ფეხშიშველნი ვართ ეზოში, ხან უზარმაზარ, მზისგან გახურებულ ლოდზე ვსხედვართ, ხან ბუჩქებში დავძვრებით და ერთმანეთს გავკვივით; ეზოს გადღმა მომდინარე რიონი მაგნიტივით გვიზიდავს და გვაშინებს კიდევ — დღევანდელისაგან განსხვავებით, მაშინ ქალაქში ზომ ნამდვილი, დიდი რიონი მოდიოდა...

ცურვა ადრე ვისწავლეთ, მაგრამ აღიდებული რიონი პირდაპირ თავზარს გვცემდა... თევზაობა, რიყზე ტანტალი, სხვის ხეხილში გადაძრომა (ჩვენი არ გვაკლდა, მაგრამ...), ქუთათისის ცხელქარიან და მტვრიან ქუჩებში ხეტიალი, ბულვარი (ჩვენ ვამბობდით — „ბულვარდი“), გოროდოვოი, ეტლები, ურმები, რაკველების ჩამოსვლა საჯავ-

როდ, ეკლესია (მამაც და დედაც გულწრფელი მორწმუნენი იყვნენ), არქიელის გორა, მწვანეყვავილა, გაბაშვილის გორა... საბანაოდ წყალწითელაზე დავლიოდით, ხილთან მორბევი იყო ერთი... ვთამაშობდით ოთურმას, რიკტაფელას, ლელოს...

ასეთი უმნიშვნელო ამბავი მახსენდება:

ერთხელ ბიჭები ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებში ვთამაშობდით. მზე რომ ჩავიდა, მოგვშოვდა და სახლებისკენ გავიკრიფეთ. ჩვენ ჭიშკარს რომ ვუახლოვდებოდით, უკან მოვიხედე — სანდრო არსად იყო. ყოველთვის ნელი სიარული იცოდა, სულ ბოლოში მოჩანჩალებდა, ხან რაღაცას დაუწყებდა ჭვრეტას, ხან თავჩაღუნული ფიტრობდა ოლმე. დავეუბლი-მეთქი, ვფიქრე და ჭიშკრის წინ ხეს მივეყუდე. ვუცდი, ვუცდი, არ ჩანს. მშოიდა და გავბრაზდი. ვერ გადამეწყვიტა, შინ შევსულიყავი თუ სანდროს საქებნად გავტყუულიყავი. შინ მისვლა უსანდროოდ ცოტა შემეშინდა, უკან გავიქეცი და ვხედავ: დგას სანდრო ქუჩისპირა ბუჩქებში და გივივით ხელებს იქნევს. როცა შორიდან შევძახე, რას სჩადი-მეთქი, ერთი შეკრთა, შედგა და ანჩხლად მიყვირა: არ მომიახლოვდე, არ დამიფრთხოთ! გავჩერდი და ვუყურებ: ტრიანლებს სანდრო ადგილზე და ჰაერში ხელებს იქნევს — რაღაცებს იჭერს. რას იჭერ-მეთქი, დავეუბნე ისევ. არაფერსო, მიპასუხა და ბუზღუნით წამოვიდა ჩემსკენ. დღესაც არ ვიცი, რას იჭერდა... რად იმახსოვრებს ადამიანის გონება ამგვარ უაზრო ამბავს, ხოლო მართლაც მნიშვნელოვანი სამუდამოდ დავიწყებული აქვს? რაღაცის სიმბოლოსავით შემომჩანა ეს სურათი: პატარა სანდრო გზისპირა ბუჩქებში ტრიანლებს და თავსუხვით ვატაცებთ იჭერს... ჰაერს!

და-ძმა რომ გავვიჩინა, ჩვენი თავისუფალი ცხოვრება თანდათან შემოიფარგლა. ჯერ და მოგვევლინა—სოფიკო, — მერე — ძმა ვლადიმერი ანუ

ლადი (ლადო მესხიფერლიძე პატარავა-ცემად დაარქვეს), მერე კი — მამა — ილიკო, შემდეგ — ერთმანეთის მიყოლებით — დები: ანიკო და ნინო. ასე რომ გამარავლდნენ და მერე წამოიზარდნენ, ბავშვური ინტერესი უკვე შინ გავვიჩინა და უმეტესად ჩვენი ეზოთი და აივნით ვკმაყოფილდებოდით.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩვენი მშობლები გულწრფელი მორწმუნენი იყვნენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ეკლესიაში აღამებდნენ და ათენებდნენ. რელიგიისადმი დამოკიდებულება თავისებური იყო. მაგალითად, ჩვენს ოჯახში ყოველთვის აღინიშნებოდა აღდგომის, შობისა და ნათლისღების დღესასწაულები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი მშობლები აღდგომას ანიჭებდნენ. აღდგომის დამის წირვას არასოდეს ვაცდენდით. სანამ პატარები ვიყავით, ეკლესია თითქოს დიდ გავლენას ახდენდა ჩვენი ნორჩი სულებისთვისებზე, მაგრამ რომ წამოვიზარდეთ, მან თითქმის დაკარგა იღუმალის მიზიდველობა. არ ვიცი, საერთოდ ქართველები ვართ ასეთნი, თუ ეს მხოლოდ ჩვენი ოჯახისათვის იყო დამახასიათებელი. გიმნაზიაში ლოცვებისადმი სრულიად გულგრილნი ვიყავით — მხოლოდ ფორმალურად ვასრულებდით. გიმნაზიის მესამე კლასში ხანდრომ საიდუმლოდ გამანდო, რომ ათეისტია, მე არ გამეკვირვებია და არც შემიცხადებია. მშობლებიც არ გვერეკებოდნენ ეკლესიაში. საერთოდ იმ ხანებში ერთგვარი გულგრილობა შეიძინეოდა რელიგიის მიმართ (არ ვიცი, რატომ), უმეტესობა მხოლოდ მაშინ ვაიხსენებდა, როცა რაიმე ოფიციალური ამბავი ხდებოდა: ნათლობა ან პანაშვიდი, კურთხევა ან ქორწინება. ამიტომ რელიგიური პრობლემა ჩვენს წინაშე, რაც უნდა გაიკვირვოთ ეს დღეს, მაშინ არც მდგარა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ოჯახის წინაშე. ისე კი, შინ ხატები ჰქონდა დედას და მათ წინ ყოველთვის ერთი მცირე ლამპარი...

სანდრო და მე ბავშვობაში საკმაოდ

ჭერა ბიჭები ვიყავით (მამასავით), მხოლოდ შემდეგ მოგვეჩინა შავტუხობა (განსაკუთრებით მე), სანდრო თანაც ცისფერთვალეა იყო და ისეთი უმწიკვლო (და ცოტათი უმწეო) გამოხედვა ჰქონდა, მაშინვე იფიჭრებდი, ეს ბიჭი ტყუილს არასოდეს იტყობდა.

მართლაც ასე იყო:

ბაბუას თოფი რომ წყლიან ორმოში ჩააგდო, თვითვე აღიარა და მიიყვანა კიდევ ბაბუა დანაშაულის ადგილზე — აი, აქ არისო. თანაც ახსნა, თოფის მუშინოდა, ღამ-ღამობით მელანდებოდა, რომ ვიღაც მიმიზნებდა. ხოლო როცა ჰკითხეს, საათს რატომ ნაყავდიო, გულწრფელად უპასუხა თურმე: ისე ხმა-მალა წიკწიკებდა, შემეშინდა, ბაბუა არ გააღვიძოსო. ამიტომ დანაყვა იყო საჭიროო? სხვანაირად ვერაფრით ვერ გვაჩუქებო, ისე მიაშობდა უპასუხნია პატარა სანდროს, რომ ყველამ ირწმუნა მისი ნამოქმედარის კეთილი მიზანი...

სახის იერიით მე უფრო დედას ვგავდი. ჭერ მე ვჯობდი სანდროს სიმაღლით, შემდეგ დამეწია და გამასწრო კიდევ. წაბლისფერი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი, მაშინდელი მოდის მიხედვით პატარა წვერ-ულვაშს ატარებდა. მეც მალალი ვიყავი (ახლა მოვიხარე ორად!), მაგრამ სანდრო სიმაღლეშიც მჯობდა. ერთხელ ბავშვობაში მეზობლის ქასთან დავეცი და ცხვირი ქვას დავკარი. ცხვირი თანდათან მომელუნა და საკმაოდ კეხიანი გამიხდა (მე იმ დაცემას ვაბრალებდი!). სანდროს ბოლომდე შერჩა ჩამოქნილი „მეგრული“ ცხვირი — გასაბრაზებლად რომ ვეტყოდით ხოლმე დამეხები. თუ სანდრო ჭერ ბაბუა სპირიდონის და მერე მამის საყვარელი ბიჭი იყო, მე უფრო დედის ბიჭი ვიყავი.

ორიოდე სიტყვას ჩვენს მშობლებზედაც მოგახსენებთ (გენეტიკაში ასე თუ ისე ჩახედულმა კაცმა ახლა, სიბერეში, მაინც მინდა გავიაზრო, თუ რა გენები გადმოგვეცა ჩვენი დედ-მამისა).

როგორც ვთქვი, მამაჩვენი დიდი

ენერგიისა და გამჭრიახი გონების კაცი იყო, მოსვენება არ ეტოვდა. ჩვენ რომ ქუთაისში გვეგონა, ხან ფოთში აღმოჩნდებოდა, ხან ბათუმში, ხან თბილისში და ხან კავკავში, სპარსეთშიც დადიოდა და თურქეთშიც (მაშინ ეს სულ ადვილი იყო), რამდენჯერმე ყოფილა პეტერბურგში, ვილნოსა და ვარშავაში. სავაჭრო საქონელი რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალი ფირმიდან მოსდიოდა. ვაჭრობდა ძირითადად ფართელეთით (მანუფაქტურა), აბრეშუმის, შალისა და ბამბის ქსოვილებით. ბოლო დროს ტყავის მზა ნაწარმზეც გადავიდა, მან შემოიტანა პირველად დასავლეთ საქართველოში ტყავის პალტოები და ეგრეთ წოდებული „ტუტუჩკები“. ბოლო წლებში, როცა მომხმარებელი გამრავლდა, რეზინის ნაწარმიც შემოიტანა — ჩექმები, ბოტები, კალოშები. რამდენიმე მაღაზია ჰქონდა ქუთაისსა და მის მხარაში, თითო ბათუმსა და ფოთში, ფილიალებითურთ სხვადასხვა სოფელში (ხონში, სამტრედიასში, ყვირილაში, ჭიათურაში, სენაკსა და მარტვილში), „ფილიალები“, ცხადია, გადაქარბებია, ჩვეულებრივი დუქნები იყო. ომის წინა წლებში საკმაოდ ცნობილი გახდა „უბიფანე სორდიას სავაჭრო ფირმა“, რომელიც თბილისში განთქმულ ფორაქიშვილების სავაჭრო სახლსაც უწყვედა ზოგჯერ ერთგვარ კონკურენციას.

მამაჩვენი მკაცრი წესრიგის კაცი იყო, არასოდეს არ დაარღვევდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ, დღევანდელი გამოთქმა რომ ვინმარო, „დღის რეჟიმს“. შინ ყველაზე ადრე ის დგებოდა, მოივლიდა ოთახებს, ეზოში გავიდოდა და ყველაფერს გულდასმით დაათვალიერებდა. მცირე საუზნის შემდეგ კაბინეტში თავის საწერ მაგიდას მიუჭდებოდა (ის მაგიდა ახლა ქალაქის აღმასკომში უნდა იდგეს, გასული საუკუნის ერთი რუსი ოსტატის საუცხოო ნახელავია). ყველა მნიშვნელოვან საქმიან ქალაქს ქართულად და რუსუ-

ლად მამა თავისი ხელით, მეტიდ ნათელი და სადა ასოებით წერდა.

ათი საათისათვის მოვიდოდა გენოლოლობერიძე, გიმნაზიადამთავრებული ოციოდე წლის ყმაწვილი, რომელიც უჩვეულო ბოხი ხმით და სუსტი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა (გენო ჩქარა გარდაიცვალა, ამ ფაქტმა ბავშვებს პირდაპირ თავზარი დაგვცა, შემდეგ სხვა „კლერკი“ დადიოდა, მაგრამ ჩვენ სწორედ გენო ჩაგვრჩა გონებაში — გამხდარი, ცვილისფერი სახის უწყვეტად კაცი, ხმა ყელიდან კი არა, უფრო სიღრმეიდან, მუცლიდან რომ ამოსდიოდა). მამის ხელმძღვანელობით გენო საბუთებს სათანადოდ გადაათეთრებდა თავისი „პისარსკი პოჩკით“.

საუბრის შემდეგ (რომელსაც ჩვენთან ერთად გენოც მიერთმევდა), საათის თერთმეტზე მამა სახლიდან გადიოდა. ჩვენ არს „ვიზიტებზე წასვლას“ ვეძახდით. იავეს მალაზიებში მამა არასოდეს არ შეიხედავდა, თითქოს იქ მას არაფერი არ ეხებოდა და არც აინტერესებოდა. არც ჩვენ ვყოფილვართ იქ არასოდეს (აქრძალული გვექნადა მამის მიერ) და არც დედა. იქ სხვა სამყარო იყო.

სხვებისგან ვიციოდით, რომ იმ მალაზიებში განსაკუთრებული წესრიგი სუფევდა — მაშინ ხომ არ ყოფილა ზომა-წონაში მოტყუების პრაქტიკა (ეს ხელადვე სახელს გაუტეხდა „ფირმას“ და კონკურენტებს გაახარებდა) და მთავარი ყურადღება მყიდველთა მოზიდვას, მათ ზრდილობიან მომსახურებას, „ფირმის“ პრესტიჟს ექცეოდა. შინ ყური მოგვიკრავს მამის სიტყვებისათვის, დედას რომ ეუბნებოდა ვაჭრობის ევროპული წესების დანერგვის აუცილებლობაზე, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ თავის სავაჭრო საქმეებზე მამა შინ, მითუმეტეს ჩვენი თანდასწრებით, არასოდეს არ ლაპარაკობდა, მისი ეს ნათქვამი შემთხვევით გავიგონეთ მე და სანდრომ და შემდეგ ვიმსჯელებთ, თურას ნიშნავდა „ვაჭრობის ევროპული წესები“.

რაიმე დანაშაულში შემჩნეულს უბატონოსო და უზრდელად მოკვებისადმინისტრატორებისა და „ფირმის“ სხვა ამგვარ მუშაკთა მიმართ მამა მეტიდ მკაცრი ყოფილა. სამსახურიდან გათავისუფლებული ზოგიერთი მათგანი ზოგჯერ დედასთან მოსულა პატიების სათხოვნელად, მაგრამ დედა, ჩვენს მახსოვრობაში, მამის საქმეებში არასოდეს არ ჩაერეულა. სამაგიეროდ, მამა თან გადაჰყვებოდა ვაჭორებებაში ჩავარდნილ ერთგულ და პატიოსან თანამშრომელს, ხელსაც გაუმართავდა, სახლშიც მიაკითხავდა და შემდეგაც არ ივიწყებდა (ჩვენ მაშინ გვეგონა, რომ მამა ყველას ჩვენსავით უყვარდა, თანამშრომლებსაც და ნაცნობ-მეგობრებსაც).

ორი-სამი საათისათვის მამა აუცილებლად შინ მობრუნდებოდა და იწყებოდა „ხალხის მიღება“. მოდიოდნენ „საქმის კაცები“, ქართველები, რუსები, ზოგჯერ უცხოელებიც, იმართებოდა სჯა-ბაასი, რომელზედაც არც დედას და არც ბავშვებს არასოდეს არ გვასწრებდნენ. ზოგიერთი სტუმარი სადილადაც რჩებოდა, იშლებოდა „სასტუმრო სუფრა“ ზალაში. არც ამგვარ სადილებზე გვასწრებდნენ ბავშვებს, დედა გადიოდა ხოლმე ცოტა ხნით.

კვირაობით ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენელთა მიღების დღე იყო. იმ დღეს ჩვენც სტუმრებში გავერეოდით ხოლმე. მოდიოდნენ ქალაქის მმართველობის ხმოსნები, ბანკის მოსამსახურენი, ქართველი ოფიცრობა, ადგილობრივი მწერლები, პოეტები და არტისტები, ქართული გიმნაზიის მესვეურნი ოსტედი ოცხელი და სილოვან ხუნდაძე, ექიმი ნაზარიშვილი, ქურნალ-გაზეთების თანამშრომლები, თბილისიდან ჩამოსული პოეტები და მსახიობები. ოც-ოცდახუთ სტუმარზე ნაკლები არ მახსოვს, მაგრამ ამ რიცხვსაც დიდად არ აჭარბებდა. იყო მეტიდ მხიარული დროსტარება, პოეტების გაჯიბრება, ერთმანეთის გათამაშება, გრამაფონის მუსიკა, გიტარა, ნარდი, კარტი, ქადრაკი. მამა მხოლოდ ნარდსა და ქა-

დრაკს თამაშობდა, არც სვამდა — მთელ საღამოს სარაჯიშვილისეული კონიაკის ერთ მომცრო ჭიქას იმყოფინებდა, სამაგიეროდ, გიტარაზე უკრავდა და მღეროდა დედასთან ერთად. სხვათა შორის, პირველად ჩვენ ოჯახში გავიგონეთ შემდეგ განთქმული ახალგაზრდა დები იშხნელების სიმღერა...

ამგვარ საღამოებზე აკაკი წერეთელიც გვწევდოდა (აკაკის იუბილეზე ქვემოთ ვიტყვი), ბუნდოვნად მახსოვს ვაჟა-ფშაველას ჩამოსვლა, ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძეც ყოფილა, გიორგი ზდანევიჩიც მოსულა, კიტა აბაშიძესაც შემოუხედავს. მაგრამ ჩემს გონებაში ეს ფაქტები როგორღაც წაშლილია (სანდროს ახსოვდა კარგად), სამაგიეროდ, რა დამავიწყებს იმ ერთ საღამოს, როცა გახურებული ქეიფის დროს უტერად დიდებული სიმღერით შემოვიღუნენ პავლე იაშვილი და მისი ამხანაგები... ამგვარი წვეულება, ერთიორი გამონაკლისის გარდა, დიდხანს არ გრძელდებოდა, ჩვეულებრივ, თორმეტი სა თისათვის სახლში სიჩუმე სუფევდა ხოლო ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ღუდის ან მამის ერთი მეტყველი შემოხედვაც კმაროდა, რომ ცხრა საათზე (ზაფხულობით ათზე) ზალიდან უსიტყვოდ გავკრეფილიყავით და საძინებელი ოთახისათვის მიგვეშურებიან.

არჩეული მიზნისაკენ ჯიუტი სწრაფვა და, ახლა რომ ამბობენ, შინაგანი მობილიზების უნარი, სანდროს უეჭველად მამისა ჰქონდა, ხოლო საოცარი სულიერი სისპეტაკე, გულჩვილობა და ერთგვარი მიამიტობა, ჩანს, დედისაგან დაჰყვა. ეს იყო მისი ცისფერი თვალებიდან გამონაშუქი ვაკეირვებისა და, ამავე დროს, შეცნობის წყურვილი, ყველა მისთვის უცნობ საგანსა თუ მოვლენას რომ ეფინებოდა. უცნაურად მგრძნობიარე გული ჰქონდა...

აქ, სანამ დედაზე ვიტყვოდ, კიდევ ერთი ადამიანი უნდა ვახსენო მამასთან დაკავშირებით. ეს ადამიანი ვახლავთ მოსე კულაშელი, როგორც ჩვენ მას ვეძახდით, ქართველი ებრაელი, მოხუ-

ცი და ბრძენი ადამიანი, როგორც გვარი, სამწუხაროდ, მაშინ ვაგვიჩვენეს ვერ ვიცოდით, შემდეგ კი, როცა გავიგეთ, მასთან, იმ გვართან ვეღარ დავაკავშირეთ ჩვენს გონებაში აღბეჭდილი ადამიანის ხატი, ამიტომ ჩვენთვის იგი სამუდამოდ მოსე კულაშელად დარჩა.

ხდება ხოლმე ასეც:

ჯერ გარეგნობა:

რამდენადაც მახსოვს, ეს იყო კაცი ახოვანი, ალბათ საქმაოდ დიდი ხნისა (დაახლოებით იმ ხნისა, მე რომ ვარ ახლა), თეთრი გრძელი წვერით შემკობილი, მეტად ხშირი წარბებით, მთლად რომ გათეთრებული არ ჰქონდა, და საოცრად მეტყველი გრძელი თითებით. როცა ბატონი მოსე (ასე მიმართავდა მას ჩვენი დედა-მამა), ღრმა სავარძელში ჩაეშვებოდა და ხელებს, ჩვეულები-სამებრ, მუცელზე დაიწყობდა, ჩვენ, ბავშვები, მის სახეს კი არა, იმ ხელებს ვუცქერდით, რადგან არა მხოლოდ თითების, არამედ ხელის მტკვნის მოძრაობაც ისეთი მეტყველი ჰქონდა, რომ, სანამ ხმას ამოიღებდა ბატონი მოსე, სანამ იტყოდა პოს თუ არას, სანამ ვაკეირვებას, კმაყოფილებას, უკმაყოფილებას თუ უბრალო ყურადღებას მზერით ან სიტყვით გამოხატავდა, ისე შეათამაშებდა თითებს, ისე გამომსახველად გაშლიდა ან შეკუმშავდა, თითქმის ყოველთვის გვეგონა, რომ აი, იმ თითების მოძრაობით უკვე წინასწარ მივხედით, რას იტყოდა ამჟამად ბატონი მოსე, მაგრამ ყოველთვის ვცდებოდით!

მეტად გვიტაცებდა იმ თითების თამაში და ყოველთვის მოულოდნელი კონტრასტი მათ მიერ გამოხატულსა და მოხუცის ნათქვამს შორის. ალბათ ამ ამბის გავლენით იმ ხანად მე და სანდრო ასეთმა თამაშმა გავგიტაცა: თითებისა და ხელის მოძრაობით, სახის მიმიკით თუ თავის დაქნევით დასტურის ნიშანს გამოვხატავდით, ხოლო სიტყვით — უარყოფას. მეტად ძნელი შესათავსებელი იყო ეს და ერთმანეთის შემყურე ხშირად სიცილით ვიჭაპებოდით...

ჩვენ კარგად არ ვიცოდით, რა აკავშირებდა ბატონ მოსესთან წარსულში მამას, ვიცოდით მხოლოდ, რომ ყოველთვის უღრმესი პატივისცემით და ყურადღებით ეპყრობოდა. და, როცა თვეში ან ორ თვეში ერთხელ ბატონი მოსე კულაშიდან ჩამოვიდოდა, იმ დღეს ჩვენი სახლის კარი ყველა სხვისთვის დაკეტილი იყო. მამა და ბატონი მოსე კაბინეტში ჩაიკეტებოდნენ, მათი საუბარი სამ-ოთხ საათს გრძელდებოდა, შემდეგ ერთად ვსადილობდით და იგი მისთვის საგანგებოდ დამზადებულ კერძებს მიირთმევდა.

ზოგჯერ გვესაუბრებოდა ბავშვებსაც და დედაჩვენსაც, გვესაუბრებოდა დინჯად, სიტყვაძუნწად, მაგრამ ისე საინტერესოდ, რომ ჩვენც, მოსუვენარნი და ყურადღებადაფანტულნი, ჩვენც კი ვგრძნობდით, რომ სავარძელში ბრძენი მოხუცი იჯდა, რომელიც თავის ყოველ სიტყვას გამოზომილად, ზუსტად, თანაც ისეთი რწმენით წარმოსთქვამდა, რომ მათ მტერი მნიშვნელობა და შინაარსი ენიჭებოდა, ვიდრე სხვის მიერ ნათქვამ იმავე სიტყვებს.

ბატონი მოსე, როგორც ჩანდა, თვით უკვე აღარ ვაპრობდა, საში ვაფი ჰყავდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში (ერთი — ვარშავაში, რომელსაც დიდი ხნის შემდეგ, უკვე ოციანი წლების ბოლოს, სანდრო შეხვდა, მაგრამ ამის თაობაზე ცოტა ქვემოთ ვიტყვი), ისინი თუ უზაგნიდნენ ფულს, რადგან ერთხელ ბატონმა მოსემ დედასთან საუბარში როგორღაც თქვა: „შვილების პენციანზე ვცხოვრობო“.

მისგან გვსმენია მე და სანდროს ბევრი რამ ქართველი ებრაელების შესახებ, და, სხვათა შორის, ესეც:

„წაიკითხეთ, შვილებო, თქვენი ქართლის ცხოვრება, დასაწყისში ქართველებთან ერთად მცხეთაში ჩვენც ვართ ნახსენები, იქვე ვსაბლობდით, ზანავში. და ეს ოცი საუკუნეა, თქვენი ერთგულები ვართ, საქართველოა ჩვენი სამშობლო, აქაური ჰირი გვიჭირს და ლხინი გვიღვინს, ენაც თქვენი შევით-

ვისეთ და ზნეც, დაგენაცვლეთ. თუ ებრაელმა გიერთგულა, — ზრმა ვაგაგონით, ტანჯვით რომ სული ამოხადონ, სულ ისო-ასო რომ აქნან, ძალღებს რომ საჯიჯგნად მიუგდონ, არ გილალატებთ, არ ვაგყიდით. მამათქვენი დიდი კაცია, ეროვნული კომერსანტია და ბევრი კეთილი საქმის წამომწყები, ხელის გამმართავი, შემწე. მას მიბაძეთ ყოველთვის ცხოვრებაში, დაგენაცვლეთ“... და ჩვენც ვამაყობდით მამით...

ბატონი მოსე მამის მრჩეველი იყო ალბათ, ან ის ადამიანი, რომელმაც რამენაირად ხელი გაუმართა ახალგაზრდობაში, მისი საქმის დასაწყისში. სხვა მიზეზი მოსე კულაშელის ჩვენ ოჯახთან განსაკუთრებული სიახლოვისა ვერც სანდროს და ვერც მე ვერ მოგვეძებნა.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, დედაჩვენი მამაზე გაცილებით უმცროსი იყო. ჩვიდმეტი წლისა ოცდათხუთმეტი წლის კაცს გაჰყვა 1899 წლის ზამთარში. ჭვარი დაუწყებიათ ჩუმად (მგონი ხონში).

დღევანდელი თვლით რომ ვამოწმებ, უნდა ვაღიარო — დედა მამის აღზრდილი იყო უთუოდ. თუმცა ქვემო იმერულად ტყბილშობიარი ბოლომდე დარჩა, განსხვავებით მამისაგან, საგანგებო სწორქართულით რომ მტკიცელებდა, მაგრამ სხვა ყველაფერი — მიდრეკილება პრაქტიკული საქმიანობისადმი, მსჯელობის ლოგიკა, ერთგვარი შორსმჭვრეტელობა, ხაზგასმული უბრალოება, წოდებრივ პრივილეგიათა სრული იგნორირება (ერთი შემთხვევის გარდა, ჩვენ — მე და სანდროს — რომ გვეხებოდა) და მხოლოდ საკუთარ უნარსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობა, უეჭველად მამის მიერ ჩანერგილი ან შეუქმნველად მისგანვე შეთვისებული ჰქონდა.

მხოლოდ ერთს ვერ მოერიო დედის ბუნებაში მამის მტკიცე ხასიათი: იმ უცნაურ მელანქოლიას, რასაც დედა, ჩანს, თავისდაუნებურად, გარეგნულად სრულიად უმიზეზოდ, ზოგჯერ მიეცე-

მოლა ხოლმე. არ ვიცი, რა იყო ეს: დედა რამდენიმე დღით საგანგებოდ ჩაბნელებულ ოთახში ჩაიკეტებოდა და ჰერზე მზერამიტყენილი საათობით გაუნძრევლად იწვა. არც ლაპარაკობდა და არც კამლა, სრულიად მოწყდებოდა გარემოს. ვფიქრობ, გენეტიკურად გაპირობებული რაიმე აუხსნელი თვისება უნდა ყოფილიყო (ხომ იგივე დაემართა სანდროს თავის დროზე...).

მიუხედავად იმისა, რომ შვიდი შვილი გააჩინა, დედა მუდამ გამხდარი, წელწერილი და ტანმსუბუქი ქალი იყო. ჰქონდა მუქი-ყავისფერი ბრიალა თვალები, ოღნავ კეხიანი ცხვირი, წაბლისფერი თმების ორ სქელ ნაწნავს თუკი ჩამოუშვებდა, თითქმის კოჭებამდე წვდებოდა, მაგრამ მაშინდელი მოდის მიხედვით მუდამ კეთაზე ჰქონდა აკრეფილი და მანდილქვეშ მიმაღული.

ჩვენი დისგან, სოფიკოსგან, ვიცოდით (მას ალბათ დედისგან ჰქონდა გაგონილი), თუ როგორ მომხდარა ჩვენი მშობლების შეუღლება:

დედა წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა, რომელსაც, სხვებთან ერთად, მამაჩვენიც აღინანსებდა თურმე. მათი შეხვედრა შემთხვევით მომხდარა სასწავლებლის ერთ საზეიმო აქტზე, რომელსაც ქუთაისის საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად მამაც დასწრებია, როგორც საპატიო სტუმარი. კიდევ ორჯერ თუ სამჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, მათ შორის რაღაც სულიერი კავშირი გაბმულა; რაც თანდათან დიდი ძალის ორმხრივ სიყვარულში გადაზრდილა.

დღეს უცნაურად კი მეჩვენება ჩვიდმეტი წლის ქალიშვილისა და უკვე მოწიფული კაცის ამგვარი რომანტიკული ურთიერთობა. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ნამდვილი გრძნობისათვის არ არსებობს არც ასაკობრივი და არც წოდებრივი ბარიერები, პირიქით, ზოგჯერ ხელის შემშლელი გარემოებანი უფრო მეტად ამწვავებენ და აღრმავებენ ურთიერთმიზიდულობასა და ურთიერთლტოლვას...

იმ წლის საშობაო არდადეგებზე დედა სოფელში, მშობლებს ოჯახში წასულა, ნახალწლევს სასწავლებელში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად მამაჩვენის სახლში აღმოჩნდა. მამა, მოლაპარაკებისამებრ, ქუთაისისკენ ეტლით მომავალ დედას გზაში დახვედრია და ორივენი სულ სხვა გზას დადგომიან...

ჯვარისწერის შემდეგ, რომელსაც მამაჩვენის მხოლოდ რამდენიმე სანდო პირი დასწრებია, ხოლო დედის მხრივ — მისი შორეული ნათესავი, ბიკოლა თეოლინე, აგიაშვილის ქალი, ახლადდაქორწინებულნი პირდაპირ შამის ბინაზე წასულან ქუთაისში.

მამას ცნობილი ქუთაისელი პირები მიუგზავნიან დედის ოჯახში, მაგრამ სასტიკად გამწყრალ ბაბუას ურჩ ქალიშვილთან და „ჩარჩ“ სიძესთან შეხვედრასა და შერიგებაზე ცივი უარი უთქვამს, ბებიას კი დედაჩვენი გამოუტირებია და შავები ჩაუტევას.

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, როცა მე და სანდრო გავჩენილვართ, მომხდარა ფორმალური შერიგება, თანაც იმ პირობით, რომ ერთ-ერთ ბიჭს, კერძოდ, სანდროს, ბაბუა გაზრდიდა. შემდეგაც საკმაოდ გულცივი ურთიერთობა დამყარებულა მათ შორის და, როგორც ვთქვი, მეტად იშვიათად, წელიწადში ერთხელ თუ მოიკითხავდნენ და მოინახულებდნენ ერთმანეთს მამა და ბაბუა. მაგრამ როცა ბებიაჩვენი გარდაცვლილა, დედას თითქმის მთელი წელიწადი ბაბუას ოჯახში გაუტარებია, სანამ ქმრის ენერჯიული მოთხოვნით ისევ ქუთაისში არ დაბრუნებულა.

ამგვარი იყო ეს ურთიერთობა, რომელსაც მაშინ, ბავშვობაში, არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი, ხოლო ახლა, როცა ვიგონებ, ჩემში გაკვირვებისა და უნებური წყენის გრძნობას ბადებს: რა ჰქონდათ გასაყოფი?

დედა ბედნიერი იყო, მამამ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ოჯახი შეუქმნა, არც ბაბუა იყო ღარიბი! ვფიქრობ, რომ მაინც წოდებრივი ამბიციე-



ბის ბრალი იყო მათი ასეთი ურთიერთობა (ცხადია, განსაკუთრებით ღედის ოჯახის მხრივ).

ნუთუ ვერ გრძნობდნენ მოახლოებულ კატასტროფებს?

პირველი მათ შორის იყო რუსეთ-იაპონიის ომი და მაშინდელი რევოლუციური გამოსვლები, რომელმაც ერთხანს საფრთხე შეუქმნა როგორც ბაბუის, ისე მამაჩვენის კეთილდღეობას.

იმ ომს კი შეეწირა ბაბუის უფროსი ვაჟიშვილი შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე (ჩვენთვის, ბავშვებისათვის, სრულიად უცნობი ბიძა). ამ ამბავს გადააწყვა ბებიაც...

შემდეგ და შემდეგ ხომ თვლა არ ჰქონდა მსგავს მოვლენებს.

რა ჰქონდათ გასაყოფი?...

ათას ცხრაას ხუთი-ექვსი წლების ცნობილი არეულობის დროს სულ პატარები ვიყავით და პირადად მე არაფერი მახსოვს, გარდა ერთგვარი შიშინანობის გრძნობისა, როცა დედა მე და სანდროს სულ გვარიგებდა, ეზოს არ გავცილებულიყავით, რადგან ქუთაისის ვიწრო ქუჩებში ხმალ-მათრახიანი კაზაკები დათარეშობდნენ და საჩხუბრად გამზადებული დემონსტრანტები, უმეტესად ახალგაზრდები, დააფრიალებდნენ შინაკეთებ წითელ დროშებსა და პლაკატებს...

ახლა ვინლა იცის და ვისლა აინტერესებს, სპეციალისტ-მკვლევრებს გარდა, რა უდიდესი როლი შეასრულა იოსებ ოცხელმა და მთლიანად ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

იქ აღიზარდა და გამოიწრთო ქართველ ინტელიგენტთა დიდი ჯგუფი, რომლის მცირე ნაწილმა (მეტად მცირემ, რადგან მათ რიგებს მხოლოდ ბუნებრივი სიკვდილი არ გამოსტაცებდა ხოლმე მსხვერპლს...) აგერ სამოცდაათიან წლებამდე მოატანა და შეუბღალავად შეინარჩუნა იმ გიმნაზიაში შეთვისებული ხალხის თავდადებული სამსახურის, პირადი უმწიკვლოებისა და უანგარობის იდეალები.

ათას ცხრაას რვა წელს მე და სანდროს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შეგვიყვანეს.

მართალია, გიმნაზიის „სათავიდან-ნაურო“ ერქვა, მაგრამ მისში ბევრი „უბრალო“ ხალხის შვილიც სწავლობდა.

თუ დოკუმენტს ენდობით, რომლის ასლი ჩემთან ინახება, ჩვენი სწავლის პერიოდში გიმნაზიის რგაას ორმოცდაათი მოსწავლიდან თავადიშვილი იყო დაახლოებით ორმოცდაათი, აზნაური-შვილი — ხუთასამდე, სასულიერო წოდებისა — სამოცდაათამდე, მოქალაქენი და ვაჰრები ოცამდე (ამ „წოდებას“ ვეკუთვნოდით მე და ჩემი ძმა), გლეხი — ას ორმოცდაათამდე (მცირე რიცხვი იყო?), მოხელენი და სხვები — სამოცამდე.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოგახსენოთ, რომ მოწაფეებს შორის ან მასწავლებელთა მათთან ურთიერთობაში გამოკვეთილი არ ყოფილა წოდებრივი გამორჩევა, არ ყოფილა შესამჩნევი განსხვავება გლეხსა და თავადს შორის: ვინც კარგად სწავლობდა, ვინც სწავლაში ბეჯითობდა, მხოლოდ ის იყო რჩეული, მხოლოდ ის იყო სამაგალითო და თითოეულ საჩვენებელი. აბა დაიანგარიშოს ვინმე ისტორიკოსმა, რამდენი საზოგადო მოღვაწე და ქვეყნისათვის სასარგებლო კაცი გამოზარდა ქუთაისის გიმნაზიამ სწორედ გლეხთა შვილებიდან. ამის მეთავე, ამაზე განსაკუთრებულად მზრუნველი სწორედ იოსებ ოცხელი იყო.

მე და სანდროს კარგად ვიყავით მოზადებული გიმნაზიისათვის, ყოველგვარი ყოყმანისა და დაბრკოლების გარეშე მივიღეს და, რა დასამალია, ალბათ იმიტომაც, რომ მამაჩვენი გიმნაზიის ახალი შენობის აგებას აფინანსებდა (ბანკთან ერთად) და ჩვენი სწავლის ქირასაც სრულად იხდიდა.

ამ დროს მოხდა სწორედ ის ეპიზოდი, ზემოთ რომ ვახსენე, როცა დედამ, მამის შინ არყოფნის დროს, რამდენიმე სტუმრის თანდასწრებით თავისი წო-

დებრივი ტემპერამენტი ვეღარ მოთო-  
კა და ერთ-ერთი ჩამოსული სტუმრის  
მორიდებულად გამოთქმულ შეკითხვა-  
ზე, ხომ არ შეუშლის თქვენ შესანიშ-  
ნავ ვაყებს გიმნაზიაში შესვლის დროს  
ერთგვარი წოდებრივი შეზღუდვანიო,  
დედაჩვენი ზეწამოიჭრა, სახე აელეწა  
და ისეთი მღელვარებით წარმოთქვა  
თავისი სათქმელი, რომ ჩვენ, მე და  
სანდრო, ჩემი და ალერსიანი დედის  
ამგვარი უჩვეულო სიფიცით შემკრ-  
თალნი უნებურად ზალის ერთ კუთხე-  
ში შევიყუყუეთ და იქიდან გაფაციცე-  
ბულნი ვუსმენდით დედას:

„მოწყალეო ხელმწიფევე! — ღირსე-  
ბის სრული შეგებით, მტკიცედ და  
ღელვისაგან ოღნავ აკანკალებული ხმით  
წარმოთქვა დედამ, — მოწყალეო ხელ-  
მწიფევე! თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ,  
რომ კეთილშობილ ქართულ ოჯახში  
იმყოფებით? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ  
ჩემი ვაჟების ძარღვებში სანახევროდ  
ქართველ თავადაზნაურთა სისხლი  
ჩქეფს იმ წოდების სისხლთან შერეუ-  
ლი, რომელიც ყველა დროში ჩვენი  
უბედური მამულის ვადამრჩენი და მი-  
სი ფენიქსებრ განახლების მტკიცე და-  
საყრდენი იყო? ხომ არ გავიწყდებათ  
თქვენ, რომ პატიოსან ქართველ კო-  
მერსანტს ეპიფანე სორდიას ადგილად  
ხელეწიფება თავის ჭეშმარიტ დამსა-  
ხურებათა გამო აზნაურის წოდების  
მოპოვება, რაიმე ყურადღებას რომ აქ-  
ცევდეს ან რაიმე მნიშვნელობას რომ  
ანიჭებდეს ამგვარ ფორმალურ მხა-  
რეს? აბა, ვადახედეთ ახალ ქუთაისს —  
რომელ სასიკეთო სახალხო საქმეს მო-  
ჰკლებია, ჩემი ქმრის ყურადღება, სა-  
ხსრები, შრომა და თავდადება? მან დი-  
დი ხანია საქმით დაამტკიცა, რომ იგი  
უფრო ჭეშმარიტი მამულიშვილია, ვი-  
დრე ზოგიერთი ჩვენი ქარაქუცა აზ-  
ნაური, რომელსაც საერო და საერთო  
საქმისათვის ხელიც არ გაუნძრევია და  
ერთი ბისტიც არა გაუღია-რა! პირიქი-  
თაც, განა მათ არ დაწერეს საიდუმლო  
„ღანოსი“ იოსებ ოცხელზე, ეროვნუ-

ლი საქმისათვის თავდადებულ მოღვა-  
წეზე!“

დედაჩვენი მაშის კაბინეტში გაიჭრა  
და ერთი წუთის შემდეგ რაღაც ქალა-  
ღდის ფრიალით კვლავ ზალაში შემო-  
ვარდა.

„აი, ხელთა მაქვს პირი იმ სამარცხ-  
ვინო განცხადებისა, იმ საოცარი მოწ-  
მობისა ჩვენი თავადაზნაურობის სიბ-  
ნელისა, სიბეჩავისა, გონებრივი სისუს-  
ტისა და სრული გამოთავყვანებისა... აი,  
მოისმინეთ, რას წერენ ეს ვაჟბატონე-  
ბი მის აღმატებულებას კავკასიის ოლ-  
ქის მზრუნველს, — დედამ ქალაღდი  
მოიმარჯვა და იმავე მღელვარებით და-  
იწყო კითხვა: — „ქვემოზე ამისა ხე-  
ლის მომწერნი გთხოვთ, მიაქციოთ  
თქვენი ყურადღება ქუთაისის სათავად-  
აზნაურო სკოლას. ადგილობრივმა კო-  
მიტეტმა წარმოადგინა სკოლის ინსპექ-  
ტორის თანამდებობაზე კაცი, თუმცა  
უმაღლესი განათლებით, მაგრამ არა  
მართლმადიდებელი სარწმუნოებისა...  
იოსებ ოცხელი ჭეშმარიტი კათოლი-  
კეა... ჩვენ აზნაურნი ვართ და ვესურს  
ადვზარდოთ ჩვენი შვილები რუსული  
მართლმადიდებლობის მიმართულე-  
ბით... მოგვაქციე თქვენი ყურადღება  
ჩვენ, საწყალ აზნაურებს, ნუ მოაკლებთ  
ჩვენ სკოლას მას, რასაც თქვენ არ აკ-  
ლებთ სხვა მართლმადიდებელ სკო-  
ლებს“... ოცხელის მოშორებას თხოუ-  
ლობენ! ხელს აწერს თხუთმეტი აზნა-  
ური! ესენი არიან თქვენი მოწინავე  
მამულიშვილები და კეთილშობილი აზ-  
ნაურები? — ხმას აუწია დედამ, —  
ისინი ბნელეთის მოციქულნი არიან და  
ზოგჯერ მე მრცხვენია, რომ მათ წოდე-  
ბას ვეკუთვნი...“

ეს აფეთქება იქნებ თვით დედის-  
ვისაც მოულოდნელი იყო. იგი მაშინვე  
დაცხრა, სტუმრებს ბოლიში მოუხადა,  
და, თავის ტკივილის მომიზეზებით, ზა-  
ლიდან გავიდა. რატომღაც შემკრთალ-  
შერცხვენილი სტუმრებიც მალე წავიდ-  
წამოვიდნენ. ეს ამბავი ქალაქში თურმე  
ფართოდ გახმაურდა...

ვინ იტყვის, რომ დედაჩვენის ეს

მღელვარე სიტყვა მხოლოდ მაშინ იქ მყოფი სტუმრებისადმი იყო მიმართული და ჩამოსული კაცის ერთმა მორიდებულმა შეკითხვამ გამოიწვია? იქნებ დედა ბაბუაჩვენსაც პასუხობდა, რომელსაც ალბათ ბევრჯერ დაუყვედრებია, რომ „უაზნო“ კაცს გაპყვე და კეთილშობილი ოჯახი შეარცხვინა? იქნებ ბაბუაჩვენს სპირიტონსაც პქონდა ხელი მოწერილი იმ მართლაც სამარცხვინო „დანოსზე“ (მისი ხასიათის კაცისაგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი) და ამან უფრო გაამწარა დედაჩვენი? ვინ იცის...

გიმნაზიაში ადვილად მიგვიღეს, თუმცა ადრეც და მაშინაც მსურველთა სიმრავლის გამო ზოგჯერ ისე ხდებოდა, რომ ყრმის სასწავლებელში მიღება-არმიღებას კენჭი წყვეტდა.

იმ დროისათვის, ჩვენ რომ შევედით, სასწავლებელი ჭერ კიდევ ძველ შენობაში იყო.

სწორედ მაშინ, იოსებ ოცხელის შეუპოვარი ენერჯის წყალობით ჩვენმა სკოლამ გიმნაზიის სტატუსი დაიმტკიცა და ყოფილი პროგიმნაზია სრულ კერძო ქართულ გიმნაზიად იქცა, რომელსაც ახალი შენობა ჰაერითვე ჰირდებოდა.

როგორც შემდეგ დედისგან შევიტყუეთ, იოსებ ოცხელმა და სილოვან ხუნდაძემ თავადაზნაურთა მაშინდელი მარშლის დათა ნიჟარაძისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის კირილე ლორთქიფანიძის დახმარებით გვეუთის ქუჩაზე (ახლა წულუკიძის ქუჩა რომ პქვია) ერთი მოზრდილი მიწის ნაკვეთი შეიძინეს და სპეციალისტებიც მოიწვიეს პროექტის შესადგენად (მთავარი სპეციალისტი არქიტექტორი-ინჟინერი სახაროვი იყო, სახელი არ მახსოვს).

ჩვენც, მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც, მრავალ სხვა ქუთაისელთან ერთად, ემონაწილეობდით ლეჩხუმის ქუჩის თავში იმ ქვის ტეხვაში, რომლითაც ჩვენი გიმნაზია შენდებოდა. დიდი კერძო შემოწირულობის წყალობით (ცხადია, მამაჩვენი სხვებს არ ჩამორჩე-

ბოდა), ბანკის დახმარებითაც და დათა ნიჟარაძის თაოსნობით, ანუ დათა ნიჟარაძის და ქუთაისის ქართული გიმნაზიის მშვენიერი ორსართულიანი შენობა, და ათას ცხრაას ცამეტ წელს იქ გადასვლა ვიზეიმეთ.

მაგრამ მანამდე ბევრი რამ მოხდა და ზოგიერთი ის ამბავი უნდა მოვყვე, თუ ჭერ თავი არ შეგაწყინეთ.

აკაკის ქუთათურ იუბილეზე ბევრი დაწერილა, ბევრის მოგონება შემონახულა. მე იგი ჩემი ბავშვური შთაბეჭდილებით მახსოვს (მაშინ მე და სანდრო რვა-რვა წლისა ვიყავით, ქართული გიმნაზიის პირველკლასელები).

აკაკის იუბილის ქუთაისში ჩატარებას მაშინ სხვებთან ერთად ცნობილი მწერალი, სამხედრო პირი (მგონი პოლკოვნიკი) დავით კლდიაშვილიც ხელმძღვანელობდა. იგი მაშინ ჩვენი ოჯახის წევრი სტუმარი იყო, მამას მეგობრობდა ეს პატარა ტანის, გამხდარი, მეტად მოძრავი, სწრაფად მოლაპარაკე, დიდი ენერჯის კაცი. ჩვენ, ბავშვები, მის მწერლობაზე მაშინ გაგებაში არ ვიყავით, ძირითადად გვიზიდავდა ბატონი დავითის ტანზე კოხტად შორგებული ოქროს საბეჭურებიანი მუნდირი...

იუბილის წინა დღეს ბატონი დავითისაგან მამას მოსაწვევი ბარათი მოართვეს. ღრმად აღელვებულებს, მე, სანდროსა და პატარა სოფიკოს — უამე „გონიერ“ ბავშვებს მთელი ღამე არ გვეძინა. დილით ადრინადად წამოვხტით და დედის დახმარებით სადღესასწაულად სავანგებოდ მოვირთეთ...

ქუთაისში იყო ერთი განთქმული მეეტლე დიმიტრი მელია. რომელიც ზოგჯერ გვსვამდა ხოლმე მე და სანდროს თავის მშვენიერ ეტლში. ჩვენ, ისე როგორც ყველა ბავშვი, მას „ბიძია მელიას“ ვეძახდით, და ზოგჯერ გავეკიდებოდით ხოლმე ქუჩაში „ბიძია მელია, ბიძია მელიას!“ ძახილით, რათა ეტლში ჩავესვით და ცოტა ხანი ვესეირნეთ. ზოგიერთი ჩვენი თანატოლი უკნიდან მიეპარებოდა მელიას ეტლს, ოსტატუ-

რად მოკალათდებოდა ზოლმე მის ღერძზე და „კატაობდა“, რამდენიც სურდა, სანამ მეეტლე შეამჩნევდა. მე და სანდრო ამას ვეღარ ვბედავდით იმ ერთი შემთხვევის შემდეგ, როცა სხვა ბიჭების წამხედურობით, მელიას ეტლს ჩამოვეკონწიალეთ, ცხენები რატომღაც დაფრთხნენ და გაუტრეს, მე და სანდრო კი ქუჩის შუაგულში მტვრიან ქვადენილზე გართხმულნი აღმოვჩნდით... გულგახეთქილი მეეტლე მოგვეარდა, ფეხზე წამოგვაყენა, ტანსაცმელს გვიფერთხავდა და შეშინებული გვეკითხებოდა, ხომ არაფერი დაიშავეთო. მერე მამასთან დაგვაბეზლა, მამამ კი მკაცრად აგვიკრძალა ამგვარი გართობა. ამიტომ ვეღარ ვბედავდით. ქუთაისში სხვაც ბევრი იყო ეტლი და მეეტლე, მაგრამ მელიას მიანიც დიდი სახელი ჰქონდა, რადგან ერთხელ ჩვენში სტუმრად ჩამოსული იმპერატორი აღექსადრად მესამე უტარებია...

მე, სანდრო და სოფიკო მამამ თეატრისკენ წაგვიყვანა. სადღესასწაულოდ მორთული ქუჩები ხალხით იყო გაჭედული. უცებ ქუჩის თავში მელიას ეტლი გამოჩნდა. არა, ეს არ იყო მელიას ეტლი, ეტლი სხვა იყო, ქუთაისის გუბერნატორის „ლანდო“, მაგრამ კოფოზე სულ თეთრად გამოწყობილი სწორედ დიმიტრი მელია იჯდა, თეთრი წვერი მკერდზე ჰქონდა დაფენილი, თეთრად მორთულ „ლანდოში“ თეთრი ცხენები ება, ხოლო თეთრი თმა-წვერიანი აკაკი, ორივე ხელით ჯოხზე დაყრდნობილი, ნამდვილ მომღიმარე ღმერთივით იჯდა...

ეტლის საფეხურზე აქეთ-იქით იღვნიენ ქალაქის თავი დავით ლორთქიფანიძე (დედის შორეული ნათესავი იყო და ვცნობდით) და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ბატონი მოსე ქიქოძე (მამის ნაცნობი იყო და ზოგჯერ სტუმრადაც ყოფილა ჩვენთან, ამიტომ მასაც ვცნობდით სახით).

ეს სურათი ჩემს გონებაში ახლაც წარუშლელი და ამაღელვებელია: გაისმოდა ვაშის გრიალი, შეძახილები, ტა-

შისცემა, იყო ქულების და ყვევითლების სროლა და ნელა მოდიოდათქმარი ეტლი...

საოცარი საზეიმო განწყობილება სუფევდა, რაც ბავშვებსაც ვადმოგველო და უზომოდ გახარებულნი, რომ ქართველებს ასეთი დიდებული აღამიანი გვეყავა (მამის ეს სიტყვები სამთავეს სამუდამოდ გონებაში ჩავგრა), ჩვენც რაღაცას გავყვიროდით, ადგილზე ვხტოდით და ხელებს ვიჭნევდით. მამა იჭვე გვედგა და გაღიმებული გვიყურებდა, თვითაც დიდი სიხარულით შეპყრობილი...

თეატრს რომ მიუახლოვდნენ, გიმნაზიის მოსწავლეებმა ეტლიდან ცხენები გამოხსნეს, თვით შეეზნენ და ასე მოაგორეს ეტლი თეატრის კარამდე. მამა თეატრში შევიდა, ჩვენ კი გავიქეციით შინ, სადაც დედა დიდი წვეულების თადარიგს იჭერდა, იმ ღამეს რომ ჩვენთან უნდა გამართულიყო. მამის ბევრი ქუთაისელის ოჯახში იყო სტუმრიანობა, ყველა ატაცებული იყო იმ მართლაც მარად სახსოვარი ეროვნული დღის დიდებულებით...

ქუთაისის ქართული გიმნაზია... დაუვიწყარია ის წლები, მის კედლებს შორის რომ გავატარეთ, დაუვიწყარია მის ფართო და მზიან დერეფნებში სირბილი, მის კიბეებზე ხტუნვა-ხტუნვით ასვლა და ჩამოსვლა, მის ჭერმაღალ და ნათელ კლასებში ჯდომა, მის მარამწვანე ეზოში სეირნობა...

ხანდახან წარმოვიდგენ, რომ ისევ პატარა ბიჭი ვარ, ვდგევარ რომელიღაც საკლასო ოთახის კართან და ვხედავ, როგორ გამოდის თავის მომცრო კაბინეტიდან ახოვანი, ბრკე ვაჭკაცი იოსებ ოცხელი, მუდამ ფხიზლად რომ იდგა თავისი საყვარელი საქმის სადარაჯოზე, შვილები რომ არ ჰყავდა, მაგრამ მოწაფეებს ისე გვივლიდა, როგორც ზოგჯერ მამა არ უვლის ზოლმე საკუთარ შვილებს... თრთოლვით შევყურებ დერეფანში მძიმედ მომავალ ღრმად დაფიქრებულ კაცს, ბრწყინვალე ორატორს, სრულიად საქართველოს დიდ

პატრიოტს, სიამაყით რომ ახსენებდა ხოლმე თავის მესხურ წარმოშობას... უფროსი მოსწავლეებისგან უკვე გაგონილი მაქვს, რომ ის იყო მათემატიკის შესანიშნავი მკოდნე, ბრწყინვალედ ერკვეოდა ბიოლოგიის, ფილოსოფიისა და ისტორიის ურთულეს საკითხებში, მისი ყოველი გამოსვლა გიმნაზიის სააქტო დარბაზში ყოველთვის მკვევრმეტყველების, პატრიოტიზმისა და დიდი ეროვნულობის დემონსტრაცია იყო...

ქუთაისის ქართული გიმნაზია! ძალად გარუსების მთავრობისეული საზიზღარი პოლიტიკის დროს ის იყო ერთ-ერთი ნათელი ლამპარი, რომლის შუქი ეფინებოდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მის გარშემო შემოკრებილ ყმაწვილებს, ის ნერვაგადამათ გულებში სამშობლოს სიყვარულს, აღვიძებდა ეროვნულ გრძნობას, რაც არასოდეს შებღალულა ქართველობის რაღაც განსაკუთრებულობისა და რჩეულობის მახინჯი გაგებით.

პირიქით, ყველა ერის ღირსეული შვილი მშებივით გვიყვარდა, მაგრამ ეროვნული ჩაგვრის მცირე გამოვლინებაც კი უაღრეს აღშფოთებასა და წინააღმდეგობის სურვილს აღძრავდა ყველა ჩვენგანში, მოსწავლეებსა თუ მასწავლებლებში.

მახსოვს ის გახმაურებული ამბავი, ინსპექტორ კორიციის სახელთან რომაა დაკავშირებული.

მგონი, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელიწადი იყო. ჩვენი გიმნაზიის ასამდე მოსწავლე გამოსაშვები გამოცდებისათვის ემზადებოდა.

სასწავლო ოლქის „პოპეჩიტელმა“ გამოცდებზე ინსპექტორად „ველიკოდერეანოვი“ ვინმე კორიცი მოავლინა. რათა სახელი გაეტეხა სწორედ ქართული გიმნაზიისათვის, რომელიც სასწავლო ოლქში ყოველთვის ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო გამოცდების შედეგების მიხედვით, კორიციის განეზრახა გამოცდებზე დაუნდობლად „ჩაეპრა“ მოსწავლეები. მას ამ მიზნისთვის თითქმის მიუღწევია, მაგრამ ისეთი დი-

დი ყოფილა მოსწავლეთა და მასწავლებელთა აღშფოთება ინსპექტორის ამგვარი უღირსი და ანტიპედაგოგიური მოქმედების გამო, რომ კორიცი გამოცდებიდან ფაქტიურად გაუგდიათ და გამოცდები შეწყვეტილა.

დიდად განრისხებულ იოსებ ოცხელს, მართალია, თავი შეუკავებია, მძლავრი ნებისყოფის კაცი იმ წამიერ თავდავიწყებას არ აპყოლია და გარეგნულად თითქოს მშვიდად, მაგრამ ზიზღით, დიდი შინაგანი ძალითა და მღელვარებით მეფის იმ შოვინისტი მოხელესათვის საჯაროდ განუცხადებია:

„აღვირახსნილი თავი მეტად მალლა აგიწევიათ, თქვენ დიდი ადგილი გინდა მიიღოთ და მსხვერპლად ჩვენს მოსწავლეებს ვერ შემოგწირავთ! არ ვსაპირობებთ თქვენს დიპლომებს და შეგიძლიათ თქვენს მომვლინებელთან მიბრძანდეთ!“

ოლქის მზრუნველს სხვა რაღაც გამოსავალი დარჩენოდა, იძულებული ყოფილა გამოცდების შეწყვეტა დაედასტურებინა, მაგრამ ჯავრი უყრია გიმნაზიის ხელმძღვანელობაზე: თანამდებობიდან გადაუყენებია იოსებ ოცხელი და მისი მოადგილე სილოვან ხუნდაძე. მართალია, ოცხელი მალევე აღადგინეს, მაგრამ კორიციის „გმირობის“ შედეგად იმ წელს სიმწიფის ატესტატი ასიდან მხოლოდ ოცდაცხრამეტმა მოსწავლემ მიიღო.

შავრაზმელი კორიციის უსამართლო და უსინდისო მოქმედებამ მთელი ქუთაისი აალაპარაკა, ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჩემს მტერს, რაც კორიციის ელოდა, მაგრამ ყველა უფროთხილდებოდა ქართული გიმნაზიის სახელსა და მომავალ ბედს, რის გამოც ის ვაიინსპექტორი თითქმის ხელშეუხებლად გაეცალა ქუთაისს.

იმ წელს დიდი ომიც დაიწყო...

იოსებ ოცხელს წესად ჰქონდა კერძო საუბრები მოსწავლეებთან. ამ საუბრების დროს იგი ეცნობოდა მოსწავლეთა ოჯახურ ამბებს, მათ გაჰიკრებოდა თუ დაღლინებას. გაჰიკრებულებს, გან-

საკუთრებით სოფლებიდან ჩამოსულ ღარიბი გლეხის შვილებს, ოცხელი ყოველნაირად ეხმარებოდა — ფულით, სურსათით, რჩევით, ავადმყოფთათვის წამლებიც კი დაჰქონდა საკუთარი ხელით.

სანდროს ბეჯითობა და ნათლად გამოკვეთილი ნიჭიერება რომ შენიშნა, ოცხელმა განსაკუთრებით დაიახლოვა ყმაწვილი. კვირაში ერთხელ სანდრო მასთან ბინაზე დადიოდა და იქიდან ყოველთვის შინაგანად აღელვებული, თვალთვებარწყინებული ბრუნდებოდა, თან რუსული და უცხოური წიგნები თუ ჟურნალები მოჰქონდა (სანდრომ და მეც ძალიან კარგად ვიცოდით გერმანული, შემდეგ სანდრო ინგლისურსაც ადვილად დაეუფლა), რომელთაც თავაუღებლად ჩაჰკირკიტებდა მთელი კვირის მანძილზე.

რაზე საუბრობდნენ ის დიდი კაცი, უხარმზარი ცოდნის მქონე ადამიანი და ნორჩი სანდრო? თურმე სოფლის მეურნეობის, აგრონომიის, ბიოლოგიის საკითხებზე. მაშინ ქუთაისის საზოგადოებაში მეტად ფეხმოკიდებული იყო იმის შეგნება, რომ აუცილებელია მომზადდეს ეროვნული კადრი საქართველოს მიწათმოქმედების მეცნიერულ ყაიდაზე გარდასაქმნელად.

აი, სწორედ ამ საუბრების დროს გაუტაცნია სანდრო გენეტიკას, მაშინ სულ ახალ მეცნიერებას, რომლის შესახებ ბევრი რამ სცოდნია იოსებ ოცხელს.

მაშინდელი მსოფლიო ომის პირობებში, ცხადია, შემიძირდა და შემდეგ საესეებით შეწყდა რუსეთის იმპერიაში უცხოური მეცნიერული ინფორმაციის თავისუფალი შემოსვლა, ამიტომ მათი საუბრები მხოლოდ ათას ცხრაას თოთხმეტ წლამდე არსებულ მონაცემებს ეყრდნობოდა.

იოსებ ოცხელი უამბობდა (შემდეგ სანდრო მე გატაცებით გადმომცემდა) დარვინის ევოლუციური თეორიისა და გენეტიკის წარმოშობასა და მაშინდელ მდგომარეობაზე. თავდაპირველად თუ-

რმე გენეტიკას სრულყოფილად ერკვეა „გენეტიკა“. ტერმინი „გენეტიკა“ მკვლევართათვის ათას ცხრაას ექვს წელს შემოუთავაზებია ინგლისელ ბეტსონს, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორცაა „გენი“, „გენოტიპი“, „ფენოტიპი“, ათას ცხრაას ცხრა წელს შემოუღია დანიელ გენეტიკოსს იოჰანსენს. ამ მეცნიერების ფუძემდებლად ითვლება თურმე ჩეხი მკვლევარი გრეგორი მენდელი, რომელიც რვა წლის მანძილზე, მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში ქალაქ ბრნოს სამონასტრო ბაღის ერთ პატარა ნაკვეთზე მარტოდ-მარტო აწარმოებდა ცდებს ბარდის ბუჩქებზე. ამ ცდების შედეგად, პირველს მსოფლიოში, მას აღმოუჩენია მემკვიდრულობისა და ცვალებადობის კლასიკური კანონი, რომელიც საყოველთაო ყოფილა ჩვენი პლანეტის მთელი ცოცხალი ბუნებისათვის.

დიდი ზემოქმედება იქონია ჩვენს მგრძნობიარე ყმაწვილურ სულზე იმ ტრაგიკულმა, მაშინ ჩვენთვის ხრულიად აუხსნელმა, გარემოებამ, რომ მენდელის გენიალურ აღმოჩენას შეუშინებლად ჩაუვლია მაშინდელ ბიოლოგიურ მეცნიერებაში. თვით დიდ დარვინსაც კი, რომელიც საკუთრივ ეძებდა მემკვიდრეობითობის კანონებს, რათა თავისი ევოლუციური თეორიის ექსპერიმენტულად მაშინ ნაკლებად დასაბუთებული ერთი მთავარი რგოლი ვანემტიციებინა, არაფერი გაუგია მენდელის აღმოჩენის შესახებ.

დარვინი ვარაუდობდა, რომ ორგანიზმთა სახეცვლილება-ევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც ეს ორგანიზმები დააგროვებენ საკმაო რაოდენობის წვრილმან შემთხვევით ცვლილებებს, რომლებიც მემკვიდრეობით გადადიან. ამგვარ ცვლილებათა დაგროვების შემდეგ ძალაში შედის ბუნებრივი გადარჩევის კანონი, რომლის მიხედვით გარემოსთან შეგუებული ორგანიზმები იმარჯვებენ, ხოლო გარემოსთან ნაკლებად შეგუებულნი იღუპებიან.

ამგვარი შეხედულების გამო დარეინის ევოლუციურ თეორიას თავს ესხმოდნენ იმის მტკიცებით, რომ წვრილმანი მემკვიდრეობითი ცვლილებანი წარმოიშობა მხოლოდ ცალკეულ ორგანიზმებში, ეს ცვლილებანი ვერ დაგროვდება, რადგან ყოველი ახალი შეჯვარება სხვა ორგანიზმთან იწვევს ერთი მშობლის სახეცვლილი მემკვიდრეობის განელებას მეორე მშობლის უცვლელი მემკვიდრეობით. და, რაკი ასეა, დარეინის მთელი თეორია ბუნებრივი გადარჩევისა და ევოლუციისა მცდარიყო. თითქოს სწორი შენიშვნაა! მაგრამ ის კი არ იცოდნენ, რომ არავითარი „განელება“ არ ხდებოდა, არამედ დაგროვილი თვისებები მემკვიდრეებს უცვლელი სახით გადაეცემოდა, ოღონდ სხვადასხვა კომბინაციით, რომლის კანონზომიერება სწორედ მენდელმა დაადგინა. ამდენად, დარეინის თეორიული მსჯელობა სწორი იყო, მიუხედავად მენდელის პრაქტიკული ცდებისა და მათი შედეგის არცოდნისა!

მე და სანდროს ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მეცნიერების ამგვარი, ერთი შეხედვით სრულიად უინტერესო და განყენებული საკითხები ასე გავვიტაცებდნენ!

მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ გრეგორი მენდელის ნაშრომის გამოქვეყნებიდან და თექვსმეტი წლის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან სამმა ევროპელმა მეცნიერმა — ჰოლანდიელმა ჰუგო დე ფრიზმა, გერმანელმა კარლ კორენსმა და ავსტრიელმა ერიკ ჩერმაკმა — ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩატარებული ცდების შედეგად ხელახლა „აღმოაჩინეს“ და დადასტურეს გრეგორი მენდელის მიერ მიღებული მათთვის მასინ უცნობი შედეგები. ისინი გაოცებული იყვნენ მათი და მენდელის დასკვნების სრული ერთნაირობით, სათანადოდ აღიარეს და დააფასეს მენდელის აღმოჩენის სიდიადე, მისი უაღრესი მნიშვნელობა.

სწორედ ის ათას ცხრაასი წელი, ამ

სამი მეცნიერის „გველავალმანის“, ჩემი და სანდროს დამადგენი წყნლით-ვლება ახალი მეცნიერების, გენეტიკის დაბადების თარიღად...

კიდევ ბევრ რამეს უამბობდა საყვარელი პედაგოგი სანდროს. მის იმდროინდელ რეეულუმში, იმ შავ ჩანაწერებში, ქართულად, რუსულად და გერმანულად, რომლებიც სრულიად შემთხვევით გადაურჩა წელთა ორომტრიალს და ახლა ჩემთან ინახება, როგორც ჩემი ძმის მოსაგონარი ძვირფასი რელიქვია, კიდევ ბევრია აღბეჭდილი დარეინის, მენდელის, ვეისმანის, დე ფრიზისა და სხვათა ვარაუდებისა და გამოწვევების შესახებ მემკვიდრეობასა და ცვალებადობაზე, გენეტიკის ზოგად საკითხებზე. ცხადია, თავისი ზასიათითა და მნიშვნელობით ესაა მოწაფის ჩანაწერები, რომელიც დაყინებით სწავლობს ახალი მეცნიერების ანაბანასა და ცდილობს გაერკვეს მის საფუძვლებში.

ახლა რომ ვათვალიერებ იმ ჩანაწერებს, ერთი რამ მაკვირვებს: მათში ხსენებაც არ არის დიდი ამერიკელი მეცნიერის, თეორეტიკოსისა და ექსპერიმენტატორის თომას მორგანისა, რომელიც, როგორც თქვენთვის კარგად ცნობილია, მთავარი ფუძემდებელია იმ „ქრომოსომული თეორიისა“, რომლის დაცვის გამო სანდროს იმდენი რამ გადახდა შემდგომ. ეტყობა, იმ წლებში იოსებ ოცხელი და მისი მოწაფე არ იყვნენ ინფორმირებული მორგანის ცდებისა და თეორიების შესახებ და ძირითადად ვეისმანის მოძღვრებით იყვნენ გატაცებულნი, იმ ვეისმანისა, რომლის მრავალი მოსაზრება მომავალში ბრწყინვალედ დადასტურდა, ხოლო ზოგიერთი უარყოფილ იქნა, როგორც იდეალისტური...

სანდროც და, თავდაპირველად, მეც ძლიერ ავგიყოლია ამ ახალი მეცნიერების მიერ მიღწეულმა საოცარმა შედეგებმა. თავდაპირველად — იმიტომ ვამბობ, რომ შემდეგ მე თანდათან დავკარგე ინტერესი გენეტიკისადმი, თავიდანვე რომ იდეოლოგიური ბრძოლის



საგნად იქცა, და ძირითადად მათემატიკით შემოვიფარგლე. სანდრო კი თავდავიწყებით გადაეშვა ამ ბრძოლის მორევეში და, სავალალოდ თუ სახედნდინროდ (არ ვიცი, როგორ ვთქვა, ეს თვით განსაჯეთ), გენეტიკის ერთგული დარჩა ბოლომდე.

გიმნაზიაში მეც კარგად ვსწავლობდი, განსაკუთრებით მათემატიკა მიტაცებდა, მაგრამ სანდრო სრულიად გამორჩეული ნიჭის პატრონი იყო — ძალიან ადვილად ეუფლებოდა საგნებს და ზოგჯერ მეც მშველოდა ხოლმე. დედა და მამა მზრუნველობას არ გვაკლებდნენ, კერძო მასწავლებლებიც დაგვიდიოდნენ შინ, მაგრამ საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ის გავლენა, რაც სანდროს გონებაზე, მისი აზროვნების და მსჯელობის თავისებურებებზე იოსებ ოცხელს ჰქონდა, ეს გავლენა ისე შესამჩნევი იყო, რომ ზოგჯერ მამას ღიმილით უთქვამს სანდროსთვის: „მაგ იეზუიტთან რომ დადიხარ, ფრთხილად იყავი, თავის რჯულზე არ გადაგიყვანოსო“.

ეს, ცხადია, ზემორობა იყო, რადგან მამა უაღრესად დიდ პატივს სცემდა იოსებ ოცხელს, პირდაპირ ეთაყვანებოდა მას იმ ზნეობრივი სიწმინდის გამო, ოცხელი რომ გამოირჩეოდა; იმ, ასე ვთქვათ, ხაზგასმული ეროვნულობის გამო, რაც წითელი ხაზივით გასდევდა ოცხელის მთელს მოღვაწეობას. მამა არასოდეს არ იშურებდა სახსრებს უშუალოდ გიმნაზიის ან სხვა სასარგებლო წამოწყების საქართვეობისათვის, როცა კი იოსებ ოცხელი შემოუთვლიდა ან მოაკითხავდა. ამგვარი წამოწყებები კი ბევრი იყო: ოცხელის უშუალო ხელმძღვანელობით გიმნაზიაში შეიქმნა მასწავლებელთა ჩაუფი, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის დადგენაზე რომ მუშაობდა; ოცხელის მოღვაწეობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემაც. გიმნაზია ერთდროულ დახმარებას აძლევდა არა მხოლოდ ღარიბ მოსწავლეებს, არამედ

ხელმოკლე მასწავლებლებსაც. მატრადეობოდა საგანგებო თანხა ღირსი სწავლავამის ძეგლის ასაგებად. გიმნაზიის ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მუდმივ შევსებას საჭიროებდა. ეწყობოდა მოსწავლეთა ექსკურსიები კახეთში, ბორჯომში, ბათუმში, ფოთში, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსწავლეთა აღზრდისა და გათვითცნობიერების საქმეში. გიმნაზიაში შეიქმნა სასულე და სიმფონიური ორკესტრები, ეწყობოდა მუსიკალური და თეატრალური საქველმოქმედო საღამოები...

მოგვხსენებთ, ქართული გიმნაზია კერძო იყო, არსებობდა და მოქმედებდა შემოწირულობათა ხარჯზე, ქუთაისში კი ბევრი იყო ისეთი მოღვაწე, რომელიც გიმნაზიისათვის არაფერს იშურებდა, მაგრამ სხვაანირებიც იყვნენ...

არ ვიცი, ყმაწვილობისდროინდელი შთაბეჭდილებაა, თუ რაა, ოცხელისთანა უნარიანი კაცი განათლების დარგში ჩემი მუშაობის თითქმის სამოცი წლის მანძილზე სხვა არ შემხვედრია. სწორი იყო უთუოდ, ოცხელზე რომ ამბობდნენ: „იოსებში მართლაც ოცხელიანი, ოცყურიაანი, ოცთვალაიანი და ოცაზროვანი კაცი არისო“.

კვლავ ვიმეორებ, რომ სანდროს სწორედ იოსებ ოცხელმა უბიძგა მეცნიერებისაკენ, კერძოდ, ბიოლოგიისაკენ, რადგან თვითაც გატაცებული ყოფილა ბიოლოგიით, როდესაც ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ საბოლოოდ მათემატიკის სიყვარულს გადაუძლევიდა. მეც მან ჩამინერგა მათემატიკის სიყვარული, მაგრამ საოცარია ნიჭის ძალა: სანდრო საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი გახდა, მე კი სოფლის მასწავლებლობას ვერ გავცდი. თუმცა გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ბედით კმაყოფილი ვარ და სხვაზე არც მიფიქრია არასოდეს...

ისიც მართალი უნდა ვთქვა, რომ ხანდახან შურით ვივსებოდი სანდროს მიმართ, როცა ის მეტად უბრალოდ, ყოველგვარი თავმოწონებისა და ძალ-



დატანების გარეშე ისეთ რამეს იტყო-  
და, იმგვარ საკითხს ახსნიდა ან კითხვას  
დასვამდა, რაც სრულიად მოულოდნე-  
ლი იყო თუთხმეტი-თუქვსმეტი წლის  
ბიჭისაგან და მისი გონების სიღრმეზე  
და თავისთავადობაზე მეტყველებდა.  
ერთში ყოველთვის ეგობდი, როცა ჩვენ-  
ებურ ჭიდაობაზე მიდგებოდა საქმე,  
რადგან საგანგებოდ შევისწავლე იმე-  
რული „კვანტის“ გამოდების ილეთი!

როცა გაზაფხულდებოდა, რამდენიმე  
ამხანაგი ხშირად ავდიოდით იმ გორა-  
ზე, წმინდა გიორგის სულ ახლად აშე-  
ნებული ეკლესია რომ დგას, ვისხედით  
ვეება ძელქვეებით დაბურულ ეზოში და  
გადავყურებდით ჩვენს ქუთაისს... მერე  
ვსაუბრობდით მამია გურიელის საფ-  
ლავეთან ჩამომსხდარნი! და თუმცა ამ  
დღი უოეტის ფასი არ ვიცოდით, კარ-  
გად გვქონდა დასწავლილი მისი ცნო-  
ბილი ლექსი. შემდეგ, სანამ ეკლესიის  
მნათე დაგვიცავხანებდა, იქვე ვკილა-  
ობდით. და სწორედ მაშინ დგებოდა  
ჩემი „რევანის“ წუთი. მკლავებდაკა-  
ბიწებულ სანდრო გულუბრყვილოდ მე-  
ძიძილავებოდა, მე კი წაშს მოვიხელთე-  
ბდი, საგანგებოდ ნაფარჯიშე „კვანტს“  
გამოვდებდი და გაოგნებულ სანდროს  
მიწაზე ვანარცხებდი...

რა სწრაფად გათავდა ბავშვობა, თი-  
თქოს ერთ კვირასაც არ გაგრძელებუ-  
ლა! რა კეთილნი, უზრუნველნი და  
გულუბრყვილონი ვიყავით მაშინ, რო-  
ცა გვეგონა, რომ ქვეყანაზე ყველაფე-  
რი ჩვენს სასიამოვნოდ და სასიხარუ-  
ლოდ ხდებოდა, ჩვენთვის ანათებდა ქუ-  
თაისის ცხელი მზე, მოლელავდა რიო-  
ნის გრილი ტალღა, ამოდიოდა მწვანე  
ბალახი მალაკის მინდორზე და პრელ-  
ქრულად იმოსებოდა საფიჩხიას მიდა-  
მოები... ოჯახში სულ ისყვარული და  
თანხმობა სუფევდა, პატარა და-ძმები  
გვეზრდებოდნენ, საღამოხანს ბულვარ-  
ში მათთან ერთად სვირნობას მაშინ  
არაფერი სჯობდა: წინ დედა და მამა  
მიდიოდნენ, ჩვენ კი — ბოლოში და მი-  
ვერეკებოდით შუაში მოქცეულ გვირ-  
ტების მცირე გუნდს, რომლის ხან ერ-

თი წევრი გასხლტებოდა? ზილოკიდან  
უქყო წიწილივით, ხან მუტრტკ, ხან კი  
ერთად მისცივდებოდნენ რაიმე კიტა  
ყვავილს ან პრიალა ფოთლებიან ბუჩქს  
და სწორედ წიწილებივით, წიოდნენ...  
მე და სანდრო დავეკროდით ჩვენ ქალა-  
ქში, ჩვენ მიწაზე მოსიყვარულე მეგო-  
ბრებთან ერთად და გვეგონა, რომ მუ-  
დამ ასე იქნებოდა: მუდამ იქნებოდა  
ყველაფერი ის, რაც გვახარებდა, რაც  
სასიცოცხლო სულს გვიღვამდა და ყმა-  
წვილურ ტინს გვმატებდა...

ვიმანაზიას რომ ვამთავრებდით, რე-  
ვოლუციაც მოხდა და მეფე ჩამოაგდეს,  
შემდეგ კი, შემოდგომაზე, ჩვენთვის  
სრულიად მოულოდნელად ოქტომბრის  
რევოლუციამაც დაიქუხა და მალე რუ-  
სეთში სამოქალაქო ომი დაიწყო.

პირველი პერიოდის „ოზაკობის“,  
„კომისარიატობის“, „სემიობისა“ და  
ურთიერთქაითნაურების შემდეგ, ამი-  
ერკავკასიის ხალხები განცალკევდნენ და  
საქართველოში მენშევიკების ხელისუ-  
ფლება დამყარდა.

სამი წლის მანძილზე მე და, ასე მე-  
გონა, სანდროც განსაკუთრებულს არა-  
ფერს ვაყვებდით. მცირე დროით მო-  
ქეიფე ტოლ-ამხანაგებსაც ავყვეით, მა-  
გრამ სანდროს დაჟინებით, რომელიც  
სრულიად ვერ იტანდა სუფრისმიერ  
ყბედობას და აურზაურს, ჩქარა ჩამო-  
ვცილდით მათ.

ზემოთ რომ ვთქვი, ისე მეგონა, სან-  
დრო განსაკუთრებულს არაფერს აკე-  
თებდა-მეთქი, ტყუილად არ მითქვამს.  
არც მე და არც ჩვენი ოჯახის რომელი-  
მე სხვა წევრს ფიქრადაც არ მოგვივი-  
ლოდა, თუ რას საქმიანობდა ამ დროს  
ჩემი ძმა სინამდვილეში. კონსპირაციის  
ამგვარ ნიქს მისგან სრულიადაც არ  
მოველოდით, როგორ ვიფიქრებდით,  
რომ იგი ახალგაზრდა ბოლშევიკების  
არაღეგალურ ორგანიზაციასთან, „სპა-  
რტაკთან“ იქნებოდა დაკავშირებული?!  
ყველას ელდა გვეცა, — მაშინ ჩვენ  
ამის თაობაზე ზომ სრულიად არაფერი  
არ ვიცოდით!

აკვამ რომ თქვას, მე კი უნდა მცოდ-

ნოდა, მე ხომ შინ სანდროს მესაიდუმ-  
ლედ ვითვლებოდი! დედ-მამა რომ შემ-  
კითხვოდა უფლის მსგავსად: „სად არს  
აბელ, ძმაი შენი?“ ხომ უნდა მეპასუხა  
კენივით: „არა უწყვი, ნუთუ მცველი  
ძმისა ჩემისა ვარ მე?“

არადა, თავი მეტად გონიერ და გამჭ-  
რიახ ახალგაზრდად მომქონდა, ახალ-  
ბიბინებული უღვაშები გადავივრჩიე,  
ჭოჩრიან თავს ამაყად დავატარებდი,  
ტანსაცმლის სიკოხტავისათვის თავს ვი-  
კლავდი, ოცნებით ზოგჯერ სად არ შე-  
ვალწევდი, რას არ მოვიმოქმედებდი და  
ვის არ გავუტოლდებოდი. ეს ამბავი კი,  
ეს უზარმაზარი მნიშვნელობის ფაქტი  
კი, ჩემს თვალწინ რომ მოხდა — სანდ-  
როს საოცარი სახეცვლილება, პოლი-  
ტიკაში აქტიური ჩაბმა, მე სულელმა  
დროზე ვერ შევამჩნიე!

საცა სამართალი იყო, მშობლებს მე  
უნდა დავედანაშაულებინე, ჩემგან უნდა  
მოეთხოვათ მკაცრად პასუხი სანდროს  
ჩვენი ხელიდან და გავლენიდან ამგვარი  
მოულოდნელი გასხტომის გამო, რა-  
დგან ოჯახში ყველანი თავისთავად გბუ-  
ლისხმობდით, რომ სწორედ მე ვიყავი  
პრაქტიკულად გონიერი კაცი, სანდრო  
კი — მყარ ნიდავს რამდენადმე შოწყ-  
ვეტილი მეოცნებე ახალგაზრდა, რომე-  
ლიც, შეიძლება, გენიოსი მოაზროვნეც  
დამდგარიყო და უსაქმო, უნებისყოფო  
მარად ყმაწვილადაც დარჩენილიყო...

თურმე სასტიკად ვცდებოდით ყვე-  
ლანი, თურმე ყველაფერი პირიქით იყო  
და არავითარი უნარი სანდროზე ზემო-  
ქმედებისა მე არ გამაჩნდა.

შემდეგ თანდათან გაირკვა ყოველი-  
ვე, ზოგი რამ გვიან თვით სანდრომ მი-  
ამბო, ზოგი — სხვებმა. და, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ სრულად დღესაც არ  
ვიცი სანდროს ყველა მაშინდელი საქ-  
მე, რამდენადმე სწორი სურათის აღდ-  
გენას მაინც ვეცდები, რადგან იმ დრო-  
ის მისმა ნამოქმედარმა წარუშლელი  
კვალი დატოვა არა მხოლოდ მის ცხოვ-  
რებაზე, არამედ მთელს ჩვენ ოჯახზე.

მოკლედ უნდა ვთქვა, თუ რა ხდებო-  
და საერთოდ ქუთაისში და, კერძოდ,

ჩვენს ოჯახში იმ მდელეკარე და უთავ-  
ბოლოდ აფორიაქებულ წლებში ჩვი-  
დმეტრიდან ოც წლამდე ან ოცდაერთის  
დასაწყისამდე.

ჩვიდმეტი წლის მარტ-აპრილიდან  
თითქმის მთელი ოთხი წლის მანძილზე  
ქუთაისში სრულიად დარღვა ცხოვრე-  
ბის ძველებური მდორე მდინარება და  
იგი რაღაც მოუსვენარ, შფოთიან ქალა-  
ქად იქცა, რომლის ახალი ყოფის თავი-  
სებურებებში გარკვევა მე კი არა, მგო-  
ნი ჩვენს მშობლებსაც უჭირდათ.

სანდროზე ქვემოთ ცალკე ვიტყვი.  
ახლა კი მხოლოდ ჩამოვთვლი ფაქ-  
ტებს (მათი ანალიზის თავი ამ მოხუცე-  
ბულობაში სამწუხაროდ აღარ მაქვს),  
რომლებიც გარეგნულადაც კი აღას-  
ტურებენ იმ წლების მშფოთვარე და  
მოუწესრიგებელ ხასიათს.

რევოლუციის პირველი წელი აღინი-  
შნა მრავალრიცხოვანი მიტინგებით,  
რომელთა მონაწილენი ესალმებოდნენ  
თვითმპყრობელობის დამხობას, აგზავ-  
ნიდნენ მისალოც დებუშებს პეტრო-  
გრადაში მუშათა და ჯარისკაცების დეპ-  
უტატთა საბჭოს სახელზე.

იმართებოდა ჯარისკაცთა დემონსტრა-  
ციები, დიდი სახალხო კრებები.

სასულიერო სემინარიის მოსწავლეებ-  
მაც კი მოაწყეს დემონსტრაცია, რომ  
აღარაფერი ვთქვა ორივე — კლასიკურ-  
სა და ქართულ — გიმნაზიაზე და საქა-  
ლებო სასწავლებლებზე, სადაც ნამდვი-  
ლი რევოლუციური განწყობილება სუ-  
ფიშდა.

შედგა ქუთაისის მუშათა დეპუტატე-  
ბის საბჭოს პირველი სხდომა.

მოეწყო ქალაქის სამხედრო გარნიზო-  
ნის მრავალრიცხოვანი მიტინგი და სა-  
მოქალაქო პანაშვიდი რევოლუციის  
მსხვერპლთა ხსოვნის აღსანიშნავად.

ციხიდან გამოვიდნენ პოლიტიკური  
პატიმრები და ქუჩებში მანიფესტაცია  
მოაწყეს.

მოხდა ჯარისკაცთა დეპუტატების სა-  
გუბერნიო ყრილობა, გაიმართა ქუთაი-  
სის გუბერნიის, შემდეგ კი მთელი დას-

აეღეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობები.

მოეწყო საპირველმისო დემონსტრაციები და მიტინგები.

გაიფიცნენ ქალაქის თვითმმართველობის მუშები.

ქუჩებში მოხდა ჭარისკაცთა გამოსვლები, რის შემდეგ ათასამდე ჭარისკაცი შეიჭრა ქალაქის საბჭოს შენობაში და მოითხოვა ჭარისკაცის მკვლელ პროპორშიკ კომახიძის სამართალში მიცემა.

ეკონომიურ ნიადაგზე გაიფიცნენ „ზინგერის“ საწარმოს მუშა-მოსამსახურენი.

შედგა ბოლშევიკთა საერთო კრება დამოუკიდებელი ორგანიზაციის შესაქმნელად.

ლულაძის მინდორზე გაიმართა გარნიზონის მიტინგი, რომელსაც ხალხი მრავლად დაესწრო, გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, მაგრამ მიტინგმა ერთხმად მიიღო ბოლშევიკების რეზოლუცია.

მოხდა ფრონტიდან დაბრუნებულ ჭარისკაცთა არეულობა და გამოსვლები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის მოქალაქეებმაც. არეულობის ჩასაქრობად ბათუმიდან გამოწვეულმა სამხედრო ნაწილმა უარი თქვა ჭარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაზე და გამოსვლები ტყვიამფრქვევებით ჩაახშეს თბილისიდან გამოწვეულმა იუნკრებმა და კახაკებმა.

ასათიანის ფაბრიკის ფეხსაცმლის მეკრავმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს წაყენებულ მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის გამო.

შედგა ბოლშევიკების საგუბერნიო კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ ხონის, ფარცხანაყანების, ლანჩხუთის, კუხისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

გაიფიცა ქალაქის თვითმმართველობის ყველა მუშა.

გამოვიდა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ ქუთაისის კომიტეტის ყო-

ველკვირეულ ჟურნალის „შესამე ინტერნაციონალის“ ნომრები (ამის განსაკუთრებით აღენიშნავ სანდროსთან დაკავშირებით).

ეს მხოლოდ პირველი წლის ამბები ჩამოვთვალე, თანაც მხოლოდ ის, რომელიც გამახსენდა ან რომლის მოწმე ან მონაწილე მეც ვიყავი. და რამდენი იყო ისეთი, რომელთა შესახებ ჩვენ არ ვიცოდით ან ახლა გადაამავიწყდა?

ასეთ დაძაბულ დროს დაემთხვა ჩვენი ახალგაზრდობა.

შემდეგ წლებში—თვრამეტსა, ცხრამეტსა და ოცში — ვითარება უფრო გართულდა და დაიძაბა. საზოგადოებრივი ბრძოლის ძირითად შინაარსს შეადგენდა ბრძოლა მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. ეს უკანასკნელნი ხან აშკარად გამოდიოდნენ, ხან არალეგალურ მუშაობაზე გადადიოდნენ.

იბრძოდნენ ერთმანეთში სხვა პარტიებიც: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), სოციალ-ფედერალისტები, ესერები, ანარქისტები, ეროვნული-დემოკრატები...

ზოგჯერ ჩვენს პატარა ქუთაისში ერთი დღის მანძილზე ათზე მეტი სხვადასხვა ხასიათის კრება, მიტინგი, სხდომა, კონფერენცია, დისპუტი იმართებოდა, ყველგან ხალხმრავლობა იყო, გაისმოდა მგზნებარე სიტყვები, მოწოდებები, იყო ცხარე კამათი, შეძახილები, ყაყანი და ჩხუბი. ეწყობოდა დემონსტრაციები, ცხადდებოდა გაფიცვები...

სულ აირია ცხოვრება.

თვრამეტი წლის თებერვალში დაიწყო რევოლუციური გამოსვლები. ჭარისკაცებმა ალყა შემოარტყეს თეატრს, ცირკს, შეკრეს ხიდები.

ამას დაერთო ფრონტიდან დაბრუნებულ განიარაღებულ ჭარისკაცთა მღელვარება, საბჭოს მოთხოვნის იარაღის დაბრუნება, უარი რომ მიიღეს გატყუების საბჭოს საწყობი, სადაც თოფები ელაგა.

ჭარისკაცებმა პრინცი ოლდენბურგის შამპანურის ქარხნიდან დაიტაცეს იქ დაგროვილი იარაღი, ატეხეს სროლა,

შეიპრინენ რკინიგზის აღმასკომში, საიდანაც წაიღეს ორასამდე შაშხანა მილიციამ ვერ შეძლო ჯარისკაცთა დაშოშმინება. გამოცხადდა სამხედრო წესები...

მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული ლეჩხუმი ცეცხლის აღში გაეხევა: ჯერ ქუთაისიდან გაიგზავნა დამსჯელი რაზმი, შემდეგ გუბერნიის კომისრის, ცნობილი შექრთამის კაჩუხაშვილის ბრძანებით აჯანყებული გლეხობის ხელში გადასული ლეჩხუმის მახრა კანონსგარეშე გამოცხადდა. აგვისტოში ქუთაისიდან გაგზავნილმა სამმა აეროპლანმა ყუმბარები დაუშინა აჯანყებულ გლეხთა ბანაკს...

მარტში გაიფიცნენ კერძო სამკურნალოს მოსამსახურენი, ივლისში — აფთიაქების, საკრედიტო დაწესებულებათა, ვოლგა-კამის კომერციული ბანკის მოსამსახურენი...

შემოვიდა გერმანელთა ჯარი. ოქტომბერში ისევ გაიფიცნენ თვითმმართველობის მუშები. გაფიცვა გამოაცხადეს ქალაქის სანიტარულ და ცეცხლის მქრობელ რაზმში მომუშავეებმაც...

რას აცეთებდა, როგორ ცხოვრობდა იმ წლებში ჩვენი ოჯახი?

ამ კითხვაზე რომ გიპასუხოთ, უნდა გადმოგცეთ, მოკლედ მაინც, მამაჩემის პოლიტიკური შეხედულებანი, საზოგადოებრივი მრწამსი, რომელიც დაახლოებით ვიცი, თუმცა ბევრი რამ, შეიძლება, ძალიან ბევრიც, მაშინ მხედველობიდან გამომრჩა, ან უბრალოდ არ ვიცოდი, ან დღეისათვის გადამავიწყდა, ძალიან ზოგადად საქმე ასე უნდა ყოფილიყო, მამაჩემის პოლიტიკური ფიზიონომია ამგვარად მესახება:

ის ქრეველუციამდე უპარტიო კაცი იყო. რამდენადაც ვიცი, ფულით ან რაიმე სხვა სახით, ისე როგორც ზოგიერთი შეძლებული, ყველა პარტიას ეხმარებოდა, რომელიც კი დახანგებულ თვითმპყრობელობას ებრძოდა და დახმარებისათვის ზოგჯერ მასაც მიმართავდა ნეიტრალური პირის თუ საქველმოქმედო საზოგადოების საშუალებითა და

შუამავლობით რევოლუციის შემდეგ ერთხანს ფედერალისტებსა... დი. ერკვენულ-დემოკრატებს შორის მერყეობდასანამ კიტა აბაშიძე ცოცხალი იყო, ჩვენს მხარეში მისი დიდი ავტორიტეტის გამო, უფრო ფედერალისტებისკენ იხრებოდა (კარგად იცნობდა აგრეთვე გიორგი ლასხიშვილსაც), ხოლო კიტას უყვარი სიკვდილის შემდეგ მისი სიმბათია, მგონი, აშკარად ეროვნულ-დემოკრატთა სუსტი პარტიისაკენ გადაიხარა. ყოველ შემთხვევაში, მენშევიკები რომ სძულდა და არ თვლიდა მათ „სახელმწიფოსათვის გამოსადეგ აღამიანებად“ (მისი ნათქვამია), კარგად ვიცი.

ისე როგორც ბევრი შეძლებული კაცი, რომელმაც ოჯახის უზრუნველყოფისაკენ და საზოგადოებაში საბატო ადგილის მოპოვებისაკენ გზა საკუთარი ენერგიით, ნიჭითა და მოხერხებულობით გაიკაფა, მამაჩვენი დარწმუნებული იყო, რომ კეთილდღეობა საესებით კანონიერი გზით (როგორც თვით ამბობდა — „რუსეთის იმპერიის ყველა კანონის ზუსტი დაცვით“) და დამსახურებულადაც მოიპოვა. ამიტომ პირველ ხანებში მუშაობა გააათკეცა და პრაქტიკულად ცდილობდა განეზორციელებინა ეროვნულ-დემოკრატთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საქართველოში „ჯანსაღი ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისა და განმტკიცების“ შესახებ, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყველა, ვისაც მხრებზე თავი ება, გამდიდრებულყო და ამით განემტკიცებინა „რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“.

მაგრამ როცა ერთ მშვენიერ დღეს მამის მუშა-მოსამსახურენიც გაიფიცნენ, გულწრფელად აღშფოთდა: „ამდენ ხალხს ვაქმევ, ვაქმევ, გაუპირვებელი ცხოვრების საშუალებას ვაძლევ და კიდევ მე მებრძვიანო?!“

დედაც აღშფოთებული იყო და, უნდა ვალიაო, მეც.

სანდრო თუ შინ იყო, ცდილობდა, თავი აერიდებინა ამგვარ ამბებზე სჯაბაასისათვის. მამამ მისზე ხელი ჩაიქნია

და შინაურ წრეში ჩუმად „ნეტარს“ „ნეტარ-სანდროს“ ეძახდა.

იმ პირველმა კონფლიქტმა მშვიდობიანად ჩაიარა, ხელფასის მომატებით თითქოს კმაყოფილი მუშა-მოსამსახურენი სამუშაოს დაუბრუნდნენ. მაგრამ როცა ერთი წლის შემდეგ ახლად აღმოცენებულმა მათმა პროფკავშირმა მამის წერილობით კვლავ ეკონომიური ხასიათის პრეტენზია წაუყენა, თანაც „ექსპლოატაცია“ და „ექსპლოატატორი ახსენა, ჩვენი მშვიდი და გამჭირიანი მამა გაოცებასა და დაბნეულობას ვეღარ ფარავდა. „ახალი მოთხოვნები რომ დავაკმაყოფილო, რაღა ჯანდაბად მინდა ეს ოხერი მადანები და ვაჭრობა, საქმე წამგებიანი იქნება და სჯობს ლიკვიდაცია ვუყო, სოფელში დავსახლდე და თხოთ ვარჩინო ოჯახიო...“ მამის ეს სიტყვები დედამ გადმოწყა, თანაც მკითხა, როგორ მოვიქცეთო.

აბა მე რა ვიცოდი, თუმცა ცხრამეტი წლის ვიყავი და მათი აზრით ჭკუა მეც შეკითხებოდა! იმ არეულობის დროს სადმე მიყრუებულ სოფელში მყუდროდ ცხოვრება კი მიზიდავდა, მაგრამ ეს რა გამოსავალი იქნებოდა მამისთვის, რომელიც სისხლხორცეულად იყო თავის „საქმეში“ ჩართული, დედისთვის, რომლის ცხოვრება ქუთაისის საზოგადოების გარეშე ვერ წარმომედგინა?

ეს კონფლიქტი დიდხანს გაგრძელდა, თითქმის ორ წელიწადს. პროფკავშირიც, მგონი, მიხვდა, რომ მათი მოთხოვნათა დაკმაყოფილება საქმის ლიკვიდაციას უღრიდა, მუშა-მოსამსახურენი — გამგებები, ნოქრები, აგენტები, ბუღალტრები, მოლარეები, მეკუქნავენი, მზიდავეები, დარაჯები და სხვები, სულ მამას კაცზე მეტი იყო საქმეში ჩართული — ხან მუშაობდნენ, ხან არა, ხან აბარებდნენ ანგარიშს მთავარ კანტორას, ხან უბრალოდ ფულს ითვისებდნენ. კარგად აწყობილი საქმე თანდათან აირია და მართლაც გაუქმების პირამდე მივიდა.

მამასაც, ეტყობა, გული აუტრუვდა, ამბობდა — „იმ მთავრობის სავაჭრო პოლიტიკა საქართველოს საბოლოოდ

დააქცევსო“ და ხშირად მთელი თვით იკარგებოდა ქუთაისიდან, ხან თბილისში წავიდოდა, ხან — ბათუმში და ხან სამეგრელოში — თავის მშობლიურ სოფელში, სადაც ჩანს, რაღაც ინტერესი გაუჩნდა.

თავდაპირველად, თებერვლის რევოლუციის გამარჯვებით ალტკინებულნი, ასევე ალტკინებულ საზოგადოებაში, ხალხმრავალ ქუჩასა თუ თეატრში დედაც და მამაც წითელი ბაფთებით დამშვენებულნი გამოდიოდნენ. მამას უხაროდა, რომ ამიერიდან აღამიანი პირადი ნიჭით და შესაძლებლობებით დაფასდებოდა და არა გვარიით და წარმოშობით, მეტი თავისუფლება და გასაქანი მიეცემოდა პირად ინიციატივას. დედა მაშინვე ჩაება სოკოებივით უცბად აღმოცენებულ და გამრავლებულ ქართველ მანდილოსანთა საქველმოქმედო საზოგადოებათა მუშაობაში. მაგრამ პირველმა ალტკინებამ რომ გაუარა, განსაკუთრებით მამის მუშა-მოსამსახურეთა მეორე გაფიცვის დაწყებისთანავე, ოჯახს დაუბრუნდა, მთლიანად ოჯახზე ზრუნვით შემოიფარგლა, ბავშვებს მიხვდა, მითუმეტეს, რომ არც ერთი შინამოსამსახურე არ შეგვრჩა მოხუცი მზარეულის გარდა და ახლა თითქმის მთელი შინაური საქმე — დედის სუსტ მხრებს დააწვა.

დროა, სერგოზე გიაშობით (უფრო ადრეც უნდა მეთქვა!), რომელიც იმ ხანად ჩვენი უკვე დიდი ხნის მეგობარი იყო, განსაკუთრებით სანდროსი, ხშირად დადიოდა ჩვენთან და წიგნები მიჰქონდა უამრავი წიგნი ჰქონდა წაკითხული ჩვენი დიდი ბიბლიოთეკიდან.

სერგო რურუა რურუების იმ ოჯახიდან იყო, ყველასთვის ცნობილი როლი რომ შეასრულა რევოლუციურ მოძრაობაში, გარე ბიძაშვილად ერგებოდა იმ მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს.

ხონის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სერგო შეეცადა ჩვენს გიმნაზიაში შემოსვლას. იმ წელს განსაკუთრებით დიდი კონკურსი შეიქმნა, ამიტომ ბევრი ყმაწვილის ბედი კე-

ნკმა გადაწყვიტა. სერგოს შავი ამოღვიდა, მაგრამ ამ უნებურ მარცხს სრულიად არ გაუწბილებია მზიარული და საზრიანი ყმაწვილი.

რადგან უმამო იყო და ხელმოკლე ოჯახიშვილად ითვლებოდა, ნიკიერი მოზარდისათვის რომ ცხოვრების რაიმე სახსარი გამოენახათ და ავადმყოფი დედის ახლოსაც ყოფილიყო, ნათესავებმა სერგოს მამაჩვენისეულ ხონის დუქანში ადგილი უშოვეს: ადრე დილით უნდა მისულიყო, დარაბები დაეღო, დასაზე და თაროებზე მტვერი გადაეწმინდა და დუქანი უფროსი ნოქრისათვის ჩაებარებინა. საღამოს ისევ უნდა მისულიყო, ქალადის ნაფლეთები, თოკის ნაწყვეტები და ცარიელი ყუთები მიჩენილ კუთხეში დაეღაგებინა, დუქანი გამოეხვეტა და დარაბები დაეკეტა. ღამით კიდევ ერთხელ უნდა მოერბინა სახლიდან, რომელიც შორიახლო ედგა, რათა დუქნისათვის თვალი შეეგლო, დარაბებისს საკეტები და კარის ბოქლომები შეემოწმებინა. ეს იყო სულ.

თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა სერგოს და ნათესავეების ხელშეწყობით თვითგანვითარებას დაეწაფა. ისეთი ხარბი მკითხველი იყო, დღეში ორ წიგნს ნთქავდა, თანაც ზერელედ კი არ კითხულობდა — თითქმის ზეპირად ახსოვდა წაკითხული. მალე წიგნის კრიზისი დაუდგა, რადგან ხონის თემში, ვანათლების ერთ-ერთ ცნობილ კერად რომ ითვლებოდა, წიგნი აღარ დარჩა სერგოს წაუკითხავი.

იმ დღეს, ჩვენ რომ გავიცანით, სერგო რაღაც საქმეზე ქუთაისში ჩამოსულიყო. ნაცნობმა ბიჭებმა ჩამოიყვანეს წმინდა გიორგის ეკლესიასთან გორაზე. ხუთიოდე ყმაწვილი მამია გურიელის საფლავს გარშემო ვისხედთ და რაღაც საკითხზე ვბჭობდით, როცა ჩვენი ორი მეგობარი გიმნაზიელის თანხლებით სერგო ამოვიდა და ჩვენს წრეში ჩაჯდა. ერთი ორი წლით ჩვენზე უფროსი უნდა ყოფილიყო, ცოცხალი და სწრაფი მხერა ჰქონდა, მოკლედ შეკრებილი ბუტუტი თმა ამშვენებდა, საუღვაშეზე

უკვე შორიდან შესამჩნევნი ბუნუსი გამოსვლოდა, თუმცა ეტყობოდა, ჩვენი არ იყოს, სამართებელი ჭერ მის სახეს არ მიჰკარებოდა.

ასე უხმაროდ შემრვიდა ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში სერგო, რომელმაც შემდეგ იმგვარი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სანდროს ცხოვრებაზე, რომ სულ შეუცვალა ნირი და ხასიათი. თვით სერგო კი, ჭანდონით საგვე ახალგაზრდა კაცი, დიდი მომავლის მქონე მოღვაწე ახალ ხელისუფლებასა და ცხოვრებაში, ათას ცხრას ოცდაოთხი წლის აგვისტოში დაიღუბა, როცა სათავეში ედგა წითელარმიელთა ერთ მცირე რაზმს ქუთაისისა და სენაკის მარცხეში მომხდარი მენშევიკური გამოსვლების დროს.

სანდრო იმხანად უკვე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და ეს ამბავი ჩემგან გაიგო. ახლაც შენახული მაქვს მისი წერილი, რომელშიც მწარედ დასტეროდა თავისი სულიერი მეგობრისა და მოძღვარის ასე უდროო და უღვთო სიკვდილს...

მაშინ კი, იმ შორეულ რევოლუციამდელ წელს, სერგო ჩვენს ოჯახში წიგნის სიყვარულმა შემოიყვანა: ყოველ კვირადღეს ხონიდან ჩამოდიოდა, უკვე წაკითხულ წიგნებს სანდროს ან მე გვაბარებდა და ახალი მიჰქონდა ჩვენი ბიბლიოთეკიდან, რომელიც მამაჩვენის კაბინეტში იყო და მამის ნებართვით მთლიანად ჩვენი, უფროსი შვილების განკარგულებაში გადმოვიდა. გამოგვეკონდა და ვკითხულობდით ყველაფერს, რასაც ვისურვებდით, ოღონდ ერთი მკაცრი პირობით, მამამ რომ ჩამოგვართვა: წიგნები ისევ იქ უნდა დაგვეღაგებინა, სადაც თავიდანვე ეწყო. სხვა მხრივ მამისგან სრული თავისუფლება გვექონდა მონიკებული.

ბიბლიოთეკა მართლაც მდიდარი იყო, ერთ-ერთი საუკეთესო ქუთაისის საოჯახო ბიბლიოთეკებს შორის, სამი ათასამდე წიგნი — მთელი ევროპული და რუსული კლასიკა, იმ დროისათვის გამოცემული თითქმის ყველა ქართული

წიგნი, ვახტანგის „ვეფხისტყაოსნისა“ და ილიასა და აკაკის უკანასკნელი გამოცემების ჩათვლით, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის წიგნები, ისტორიული, სამხედრო და მემუარული ლიტერატურა, მარქსისტული ხასიათის კრებულები, სოციალისტური შინაარსის ბროშურები, იშვიათი აღმანახები და აღბომები, თითქმის მთლიანად ქართული პერიოდიკა.

ამ წიგნების მცირე ნაწილი მე წავიღე სოფელში და შემდეგ იმ სკოლას გადავეცი, სადაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვმუშაობდი, მათი დიდი ნაწილი კი ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოხვდა მის შემდეგ, რაც ჩვენ ყოფილ სახლში ათას ცხრაას ოცდაერთ წელს ჯერ სამხედრო ნაწილი იდგა, შემდეგ კი ტექნიკური გაიხსნა. ახლაც ნახავთ ქალაქის ბიბლიოთეკაში იმ წიგნებს და ადვილად იცნობთ — სატიტულო ფურცლებზე მამაჩვენის მცირე ზომის, დღევანდელი სამკაბიკიანის ოდენა ექსლიბრისია: „ათეებული ჩირაღდნისა და პატარა სხივოსანი მზის გარშემო მომრგვალებულად წერია: „ეპიფანე სორდიას წიგნებიდან“.

(რა რჩება აღამიანისაგან? რა დარჩა მამაჩემისაგან? სოფლიდან ქუთაისში რომ ჩავდიოდი ხოლმე, ხშირად შევივლიდი ბიბლიოთეკაში, გამოვიწერდი რამდენიმე ყოფილ ჩვენ წიგნს და ჩუმი ვეალერსებოდი. ყოველი მათგანი მამაჩემის ხელით იყო ნაყიდი, სათითაოდ გადაფურცლული, საგულდაგულოდ გაწმენდილი და თავის ადგილას მოთავსებული...).

როგორც შემდეგ სანდროსაგან შევიტყე, სერგო რურუას გზა რევოლუციურ მოძრაობაში ამგვარი ყოფილა: ჯერ კიდევ მეფის ჩამოგდებამდე, ორი-სამი წლის მანძილზე, რევოლუციონერი ნათესავეების ზეგავლენით სერგო ადვილად ვარკვეულა კლასობრივი ბრძოლის საკითხებში, რასაც, სათანადო საუბრებიდან და პოპულარული ბროშურების გარდა, უთუოდ ხელს უწყობდა მისი პირადი ცხოვრების ამბები, ობლობა,

ვაჭირება, ავადმყოფობა და სხვა. კაპანწვეტა, ასეთსავე მდგომარეობაში მყოფი, უუფლებო და დაჩაგრული გლეხობის ყოფა-ცხოვრების კარგად ცოდნა.

პირველი ნათლობა სერგოს მიუღია ჩვიდმეტი წლის მარტში, როცა მის ნათესავს, ცნობილ ძველ რევოლუციონერს ამხანაგ ვანოს პეტროვგარდში რევოლუციის გამარჯვების ცნობის მიღებისთანავე სოფელ კულაშში სასწრაფოდ შეუკრებია პარტიული ამხანაგები და საუბარი ჩაუტარებია რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მნიშვნელობაზე. სერგოც იქვე ყოფილა და მონაწილეობა მიუღია ამ საუბარში. ორ მარტს კულაშში კვლავ შემდგარა სოციალ-დემოკრატთა გაფართოებული კრება, სადაც ამხანაგ ვანოს უსაუბრია მათი პარტიის პროგრამასა და ამოცანებზე. სერგო ამ კრებასაც დასწრებია და სიტყვით გამოსულა. შვიდ მარტს კი ჯვარცმის მონასტრის ვრცელ მოედანზე გამართულა კულაშისა და მახლობელი სოფლების გლეხთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეკრება, მოხსენება კვლავ ვანოს გაუკეთებია. სერგო აქაც აქტიურობდა, მღელვარე სიტყვითაც მიუმართავს ახალგაზრდობისათვის.

აქედან დაიწყო მენშევიკების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ამხანაგი ვანოს ინიციატივით და სერგოს აქტიური მონაწილეობით კულაშის თემში განაიარაღეს ჩაფრები, შეადგინეს სახალხო მილიცია, ბოქაულსა და მამახალისის ჩამოართვეს საქმეები, დაადგინეს, რომ გლეხობისათვის შემამულეთა მიწები გადაეცათ და გაეთავისუფლებიათ სწავლის ჭირისაგან ღარიბ გლეხთა შვილები.

სხვადასხვა პარტიების ბრძოლას იმ პერიოდში იმგვარი დაუნდობელი ხასიათი ჰქონია, რომ ერთ-ერთ შეკრებაზე ვიღაც ფედერალისტს ტყვია უსვრია ტრიაუნაზე მდგარ ამხანაგ ვანოსათვის, მაგრამ აუცილებია. იქვე მდგარა სერგოც.

სოფელ მელაურში პარტიის უჯრე-

დის ჩამოყალიბებისთანავე სერგო პარტიის მიიღეს, რადგან საქმით, მთელ მაშინდელ ამბებში უშუალო მონაწილეობით ყველას დაუმტკიცა ბოლშევიზმის იდეებისა და საქმისადმი სრული ერთგულება.

ერთი წლის შემდეგ, როდესაც სერგოს ხელმძღვანელობით ჩვენი სანდროც გამოიკადა და გამოიწრთო მენშევიკებთან იდეურ ბრძოლასა და პრაქტიკულ საქმიანობაშიც, სერგოსა და სხვა ამხანაგების რეკომენდაციით ისიც მიუღიათ პარტიაში.

იმ დროისათვის სერგოს უკვე კარგა ხანია თავი დაენებებინა ზონში მამიჩვენიველ დუქანში მუშაობისათვის. ხელმძღვანელი ამხანაგების მიერ მას თურმე დაევალა ქუთაისის, შორაპნისა და სენაკის მარტებში ახალგაზრდა ინტერნაციონლისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციის „სპარტაკის“ მუშაობაში აქტიური მონაწილეობის მიღება და მის გარშემო უკვე გათვტენობიერებული ახალგაზრდების დარაზმვა.

სერგო სულითა და გულით, მთელი არსებით, ყმაწვილური თავდადებით, ენერგიითა და რწმენით ჩაება მუშაობაში, რომელიც ძირითადად არალეგალურად, იატაკქვეშეთში მიმდინარეობდა და მალე თავისი მეგობარი სანდროც ჩაიყოლია, რომელსაც აუხსნა მისი უზრუნველი ცხოვრების მთელი ამორალობა, მამაჩვენის, როგორც „ექსპლოატატორისა და მშრომელ ხალხის სისხლის მწოველთა ტიპიური წარმომადგენლის“, უარყოფითი, რეაქციული როლი საზოგადოების განვითარებაში და ის ელემენტარული ქეშმარიტება, რომ ყველა შეგნებული და პატიოსანი ახალგაზრდა უნდა იბრძოდეს ჩაგრული ხალხის ხსნისათვის, სწორედ მათ წინააღმდეგ, რომელთა წრეს ეპიფანე სორდიებიც ეკუთვნის“.

სერგო უნერგავდა აზრს, რომ „მხოლოდ ამით გამოისყიდდა სანდრო იმ დიდ, მართალია, უნებლიე, დანაშაულს, რაც მისი უდიდესი უზნეობა იყო მრავალმი-

ლიონიანი მშრომელი მასების აუტანელი სილატაკის წინაშე“.

სანდროს თვლები აენილა, მან მწარედ შეივარძო და მძიმედ განიცადა თავისი დანაშაული და სამარცხვინო მდგომარეობა საზოგადოებაში, ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა, სიცოცხლე გაეწირა იმ, როგორც სერგო ეუბნებოდა, „ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლაში, როცა აღარ იქნებიან ჩაგრულნი და მზავგრულნი, როცა ყველას ერთნაირი უფლება ექნება და მოისპობა ხალხის მოტყუება, სხვისი შრომის მითვისება, უსამართლობა და უკანონობა, როცა დადგება კარლ მარქსის მიერ ნაწინასწარმეტყველები სოციალიზმი, რისთვისაც დღეს მთელი რუსეთის მშრომელ ხალხს რაზმავს ბოლშევიკური პარტია ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით“.

სანდრომ ირწმუნა ეს ყველაფერი, დაეწაფა მარქსისტულ ლიტერატურას, რომლითაც სერგო ამარაგებდა (სერგოს კი, თავის მხრივ, ცნობილი რევოლუციონერი ამხანაგები ამარაგებდნენ), მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მარქსისტ-ბოლშევიკების საიდუმლო სხდომებსა და შეკრებებში, სიტყვითაც ხშირად გამოდიოდა და მგზნებარე პროკლამაციებსაც წერდა. რადგან უფრო თეორიული საკითხები ემარჯებოდა, სანდრომ სწორედ ამ თეორიულ საკითხებში გამოიჩინა თავი, მას ამ ახალგაზრდათა წრეში ნიჭიერი თეორეტიკოსის როლი ერგო და, როცა რაიმე საკამათო ან საკოჭმანო საკითხი იდგა, ყმაწვილები, ჩვეულებრივ, მას მიმართედნენ ხოლმე. სანდრო ჭერ გავითბოდა საჭირო ლიტერატურას, მოეთთბირებოდა სერგოს ან უფრო გამოცდილ უფროს პარტიულ ამხანაგებს და მხოლოდ შემდეგ უხსნიდა ყმაწვილებს ამ რთულ საკითხებს.

ჩემს გვიანდელ შეკითხვაზე, თუ რა საკითხები იყო ის რთული საკითხები, რომლებიც კლასობრივ ამბებში უკვე კარგად გარკვეულ, მაგრამ თეორიულად ჭერ კიდევ ნაკლებად მომზადებულ ახ-



ალგაზრდებს აინტერესებდა, სანდრომ ზოგიერთი მათგანი ჩამომითვალა: გამარჯვების შემთხვევაში რას მისცემდნენ ბოლშევიკები გლეხებს, ვინ დაეპატრონებოდა ფაბრიკა-ქარხნებს, როგორი იქნებოდა სოციალიზმის და კომუნისმის დროს ქალის მდგომარეობა, მოისპობოდა თუ არა ოჯახი, ვინ უპატრონებდა და გაზრდიდა ბავშვებს, სცნობდნენ თუ არა ბოლშევიკები თავისუფალ სიყვარულს, მოისპობოდა თუ არა ეროვნებები, იქნებოდა თუ არა ფული, ვაჭრობა, როდის მოხდებოდა მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია და სხვა...

ეს ამბავი მთელი ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ჩვენ, ოჯახში, არაფერი არ ვიცოდით ამის თაობაზე, სანამ მამამ ვილაცისაგან არ შეიტყო (არ უთქვამს, ვისგან), რომ ჩვენი კეთილი და პატიოსანი სანდრო ახალგაზრდა რევოლუციონერ-ბოლშევიკთა საიდუმლო წრეებში აქტიურობდა და მათ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აქეზებდა „იმ დიდი მიზნის მისაღწევად, რომელიც რუსეთისა და საქართველოს პროლეტარიატსა და გლეხობას საერთო ჰქონდათ“.

მამის რეაგირება სანდროს ამგვარ საქციელზე ჩემთვისაც და დედისთვისაც სრულიად მოულოდნელი იყო. მამა დიდ ხანს ესაუბრა სანდროს ჩაკეტულ კაბინეტში, შემდეგ კი დედას და მე გამოგვიცხადა: „თავი დაანებეთ, რაც უნდა ის აკეთოს ჩვენმა ნეტარმა სანდრომ როგორც გულუბრყვილო და მიამიტი იყო, ისეთივე დარჩენილა, მაგრამ სინდისი ჭერ კიდევ შერჩენიაო“.

როგორც ვთქვი, ეს ამბავი თითქმის ორ წელიწადს გრძელდებოდა, შემდეგ კი რაღაც მოხდა, მგონი, უთანხმოება ჩამოვარდა სერგოსა და სანდროს შორის, მგონი წალაპარაკდნენ კიდევ ბრძოლის მეთოდებზე თუ აუცილებელ და უაზრო მსხვერპლზე, უაზრო სისასტიკესა თუ აუცილებელ სიკეთეზე და სხვა ამგვარ ზნეობრივ საკითხებზე. ყოველ შემთხვევაში, სანდრო თანდათან ჩამოცი-

ლდა თავის ამხანაგებს, უფროცაა შინ ინტენსიურად განაგრძობდა მარქსისტული მოძღვრების შესწავლას, საქირო წიგნების ნაწილი მან ჩვენს ბიბლიოთეკაში იპოვა, ნაწილი კი საიდანაც მოჰქონდა, და ერთ მშვენიერ დღეს გამოგვიცხადა, რომ ამირებს სწავლის გაგრძელებას უმადლეს სასწავლებელში.

ათას ცბრასს ოცი წლის გაზაფხული იდგა.

თუ როგორ უყურებდა მამა სანდროს გაბოლშევიკებას, მგონი, ზემოთ ნათელვყავი. საქმე ის იყო, რომ მამა ამ ამბავს სანდროს ყმაწვილურ გატაცებად თვლიდა, რაც ალბათ მალე გაუვლიდა, თანაც მაშინ მთელი არსებით იყო მონდომებული, როგორმე გადაერჩინა თავისი ახალგაზრდა „ფირმა“, სწორედ ეს იყო მისი მთავარი საზრუნავი, სწორედ „საქმის“ გადარჩენაზე ან სათანადო ლიკვიდაციაზე ზრუნვას და დიდი ოჯახის სარჩენად რაღაც სხვა მუდმივი შემოსავლიანი წყაროს გამოძებნას გაეტყვნა მთლიანად მისი აზრი და გონება.

არადა, ვაგვიჭირდა მენშევიკებმა მართლაც ისე წაიყვანეს ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება (უფრო სწორად, სრულიადაც არ აქცევდნენ მას ყურადღებას), რომ ხალხი დაიშვა. პური საქართველოს მოწყვეტილ რუსეთიდან აღარ შემოდოდა, თურქეთთან ხან ომი იყო, ხან დაძაბული ზავი, მერე მცირე დროით ატყდა ომი სომხეთთან, აფხაზეთის მხრიდან დენიკინის ჯარი ქმნიდა შემოჭრის საფრთხეს, გერმანელებისა და შემდეგ ინგლისელების ჯარის მოსვლა საქართველოში თვით იწვევდა ათასგვარ ხარჯებს. მემამულეებს მიწები დაუტოვეს, გლეხი კი თავის მცირე კარმიდამოში ახლა კი არა, როცა მიწაზე შრომას არც კი აცლიდნენ, უწინაც, მშვიდობიანობის დროსაც, ეკრ იწვევდა საქმარის სარჩოს. ხან გაფიცებები იყო, ხან აჯანყებები ხდებოდა...

ქუთაისი დაიშვა. ბაზარი ისე გაძვირდა და ფული ისე აღარ ფულობდა, რომ ერთი ტომარა ლობიოს ყიდვას ერთი ტომარავე ფული ჰქირდებოდა. ოჯახში

ბევრი ვიყავით. ჩვენი და-ძმები იზრდებოდნენ, მაგრამ ჭერ იმოდენებიც არ იყვნენ, რომ შინ რაღაც შემოეტანათ. არც მე და სანდრო ვიყავით რაიმეს შემომტანი (ჩემდა სამარცხვინოდ ვამბობ ამას). ყველანი მამას შევყურებდით ხელეში. მხოლოდ სოფიკო იყო, დედას რომ ვაუჯაკურად მხარში ამოუდგა და რაც შეეძლო, ყველაფერში ეხმარებოდა.

იმას ვიმეორებ, რომ მამას სანდროსთვის სრულიად აღარ ეცალა (თავისით მოკვივანდებო) და ისიც კი ვერ წარმოედგინა, რომ მის მუშა-მოსამსახურეთა ის მეორე ეკონომიური ხასიათის მოთხოვნა, საქმეზე რომ თითქმის ხელი ააღებინა, სწორედ სანდროს მიერ ყოფილა შესწორებული-რედაქტირებული (ეს ნიშნის მოგებით მითხრა ერთმა ნოქარმა...)!

დედა კი ძალზე მტკივნეულად განიცდიდა სანდროს ჩარევას რევოლუციის საქმეებში ბოლშევიკების მხარეზე. თითქოს ჭიბრზე, შინ სანდრო სულ იმის თაობაზე ელაპარაკებოდა, რომ უამრავი მშრომელი შიმშილობს, ჩვენ კი მათ ხარჯზე გვინდა ცხოვრებაო. „განა მამაშენი არ მუშაობს, არ იღწვის და არ იბრძვის არსებობისათვის?“ — ეკითხებოდა დედა და თან ცრემლს იწმენდდა. „ეგ სხვა შრომაა, ეგ მაინც სხვისი შრომით მოპოვებული მოგების მითვისებაა“, — უხსნიდა მშვიდად სანდრო, თავისი მიაზიტი მზერით სიყვარულსა და სიბრალულს აფრქვევდა დედის მიმართ, მაინც ჭიუტად განაგრძობდა: „იმგვარი ცხოვრება, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, ზნეობრივად გაუმართლებელია, პატიოსან და თავმოყვარე ოჯახს არ შეეფერისო“.

ამგვარ სიტყვებზე დედას უცებ ნერვები ეშლებოდა და ზეწამოჭრილი ისტერიულად ყვიროდა: „მაშ ჩვენ, ჩვენ, ჩვენ უპატიოსნები ვართო?!“ „ობიექტურად ასე გამოდისო,“ — მშვიდად პასუხობდა სანდრო და მაშინვე ოთახიდან გადიოდა, თავათაც ცრემლი რომ არ წასკდომოდა (იმ წუთ-

ში მზად ვიყავი, ყელში ვცემოდი ან ორად გამეგლიჯა სანდრო... ამგვარი კერბომა გამოიჩინა შემდეგაც). სანდრო სახლს გაეცლებოდა ხოლმე და ან ეზოში იქდა ჩვენს დიდ ლოდზე ან ქალაქში მიდიოდა.

არა, დედა ვერასგზით ვერ ურიგდებოდა და ვერც შეურიგდებოდა, რომ დაეცლოდა, სანდროს ამგვარ აზრებს.

მე? მე რას ვფიქრობდი ან რას ვგრძნობდი სანდროს მიმართ მაშინ?

მე სანდრო მიყვარდა ტყუბი ძმის უძლიერესი სიყვარულით ვიცი, რომ მასაც ასე ვუყვარდი. ვერაფერი ვერ ამოშლიდა მაშინ ჩემში ამ სიყვარულს, და ახლაც ვერ ამოშლის. ვიცი, რომ ჩემს მიმართ სანდროც ამგვარი იყო.

მისი წარმატება თუ მარცხი ჩემ საკუთარ მარცხად და წარმატებად მიმაჩნდა.

ჩვენ სრულიად მსგავსი სისტემის აზროვნება გვექონდა, ოღონდ ვალიარებ, მას უფრო ღრმა, მე უფრო ზედაბირული.

ჩვენ სრულიად მსგავსი ემოციური წყობა და სამყარო გავაჩნდა, მაგრამ კვალი და გავლენა ამ ემოციებისა სხვადასხვაენაირი იყო — ჩემი უფრო სწრაფ-წარმავალი, მისი უფრო მყარი, მე ვჭობდი ემოციების მრავალფეროვნებით, ის მჭობდა მათი სიღრმით.

მე ჩემს თავს მასში ვგრძნობდი, ის კი — ჩემში.

ხშირად გვისაუბრია ამ უცნაურობაზე, რომელიც ბავშვობაში ზოგჯერ გვაღიზიანებდა, წაგვიღებდა კიდევ ერთმანეთს.

მოკლედ, ჩვენ ტყუბები ვიყავით და ამით ყველაფერი ნათქვამი.

მაშინ სანდრო მე მძულდა. მძულდა და მიყვარდა ერთდროულად, ალბათ როგორც მას მე.

მძულდა იმიტომ, რომ დიდი ტკივილი მოგვაყენა ყველას — დედას, მამას, მთელ ოჯახს, განსაკუთრებით დედას.

მას ვძულდი ალბათ იმიტომაც, რომ ამის გამო მე მძულდა იგი.

მიყვარდა და ვამაყობდი სანდროთი

იმიტომ, რომ მან იპოვა არსებობის გამამართლებელი რაღაც მყარი იდეა, რომელიც მე არ გამაჩნდა.

მე მძულდა იგი იმიტომ, რომ ამ იდეისათვის გასწირა ჩვენი ოჯახი.

მიყვარდა და ვამაყობდი იმიტომ, რომ არაფერს არ შეუშინდა, არაფერს არ მოერიდა, დიდი ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა ამ იდეის პრაქტიკულად განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამით ჩვენს ოჯახს სპობდა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ რეალურად.

მას მე ვუყვარდი და ჩემით ამაყობდა იმიტომ, რომ მიუხედავად დიდი ტკივილისა, რაც მან მოგვაყენა, მე მაინც მიყვარდა იგი და ვაფასებდი მას როგორც ძლიერ პიროვნებას.

მან ეს კარგად იცოდა.

მაგრამ, ამავე დროს, მე მას ვძულდი იმიტომ, რომ მე იგი მძულდა, რომ მე ჩემი სისუსტით მასზე უფრო ადამიანური აღმოვჩნდი და რაღაც იდეაზე მალა დედაშვილური სიყვარული დავაყენე.

მაგრამ მას ამიტომაც ვუყვარდი ისევე, როგორც მე ის მიყვარდა სწორედ იმიტომ, რომ, მიუხედავად ჩემიანი გულჩვილობისა, არჩეულ გზას არ უღალატა, არც მაშინ და არც არასოდეს, უფრო ზოგადი სიყვარულის იდეა იწამა და დედას დაუმალავად ეუბნებოდა იმას, რაც დედაში მისდამი სიყვარულს კლავდა.

მას უყვარდა დედა ისევე, როგორც მე მიყვარდა, მაგრამ დედის სიყვარულის გარდა ის აღიარებდა კიდევ ზოგადი სამართლიანობისა და საერთო სიყვარულის პრინციპს.

მე დედა მიყვარდა და არავითარი ზოგადი სამართლიანობისა და საერთო სიყვარულის პრინციპში არ გავცვლიდი მას.

მაგრამ მე ჩემი ძმაც მიყვარდა და ვამაყობდი ძმით სწორედ ამ ზოგადი სამართლიანობისა და საერთო სიყვარულის არა სიტყვით, არამედ საქმით აღიარების გამო.

მე კი არ შემეძლო, მე დედა მიყვარდა...

ბიზნისი

(მაპატიეთ ეს აბნეული მსჯელობა, ალბათ ვერ გადმოგვეცით, რასაც ვფიქრობ და ნათლად ვგარძობ).

ან მე ვიყავი მართალი, ან — ჩემი ძმა შეუძლებელია ორივე მართალი ვყოფილიყავით.

ეს ალბათ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა საზომით მივუდგებით, რა საწყაოთი ავწყავთ, რა სასწორით ავწონით ყველაფერს.

აქ მე დადუმება მირჩევნია, თუმცა ჩემი ძმა ბოლომდე იტყოდა სათქმელს. ამ კონტრასტშიც ძლიერ ვგავდით ერთმანეთს, რადგან მისი საფუძველი ერთია — პატიოსნება.

ასეთი რთული იყო ჩვენი ურთიერთობა, ასეთივე რთული დარჩა ბოლომდე, იმის შემდეგაც კი, რაც ჩვენს ოჯახს დაემართა და რაც ჩვენ ორივეს თავს გადაგვხდა.

ამავე დროს ეს ურთიერთობა გარეგნულად იყო მეტად უბრალო, მარტივი და ნათელი, რადგან ორივემ კარგად ვიცოდით, რომ მას მხოლოდ ურთიერთ-სიყვარული ჰქვებავდა და აცოცხლებდა.

ამრიგად, ათას ცხრაას ოცი წლის დასაწყისში სანდრომ გამოგვიცხადა, რომ სურდა სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებელში.

ვინაიდან რუსეთში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და იქაურ უნივერსიტეტებზე ფიქრიც არ შეიძლებოდა, გადაწყდა, რომ სანდრო ახალგაზნადი ქართულ უნივერსიტეტში შევიდოდა.

მწვავედ დადგა საკითხი, ვისთან და რა ხარჯით იცხოვრებდა ჩემი ძმა თბილისში.

მოკლე მიმოწერისა და მამის ერთი ჩასვლის შემდეგ, საცხოვრებლის საკითხი თითქოს კარგად მოგვარდა. მთაწმიდაზე, სასამართლოს ქუჩის ერთ-ერთ ჩიხში ცხოვრობდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პედაგოგი ალექსანდრე მიქაბერიძე, შემდეგ მეტად პოპულარული წიგნის „ელინური მითე-

ბის<sup>ა</sup> ავტორი. მას ქუთაისის კლასიკურა გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული, შემდეგ ვარშავის ინსტიტუტში სწავლობდა, იმჟამად კი თბილისის უნივერსიტეტში ლათინურ ენას ასწავლიდა. მას ფართო ნაცნობობა ჰქონდა ქუთაისისა და თბილისის ინტელიგენციის წრეებში (მამაჩვენებდა კარგად იცნობდა), ყველასაგან დიდად პატივცემული იყო, როგორც უაღრესად სპეტაკი, პატიოსანი და განათლებული ადამიანი.

იმვე წლის ზაფხულის მიწურულს სანდრო გულიდან ძლივს მოვიგლიჯეთ და თბილისში გავამგზავრეთ. განსაკუთრებით დედა განიცდიდა მის წასვლას, თითქოს გრძნობდა, რომ ველარასოდეს ნახავდა, თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა, ლოცავდა და ღვთისმშობელს ავედრებდა...

მეც ძალიან განვიცდილი.

მამა ხმას არ იღებდა, მაგრამ ვინ იცის, მის გულში რა ხდებოდა.

სანდრო შევიდა თბილისის უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სამეურნეო განყოფილებაზე, რომელიც ათას ცხრაას ოცდაერთი წლის 30 სექტემბერიდან აგრონომიულ ფაკულტეტად გადაკეთდა.

წავიდა სანდრო და დავრჩით ჩვენ.

თითქოს რაღაც სხევი მოგვაკლდა, საფიქრალი და საზრუნავი დავვიძიძიდა, ხალისი და სიცოცხლე ყველაფერმა დაკარგა, უმეტესად დედისთვის და ჩემთვის.

სულიერად და ფიზიკურად გატეხილი მამა თითქოს კვლავ ძველი ენერგიით და მოწადინებით ზრუნავდა ოჯახზე, მაგრამ ვგრძნობდით, რომ მას გაუქრა რაღაც მთავარი მიზანი, მთავარი აზრი ცხოვრებისა, გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი ვახდა, მის სახეზე ღიმილი აღარავის დაუნახავს, ანგარიშმოუცემლად მოქმედებდა.

„ეპიფინე სორდიას საგაქრო ფირმა“ თითქმის მთლიანად დაიშალა, მალაზიები და დუნუნები აქა-იქ დაიხურა, ზოგი სოფდაგარ-ნოჭრების ხელში გადავიდა, რომლებიც დამოუკიდებლად ვაჭრობ-

დნენ საქონლის იმ ნარჩუნებით: რაც გააჩნდათ — ახალი საქონელიც მათთან აღარ მოდიოდა.

მამა არც ისე დიდი ხანისა იყო, რომ მხოლოდ სიბერისთვის მიგვეწერა მისი სულიერი და ფიზიკური დეგრესია, იგი დაბადებული იყო 1864 წელს, ამდენად, მამინ 58 წლის ვახლდათ, 1882 წელს დაბადებული დედა კი მხოლოდ 38 წლის იქნებოდა. მე და სოფიკო, უკვე წამოზრდილი ჩვენი უმცროსი ძმები ლადი და ილიკო, უმცროსი დები ანიკო და ნინო კარგად ვხვდავდით და შინაგანადაც ვგრძნობდით, რომ მშობლები ცუდ დღეში იყვნენ, უფრო მეტად კი ჩვენი სათაყვანებელი დედა, რომელიც ისე გაილია და გაიციოცა, ისე დასაწყულდა, რომ სიბრალულოთ გული გვიკვდებოდა, ყელში რაღაც გვეგზინებოდა და თვალებზე უნებური ცრემლი გვადგებოდა.

თითქოს ამ ქვეყანას მოწყვეტილი მამაც, საესებით მექანიკურად და გაუცნობიერებლად რომ ცდილობდა რაღაც ელონა, აქეთ-იქეთ უნაყოფო წყვეტილია და გადასხვანიარებული სინამდვილით თავგზააბნეული, მამაც კი მიხვდა ბოლოს და ბოლოს, რომ დედა ხელიდან გვეცლებოდა.

ექიმები, რომლებიც ჭერ კიდევ ძველებურად მეგობდობდნენ ჩვენს ოჯახს, რაღაც „შავ მელანქოლიას“ აბრალებდნენ ყველაფერს, უამრავ მატონიზირებულ წამლებს უწერდნენ დედას, ხოლო ყველაზე გამოცდილნი, მათ შორის, კერძოდ, პატივცემული ნაზარიშვილიც, გვიმტკიცებდნენ, რომ დედას არავითარი წამალი არ სჭირდებოდა და არც უშველიდა, გარდა „სათანადო გარემოს“ შექმნისა, რომელიც დაამშვიდებდა, გაახალისებდა, სულს შთაბერავდა მის მოშლილ ფსიქიკას და სიცოცხლის სურვილს დაუბრუნებდა.

ერთხელ, სანდროს გამგზავრების ორიოდ თვის შემდეგ, მამამ დედა თბილისში წაიყვანა — სანდროსაც ვაჩვენებ და ექიმებსაც ჩამოვივლით.

იმ ორი კვირის მანძილზე, სანამ ჩვენი

მშობლები დაბრუნდებოდნენ, სახლსა და ოჯახს თეჭესმეტი წლის სოფიკო უძღვებოდა, ჩვენი ძვირფასი და მარად დაუვიწყარი დაიკო, რომელიც არაჩვეულებრივი ენერჯით და ასაკისთვის შეუფერებელი წინდახედულობით გამოირჩეოდა.

მეც უსიტყვოდ ვასრულებდი მის დავალებებს. ჩვენი უმცროსი ძმები, თოთხმეტი წლის ლადი და თორმეტი წლის ილიკო, სწორედ იმ ასაკის იყვნენ, როდესაც ბიჭები სულ ქუჩაში არიან, თავდავიწყებით ეძლევიან უთაბოლო ხმაურიან თამაშს თუ სიგიჟე-ანცობას, მითუმეტეს, დრო და გარემო თუ უწყობთ ხელს, როცა არც სისტემატური სწავლაა, აღარც ოჯახისა თუ სკოლის დისციპლინა, ღამით ქუჩაში ხან რევოლვერების ბათქა-ბუთქი თუ შაშხანების ჰახა-ბუხი ისმის, როცა ირგვლივ ყველაფერი მერყევია, განწირულად ქანაობს ხელისუფლება და არავინ იცის, ხვალ რა მოხდება... მათაც კი ამოსდო დროებით ლავამი სოფიკომ და დაამოშშინა თავაწყვეტილი ბიჭები. მცირეწლოვან დებსაც — ათი წლის ანიკოს და რვა წლის ნინოს — გამოცდილი მშობელივით უვლიდა, ოჯახში წესრიგის დაცვას, ავეჯის, იატაკის, ფანჯრების წმენდას ასწავლიდა და სამზარეულოშიც, რამდენადაც ხელი მიუწვდებოდა, წრთენიდა. ჩანს, ამასობაში თვითაც სწავლობდა საოჯახო საქმიანობას.

ჩამობრუნდნენ თბილისიდან ჩვენი მშობლები. სადგურზე მე დახვდები. დედა ვაგონიდან საკაცით ჩამოიყვანეს. თხელი ნაცრისფერი საბანი ეხურა, ისე იყო გამხმარი და მიღეული, ძლივს ჩანდა საკაცზე. მამა სიცივისაგან გაფითრებულიყო, ვაგონში ყინავდაო, და ხელებს უმწეოდ იფშენებდა. დედამ მხოლოდ ერთხელ მომაშუქა თვალები და როცა ხელები დავეჯოკენე, შუბლზე მემამბორა ცხელი, ანთებიაანი ტუჩებით. საკაცე ეტლში ძლივს მოვათავსეთ, მამასა და მე გვეჭირა გარდიგარდმო, ცხენები ნელა მიტკაპუნებდნენ ქუთაისის ქარ, იდევ მძინარე ტუჩებში. სახლის წინ

ბავშვები გამოგვეგებნენ. დედამ მამა ალერსი და კოცნა დაუწყო, სოფიკო და მე უხმოდ ვიცრემლებოდით. მე და მამამ ფთხილად შევიყვანეთ დედა ოთახში და დავაწვინეთ. მაშინვე ფარდებას ჩამოშვება ვეთხოვია. ოთახი დაბნელდა. ამ ბნელ ოთახში გაატარა დედაჩვენმა თავისი ცხოვრების ის უქანასკნელი თვე...

ხანდროს გამო ჩემს შეკითხვაზე (სასადილო მაგიდას ვუსხედით მამა, მე და სოფიკო) მამას თავი არ აუწევია, არც შემოუხედავს ჩემთვის, პირისკენ წაღებული ხმელი მჭაღის ნატეხი თეფშზე დააბრუნა და ყრუ გულისტკივილით მიბასუნა: „მთლად გაბოლშევიკებულა და სდევნიან, მცირე ხნითაც ვერ ვნახეთ სალაპარაკოდ“. თუ სწავლობს-მეთქი, როცა ვკითხვ, კვლავ ისე მიბასუნა: „აბა რა ვიცი, უნივერსიტეტში ხანდახან კი გამოჩნდება თურმე, მაგრამ იქ რას აკეთებს, ბატონმა ალექსანდრემაც ვერ მითხრა“.

დადგა დრო და მამა შინიდან აღარ გავიდა. მთელი დღეები დედასთან იჯდა ჩაკეტილ და ჩაბნელებულ ოთახში.

რაზე საუბრობდნენ, როგორ ძლებდნენ ასე პირისპირ მთელ დღეს, არ ვიცი, ვერც მამის წარმომედგინა და ახლაც ვერ მივხვდარავარ...

დეკემბრის ერთ მოღრუბლულ დღეს, როცა ქუთაისის ქარი იქაურობას გლეჯდა, დედამ მამის ხელებზე დალია სული. მამა თითქოს ბურანიდან გამოერკვა, რალაც მიძებნ-მოძებნა კაბინეტში, ტილოს ნაჭერში გაახვია და წავიდა. უკან მობრუნებულმა თან მოიტანა ფულის დიდი დასტა. მისი მეგობარ-ნაცნობებიც მოვიდნენ.

შაბათ დღეს დავკრძალეთ. დასაფლავებას, როგორც იტყვიან, მთელი ქუთაისი დაესწრო. ასზე მეტი გვირგვინი გავიტანეთ სახლიდან. მწუხარედ ბლოადა სასულე ორკესტრი ქარში. ისე მომიჩვენა, თითქოს შალსანთა გრძელი პროცესია ძველ ცხოვრებას მიაცილებდა...

სანდრო დასაფლავებაზე ვერ ჩამოვიდა, ბაჭოში წასულიყო. მხოლოდ ალექ-

სანდრე მიქაბერიძის სამძიმრის დებეშა მივიღეთ...

დედის დასაფლავებას არც ბაბუა დასწრებია—ოთხშობის იყო გადაცილებული და მთლად დაუძლურებული. იმ ხანებში, დედის გარდაცვალებამდე, ერთხელ კი შეგვახსენა თავი, როცა ჩვენს უიშვარს მისგან გამოგზავნილი ურემი მოადგა და ნაცემობმა გლეხმა ბაბუას სახელით სამიოდე ფუთი სიმინდისა ფუჭვილი, ორი ბათმანი ლობიო და ერთი ტომარა კაკალი ამოათრია ჩვენს კიბუზე. სიტყვით დანაბარებუც გადმოგვცა: „თუ გავიჭირდეთ, ჩამოდით და მეც მომხედეთ, ამ ქვეყნისა აღარა ვარო“...

დედის დასაფლავების შემდეგ მამამ ასე განსაჯა: სოფიკო სოფელში უნდა წასულიყო უმცროსი დებითა და ძმებითურთ, „მე და ეპო კი დროებით აქ დავრჩებითო“ (ეპოს მე მეძახდნენ შინაურები და ამხანაგები, მამის სახელი მქვიია — ეპოფანე).

ურემი დავიჭირავეთ, დავუღეთ ტვირთი — მამის მითითებით სახლიდან გამოვზიდე და-ძმებით ლოგინები, თეთრეული, ორი კალათა ჭურჭლეული, ტანსაცმელი, ორი ფარდაგი და კიდევ რაღაც წვრილმანი. მამამ დასაფლავებიდან მორჩენილი ფული მთლიანად სოფიკოს ჩააბარა, მე კი სოფლამდე უნდა გამეცილებინა და-ძმები და იქიდან, თუ ცხენს ვერ ვიშოვიდი, ფეხით უნდა წამოვსულიყავი.

საკმაოდ ციოდა პატარები საბნებში გავხვიეთ და ურემზე დავსვით, მოზრდილ ლადის გასართობად გემის კაპიტნობა დავავალეთ, ილიკოს შტურმანობა ვანდეთ, ხოლო უმცროსი დები მგზავრებს თამაშობდნენ. მე და სოფიკო ფეხით გავყვეით ნელა მოჭრიალე ურემს და ჩვენს ნაცნობ მეურმეს პეტრიკელას, რომელიც გზაში შეუწყვეტლივ გვესაუბრებოდა „სახელმწიფოებრივ და კლასობრივ პრობლემებზე“.

პეტრიკელას აზრით, მენშევიკების საქმე წასული იყო, რადგან, მისი ჭკუით, თუ ოჯახი კაი გინდა, ძლიერი ოჯახი უნდა შექმნა, თუ სახელმწიფო კაი გინ-

და გქონდეს, ძლიერი სახელმწიფო უნდა შექმნა. სახელმწიფოს საქმეებზე თურმე მათზე, პეტრიკელასთანაა გლგობებზე ყოფილა დამოკიდებული (მე და სოფიკომ ვიცოდით, რომ პეტრიკელა გამარჯვებულში ცნობილი იყო სიზარმაცითა და ყბედობით).

„აი გლახა მენშევიკები არც ჩვენ გვაადგიან გლეხებს, რავარც ვიყავით, ისევე ვიჩიჩნებით ტკაველ მიწაზე, და ვერც, შენი ჭირიმე, მუშებს მოუფონეს რამე. გვიძახიან ცოციალიზმიო, და რაია მაგი ცოციალიზმი, თუ მშრომელი კაცი ისევე იმ ჭირშია, რავარმიც იყო... დავიწყებთ აჯანყებას და ბდღვირი აღარ დარჩება მავათი... ქე თქვეს თქვენ ძმა სანდროიაზე, გაბოლშევიკდაო. მაგი თუ მართალია, ქე მოუწევს აბა პირველ კაცთ დაჯდომა ამ შთელ ქუთუიში, იმიტომ რომე, კაი განათლებულ ბიჭს ამბობენ და ეცოდინება ჩვენისთანების სულის წამალი... ეცოდინება, აბა რაი... მარა გოუჭირდება ნამდვილად, გოუჭირდება, იმიტომ რომე, თქვენი ჭირიმე, თქვეს, სინდისიერია ნამეტანიო, გულჩვილა ბოშევიითო. პირველკაცობას კი მუშტიც ქე უნდა ხანდახან, კაი მუშურ-გლეხური მუშტი“...

და პეტრიკელა გამხმარი ბიისხელა მუშტს გვაჩვენებდა ბოლმე მე და სოფიკოს.

მთელი გზა ამგვარ საუბარში გავატარებინა პეტრიკელამ. მე მხოლოდ თავს ვუქნევდი უსიტყვოდ, რატომღაც ვიბოლმებოდი და ურემზე გაანცებულ ბავშვებს ვტუქსავდი, მხოლოდ სოფიკო ესაუბრებოდა ტოლივით პეტრიკელას...

როინს რომ მივანეთ, ქარი გლეჯდა იქაურობას. გავედით ბორნით გაღმა და შევეწყვეით სულორის ქალებს..

თითქმის მოსალამოვდა, დილით ადრე წამოსულები ბაბუას ეზოკიშვარს რომ მივადექით მარტო ბიცოლა თეოლინე გამოგვეგება, ბებიას ნათესავი ქალი აგიაშვილების ოჯახიდან, უშვილძირო რომ იყო და ბებიას სიკვდილის შემდეგ, ბაბუას თხოვნით, მას რომ შეეკედლა.

მხოლოდ ის იყო ახლა ბაბუას მომვლელი და ხმის გამცემი.

შეცინულმა ბავშვებმა უშველებელ ეზოში მაშინვე ნაგარდი დაიწყეს და ჰყვირილი მორთეს. ძლივს გამოჩაქუნდა აივანზე ჯოხზე დაყრდნობილი თავაქან-ტარებული, გამხდარ-დაჩაივებული ბაბუაჩენი. დიდი ხნის უნახავი მყავდა, ჩამიკვდა გული...

ღამით კარგად გაღუღუნებულ ბუხართან ვიჯექით, გრძელი გამოკითხვებისა და საუბრის შემდეგ, ბაბუა სპირიტონმა აკანკალებული ხელი მუხლზე დამადო და მითხრა: „არ მჯერა მაგი მე ჩემ სანდროზე, არ იზამდა იმნაირი მართალი და გულკეთილი ბიჭი ქრისტეს ძელების მტკვერავ ბოლშევიკების მხარეზე გადასვლას, მაგრამ თუ გადავიდა, ბაბუა, მაშინ რაღაც ისეთი კაი ქონიათ იმ ბოლშევიკებს, რაც არც შენ იცი და არც მე ვიციო“.

ღამე იქ გავითენე და დილით ფეხით წავივიდი ქუთაისში.

ლობიის ხარშვა და მჭადის კეთება არც ისე ძნელი საქმეა, ახალგაზრდა კაცმა რომ ვერ ისწავლოს. პოლა, ვიყავით ასე მე და მამაჩემი: მე შინ ვსაქმიანობდი, ის გარე-გარე დადიოდა. სანდროს ამბავს კანტიკუნტად ვგებულობდით, ერთი მოკლე ბარათიც გამოგვიგზავნა ნაცნობის ხელით — ფოსტაც აირია როგორც ყველაფერი და ვეღარ ენდობოდა კაცი. სანდრო გვწერდა, როგორ ხართ, მე არა მიჭირს რაო, ბიძია ალექსანდრე თავის შვილებში არ მარჩევსო, ვსწავლობ კიდევ და მუშაობაც. დავიწყეთ (სად მუშაობდა, რას აკეთებდა, არ გვწერდა), სულ დედაჩემი მაგონდება და ზოგჯერ მწარედ ვტირიო. ეპიკოს იმედი მაქვს, პატარებს მოუფლისო (ამას ჩემზე წერდა), მამა, გამოფხიზლდი, ახალი ცხოვრება გვიახლოვდებაო, მალე გნახავთო და სხვა ასეთები, არაფერი კონკრეტული და საქმიანი.

სანდრო ჩამოვიდა დედის დასაფლავების სამი კვირის თავზე.

სუსხიან დილით, როცა მამა სახლიდან უკვე გასული იყო, კარზე ფრთხი-

ლად დამიკაქუნა ერთმა ნაცნობმა ბიჭმა, მოსე კულაშელის ძმის შვილიშვილმა წითურა დანიელმა, „რეჟის“ რომ ვეძახდით. საღვურზე მატარებლებს ხედებოდა ხოლმე და მცირე გასამრჯელოს ფასად მგზავრებს ბარგის ზიდვაში ეხმარებოდა.

„გამთენიანე თქვენი სანდრო ჩამოყვა ზეიდან მატარებლის და დედათქვენი საფლავთან დაგვიბარაო“, — მითხრა ჩურჩულით დანიელმა.

გულმა ბავა-ბუვი დამიწყაო.

„რომ დაივირონ, ციხეში ჩააგდებენ, ბიჭო... რა დროს დამიბარა? — ვეკითხები დანიელს.“

„ათი საათისთვისო“, — მიპასუხა და სანამ კიდევ რაიმეს ვკითხავდი, კარი გამოაღო და გაქრა.

ჯერ მამის მოძებნა გადავწყვიტე, შემდეგ ვიპოვე, რომ დრო აღარ მრჩებოდა, თანაც სანდროს არ შემოუთვლია, მამაც მოვიდესო. რა ვიცი, რა გეგმა აქვს სანდროს, მართო მე რომ დამიბარა, გავიფიქრე. ამიტომ მართო წასვლა გადავწყვიტე. თბილად ჩავიცვი, კარი საიმედოდ ჩავკეტე და სასაფლაოსკენ გავიქეცი.

გავრბოდი თოვლ-ჰყავში და გული საშინლად მიცემდა. სანდრო შორიდანვე შევნიშნე, თავჩაქინდრული იქდა დედის საფლავთან. უცნაურად ეცვა: ჯარისკაცის პავონებავლევითი შინელი, ჭრელ წინდებში ჩატანებული თბილი შარვალი და ინგლისური ბათინკები. თვალეზე სვანური ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული...

გადავგვივით ერთმანეთს და იქვე ჩამოვსხედით. ძალიან გამხდარი იყო, წვერ-ულვაშგაპარსული, თვალეზრაცვენილი, დაღლილი, ეტყობოდა, დიდი ხნის უძინარი. აფხაზეთში მივდივარ დავალეებითო, მითხრა, მხოლოდ ერთი საათი დრო მაქვს, მამას, ეტყობა, ვეღარ ვნახავო. მთხოვა დედის უკანასკნელ დღეებზე მომიყვირო.

სანამ ვუამბობდი, თავჩალუნული იქდა, მის გამო დედის განსაკუთრებული დარდი რომ ვახსენე, ერთი ამოიოხრა

და თვალები ხელისგულით მოიწმინდა. მამის განწყობილებას რომ გადაეცემდი, რამდენჯერმე დაკვირვებით შემომხედა, შემდეგ უფრო დაწვრილებით მის სავაჭრო საქმეებზე გამოძიებდა. ბოლოს, მე რომ გაეჩუმდი, თვით დაიწყო ლაპარაკი, ეტყობოდა, იმას ამბობდა, რაც მამის დაუსწრებლად, მხოლოდ ჩემთვის უნდა ეთქვა:

„ეპო, ახალი დრო მოდის, პატიოსან მშრომელთა ნამდვილი ვათავისუფლების ხანა დგება და შენზე ბევრად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოიქცევა, რას განიზრახავს და რა გზას დაადგება მამაჩენი. შენ მე უნდა დამიჯერო, უნდა დამიჯერო, ასე უბრალოდ, იმავე გულის რწმენით, როგორც გელაპარაკები, რომ მე უსამართლო საქმეს არასოდეს არ მივემხრობი, უნდა იცოდე, უნდა გწამდეს, რომ სიმართლე მხოლოდ ლენინის, მხოლოდ ბოლშევიკების მხარეზეა. მართალია, ეს მენშევიკებიც სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აკუთვნებენ თავს, მისი სახელით ლაპარაკობენ, მაგრამ მათ მარქსიზმის ჭეშმარიტი იდეები შეგნებულად თუ უნებურად წვრილ-ბურჟუაზიულ იდეათა დონეზე დაიყვანეს. ეს ეტაპი უკვე ისტორიაა, უკვე განვლილია მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის, განსაკუთრებით რუსეთის პროლეტარიატის მიერ, მან არსებითად არაფერი არ მოუტანა მშრომლებს, ვარდა იგივე მკლური კონკურენციისა, ერთმანეთის ჩაგვრისა და ნაციონალიზმის აღმოცენებისა. ეს შენც ნახე დღევანდელი საქართველოს მაგალითზე. შენ უნდა იცოდე და გწამდეს, რომ საქართველოს აყვავებს მხოლოდ პროლეტარიატის კლასის, როგორც მმართველი ძალის, გაბატონებაო...“

„კი, მაგრამ, — ვაწყვეტიანებ, — აგერ, ამ ჩვენს ქუთაისში რამდენია მაგ პროლეტარიატი, დიდი-დიდი, ხუთას კაცამდე თუ იქნება, მერე ეგ ხუთასი უნდა გაბატონდეს ორმოცდაათ ათასზე?“

„ნაცნობი კითხვაა, — მიძიმე თქვა სანდრომ. — ბიჭო, გაიგე, საქმე რაოდენ-

ნობაზე კი არაა, არამედ მუშებზეც კლასობრივ შეგნებაზე და ამ მიზანზე. ართმელიც სოციალური უსამართლობის მოსაბოძას სახავს, საერთაშორისო ძმობისა და თანასწორობის დამყარებისათვის იბრძვის, უაზრო და უსამართლო ომების აღკვეთას ცდილობს“...

კვლავ ვაწყვეტიანებ: „მაგისტვის გინდათ ბოლშევიკებს, რომ ისევ რუსის ჯარი შემოიყვანოთ საქართველოში?“

„რუსის ჯარი კი არა, პროლეტარული წითელი ჯარი, რომელსაც სულ სხვა მიზანი და ამოცანა აქვს, ვიდრე სისხლიანი შეფის ჯარს ჰქონდა. წითელი ჯარი იგივე ჩვენი ჯარია, მშრომელთა ჯარია, რომელშიც ქართველებიცაა, სომხებიც, თათრებიც, რუსებიც და მრავალი სხვა ნაციის ხალხი. თუ მოვა, ქართველი მშრომელების დასახმარებლად მოვა ჩვენივე თხოვნით“...

„სანდრო, — ვეკითხები ძმურად, — ცუდად ვცხოვრობდით ჩვენ? რა გვაკლდა, რა გვიჭირდა, ვისი მჩაგვრელები იყვენ ჩვენი მშობლები? ასე რამ შეგიცვალა ბუნება, ასე რამ გიბოძდა, რომ საკუთარი ოჯახის წინააღმდეგ აჯანყდი და განადგურებით ემუქრები? ამას რას ეუბნები მაინც, დედის ხსენას რას პასუხობ? — ვთქვი და დედის საფლავს ხელი გადავუსვი.“

„შენ დემაგოგიას თავი დაანებე, ძმაო, — მკვახედ მიპასუხა სანდრომ, ჩაფიქრდა და წუთიერი ღუმლის შემდეგ თქვა: — ახლა მწარე სიტყვები უნდა გითხრა და არ გეწყინოს, სწორად გამოგე, გულში ბოლმა არ ჩაიღო და მამა არ გააგიჟო... სწორედ აქ უნდა გითხრა, დედის საფლავთან, იმ დედისა, რომელიც შენზე ნაკლებად არ მყვარებია და ახლაც მიყვარს. მე მხოლოდ სამართლიანობა მალაპარაკებო... მიუტყობებლად რომ ვთქვა, მამაჩენიც, საწყალი დედაც და, თუ გინდა, ბაბუაჩენიც, სწორედ მჩაგვრელი საზოგადოების ნაყოფია, მთელი მათი ცხოვრება სხვის ხარჯზე, გაიგე, სხვის ხარჯზე არსებობის მაგალითია“...

კიდევ ვაწყვეტიანებ: „მამაჩენი, ძმაო? მამაჩენისაც მავათ რიცხვს აკუთვნებ?



ეგ არის შენი სამართლიანობა? მამამ ხომ მხოლოდ საეკლესიო ენერჯითა და ნიჭით მიაღწია იმას, რასაც მიაღწია? „

„მაცალე, შე კაცო, აზრი დამამთავრებინე... სხვა სოციალურ პირობებში მამის ნიჭი და ენერჯია სულ სხვა გზით წარმართებოდა, სულ სხვა გზით. რამდენ სარგებლობას მოიტანდა მამაჩვენის ეგ ნიჭიერება და ენერჯია ნამდვილ საქმეს, ხალხის ინტერესებს უშუალოდ და არა პირადი გამდიდრების მიზნით რომ მომსახურებოდა? შენ იმაში ხარ მართალი, რომ მამა იმდენად თვით კი არ არის დამნაშავე, რომ სხვისი შრომით შექმნილი საქონლის გადაყიდველი, გაიგე? — გადაყიდველი ვახდა, არამედ მთავარი დამნაშავეა ის უკუღმართი წყობა საზოგადოებისა, მამაჩვენის შესაძლებლობანი რომ ამ გზით წარმართა, მამაჩვენს რომ აქეთკენ უბიძგა, რადგან პატიოსანი შრომით ვერასოდეს ვერ ამოვიდოდა სიღარიბიდან... ნუთუ ეს ასე ძნელი ვასაგებია შენთვის? მასავეთა სხვა ათასობით მუქთახორა და მჩაგვრელი, მსხვილი და წვრილი... ჩვენ პირადად მამებს კი არ ვებრძვით, არამედ იმ წყობის დამხობა და შეცვლა გვინდა, იმ მახინჯი წყობისა, რომელიც მჩაგვრელებს წარმოშობს და პატიოსნებას აუფასურებს“... „

„გამოდის, რომ მაინც მამებს ებრძვით, რადგან ისინი თავის კეთილი ნებით და თქვენი სურვილით არ ჩავარდებიან ისევე სილატაკეში, საიდანაც ასეთი წვალებით ამოვიდნენ“... „

„სწორედ მაგის თქმა მინდოდა შენთვის, იმის თქმა, რომ თუ ისინი წინააღმდეგობას გაგვიწყვიტენ, თუ უზარმაზარი საერთო კეთილდღეობისათვის თავის პაწაწინა პირადს ვერ დათმობენ და საქმით არ აღიარებენ, რომ აქამდე არასწორად უცხოვრიათ, კლასობრივ მტრებად იქცევიან ჩვენთვის. ჩვენი კი მილიონები ვართ, გაიგე, ძმაო?“ „

„ის გაიგე, რომ მათაც მოსპობთ“... „

„მე გთხოვ, ჩემი სახელით ჩააგონო მამას, რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს, გაუგებრობით ან სხვისი წაქეზებით არ

მოჰყვეს მოახლოებულე ამბები მტრების რიგებში, თორემ ვა: ვა: ვა: ეშველება... შენთვის სწორედ ამის სათქმელი ჩამოვრჩი მატარებელს რიონში და აქ ჩამოვედი, თორემ ახლა უკვე სხვაგან უნდა ვიყო... შენ დაგიჯერებს, ჩემი სახელით აუხსენი და ჩააგონე, შენც დაიჯერე, რომ სიმართლეს გეუბნები და შენც ისე მოიქეცი...“

ასე უცნაურად ვსაუბრობდით ღვიძლი ძმები ღედის სულ ახალი საფლავის წინაშე, იმ ღედისა, რომელიც ორივე მამს გულმართლად გვიყვარდა.

ეტყობა სანდროს დრო გაუთავდა, ბოლო სიტყვები ფეხზე მდგარმა სხაპასხუბით მომაყარა, დაძმების ამბავი საჩქაროდ გამოძიება, სოფიკო შეაქო, „კარგი მოღვაწე ქალი დადგებო“, თქვა, მე თან არ გამოიყოლია, სასაფლაოს შიშველ ხეებსა და ბუჩქებში მოხერხებულად გაძვრა-გამოძვრა და გაუჩინარდა.

მძულდა სანდრო?

მძულდა, შეტოდებოდა და მიყვარდა.

მადლობელი ვიყავი, რომ „გაგაფრთხილა მაინც...“

მამას იმ დამესვე გადავეცი ჩვენი საუბარი. ჩემდა მოულოდნელად ის ჯერ პირდაპირ აფეთქდა, დაწყველა სანდრო და მისი გაჩენის დღე, ლამის მეც ზედ მიმყოლია... შემდეგ უეცრად მოტყდა და თვალთაგან ცრემლი წასკდა... მტირალი მამა არასოდეს მენახა, ღედის დასაფლავებაზეც კი... „

მეც ცრემლი ველარ შევიკავე. ვტიროდი გარდაცვლილ ღედაზე. გაუბედურებულ მამაზე, სამუდამოდ დაკარგულ ბედნიერ წარსულზე და იმ გამოუცნობ, ალბათ საშიშ მომავალზე, ჩვენს ოჯახს რომ ელოდა.

მამა თანდათან დამშვიდდა, მხოლოდ მხრები უცახცახებდა, თითები უთრთოდა. შემდეგ წელმოწყვეტილივით ადგა და მძიმედ წავიდა კაბინეტისაკენ. ღედის სიკვდილის შემდეგ იქ ჰქონდა გაშლილი ლოჯინი. შემკრთალმა თვალი გავაყოლე და გავიფიქრე, ეტყობა, დაუძლურებული მამა „ისეთს“ არაფერს

ჩაიდნდა, რასაც სანდრო გულისხმობდა. მხოლოდ დილით შევნიშნე, რომ მაშას დივანზე გაუხდელად ჩასძინებოდა...

დილითვე ის აზრი მომივიდა, რომ რევოლუციას თავისი მკაცრი კანონები აქვს.

...ოცი წლის ვიყავი და მაშინ მწვდა კლანჭებით გულში ის უბედურება-ბედნიერება, სიყვარულს რომ ეძახიან. აწ ჩემი განსვენებული მეუღლე ღიზა სწორედ იმ დროს ვავიციანი და იმის მაგივრად, რომ დიდი ბედნიერება მეგრძნო, სულ ამერია გონება, თვალი და ფეხი. მერცხალივით გოგო იყო ორი წლით ჩემზე უმცროსი ღიზიკო და ჩემი მაშინდელი შეხედულებით ისეთი ლამაზი, მოხდენილი, პატიოსანი და ჰკვიანი ქალიშვილი მთელს ქუთაისში მეორე არ დადიოდა! კარგა ხანი, მთელი ექვსი წელიწადი, მალოდინა დალოცვილმა იმ ბედნიერებას, მაგრამ შემდეგ კი, მიუხედავად მრავალი გაჭირვებისა, ვცხოვრობდით სიამტკბილობით...

ორიოდე სიტყვას მასზეც ვიტყვი, რადგან სწორედ ღიზას საშუალებით ვიცი, რაც ვიცი სანდროს შესახებ მისი თბილისური სტუდენტობის ხანიდან.

ჩემი მეუღლე ღიზა იფანდიდელი ქალი იყო, თუ გაგიგონიათ, არის ასეთი სოფელი ხონის რაიონში. ხუთი წლის ასაკამდე დედასთან ერთად სოფელში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ მისი ოჯახი ქუთაისში გადმოვიდა, სადაც მამამისი სამსახურში ჩადგა მაზრის გადასახადთა კომისიაში, ხოლო უფროსი დაია იქვე სწავლობდა. რვა წლისა მიამარეს ქუთაისის ქალთა კერძო სასწავლებელში, რომლის გამგე იყო ერთი ხნერი არისტოკრატი ქალი, გვარად რუბანი.

მიუხედავად მკაცრი დისციპლინისა, ღიზამ იქ ბევრი სასიკეთო ჩვევა შეიძინა. სწავლა ღიზამ ხუთებზე დაამთავრა, რადგან ის სასწავლებელი უუფლებო იყო, გამოცდები ჩააბარა ქალთა გიმნაზიის მესამე კლასში. ქალთა გიმნა-

ზიაში ქართველები ცოტანი იყვნენ, იქ უმეტესად რუსები სწავლობდნენ, სამხედრო პირთა შვილები. სწავლაც მეტად ძნელი იყო. ქართველთა გოგონებისთვის „ხუთებს“ იშვიათად იმეტებდნენ, განსაკუთრებით რუსულში — აქცენტით ლაპარაკობთო. ქართველები უფრო წმინდა ნინოს სასწავლებელს ეტანებოდნენ, სადაც ღიზას უფროსი დაი სწავლობდა, იქ სწავლობდა ჩემი და სოფიკოც. მაგრამ ღიზამ უფრო ძნელი სასწავლებელი — გიმნაზია ირჩია.

გიმნაზიის სასწავლებელთაგან ღიზას განსაკუთრებით ორი დაამახსოვრდა: სტ. კამპანიონი, რომელმაც ჩაბერა თავისი მათემატიკური სული და ამ საგნისადმი სიყვარული ჩაუნერგა, და ეკატერინე ხალვაში-ოქუჯავასი, კომუნისტი ქალი, მეტად განვითარებული და ნიჭიერი, რომელიც ისტორიის გაკვეთილებს აგიტაციად აქცევდა ხოლმე. ის გარდაიცვალა 1922 წელს, როცა საბჭოთა ხელისუფლება ჩვენში უკვე დამყარებული იყო და მისი ოცნება განხორციელდა.

ქალთა გიმნაზია 1920 წელს ღიზამ ოქროს მედალზე დაამთავრა. სწავლის დასრულებისთანავე, მე რომ ვავიციანი, ღიზა დანიშნეს მათემატიკის სასწავლებლად ქუთაისის. ეგრეთ წოდებულ უმაღლეს დაწყებით სკოლაში, მაგრამ მისი ოცნება სწავლის გაგრძელება იყო. ამიტომ, მიუხედავად ჩვენი ურთიერთ სიყვარულისა, 1921 წელს წავიდა თბილისში და შევიდა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იქაც ბრწყინვალედ სწავლობდა და დიდი შრომისმოყვარეობა გამოიჩინა, მაგრამ არ დასცალდა — 1923 წლის ნოემბერში დედა გარდაეცვალა, ხოლო ექვსი თვის შემდეგ მამაც. სრულიად უსახსროდ დარჩენილი (მაშინ ხომ სტაჰენდიები არ იყო), ღიზა მესამე კურსიდან დაბრუნდა ქუთაისში და 1924 წლის 16 სექტემბერს დანიშნა მათემატიკის სასწავლებლად მეოთხე ცხრაწლედში (ყოფილ ეპარქიალურ სასწავლებელში).

ჩვენი ურთიერთობა კვლავ განახლდა, მაგრამ შევეუღლდით მხოლოდ 1926 წელს, რადგან ბევრი რამ გვიშლიდა ხელს.

ცოტა წინ გავიქეცი.

ათას ცხრაას ოცი წლის მიწურული იყო.

სამ დეკემბერს ქუთაისში ცნობა მოვიდა, რომ 29 ნოემბერს სომხეთში დაემხო დამნაშავეების მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა.

თბილისიდან ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გადმოგზავნეს ხუთ-ექვს დეკემბერს თბილისში დაპატიმრებული 29 კომუნისტი. მე და მამაჩემი მათ რიცხვში ამოვად ვეძებდით სანდროს.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ გადმოგზავნეს თბილისიდან ქუთაისის ციხეში იქ დაპატიმრებული 60 კომუნისტი. მათ რიცხვში სანდრო არ აღმოჩნდა.

ცხრაშტ დეკემბერს გავიგეთ, რომ ერთა ლიგის კონფერენციამ ენეგვაში არ დააკმაყოფილა საქართველოს თხოვნა ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

გაზეთ „ახალ კომუნისტში“, ქუთაისში რომ დაგვიანებით მოვიდა და მამაჩემს რაღაცნაირად ხელში ჩაუვარდა, წავიკითხეთ, რომ მეტეხის ციხეში მყოფი ქართველი კომუნისტები მიესალმებიან ვასაბუკობული სომხეთის მშრომელ ხალხს. „იქნებ სანდროც იქაა და მისი ხელიც ურევია ამის დაწერაშიო“, — ხმის კანკალით მეუბნებოდა მამა. მეც აღვღვებულნი ვკითხულობდი ამ მიმართვას.

რატომ ვფიქრობდით მე და მამა, რომ სანდრო აუცილებლად უნდა დაეჭირათ? იმიტომ, რომ მენშევიკები კომუნისტებს დაერივნენ, სადაც წაეწეოდნენ, აპატიმრებდნენ და საპყრობილეებში ყრიდნენ, ზოგს კი ხვრეტდნენ. სწორედ იმ დროს გვაცნობა ბატონმა ალექსანდრე მიქაბერიძემ თბილისიდან, რომ სანდრო ერთი ხანია თვალიდან დაგვეკარგაო...

ოცდახუთ დეკემბერს მამამ გაიგო, რომ ქუთაისის საკატორღო ციხეში მყოფმა კომუნისტებმა შიმშილობა გამოა-

ცხადეს მენშევიკების მიერ რეპრესიების გამოძიების გამო. ლამის შინ კიდევ ვისაუბრეთ იმაზე, შეიძლებოდა თუ არა, რომ მათ შორის სანდროც ყოფილიყო.

მამამ უღრმესი გულგატეხილობით პირველად მაშინ წარმოთქვა სიტყვები, შისგან რომ არასოდეს მსმენოდა და გაგონებასაც არ მოველოდი: „შვილო, სულ დაინგრა ყველაფერი, აწი ამ ქვეყანას აღარაფერი ეშველება, ეშმაკსაც წაუღია ორივე მხარე, ჩემთვის უკვე სულერთია, ვინ გაიმარჯვებს, ოღონდ ჩვენი გზაბანეული სანდრო ცოცხალი იყოს და ამ არეულობაში თავი არ დაკარგოსო...“ შენ მცირეწლოვანი აღარა ხარ, უკუა მოიხმარე, არ აცუნტრუკდე და ვინც გაიმარჯვებს, იმას მიეკედლე, ოღონდ დასაწყვავ პოლიტიკაში არასოდეს არ ჩაერიოო... ჩემი საქმე კი მორჩენილია, იმედია, ჩქარა წავალ დედათქვენის სულის საქებნადო“...

მაგრამ ერთხელ კიდევ გაუჩნდა რაღაცის იმედი მამას.

დადგა ახალი, ათას ცხრაას ოცდაერთი წელი და გაზეთ „ერთობაში“ მამამ როგორღაც ამოიკითხა, რომ საქართველოს დამფუძნებელ კრებას განუხილავს ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესიის საკითხი, რომლის შედეგად ტყვარჩელის მალაროები დასაბუთდებოდა 45 წლის ვადით ეძლეოდა იტალიის სამრეწველო საზოგადოებას „ილვას“ და იტალიის ფინანსიურ წრეებს. როცა ამ ცნობის სინამდვილე და რაღაც გარემოებანი ქალაქის საბჭოში დააზუსტა, მამას აზრი გაუჩნდა, იმ კონცესიაში დაეწყო მუშაობა თუნდაც უბრალო მოხელედ, თუნდაც კანცელარიაში ან ადგილობრივი მომარაგების განყოფილებაში.

„ნუთუ იმ მამაცხონებულ იტალიელებს აქაურ საქმეთა მცოდნე და გამოცდილი კაცი არ დასჭირდებოდათო?“ — შეკითხებოდა მამა და, რაღაცით დაიმედებული მთელი კვირა ამ აზრით შეპყრობილი ცხოვრობდა. ეს იყო იანვარში, მაგრამ საქმეთა შემდგომმა მსვლე-

ლობამ ეს იმედი მას საპნის ბუშტივით გაუქრო ისე, როგორც სხვა მაშინდელი საქმიანი პროექტი თუ უსაფუძვლო ოცნება...

საქართველოში კვლავ აჯანყებამ იფეთქა.

თექვსმეტ თებერვალს წითელმა ჯარმა გადმოსხრა საქართველოს საზღვრები აზერბაიჯანთან და დაიწყო წინსვლა თბილისის მიმართულებით.

მამისონის უღელტეხილით საქართველოში გადმოსულმა წითელი მეომრების რაზმმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ონი, საჩხერე, ქუთაისი.

ბათუმში გაქცეული საქართველოს მთავრობის წევრები 17 მარტს გადასხდნენ უცხოურ გემზე და ევროპაში წავიდნენ.

ქუთაისის აღების წინა დღეს მამა გაქრა.

ორ დღეს უშედეგოდ ვეძებდი მთელს ქუთაისში.

მე კი თურმე „რიკა“ დანიელი შეძებდა.

შემთხვევით შევხვდით ბულვარის თავში, სობოროსთან.

მამას დაუბარებია: „სასწრაფო საქმეზე წავედი, თუ დროზე ვერ მოვბრუნდი, კულაშში მოსესთან მოიძიოს ჩემი კვალი“.

შინ არც შემივლია, ისე დავადექი კულაშის გზას.

ჩემმა მტერმა იარა მარტში ქუთაისიდან კულაშამდე... რომელიღაც სოფელში დამაღამდა. ფეხებიდან თხემამდე ტალახში ამოსვრილი და გაციებული ვიღაც მოსახლემ შემიფარა. გათენებისას გზა განვაგრძე. შუალაღის შემდეგ კულაშში ბატონ მოსეს ფიცრულ სახლს მივადექი. კიბეზე ავედი, მაგრამ კარი ჩარაზული დამხვდა. მეზობლებმა მითხრეს, მოსე გუშინ დავასაფლავეთო. ყველას გამოგვითხე, მაგრამ მამაჩემის კვალს ვერ მივაგენი.

გამოვბრუნდი უკან და კულაშიდან დავადექი გზას ვანისკენ. ჭიბეში ზმელი პურის ყუბა მედო, კულაშში რომ ვიშოვე, და იმას ვერღინდი. გზაში წყა-

როები მხედებოდა. ცხენოსნებს ვერადებოდი. შორიდან მოვუხარე წითელი დროშებით მორთულ სამტრედიას და ლამე რიონის ბორანს მივადექი. ის ლამე მებორნესთან გავათენე. დილით რიონზე გადავედი და საღამო ხანს, როგორც იქნა, ბაბუა სპირიდონის კიშკრამდე მივალწვი...

რატომ გაიქცა მამაჩემი? რატომ დავდიოდი ასე ჭიუტად მის კვალზე?

შიშმა გადაგვრია. ბოლშევიკები ყოფილ ვაჟრებს, მრეწველებს, ოფიცრებს, თავადებს არ დაინდობენო. მოდიან, რომ ჩვენ გავგანადგურონ და ჩვენს ადგილზე მუშები დასვან, ჩვენს სახლებში უსახლკარონი შეისახლონ, ჩვენი მიწები უმიწაწყლოებს დაურიცონო. ბევრ ამგვარ საშინელებას ამბობდნენ მაშინ. შეძლებული ხალხი შიშით იყო ატანილი. შეშინდა მამაჩემიც, შეშინა მეც.

რალა ბევრი გავაგრძელო, საწყალი მამაჩემი დაიკარგა. იქნებ ბათუმში ჩაალწია და იმ უცხოურ გემს საზღვარგარეთ გაჰყვა? იქნებ ფოთისკენ წავიდა?

ცნობა ამის შესახებ მაშინ კი არა, შემდეგაც, მთელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილზე ვერ მოვიძიეთ.

რამდენს არ ეცადა შემდეგ სანდრო აქაც და უცხოეთშიც, ბერლინშიც და პარიზშიც, მამის კვალისთვის მიეგნო, მაგრამ ვერაფერს გაზდა. ის კი დაადგინა, რომ უცხოურ გემს არ გაჰყოლია.

მაშ სად დაიკარგა კაცი ქუთაისს, ბათუმსა და ფოთს შორის? იქნებ თურქეთში გადავიდა? საფლავიც კი არ გვაქვს მამისა. ანკეტებში ვწერდით, რომ მამა გარდაიცვალა ათას ცხრაას ოცდაერთ წელს. ეს იყო და ეს...

ბაბუა სპირიდონის სახლში ყველანი ჯანმრთელად დამიხვდნენ. მე თვით ვიყავი სისტიკად მისავითებული. სამი დღე დავისვენე და ისევ ქუთაისში წავიდი.

...მკვლევების ქუჩაზე რომ გავედი, ჩვენს სახლს შორიდან დავუწყვე თვალთვალი. სახურავზე ჩარკობილი წითე-

ლი ალაში მაშინვე დავინახე, ეზოში რალაც მოძრაობა შევნიშნე, შემდეგ ვაგებდე, წინ წავედი და ჩვენ ჰიშვართან შორიახლო მდგარ ხეს მივეყუდე.

ჰიშვარი მთლად მოდიადლებული იყო, მის მარცხენა ბოძთან შაშხანიანი წითელარმიელი იდგა — დარაჯი, ეზოში ბლომად იყვნენ წითელარმიელები, ვინ ცხენს დაატარებდა, ვინ აყირავებულ ორთვალაზე ჩამომჯდარიყო, ვინ ჩვენს დიდ ლოდზე იჯდა, მხიარულად ლაპარაკობდნენ და თამბაქოს ეწეოდნენ. კიბის თავზე, სახლის კარებში, აგრეთვე შაშხანიანი ჭარისკაცი იდგა.

უცებ იმ კარებში ფარაჯამოხურული და წოწოლაქუდიანი სანდრო გამოჩნდა. ჭარისკაცი გაეჭიმა და ხელი აუღო. სანდრო ნელა ჩამოდიოდა კიბეზე და აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმეს თუ ეჭებდა...

არ ვიცი, რა ძალამ მომწყვიტა ადგილიდან, ჰიშვარისკენ გავექანე და ის-ის იყო, ეზოში უნდა შევევარდნილიყავი, რომ უცებ იქვე მდგარი ყარაულის მკლავებში აღმოვჩნდი. ისე მაგრად გამაჯავა, სული შემეგუბა (დაბალი იყო და წელში მეცა). მან სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, რომ დავიფვირე:

„სანდრო!“

„კუდა პრიოშ, მოლოდნიკ, ა ნუ, პროპუსკ ილი ბაროლ!“ — შემომძახა ჭარისკაცმა, მაგრამ სანდროს ხმაც გაისმა:

„ბუსტი ვგო, ბრატისჟა, ეტო ბრატეც მოი!“

„ბრატეც, ტოვარიში კომისარ?“ — თითქოს არ დაიჯერა ჭარისკაცმა და ხელი შემიშვა...

ისე მომხდარა, რომ ჩვენს სახლში შტაბი განლაგებულა.

სანდროს ძალიან გაკვირვებია, შინ რომ არავინ დახვდა, შემდეგ იაზრა, სოფელში წავიდოდნენო. მისი მითითებით მთელი ზედმეტი ავეჯი ერთ ოთახში (მამის კაბინეტში) შეეთრიათ; უბრალო მაგიდები დაედგათ და „კოიკები“ გაეშალათ. აქ ცხოვრობდნენ ნაწილის

მეთაური, შტაბის უფროსი და კომისარი სანდრო...

ეს სახლი იმიტომ აურჩევიათ, რომ რამდენადმე განაპირად იდგა და არც თუ მთლად მოცილებული იყო ქალაქის ცენტრს, თანაც ზურგიდან ერთი იცავდა. ეზოში ოთხი ზარბაზანი იდგა, მეორე სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან ტყვიამფრქვევს გამოეყო ღინგი, ეზოს ბოლოში მდგარ ფარდულში, მამა რომ ხანდახან საწყობად იყენებდა და ახლა ცარიელი იყო, თავლა მოეწყობ.

სანდრომ ამიხსნა, რომ შტაბი აქ დროებით განლაგდა, შემდეგ გარნიზონის შენობაში გადავაო. მითხრა, რომ არაფერი გაუფუჭებიათ მისი ხათრით, ავეჯი მთელია, ოღონდ თეთრეული იხმარეს, შემდეგ გარეცხავენ გარნიზონის სამრეცხაოში და სადაც ეწყობ, იქ დააწყობენო (როცა სანდრომ შინ შემიყვანა, შევნიშნე, რომ ბინა დანაგვიანებული იყო, ხოლო ნახმარი ჯამ-ჭურჭელი ფანჯრის რაფებზე არეულად ეწყობ).

სანდრომ გამაცნო იქ მყოფი წითელი მეთაურები, ზოგი ჭართველი, ზოგი რუსი, ზოგიც გაურკვეველი ეროვნებისა. ძალიან მხიარული ხალხი ჩანდა, სულ ახალგაზრდები იყვნენ. მე მაინც ბოლშე შემომამწვა, მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ ვაგებდე.

კვლავ ეზოში გამოვედით და ლოდზე დავჯექით, ჭარისკაცებმა რომ დავგითმეს. სანდროს მამის ამბავი გადავეცი. დამშვიდდიო, მითხრა, ვიბოვიო, სად დაიკარგება, კაცი ნემსი ხომ არ არისო. მე ახლა ცოტა ხნით თქვენთვის ვერ მოვიცილი, თუ რამე გჭირდება წაიღე, უკან დაბრუნდი და ერთ კვირაში ჩამოდი, ცხენებს და ორთვალას სოფლამდე მე გათხოვებო.

შევედით ისევ შინ, სანდრომ ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მამის კაბინეტის კარი გააღო და შიგ შემიშვა.

ბნელ კაბინეტში (ფანჯრებს ფარდები ეფარა) ცხვირით კარადას შევეჩახე. სიბნელეს რომ თვალი შევანვიე, დავინახე, რომ ოთახი პირთამდე სასეგ

იყო ავეჯით, სართულებად ელაგა ერთმანეთზე საწოლები, კარადები, მაგიდები, კომოდები, საარკები, სავარძლები და სხვა ნივთები. განძრევა პირდაპირ როგორც იყო ორ კარადას შუა გავძვერი და წიგნის თაროებთან დავედქი.

„რა წაგილო?“ გული მიგრძნობდა, რომ ამ სახლში, ჩვენი მშობლების ამ ნივთებთან, სამკაულებთან, წიგნებთან, მთელი ცხოვრების მანძილზე რომ აგროვებდნენ, ვეღარასოდეს დავბრუნდებოდი...

უბირველესად, კედლიდან ჩამოვხსენი მშობლების სურათები, დეკორაციული თევზები და გამოვიღე მამის მიერ უქანასკნელ ხანს წიგნებს უკან მიმალული ორი ცერცხლის ძველებური შანდალი, ვერცხლის კოვზებითა და დანა-ჩანგლით სავსე მოგრძო ყუთი, დედის მზითვეში მოყოლილი და ვერცხლით შექედილი ორი მცირე ზომის ძველებური (მეთხუთმეტე საუკუნისა) ხატი, მაგიდას სუფრა ავხადე და იმ სუფრაში გავახვიე ეს ყველაფერი. მერე, ანგარიშიუცემლად, წიგნებს მივაადექი. გადმოვალაგე ორმოციოდე წიგნი — ჩემი საყვარელი მათემატიკა, დედის კარაბადინი, ეფრემ ვერდი, მამის ვეფხისტყაოსანი, ილიას, აკაკის დედაქვას კრებულები, ძვირფასად გამოცემული ბიბლიის ორი წიგნი — ქართული და რუსული, ძლივს დავიხსენი ავეჯის ტყვეობიდან ერთი მცირე ზანდუკი, გავაცარიელე, ძირზე სუფრაში შეხვეული საგნები ჩავდევი და ზემოდან წიგნების ჩალაგება დავიწყე (ყველა ეს ძვირფასი ნივთი, წიგნებისა და სურათების გარდა, მოგვიანებით „ტორგსინმა“ ჩაყლაპა).

ამ ამბავში რომ ვიყავი, სანდრო შემოვიდა.

„წიგნებს ალაგებ?“ — მკითხა.

„მშობლების სურათებიც ჩავაწყე“, — ვუპასუხე და რატომღაც თავი შევიკავე სხვა საგნების დასახელებასზე.

„ბიჭო, გრძნობ, რა მოხდა? ხვდები, რომ ახალ ცხოვრებაში ამ ხარახურას, წიგნებს გარდა, აღარაფერი მნიშვნე-

ლობა აღარ აქვს?“ — შემომტყნისანდრომ.

„კი, გრძნობ, — ვუპასუხე, — მაგრამ ჩემთვის და შენთვისაც ეს ხარახურა ძვირფასია“.

„კარგი ერთი, — მითხრა სანდრომ. — ორთავალა ეზოში გელოდებ. ერთი წითელარმიელი წაგიყვანს — ნიკიტა ხრენკოვი, ღმერთივით ბიჭია! დამე გაათევიანეთ და დილით ადრე გამოუშვით. მე წავედი, მეჩქარება. აბა, ნახვამდის, სოფელში დამელოდეთ, როგორც კი მოვიცილი, ჩამოვალ“...

ხუთი წელიწადი ველოდეთ მის ჩამოსვლას...

სანდრომ ხელი გამომიწოდა, მერე მომეხვია და ლოყაზე მაკოცა, მე გული ამიჩუყდა, მაგრამ ჩაეხვიე და ძმურად გადავკოცნე.

გული მიტიროდა ბევრი რამის გამო — დედის გამო, მამის გამო, სანდროს გამო, აკლებული სახლის — ჩვენი მოშლილი ბუდის — გამო და უფრო მეტად იმის გამო, რომ სანდრო ასე მზიარული და თავდაიძვებელი იყო...

ქუთაისს არც კი ვიყავით გაცილებულნი ვანისკენ მიმავალ გზაზე, რომ ჩემმა თანამგზავრმა, ოსტატურად რომ მართავდა გრძელი ალვირებით წითურ ღონიერ ცხენებს, ხან მზიარულად რომ შეუსტვენდა ან შეუწრუბუნებდა მათ და ალვირს მოხდენილად რომ გადაუტყლაშუნებდა ზურგზე, ნიკიტა ხრენკოვმა, ერთმა ჩასკენილმა ჩემი ხნის ყმაწვილმა, შემომანათა საღი კბილების შუქი და მზიარულად მკითხა:

„ნუ ჩტო ტი მოლჩიშ, კომისაროვ ბრატ?“

დადარდიანებულმა, ისეთ გუნებაზე მყოფმა, რომ დანა პირს არ გამიხსნიდა, თანდათან ავეყვი ლაპარაკში და სანამ ჩვენი ეკიპაჟი მარტის რბილ გზაზე მიჰქროდა, მან თავისი ცხოვრების გზა ამიწერა და გულისნაღები გადმომიშალა, მე თითქმის გავუმელავნე ჩემი დარდისა და კმუნვის მიზეზი.

მან მითხრა, რომ წარმოშობით ეურსკელი უმიწაწყლო გლეხის შვილია,

თექვსმეტი წლისა იძულებული ვახდა სამუშაოდ წასულიყო იუზოვკაში (შემდეგ რომ სტალინი ერქვა და მერე დონეცი რომ დაარქვეს, ეს ის ქალაქია), სადაც რევოლუციურ მოძრაობაში ჩაებდა, შემახტეთა წითელ პოლკში მოხალისედ ჩაეწერა და უკვე მესამე წელია, „მუსრს ავლებდა თეთრ ბანდებს“. ძალიან უხაროდა, რომ საქართველოში მოხვდა, „რა მიღლიანი მხარე ყოფილა, რა რბილი ზამთარი სკოდნიოა“, აქებდა ჰაევს, მიწას, ტყეებს და გორებს, გულიანად იცინოდა და შეუჩერებლად მიერეკებოდა თავის ორთვალას რიონის ვაკეზე.

მამაჩემის ამბავზე ნიკიტამ წვრილმანები გამომიკითხა და შემდეგ მხიარულად თქვა:

„ჩიქვო, ბრატ, ტებერ უქ ობოიდი-ოტსია, ი ოტეც ნიდიოტსია, ი თინ ვესიოლაია ნაჩნოტსია!“ — თითქოს ლექსად რომ მითხრა, ნიკიტამ მორცხვად გაიანდო, რომ ლექსებს წერდა, შინლის ჭიბიდან კოლცოვის ლექსების გატრეცილი წიგნი დააძრო, მუხლზე დაირტყა და შესძახა:

„ვოტ მოი ლიუბიმი პოეტი!“

ჩემს ფრთხილ სიტყვებზე სანდროს მიმართ, მამის სახლი რომ ასე გაიმეტა, ნიკიტამ გაკვირვებით შემომხედა და საყვედურით მითხრა:

„ტი, ბრატ, მოლოდოი, ან ნაკლონოსტი ბურჟუისკიე! ბრატ-ტო ტვოი აა-ატლიჩნი კომისარ, ნამ ალექსანდრ ეპიფანიჩ, დარომ ჩტო სტუდენტი!“

მე დავდუმდი, აღარ მინდოდა ჩემი „ბურჟუაზიული მიდრეკილების“ გადრმავება და უცებ გამოიღვა თავში აზრმა: მართლაც სხვანაირი ეპოქა ხომ არ იწყება ამ ჩვენ დალოცვილ მიწაზე?

მოკლედ, სადამოხანს სახლში მივედი.

ბაბუა სპირიდონის გარდა ყველანი გამოგვეგებნენ და ეზოში შეგრიალეზულ ორთვალას შემოეხვივნენ. ნიკიტა ორთვალაში ამყად იღგა და ჩემს სოფიკოს თვალს არ აშორებდა. „შემდეგ

ჩამოხტა და მძიმე ზანდუკის გადმოლებში და შინ შეტანაში შეშველა. ამას რომ მოვრჩით, ორთვალას მიუბრუნდა, სახლის უკან ვადაყენა, ჩვენი პატარა და-ძმებით გარშემორტყმულმა ჯერ ცხენები გამოხსნა, ცოტა ხანს აქეთ-იქით ატარა, ბაბუას ცარიელ თავლაში დააბინავა, ზურგზე საოფლეები დაახურა და ბაგა თივით გაუტენა იქვე მდგარ განახევრებულ ზვინიდან.

ამსობაში მე ჩვენებს ვუამბე, რაც მოხდა. ბიცოლა თეოლინემ ვიშ-ვიში ასტეხა, სოფიკო ჩუმად მისმენდა. ბაბუა თავის ოთახში იწვა და არაფერი გაუგია. ვადავწყვიტეთ, არც არაფერი გვეთქვა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მისთვის არც სტუმრის მოსვლა გავგვეძღავენებინა.

ბიცოლა თეოლინემ და სოფიკომ სუფრა გააწყეს. რაც ჰქონდათ — მჭადები, ყველი, მწნილი, ლობიოს შეკვამანი, ლორის ნაჭერი და ბოთლით არაყი — გამოიტანეს.

შემოვიდა ნიკიტა და შემოპყვენ ჩვენი გამხიარულებული და-ძმები, სტუმარს რომ უკვე დამაქაცებოდნენ, უბრალოდ ნიკიტას ეძახდნენ, შინლის კალთებში ებლაუჭებოდნენ და სახელოებით აქეთ-იქით ქაჩავდნენ.

დავსხდეთ ვაშმად. ნიკიტა, ეტყობა, სოფიკოს სილამაზით თავიდანვე მოიხიბლა და საერთო საუბარში მზერას მისკენ აპარებდა. მე კი ვიბოლმებოდი, უნებურად თითებს ვმუშტავდი და სოფიკოს ვუბღვერდი...

უცებ ოთახის კარი გაიღო და ჯოხ-ზედაბეჩენილი ბაბუა თავზე დავადგა. ყველანი წამოვცვივდით. სხვებს დავასწარი და ბაბუას ვამცნე, რომ რუსი სტუმარი სანდროს მიერ ჩემთვის გამოყოლებული კაცი იყო. მერე ჩავახვიე და ოფიციალურად წარუდგინე ერთმანეთს:

„კრასნოარმეც ნიკიტა ხრენკოვ, კნიაზ სპირიდონ ალექსანდროვიჩ ლორტიკიანიდზე!“

„კაკ, ყივოი კნიაზ?“ — წამოიძახა ნიკიტამ და ბაბუას მიაშტერდა.

„პოკა უივოი!“ — უბასუხა ბაბუამ, ხელი გაუწოდა და თავისი ძველ-ოფიცრული რუსულით, მაგრამ სიბერისაგან გაწვრილებული ხმით დაუმატა: „ზღრა-ვისტვეიტე, კრასნოარმეც ნიკიტა ივანოვიჩ! კაკ პოკივავეტ მოი ლიუბიმი ვნუჟ ალექსანდრ?“

„ოტლიჩნო, დედუშკა, მიროვოი პარენ!“ — მიახარა ნიკიტამ და ხელი მოწიწებით ჩამოართვა.

ველავ დავსხედით. ბაბუაც ჩამოჯდა, ჯოხი მუხლებს შუა დაიყუდა და სტუმარს გამოკითხვა დაუწყო.

ბაბუას კითხვაზე, თუ რისთვის ჩამოვიდა ნიკიტა საქართველოში, განა რუსეთში ცოტა მიწა-წყალი და ადგილია, ნიკიტამ უბასუხა, რომ ქართველი მუშებისა და გლეხების ძმური დახმარებისათვის ჩამოვიდა და, თუ საჭირო იქნება, თავსაც გასწირავს მთელს მსოფლიოში ყველაზე სამართლიანი წყობის დასამყარებლად.

კითხვაზე, თუ რაში გამოიხატება მათი წყობის სამართლიანობა, ნიკიტამ მოკლედ მოჭრა: მიწა — გლეხებს, ქარხნები — მუშებს, ძირს მხაგვრელები!

ბაბუას კითხვაზე, „თქვენი შეხედულებით მე მტერი ვარ თუ მოყვარეო“, სტუმარმა აგრეთვე მოკლედ მოჭრა: „ვი — სტარია!“ „მინც, მინცო“, რომ ჩააცვიდა ბაბუა, ნიკიტამ უბასუხა — „აღბათ მტრების ბანაკში აღმოჩნდებითო“.

„კეთილი და პატიოსანი, — თქვა ბაბუამ, — მაგრამ მაშინ არ ვიყავი მტერი, როცა რუსი ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი და ცხენზე ამხედრებული ისეთსავე ჭარისკაცებთან ერთად, როგორც თქვენ ბრძანდებით, თურქებს ვებრძოდი, თქვენთან ერთად სისხლს ვღვრიდი, რუსეთს ვიცავდი და ჩვენ ძმებს ბულგარელებს ჭრისტეს სახელით ვათავისუფლებდითო?“

„ნუ, ეტო სტარეი დელა, ა ხრისტოს ზდეს ნე ბრიჩომ“, — თქვა ნიკიტამ და დაუმატა: თქვენ განათლებული კაცი ბრძანდებით, ყოფილი ოფიცერი და,

ცხადია, უნდა მიხედვით, რომ დედი უსამართლობაა მიწაზე უმცირესობა ბატონობდეს, უმრავლესობა კი შიმშილით იხოცებოდეს, ფაბრიკა-ქარხნებში და შახტებში მუშები წელეებზე ფეხს იდგამდნენ და მეპატრონენი ოქროებში ცურავდნენ, სასახლეებში გამოჰიმულეები ცხოვრობდნენ და მოგების გარდა სხვა არაფერი აინტერესებდეთო. „ვამ ვნუჟ ალექსანდრ პონიალ ეტო, ი ვი დოლჟნი პონიატ!“

თქვენც გამოიჩინეთ თავი, ნიკი და უნარი, გამდიდრდით პატიოსანი შრომით, თქვენც ჩადექით მათ რიგებში, ვინც მდიდარია, განა ამას ვინმე გიკრძალავთ? — ჰკითხა ბაბუამ და ნაწყენმა დაუმატა: „ა ვნუჟ ალექსანდრ მენე უკაზ, ონ ეშჩო სოპლიაკ!“

„ეტო სტარეი სკაზკიო“, — თქვა ნიკიტამ. ჭერ მე პატიოსნად გამდიდრებული კაცი არ მინახავსო. მუშა კი ვერ წავა თავისი კლასობრივი ძმების ჩაგვრის გზით, მეგელი ვერ გახდება, სიმდიდრე რომ იმავე მგლური ხერხებით მოიპოვოს, რომელთაც მრეწველები და მეპატრონეები მიმართავენ. ჩვენ ყველას ვათავისუფლება გვიდა, „ვის ოტ ბრემენი გასპოდსტვა, ა ნას ოტ გასპოდსკოგო ბრემენი“, თუ ამას თქვენ შეიგნებთ, ერთ ბანაკში აღმოვჩნდებით და ერთად დავამყარებთ სოციალურ და პოლიტიკურ თანასწორობას. ამის მაგალითები ბევრი გვაქვს, აი, ამხანაგი ლენინიც კი, ამბობენ, აზნაურებიდან არისო... და სხვებიც...“

„მაგალითად, თქვენი აზრით, მე რა უნდა ვქნა“, — ჰკითხა ბაბუამ.

„მაგალითად, თქვენს ადგილზე მიწებს გლეხებს გადავცემდი და ჩემთვისაც იმდენს დაეიტოვებდი, რამდენიც სხვას ექნებოდა, რამდენსაც პირადად დავამუშავებდიო“...

„როგორ, მამა-პაპათა ნაანდერძევი მაშულები იმ ზარმაც და გველაძეა პეტრიკულებს დავურიგო!“ — შეიცხადა ბაბუამ.

„მე პრინციპზე გეუბნებით, თორემ ზარმაცებიც და უქნარებიც არიან გლე-



ხებში ისევ, როგორც ყველა კლას-შიო, — უპასუხა ნიკიტამ.

ასე საუბრობდნენ დიდხანს.

ბოლოს ბაბუამ პატარა ქიქიაში ცოტა არაყი ჩაისხა, წყალი დაუმატა, ქიქია ასწია და თქვა:

„სტუმარი ღვთისაა, ჩვენს სტუმარს გაუმარჯოს, ვინც ჩვენს შორის მართალი იყოს, იმასაც გაუმარჯოს. იმედია, სტუმარი ჩემს სანდროს მიმიხედავს, მასთან რომ ასე დაახლოებული ყოფილა. ჩემი დრო წასულია, ეს ცხოვრება თქვენი და ამითია, — სუფრასთან უკვე მოწყენილ პატარებზე მიუთითა, — მაგრამ ერთს მაინც ვიტყვი: ერთმანეთს ნუ დაერგვით, სისხლი არ დაღვაროთ, ჭკეყანა არ ააოხროთ; კმარა, რაც იოშვით, რაც სისხლი ღვარეთ და რაც ანგრეთ; ვანა არ კმარა, რაც რუსეთში მოხდა? დემერთმა გვაშორას ჩვენც იგივე! ხოლო ვინაა მართალი და ვინ მტყულებს ამას ზეცაში უფალი განსჯის...“

მე და ნიკიტამაც დავლიეთ უხმოდ.

არ ვიცი, მაშინ სხვებზე რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ საუბარმა, მაგრამ მე და, მგონი, ბიკოლა თეოლინე, თუ სწორად ამოვიცანი მისი სახის გამომეტყველება, არც თუ მთლად კმაყოფილი დავრჩით ბაბუა სპირიდონისა და ნიკიტას საუბრით. პირადად მე ოდესღაც მკაცრი და შეუთრგებელი ბაბუას არგუმენტები მაშინ სუსტი მეჩვენა.

ამით დამთავრდა ის ვახშამი.

აღრე დილით ნიკიტამ ჩემი დახმარებით ორთველაში ცხენები შეაბა, მხიარულად გამოემშვიდობა და უკვე ნაცნობი გზით ჭუთაისისაკენ გაუტია.

მე კი ცხოვრებაზე უფრო ღრმად დავფიქრდი, ვიდრე მანამდე...

ერთი წელიც არ იყო გასული ამის შემდეგ, რომ ბაბუა სპირიდონი გარდაიცვალა.

სანდრო ვერ ჩამოვიდა.

ბაბუას დასაფლავების შემდეგ საცხოვრებლად პატარა ორთველიან ოდაში გადავიდით, ეზოს ბოლოში რომ იდგა თავლის მხარეს და შინაურულად

საფარეშო რომ ერქვა, დიდად შენობა კი სოფელს გადავიციოთ. კოლმეურნეობის დაარსებისთანავე მასში კანტორა იყო (ახლაც იქაა).

ბაბუას მამულები და დიდი ეზო გლეხებმა დაინაწილეს (ჩვენ ამ საქმეში არ ჩავრეუღვართ) და საბოლოოდ კოლმეურნეობის მფლობელობაში გადავიდა. ჩვენ იმ დიდი ეზოს მცირე ჩამონაჭერი გვაკმაყოფილებდა, ახლაც რომ ვსახლობთ...

ასე რომ მივყვე ჩვენი ოჯახის გრძელ ამბავს, მთელი „რომანი“ გამომივა. მე კი, თქვენი ბარათის მიხედვით და პირვანდელი ვანზარახულის თანახმად, მხოლოდ სანდროზე უნდა ვიამბოთ, ვიამბოთ მოკლედ, სადად, ფაქტებით. მაგრამ ხანდახან უნებურად გადაუხვებ ხოლმე და როგორმე მიაბატიეთ...

თუმცა უნდა განვაცხადო, რომ ეს ყველაფერი უთუოდ სანდროსაც ეხება, თუ პირდაპირ არა, ირიბად მაინც, რადგან ის, რასაც ოჯახში ხედავდა ან შინიდან ესმოდა, ხომ ახდენდა რაღაც გავლენას სანდროს პიროვნებაზე, ხასიათზე, ქცევაზე, შეხედულებაზე? მაგრამ ვუბრუნდები უშუალოდ სანდროს ცხოვრების ამბებს და ვეცდები, ცდუნების მიუხედავად, დიდად აღარ გადავუხვიო...

მართალია, უამრავი ლექსია გააცდინა, მაგრამ სანდრო მაინც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტად ითვლებოდა. ათას ცხრაას ოცდაერთი წლის ბოლოდან სანდრო ბეჭითად ჩაუჭდა სწავლას და მაშინვე თავი გამოიჩინა.

როგორც ზემოთ ვთქვი, ჩემი მეუღლის ლიზას დახასიათებით ვიცი, როგორ სტუდენტად ითვლებოდა სანდრო. ჯერ ერთი, პარტიული იყო, რაც სტუდენტობაში იმხანად იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, და ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა ახალი ხელისუფლებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ აგრონომიულ ფაკულტეტზე სწავლობდა, სანდრო გატაცებული იყო ფილოსოფიითაც, კერძოდ, ბუნების მეცნიერების ფილოსოფიური საფუძვლებით; კითხულობდა

რეფერატებს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, მონაწილეობდა საუნევერსიტეტო დისკუსიებში, გამოდიოდა რაიონულ და საქალაქო კრებებზე, მაშინ ხშირად რომ ეწყობოდა თბილისში. ძლიერი მოკამათე იყო, შეიძლება, ცოტა სისხარტე აკლდა, მაგრამ საფუძვლიანობა — არასოდეს; შეუდგა ინგლისური ენის შესწავლას; ქართულად თარგმნა ენგელსის ერთი მცირე ზომის წერილი, ცალკე ბროშურადაც რომ გამოვიდა, შეუდგა ლენინის დიდი ნაშრომის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის“ თარგმნას, მაგრამ რატომღაც ვერ დაასრულა.

წერილებს იშვიათად გვწერდა, მაგრამ მაინც გვწერდა: გონებაში განსაკუთრებით ჩამრჩა სანდროს ის წერილი, ზემოთ რომ ვახსენე, რომელშიც თავისი მეგობრისა და ახალ გზაზე დამყენებლის სერგო რურუას უდროოდ დააღუპვა დაიტირა.

ერთი პატარა ოთახი მისცეს უნივერსიტეტის მახლობლად (ახლა რომ სასტუმრო „საქართველოა“, იმ მიდამოებში), იქ ცხოვრობდა თავის ამხანაგთან იორამ დარბაიძესთან ერთად, რომელიც შემდეგ ცნობილი ბიოქიმიკოსი გახდა.

ათას ცხრაას ოცდახუთ წელს, უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, ჩემი ძმის წინაშე არჩევანი დადგა: ან უნივერსიტეტში საპროფესოროდ დარჩენა, ან საზღვარგარეთ მივლინება. სანდრომ მეორე აირჩია და იმავე წელს გერმანიაში, ბერლინში გაემგზავრა.

უცხოეთში წასვლამდე ორიოდღე დღით ჩვენთან ჩამოვიდა.

ავვისტო იყო. მოწაფეებთან ერთად სკოლის შენობას ვარემონტებდით (მასწავლებლობის სამი წლის სტაჟი მქონდა), ვცვლიდით კლასებში იატაკის ზოგიერთ დამბად ფიცარს, ვამაგრებდით გრძელი აივნის მოაჯირს, ვღებავდით დაფებს... ჩემთან ერთად მუშაობდნენ ჩემი ძმა ლადი, რომელსაც სკოლა უკვე დამთავრებული ჰქონდა, მეორე

ძმა ილიკო, დამამთავრებელი კლასში რომ იყო და თორმეტოფე სხვა მოწაფე.

შუადღისას, როცა აივნის ჩრდილში ვისვენებდით და სკოლის შენობის მომავალ ბედზე ვსაუბრობდით (სკოლა ერთსართულიანი ხის ძველი სახლი იყო, სულ ხუთ საკლასო ოთახს, მომცრო სამასწავლებლოს და პატარა საეკუნიოს შეიცავდა), მოიბრინა ჩვენმა ცამეტი წლის დამ ნინომ და აქოშინებულმა ძლივს ამოთქვა — სანდრო ჩამოვიდაო! მოწაფეები სხაპასუხით დაგვარიგე, რა გაეკეთებინათ და მე, ლადი, ილიკო და ნინო შინისკენ გავექანეთ.

სანდრო სახლის აივანზე იჯდა და ღიმილით შემოგვეცქეროდა, როგორ გამოვბრობდით ორღობეში...

იმ დროისათვის ცოლი ჯერ არ მყავდა, სოფიკო ქუთაისში მასწავლებლობდა, ოჯახში მხოლოდ მოხუცი ბიცოლა თეოლინე დიასახლისობდა. რა გვექნა, როგორ გვეცა შესაფერისი პატივი სანდროსთვის? დიდიან-პატარაიანად დავტრიალდით: ერთი დედალი გვეყავდა, საკრუხედ გამზადებული, წავაცალეთ თავი, მრგვლად მოვხარშეთ, ნივრის წვენი ფიალით გვერდში მივუდგივთ, მკადები დავაცხეთ (სახაჭაპურე არაფერი გავავანდა, სამწუხაროდ!), ყანაში სიმინდის ნედლი ტაროები დავტეხეთ, ბოსტანში კიტრი და პამიდორი დავკრიფეთ, სალათას კარგი მეგრული პილპილი დავაჭერით, ერთი დიდი კვანჩი მოვწყვიტეთ (ახლაც მახსოვს: კვანჩზე ნინოს თავისი სახელი ამოეკაწრა), სუფრაზე წყაროში ჩაციებული ნამდვილი ალადასტურით საცხე დოქი დავდგივთ, მწვანილით გავამშვენეირეთ და სანდროს საზეიმო სადილი გავუმართეთ. სანამ ვსადილობდით, ერთ ქვანში სიმინდი იხარშებოდა, მეორეში — კვანჩი...

სალამოს მე და სანდრომ კარგა ხანს ვისაუბრეთ. ჩემს მიერ მტკიცედ შეთვისებული წესის თანახმად, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ პოლიტიკას არ შევებებოდი, მაგრამ სანდროსთან ეს

გაგვიდოდა? მისთვის ყველაფერი პოლიტიკა იყო: ჩვენი სოფლის სკოლაც, ღარიბი გლეხობის მიერ შეკოწიწებული სუსტი კომუნაც, მათემატიკაც, მე რომ ვასწავლიდი, და-ძმების მომავალიც და საკუთარი მეცნიერებაც...

უზომოდ ბედნიერი ვიყავი, სანდრო რომ წარმატებებს აღწევდა და ახლა საზღვარგარეთ მიდიოდა აღმათ უფრო დიდი წარმატებებისათვის საფუძვლის ჩასაყრელად. მასში ჩემი უსუსტი არსების ძლიერ ორეულს ვგრძნობდი და მიხაროდა. მიუხედავად იმისა, რომ ტოლები ვიყავით, თავს მასზე უფროსად ვთვლიდი, იმ უფროს ძმად, ყველაფერი რომ უმცროსისათვის უნდა შეეწირა, თანაც და-ძმების მომავალი მაწუხებდა, უსწავლელნი არ დამჩვენოდნენ და ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი, მისი ძლიერი შემწეობით ისინი ცხოვრებაში არ უნდა დაჩაგრულიყვნენ.

იღუმალად მაინც მღრღნიდა რაღაც და გულს მიტივებდა. ღამით დიდხანს არ მეძინა, ღრმად გამოვიძიე ჩემი თავი და მივაგენი: დედისა და მამის ტრავიკულ ბედში უნებურად სანდროს ხელსაც ვხედავდი. ეს მაწუხებდა და შტკიოდა...

მთელი მეორე დღე სანდრომ სოფელში გაატარა, შინ მხოლოდ შეღამებისას მობრუნდა მეტად კმაყოფილი. კიბის თავზე ვიდექი და ვაყუარებდი ორლობის ბინდ-ბუნდში მომავალს: მაღალ, მხარბეკიან სანდროს საკინძეჩამოხსნილი რუხი პერანგი ეცვა, წვივებზე პრილა ჩექმები შემოსალტოდა, ხელების ქნევით ლაღად მოდიოდა თავაწეული.

„აი ნახავ, რა ცხოვრება გვექნება ამ ათ წელიწადში, როგორ მოწყურებულია ახალგაზრდობა ახალ ყოფას და ურთიერთობას, როგორ მოწყადინებულია აი ნახავ, რა გლეხურ კოოპერაციას გადაჩაღებთ ლენინის ანდერძის მიხედვით, ეს იძულებითი ახალი ეკონომიკური პოლიტიკა რომ მოჩჩებაო“, — მეუბნებოდა იმედიანად სანდრო და თვალეხი უბრწყინავდა.

მესამე დღეს სანდრო წავიდა, ქუ-

თაისში სოფიკოსაც ვნახავ. მერე კი თბილისში წავალ. სოფელს მთელი ახალგაზრდობა აცილებდა.

წავიდა სანდრო და ლადიც თან წაიყვანა, უმაღლესში შევიყვან, ინჟინრობა ისწავლოს, ახლა კი ჩემს ოთახში იცხოვროს, რადგან იორამიც ლენინგრაღში მიდის ცოდნის გასაღრმავებლადო.

წავიდა სანდრო და ჩვენი უსიტყვო, მორცხვი ლადიც წაიყვანა. დავრჩით ორი ძმა და ორი და, ბიცოლა თეოლინესთან ერთად...

ლაღი საინჟინროზე შევიდა, ჰკვიანი ბიჭი იყო და კარგად სწავლობდა.

იმ წლის ბოლოს სოფიკოც გაგვიტხოვდა, მაშინ ახალგაზრდა, შემდეგ კი ცნობილ პარტიულ მუშაკს გაჰყვა, სამწუხაროდ, თორმეტი წლის შემდეგ რომ დაიღუპა.

სექტემბერში სანდრო თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრა, იქიდან, ვარშავაზე გავლით, ბერლინში ჩავიდა. სულ ორიოდე წერილი თუ გამოგზავნა უცხოეთიდან, რატომღაც წერილების წერა არ უყვარდა და თუ მოგვეწერდა, მხოლოდ ჩვენს ამბავს კითხულობდა, თავისას კი თითქმის არაფერს გვატყობინებდა, თითქოს მის გარშემო არაფერი ხდებოდა.

ორი წლის შემდეგ ბერლინის ერთ-ერთ მკირტირაჟიან ბიოლოგიურ ქუჩაში სანდროს პირველი წერილი დაიბეჭდა (გვიგზავნი თვით ავტორის მიერ გადმორუსულგებულ ვარიანტს). როგორც ნახავთ, მოცულობით ეს წერილი სულ სამი-სამნახევარი გვერდია. თქვენ, სპეციალისტები, ადვილად შეამჩნევთ, რომ ეს წერილი ჭერ კიდევ არ არის გენეტიკაში მთლად დამოუკიდებლად მოაზროვნე კაცის პირადად ჩატარებული ცდების ნაყოფი, იგი ჭერ კიდევ მიმოხილვავა, რომელიც ერთი კუთხით აჯამებს ევროპისა და ამერიკის გენეტიკოსთა მიერ მიღებულ შედეგებს, აზოგადებს მათ. მაგრამ მასში არის გამოთქმული ერთი ვარაუდი, ალბათ რომლის გამო ეს წერილი იმგვარ



ავტორიტეტულ ჟურნალში გამოქვეყნდა (თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ჟურნალს ჰირდებოდა იმ შემაჯამებელი სურათის წარმოდგენაც, რომელიც წერილშია მოცემული). ეს არის ვარაუდი, დაკავშირებული გენეტიკისა და დარვინის ევოლუციური მოძღვრების ურთიერთობის მაშინ მეტად საკამათო საკითხთან (სწორედ ეს იყო სანდროს შემდგომი მეცნიერული მუშაობის მთავარი თემა). აი, ამ ვარაუდის ქართული თარგმანი:

„ჩერ კიდევ მენდელის ცდებმა დაამტკიცა, რომ ორგანიზმის რეცესიული ნიშნები კი არ ისობა, არამედ პოპულაციებში ჰეტეროზიგოტულ მდგომარეობაში შემოინახება. იქნებ ამ მტკიცებამ გააბათილოს დარვინის თეორიის წინააღმდეგ მიმართული მოსაზრება, თითქოს ორგანიზმში წარმოშობილი ცვლილებანი მომდევნო თაობებში თანდათან სუსტდება და ქრება“.

იმედია, ამ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში კარგად ერკვევით — რეცესიული ნიშნავს არგამოვლინებულს, ფართულად არსებულს, ჰეტეროზიგოტული — არაერთგვაროვანი, სხვადასხვა შემკვიდრების მქონე მშობლებისაგან წარმოშობილ მემკვიდრეობით თვისებებს.

სამი წლის შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოთა სხდომაზე სანდრომ დაიცვა დისერტაცია — „დარვინის ევოლუციური მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლები“, რისთვისაც, მიუხედავად ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობისა, მას ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

დისერტაციაში სანდრო ამტკიცებდა, რომ დარვინი მატერიალისტია მეცნიერული ბუნებისმეტყველების დონეზე, სტიქიური დიალექტიკოსი და ათეისტი, მაგრამ ბურჟუაზიული შეზღუდულობის ნიშნებიც ნათლად შეიმჩნევა მის მსოფლმხედველობაში; დარვინის მოძღვრებამ დიდი როლი შეასრულა მეცნიერული ბიოლოგიის შექმნაში,

იდეალიზმის, თეოლოგიისა და შერტაფიზიკის დაძლევაში, ხელნაწილურ მუშაობებისმეტყველების წარმართვას დიალექტიკურ-მატერიალისტური მიმართულებით.

ათას ცხრას ოცდარვა წლის ბოლოს სანდრო მოსკოვში დაბრუნდა, თან ჩამოიყვანა... მეუღლე, ახალგაზრდა გერმანელი ქალი. მაშინ საქართველოში არ ჩამოსულა, მოსკოვში ცხოვრობდა მეცნიერებათა აკადემიის საერთო საცხოვრებელში. მე შესანახად ვადმომიგზავნა მთელი დასტა ხელნაწერებისა (უმეტესად რუსულად და გერმანულად), უკვე ნახსენები გერმანული ბიოლოგიური ჟურნალი, ცოტადენი ფული და თან წერილიც მოაყოლა. წერილში მოკლედ აღწერდა ყველაფერს, რაც გერმანიაში გადახდა, ასევე მოკლედ აღნიშნავდა, რომ შეირთო ცოლი, ბერლინის უნივერსიტეტის ნასტუდენტარი „ახალგამომცხვარი ბიოლოგი“ (ეს მისი გამოთქმაა) ჰილდა და დაწვრილებით წერდა იმაზე, თუ როგორ ცდილობს ახლა მიიღოს მივლინება ამერიკაში, რათა ცოტა ხნით იმუშაოს ცნობილი თომას მორგანის ლაბორატორიაში... დამების ამბებსაც კითხულობდა.

ბასუხად მივწერე, რომ უმცროსი ილიაკ თბილისში წავიდა ლადისთან და ისიც საინჟინროზე შევიდა, რომ სოფიკო ოჯახით (ქალ-ვაჟი ჰყავს) ხან ერთ რაიონშია, ხან მეორეში, აშეამად კი სამტრედიის იმყოფებიან, სადაც მისი მეუღლე რაიკომის მდივანია, რომ ანიკო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სანდროს პატივისცემით ბიოლოგიის დარგზე შევიდა, ნინო სკოლას ამთავრებს, ბიცოლა თეოლინე მოხუცდა და სანდროს ნახვას ნატრულობს, რომ მე დავქორწინდი, უკვე ორი წლის ვაჟი მყავს, რომელსაც სანდრო დავარქვე, რომ ისევ სოფლად ვმასწავლებლობ, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე ქუთაისისკენ მეზიდება, სადაც თვით ასწავლის მათემატიკას და სხვა ამგვარები.

ამ წერილზე პასუხი არ მიმიღია.

შემდეგ გავიგე, რომ ამხანაგ სერგო ორჯონიკიძისა და აკადემიკოს ნიკოლოზ ვავილოვის დახმარებით (ამ უკანასკნელს სპეციალური დავალებაც მიუცია მცენარეების ნიმუშთა შეგროვებაზე — ნ. ვავილოვს მსოფლიო მნიშვნელობის კოლექცია ჰქონდა) სანდროს თხოვნა დააკმაყოფილეს, მისცეს ორი წლის სამეცნიერო მივლინება ამერიკის შეერთებულ შტატებში მორგანის ლაბორატორიაში სამუშაოდ, გაემგზავრა კიდევ მეუღლითურთ უცხოეთში, ჰილდა ბერლინში მშობლებთან უნდა დაეტოვებინა და საფრანგეთის გავლით ამერიკაში გემით უნდა წასულიყო ქალაქ ჰავრიდან.

ამ დროს მომხდარა ერთი საინტერესო შეხვედრა ვარშავაში, სადაც სანდრო რაღაც საქმის გამო ორი დღით გაჩერებულა. თვით სანდროს გვიანდელი მონაყოლით კარგად ვიცი ის ამბავი, თუ როგორ მოხდა სრულიად შემთხვევით მისი და მოსე კულაშელის ვაჟის შეხვედრა (ეს ფაქტი, მგონი, სალღაც ზემოთ უკვე ვახსენე).

ვარშავიდან გამგზავრების დღეს, მეუღლის თხოვნით, სანდრო მას ერთ-ერთ მაღაზიაში შეჰყოლია, სადაც ჰილდა თივთიკის ზედატანით დაინტერესებულა (ზამთრის პირი იყო და ციოდა თურმე). სანამ მეუღლე საქონლის გადაარჩევით იყო გართული, სანდრო ვიტრინასთან დამდგარა და ქუჩას ათვალიერებდა. უცებ ვიტრინის წინ ქუჩაში ვიღაც უცნობი გაჩერებულა და იქ გამოფენილი საქონლის ნაცვლად სანდროსთვის დაუწყია ჰერეტა. სანდროს ევროპულად ეცვა — მოდური მოსახამი, შლაპა, ჰალსტუხი — და გაუფიქრია, ხომ არაფერი ამერია ტანსაცმლის წვრილმანებში ან სახეზე მური ხომ არ მცხიაო, ჭერ ჰალსტუხზე უტაცნია ხელი, მერე პირზე მიუსვამოუსვამს.

ამასობაში უცნობი მაღაზიაში შემოსულა, პირდაპირ სანდროსთან მისულა და მორიდებულად უკითხავს რუსულად,

თქვენ კავკასიელი ხომ, არ უბრძანდებთო. სანდროს დასტუტუნე! უცნობი მაშინვე ქართულზე გადასულა: ქართველი ხართო? ლაპარაკში გაირკვა, რომ ის უცნობი ყოფილა მოსე კულაშელის უფროსი ვაჟი აბრამ შათაშვილი, მაღალი, მელოტი, ორმოცდაათს მიღწეული კაცი.

აბრამი თურმე სიხარულს ვერ მალავდა. მამამისისგან მას აღრეც ბევრი რამ სცოდნია ეპიფანე სორდიას ოჯახის შესახებ, პირადად იცნობდა მამაჩვენსაც, რომელიც მსოფლიო ომამდე რამდენჯერმე ყოფილა მასთან ვარშავაში და მათ შორის საქმიანი ურთიერთობაც არსებულა. სანდრო და მისი მეუღლე აბრამს მაშინვე მიუწყვევია თავის სავაჭროში, იქვე შორიასლო რომ ყოფილა, იმ საკმაოდ დიდი მაღაზიის უკანა ოთახში შეუყვანია და ყავით გასასპინძლებია, თანაც საწყობიდან მთელი შეკვრა იმ საქონლისა მოუტანინებია, ჰილდას რომ აინტერესებდა.

„მაშ თქვენ სანდრო სორდია ბრძანდებით, არა? ვიცი, გამიგია, რომ კომუნისტი და მეცნიერი ხართ. ხანდახან რომელიმე ქართული გაზეთი, მაგალითად, „მუშა“ აღწევს ხოლმე ჩვენამდე (ვარშავაში რამდენიმე ქართული ოჯახი ცხოვრობს) და ვცდილობთ; თვალი მივაღვევოთ საქართველოს ამბებს... შენატრება ჩვენი პატარა კულაში, ხონი და ქუთაისი... ოც წლამდე მეც იქ დავყავი, იქ გავიზარდე, შემდეგ მამამ აქ, ვარშავაში, ჩამაყენა საქმეში... იცით, როგორ მომწყურდა ჩვენი დანიელის სიმღერის გავგონება?.. მაგრამ ჩაგრიჩი ამ პოლშაში, რუსეთს რომ გამოეყო, აქაური მოქალაქეობაც მივიღე, გვარიც გამოვიცვალე — აბრამამ შატევიჩი ვარ ახლა, ქალიც აქაური შევირთე და ბავშვებიც მყავს... საწყალი მამაჩემი, მე ვიცი, რომ ის მეგობრობდა მამათქვენ ეპიფანეს, ხოლო მამათქვენისთანა ნიკიერი და პატიოსანი კომერსანტი მეორე არ მეგულებოდა... თქვენ მახსოვხართ, თქვენ და თქვენი ძმა, ჩემს ახალგაზრდობაში და თქვენს ბავშვობაში...“

როგორ ბრძანდება ბატონი ეპიფანე ახალ საქართველოში? ცხადია, მის შესახებ გაზეთებში ვერაფერს ამოვიკითხავდი, ხოლო ცოცხალი ამბავი საქართველოდან კარგა ხანია არ მსმენია“...

აბრამს არაფერი გაეგო მამაჩვენის უცნაურ ბედზე, რომ გაიგო, მეტად აღელდა, ცრემლიც კი მოიწმინდა, წამდაუწყუმ ხელს ხელზე ადებდა სანდროს, თითქოს ეფერებოდა და ანუგეშებდა. შემდეგ სურვილი გამოუთქვამს, დახმარებოდა სანდროს მამის ძებნაში.

„როგორო, — უკითხავს სანდროს, — თქვენ როგორ დამეხმარებითო?“

„აი, როგორ, — უპასუხნია აბრამს. — ბერლინში და პარიზში წერილს მიგიწერთ იქაურ ჩემს ამხანაგებთან და კოლეგებთან, ისინი აუცილებლად დაგეხმარებიან მამის მოძებნაში, თუ იგი აქაა სადმე ევროპაში, ან თუ სადმე მიიკვლია დატოვებული... ის კი მიკვირის, თუ ევროპის რომელიმე ქვეყანაშია, მე რად არ ჩამომაკითხა ან არ დამიკავშირდა ვარშავაში... ოღონდ იცოდეთ, ფულის დახარჯვა დაკვირდებათ ამისთვის“...

„კი, მაგრამ, ჩვენს საელჩოებს რომ მივმართო დახმარებისათვის ბერლინსა და პარიზში არ აჯობებსო?“ — უკითხავს სანდროს.

„მიმართეთ, ბატონო სანდრო, მაგრამ სანამ ისინი რაიმეს მოიმოქმედებენ, თუ მოიმოქმედეს, დიდი ღრო გავა, კერძო დეტექტივები კი სწრაფად მოქმედებენ. ხოლო ამისთვის საჭირო ფულს მე ვასესხებთ, თქვენი ჰირიმე, მე ვასესხებთ, უარი არ მითხრათ მამაჩემი მოსეს ხსოვნის საპატივცემულოდ, ჩემი სამშობლო საქართველოს- ხსოვნისა და სიყვარულის საპატივცემულოდ. შემდეგ გავსწორდებით ოდესმე“...

სანდროს სესხზე მტკიცე უარი უთქვამს, მაგრამ აბრამის მიერ იქვე დაწერილი ის ორი ბარათი აუღია, — რატომ არ ვცადო, იქნებ ამ გზით რაიმეს მივაღწიოო, თუ საელჩოებმა ვერაფერი ილონესო, უფიქრია.

მთელი საათი უსაუბრიათ და ერთმა-

ნეთის ამბავი დაწვრილებით გამოუკითხავთ. აბრამის ორ ძმა-ქართო-კატეში რომ იყო და მეორე — ოდესაში, ახლა თურმე სირიასა და ლიბანში ცხოვრობენ, იქ საქმიანობდნენ და ზოგჯერ ვარშავაში ჩადიოდნენ უფროს ძმასთან.

აბრამი სულ საქართველოს ხსენებაში ყოფილა, აქაური ამბები აინტერესებდა, მაგრამ როცა გაერკვა, რომ სანდრო სამეცნიერო მივლინებით ამერიკაში მიდიოდა და კალიფორნიის შტატში, საკრამენტოში ან სანფრანცისკოში, უნდა ეცხოვრა (როგორც იცით, თამას მორგანი ჯერ კოლუმბიის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, მაგრამ სწორედ ამ წელს კალიფორნიის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გადავიდა, რომლის ადმინისტრაცია ქალაქ საკრამენტოში, შტატის დედაქალაქში, იმყოფებოდა და სანდროც თავდაპირველად იქ უნდა ჩასულიყო), კვლავ დაფაცუნებულა — იქაც მყავს ნაცობებიანა. უბის წიგნაკი ამოუღია და ბევრი ფურცლისა და ძებნის შემდეგ, საჭირო მისამართი უპოვია, წერილიც დაუწერია იმ მისამართზე მცხოვრები პირისათვის, რომ ასე და ასეო, ამ კაცს დაეხმარეთ, რითაც შეგიძლიათ ხელი გაუმართეთო.

ეს ბარათი სანდროს კალიფორნიაში პირველხანად ძალიან გამოდგომა — შედარებით იაფი ბინა უშოვია და, სანამ ანაზღაურების საქმე გაირკვეოდა და მოგვარდებოდა, მცირე კრედიტიც ჰქონია გახსნილი ერთ იქაურ სასურსათო მაღაზიაში (ამერიკაში მაშინ ის დიდი კრიზისი იწყებოდა, ძირფესვიანად რომ შეარყვია მისი ეკონომიკა, და ცხოვრებისა და არსებობის პირობები მეტად მერყევი, ცვალებადი, წინასწარ ძნელად სავარაუდებელი ყოფილა)...

პილდას მიერ არჩეულ საქონელში აბრამს არას გზით არ სდომნია ფულის გამორთმევა, მაგრამ ეს სანდროს არ უქნია. ბოლოს, აბრამს სანდრო და მისი მეუღლე სადგურზეც გაუცილებია.

ეს იყო მათი პირველი და უკანასკნელი შეხვედრა. შემდეგ სანდრო ხში-

რად ხსენებდა აბრამს და თუმცა მამის კვალს ევროპაში მისი დახმარებითაც ვერ მიაგნო, აბრამის გულითადი მონაწილეობა ამ საქმეში ყოველთვის კეთილად ახსოვდა. ეს სიკეთე სანდრომ ჩვენი „რიკა“ დანიელს გადაუხადა: ამერიკიდან რომ ჩამობრუნდა, ჩემი საშუალებით დანიელი მოძებნა; თბილისში გაიხშო, ნიჭიერ ბიჭს სკოლა ექსტერნად დაამთავრებინა და უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე მოაწყო. ომამდე დანიელი სახბანკში მუშაობდა, შემდეგ კი მისი კვალი დაეკარგე. ხოლო თვით აბრამისა და მისი ოჯახის ბედი ტრაგიკულად დამთავრებულა: ვარშავის გეტოში დაღუპულან ფაშისტების ოკუპაციის დროს...

ამერიკაში მუშაობით სანდრო მეტად კმაყოფილი იყო, რადგან უშუალოდ მონაწილეობდა ზოგიერთ იმ ექსპერიმენტში, თომას მორგანი, მისი თანამშრომლები და მოწაფეები რომ ატარებდნენ დროზოფილაზე — ბუზისმსგავს ნამცეცა მწერზე, რომელიც ადვილად მრავლდება ლაბორატორიებში და სხვადასხვა თვისებათა გამო გენეტიკური კვლევის საუცხოო ობიექტია.

ახლა უნდა ვიამბოთ ერთი შეხედვით უცნაური ისტორია, რომელიც ჰილდასთან დაკავშირებით სანდროს გადახდა.

როგორც ვთქვე, სანდროს მეუღლე ბერლინიში, მშობლების ოჯახში დაარჩა. ამერიკიდან რომ ბრუნდებოდა, ჰილდასთან მოლაპარაკებისამებრ, სანდრო ერთი დღით ბერლინიში შეჩერდა, რათა ჰილდა თან წამოეყვანა.

სანდროს გერმანიაზე გადმოვლა და ბერლინიში ჩასვლა იმ ცნობილ ბერიოდს დაემთხვა, როცა ნაცისტები გააქტიურდნენ და მანამდე სუსტ და ზოგიერთის მიერ აბუჩად აგდებული პარტიიდან გერმანიის ინდუსტრიული მაგნატების დახმარებით და იმ მილიტარისტული წრეების ხელშეწყობით, რომლებიც რევანშსა და ვერსალის ზავის ძირფესვიან გადასინჯვას ესწრაფოდნენ, მეტად აგრესიულ, მოაჩრდივე ძალად იქცა. ნა-

ციტური და ნაციონალისტური აფიოტაჟი მთელს გერმანიას მოყვებდა; მოხდა მრავალი შეტაკება ნაცისტთა და დემოკრატიულ ძალებს შორის, მალე რომ ნამდვილ სისხლისმღვრელ ბრძოლებად იქცა, ნაცისტთა ბანდები სასტიკად უსწორდებოდნენ მუშებს, კომპარტიას, სოციალ-დემოკრატიას. ჰიტლერი ხელისუფლებისაკენ მიიწევდა და მალე მიაღწია კიდევ...

სანდროს ბერლინის სადგურზე ჰილდას ნაცელად მისი ძმა, ვერმაპტის ოფიცერი ფრიდრიჰი დახვდა, რომელმაც თავაზიანი მისალმების შემდეგ განუცხადა, რომ ჰილდა ავად არის და მოსვლა ვერ შეძლო. როცა სასტუმროსკენ მიემგზავრებოდნენ, ფრიდრიჰმა სანდროს შეაპარა, რომ, როგორც ჩანს, ჰილდა ვერ წაყვებოდა საბჭოთა რუსეთში. სასტუმროში რომ მივიდნენ და ნომერში შევიდნენ, ჰილდას ძმამ სანდროს წერილი გადასცა. სანამ წერილს წაიკითხავდა, სანდრომ ფრიდრიჰს მტკიცედ მოსთხოვა, მეუღლე მარჩვენეთო. მან უპასუხა, რომ ეს შეუძლებელია, ჰილდა ბერლინიში არ იმყოფება და სთხოვა, წერილი წაეკითხა.

აი, ის წერილი, რომელიც ჩემთან ინახება (მე თვითონ ვთარგმნე):

„ძვირფასო მეუღლე, პერ ალექსანდრ! ჩემი და ჩემი ოჯახის ამბავი ისე მოეწყო, რომ მიუხედავად შინაგანი სურვილისა, მე არავითარი საშუალება არ გამაჩნია, ღირსეული მეუღლეობა გაგიწიოთ და კვლავ ბოლშევიკურ რუსეთში დავბრუნდე. შექმნილ ვითარებაში ეს იქნებოდა მამაჩემის, ჩემი ძმისა და მთელი ოჯახის სასიცოცხლო ინტერესების ეგოისტური უგულებელყოფა. მე მინდა კვლავ დავადისტურო თქვენს კეთილშობილებზე, პატიოსნება და სიყვარული, რომლითაც მეპყრობოდით მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ერთად ვიყავით. ყოველთვის მიკვირდა, რომ ამგვარი რაინდული თვისებებით აღჭურვილი კაცი მართლმორწმუნე ბოლშევიკი ბრძანდებოდით. ზოგჯერ თქვენში სწორედ ეს შეუსაბა-

მობა მზიბლავდა და შიზიდავდა. თქვენ ჩემთვის ყოველთვის ასეთად დარჩებით. დარწმუნებული ვარ, დიდი მეცნიერული კარიერა გელოდებათ და სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას თქვენი აღმავლობის გზაზე. უნდა მაპატიოთ ის ტკივილი, რასაც ეს წერილი, ვიცი, მოგაყენებთ, მაგრამ სხვანაირად მე არ შემძლია. გთხოვთ, ძეხვას ნუ დამიწყებთ, ახლა მე ძალიან შორს ვარ თქვენგან. იქნებ ოდესმე შეგხვდეთ. მშვიდობით, პილდა“.

სანდრო თავზარდაცემული იდგა. ცოტა გონს რომ მოეგო, ფრიდრიხს ჰკითხა, სად არისო. სამხრეთ გერმანიაში ერთ-ერთ სოფელში, მეტს ნუ მკითხავთ, ვერ გეტყვითო. ასე ისხდნენ კარგა ხანს გაჩუმებულნი. შემდეგ ფრიდრიხი წავიდა. იმავე ღამეს სანდრო სამშობლოსაკენ გამოემგზავრა...

ის და პილდა ერთმანეთს აღარასოდეს შეხვედრიან...

სოფელში ბევრი რამ შეიცვალა. დაიწყო ინტენსიური კოლექტივიზაცია. დაეიწყეთ სკოლის ახალი შენობის აგება. ზამთარში ბიცოლა თეოლინე გარდაიცვალა. ნინომ სკოლა დაამთავრა და ქუთაისს მიაშურა. ჩემი ყოფილი მოწაფეები თანდათან ტოვებდნენ სოფელს და ქალაქებში იფანტებოდნენ, მაგრამ ახლად წამოჩიტულები ავსებდნენ სკოლას და უკმაყოფილო არ ვიყავი.

მეორე შეილი გამიჩნდა, დედაჩემის სახელი ტასო დავარქვეთ. იმ ორ წელიწადს, სანამ ბავშვი წამოიზრდებოდა, ჩემი მეუღლე ლიზა ჩვენთან იყო სოფელში და აღარ მსახურობდა. ეს ძლიერ აღიზიანებდა და სულ აგიტაციას მიწვედა, რომ ქუთაისში გადავსულიყავით. მაგრამ მე მტკიცე უარზე ვიყავი. ლამის ვავიყარეთ, მაგრამ შემდეგ კომპრომისი გამოვინახეთ: ლიზა გოგონათი ქუთაისში დამკვიდრდა (ჩემს ყოფილ გიმნაზიაში ასწავლიდა მათემატიკას), მე კი პატარა სანდროთი სოფელში დავრჩი. ხან ჩვენ ჩავდიოდით ქუთაისში, ხან ისინი ჩამოდიოდნენ. ზა-

ფხულობით ხომ სულ ჩვენთან იყვნენ. ისე შეგეჩვიეთ ამ ოროჯინანობას, რომ უხერხულობას აღარ ვგრძნობდით.

გაკვეთილების შემდეგ და კვირადღეობით ყანასა და ბოსტანს ვუვლიდი, ჩვენს პატარა ბაღში ხეხილს ვრგავდი და ვახარებდი. თვალყურს ვადევნებდი აგრეთვე, რამდენადაც ეს სოფლის პირობებში მიხერხდებოდა, გენეტიკის განვითარებას, რადგან დიდად ვიყავი დანტერესებული ჩემი ძმის მუშაობით, მისი წარმატებითა თუ წარუმატებლობით. თბილისიდან და მოსკოვიდან წიგნებს ვიწერდი, გამოვიწერე მოსკოვის სპეციალური ჟურნალიც — „ბიოლოგია და მარქსიზმი“, შემდეგ — „ექსპერიმენტული ბიოლოგიის ჟურნალი“ და „ბიოლოგიური ჟურნალი“, ვეცნობოდი დისკუსიების შინაარსს (მან თავიდანვე მეტად მწვავე ხასიათი მიიღო); სანდრო თავის უკვე გრძელ წერილებში ხანდახან მიხსნიდა სხვადასხვა თეორიების ნამდვილ არსსა და მიმართებას, აზუსტებდა საკუთარ პოზიციას, აყალიბებდა ახალ შეხედულებებს.

ამერიკიდან დაბრუნებისა და ბერლინში მომხდარი ამბავის შემდეგ, ასე მძიმედ რომ იმოქმედა ჩემს ძმაზე (ამბობდა, მეუღლე ფაშისტური შხამით მომიწამლეს და დამიკარგესო), სანდრო ძირითადად მოსკოვში ცხოვრობდა, სწავლობდა კომუნისტურ აკადემიაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ (ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის განხრით), მუშაობდა ცნობილ საბჭოთა გენეტიკოს ნიკოლოზ კოლცოვთან, აგრეთვე — ალექსანდრე სერებროვსკისთან; რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა მოსკოვის ჟურნალებში, ამერიკის გენეტიკურ ჟურნალში (ეს წერილები ჩემთან ინახება), წერდა წიგნს გენეტიკის თეორიულ პრობლემებზე (ხელნაწიხი დაიკარგა ომის დროს), მონაწილეობდა თათბირებში, დისკუსიებში, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.



გერმანიაში თავის დროზე მიღებულ ფილოსოფიის დოქტორობა აქ რატომღაც არაფერში არ გამოადგა და 1934 წელს, როგორც კი ჩვენში შემოდებული იქნა დისერტაციების დაცვა, სანდრომ მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქრონოსომული თეორია ბუნების მარქსისტული დიალექტიკის თვალსაზრისით“, ხოლო ორი წლის შემდეგ — მოსკოვშივე სადოქტორო: „თანამედროვე გენეტიკის მსოფლმხედველობრივი პრობლემები“ (მანქანაზე გადაბეჭდილი ორივე დისერტაციის თითო პირი ჩემთან ინახება). იმავე წელს დაინიშნა პროფესორად მოსკოვის უნივერსიტეტში.

ამ ხნის მანძილზე ორჯერ თუ სამჯერ სანდრო სოფელში გვესტუმრა (მაშინ მოსკოვიდან ჩამოსვლას დიდი დრო ჰქონდა, ოთხი დღე, ისე კი არ იყო, ახლა რომაა — ჩემი შვილიშვილები აქვე, კოპიტნარიდან, ორ საათში მოსკოვში ამოჰყოფენ ხოლმე თავს!). ბევრს ესაუბრობდით გენეტიკის საკითხებზე.

რა იყო ჩემი, არასპეციალისტის, აზრით მთავარი საგანი იმ კამათისა და დისკუსიებისა, იმ მწვავე განხეთქილებისა და რადიკალური გამოჯენისა, ოცლაათიან წლებში რომ დაიწყო, ომის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ რომ დასრულდა და კარგა ხნით შეწყვიტა გენეტიკის, როგორც მეცნიერების, არსებობა ჩვენში?

ჩემი აზრით, ძირითადი საგანი და მიზეზი ის იყო, რომ ერთნი ამტკიცებდნენ:

მემკვიდრულ ცვლილებებს გადასცემს არა იდეალისტების მიერ გამოგონილი რაღაც გენეტიკური სისტემა, კოდი, არამედ მთელი ორგანიზმი, მთელი სხეული, ამიტომ მთავარი და გადაწყვეტი ორგანიზმის განვითარებაში არის გარემო, რომელშიც ეს ორგანიზმი ყალიბდება, სწორედ გარემოს გავლენა მთელ ორგანიზმზე იწვევს მემკვიდრულ ცვლილებებს.

მეორე ჯგუფი, ჯგუფი ნამდვილი გენეტიკოსებისა ამტკიცებდა, რომ გარე-

მოს გავლენამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მხოლოდ დამკვირვებელი ცვლილებანი, რომლებიც მემკვიდრეობით არ გადადის, თუკი ის გარემო ვერ ახდენს გავლენას უშუალოდ გენებზე, მემკვიდრეობის გადაცემის მთავარ, ძირითად აპარატზე, რომელიც ყველა ორგანიზმში არსებობს. ამიტომ აუცილებელია, ამტკიცებდნენ ისინი, სწორედ ექსპერიმენტულ-გენეტიკური მუშაობის უფრო ღრმა და ყოველმხრივი გაგრძელება, რათა მიგნებულ იქნას გენებზე მიზანდასახული ზემოქმედების მეცნიერულად დასაბუთებული ხერხები, მეთოდები, საშუალებები. ამისთვის კი აუცილებელია ჯერ თვით მემკვიდრეობითი სისტემის ძირფესვიანი შესწავლა, მისი საიდუმლოების ამოხსნა. ეს იყო ძირითადად გენეტიკოს-აკადემიკოსთა და პროფესორთა მაშინ ფართოდ აღიარებული ჯგუფი, რომლის მტკიცე მომხრე და მათი იდეების ბოლომდე დამცველი იყო ჩემი ძმა.

ამ ჯგუფის გავლენის დაძლევა და იდეური განადგურება დაისახა მიზნად პირველმა ჯგუფმა (ყოველ შემთხვევაში, ობიექტურად ასე ჩანდა) და მიაღწია კიდევ მიზანს.

ვითარებას ის ამწვაებდა, რომ საკითხი უშუალოდ იყო დაკავშირებული ხალხის კეთილდღეობასთან, ქვეყნის ეკონომიურ ძლიერებასთან და, ბუნებრივია, საერთო მხარდაჭერა ტროფიმე ლისენკოსკენ იხრებოდა, რომელიც ხელმძღვანელობას სწრაფი პრაქტიკულ შედეგების მიღწევას, მოსავლის მკვეთრ გადიდებას, ჯიშების დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას პირდებოდა და თანაც აცხადებდა, რომ ის და მისი მომხრენი დიდი რუსი სელექციონერის ივანე მიჩურინის მიმდევრები არიან მათ საპირისპიროდ, ვინც უცხოელი რეაქციონერების — მენდელის, ვეისმანის და მორგანის — წინაშე ჭედს იხრის და მათი მავნე, იდეალისტური შეხედულების მიმდევრები არიანო.

კამათი დაიწყო ოცინ წლებში, მაშინ, როცა სანდრო ჯერ კიდევ თბილი-

სში სწავლობდა, შემდეგ გერმანიაში და ამერიკაში იყო. მხოლოდ ოცდაათიან წლებში, კომუნისტური აკადემია რომ დაამთავრა და დოქტორის ხარისხი დაიცვა, სანდრო უშუალო მოწმე და მონაწილე გახდა მაშინდელი დისკუსიებისა.

პირველი დისკუსია სანდროს მონაწილეობით (ჯერ, ბუნებრივია, მორძალელებული მონაწილეობით) 1936 წლის დეკემბერში შედგა, როდესაც მოსკოვში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეოთხე სესია. იგი სპეციალურად მიეძღვნა გენეტიკისა და სელექციის საკამათო საკითხებს.

ამ დისკუსიებში თანდათან გამოიკვეთა (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აღრევე კარგად ჩანდა) ტროფიმე ლისენკოსა და მისი იდეური შთამაგონებლის ი. პრეზენტის წამყვანი როლი, როგორც ჰემიარტი გენეტიკის წინააღმდეგ გააფთრებულ მებრძოლთა და მის მომავალ მესაფლავეთა. ისინი ჭიუტად ჩასკიდებოდნენ განვითარების პროცესში მყოფი გენეტიკის ცალკეულ საექვო ასპექტებს და ზოგიერთ შეცდომებს, რომლებიც შემდგომ დაძლეულ და უარყოფილ იქნა თვით გენეტიკოსთა მიერ ახალი ექსპერიმენტებისა და მათი შედეგების სწორი განზოგადებით. ისინი ამ ცალკეული მომენტების გაზვიადებით მთლიანად უარყოფდნენ უდიდეს პერსპექტივის მქონე გენეტიკის ახალგაზრდა მეცნიერებს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალ. სერებროვსკი იძულებული იყო ეთქვა: „ვითომ რევოლუციური ლოზუნგის საფარველქვეშ — „ჰემიარტი საბჭოთა გენეტიკისთვის ბურჟუაზიული გენეტიკის წინააღმდეგ!“ — ჩვენ ვგრძნობთ გაშმაგებულ იერიშს მეოცე საუკუნის მეცნიერების უდიდეს მიღწევაზე, ჩვენ ვხედავთ ცდას, ნახევარი საუკუნით უკან გადაგვისროლონ. რაც უნდა კარგი და კეთილშობილური გრძნობებით ხელმძღვანელობდეს ჩვენი მოწინააღმდეგეთა უმრავლესობა,

ობიექტურად მათი მიდგომა წარმართული სრულიად მცდარ-გზითწრავალი მიმართებით უბრალოდ სასკანდალოა და უკვე ახლა ვნებს ჩვენს მეურნეობას“...

ხოლო ნ. დუბინინი აღშფოთებით ამბობდა, რომ „უდიდეს მეცნიერებას სურთ სულელის ჩაჩი დახურონ... ნუ თამაშობთ კუკუ-დამალობანას, პირდაპირ თქვით, რომ თუ თეორიულ გენეტიკაში გაიმარჯვებს თეორია, რომლის სულისჩამდგმელია, ტრ. ლისენკის თქმით, ი. პრეზენტი, ამ შემთხვევაში თანამედროვე გენეტიკა მთლიანად განადგურებული იქნება“.

თორმეტი წლის შემდეგ ეს პესიმისტური პროგნოზი გამართლდა.

ტრ. ლისენკო ამტკიცებდა, რომ მან, მაგალითად, უკვე შეძლო „გენეტიკის დოგმათა წინააღმდეგ“ საშემოდგომო ხორბლის საგაზაფხულოდ გადაქცევა, ესე იგი, გარემო პირობებთან შეგუებით მან მცენარის ორგანიზმი ისე აღზარდა, რომ შექმნილი ცვლილებები მემკვიდრეობითი გახადა ყოველგვარი გენების გარეშე.

მას უმტკიცებენ, რომ ეს არ არის რეალური, ყოველ შემთხვევაში, ამ მოსაზრების შემოწმება ზუსტი ექსპერიმენტითაა საჭირო, რადგან გარემო უშუალოდ არ მოქმედებს მემკვიდრეობით სისტემაზე, მასში მტკიცედ „ჩაწერილ“ შთამომავლობით ინფორმაციაზე, „აღზრდა“ არაფერ შუაშია, რომ შეუძლებელია მოდიფიკაციური ცვლილებანი მემკვიდრეობით გადაეცეს, რომ მიზანმიმართული მუტაცია (გენეტიკური სახეცვლილება) ასე ადვილი მისაღწევი არ არის, რომ მას ჭერჯერობით წარმოშობს მხოლოდ ისეთი აქტიური ზემოქმედება გენეტიკურ სისტემაზე, როგორცაა მაიონიზებული გამოსხივება, ულტრაიისფერი სხივები, ძლიერი ქიმიური ნივთიერებანი... ვინც გენეტიკის საფუძვლები იცის, ლისენკოს მცდარ გზას არ დაადგება. მის მიერ ჩატარებული „აღზრდა“ გენებზე ზემოქმედების გარეშე შეიძლება მხო-

ლოდ ექსპერიმენტად დარჩეს და ფართო სამრეწველო მნიშვნელობა არ ექნება... თუ კაცმა, მაგალითად, ბევრი ივარჯიშა, ათლეტი გახდა, ტრენაჟით ისეთი ღონე გამოიმუშავა, რომ მხრებით რკინიგზის ვაგონის აწვევა შეუძლია, განა ეს შეძენილი თვისება მის მემკვიდრეებს გადაეცემა? ასეთივე გულუბრყვილოა პათივცემული ტროფიმე ლისენკოს მტკიცებაც. მემკვიდრეობის გადაცემა სისტემა ერთია — ქრომოსომებში განლაგებული გენები. თუ ჩვენ ვერ მივალწიეთ მათზე წინასწარდასახული მიზნით ზემოქმედებას, რასაც ალბათ ათეული წლები დასჭირდება, ყოველგვარი ცდა მემკვიდრეობის მართვისა უნაყოფოა დღეს და უნაყოფო იქნება ხვალაც...

თავის მხრივ, ტრ. ლისენკო გენეტიკოსებს სწორედ უნაყოფობას სწამებდა, უარყოფდა „ფორმალური გენეტიკის“ საჭიროებას, მასზე დროისა და სახსრების ხარჯვას, კადრების დაბანდების, ჩიოდა, რომ გენეტიკოსები „ბუზებზე ექსპერიმენტების გარდა“ არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შესრულდეს ხელმძღვანელობის მითითება ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი ხორბლის მოყვანის შესახებ.

ი. პრეზენტი თავის სიტყვაში თავს დაესხა „იდეალისტური გენეტიკის“ მთავარ საფუძვლებს (როგორც ბოლოს გაიჩვენა, ი. პრეზენტის ეს სიტყვაც, მისი სხვა გამოსვლებიც, სტატიებიცა და ბროშურებიც სრულიად ყალბ მოსაზრებებს ემყარებოდა, რომ მათ ავტორს სულ სხვა, არამეცნიერული, მიზნები ამოძრავებდა), მან უპატივცემულად განაქიქა მოწინააღმდეგეთა, მათ შორის, სანდროს, გამოსვლაც (რომელიც ამტკიცებდა თანამედროვე გენეტიკის უშუალო, ორგანულ კავშირს დარვინიზმთან) და ფაქტიურად განაცხადა, რომ ტრ. ლისენკოს მიერ არჩეული გზა ერთადერთი სწორია და მხოლოდ ის უნდა იქნას აღიარებული საბჭოთა აგრობიოლოგიის გენერალურ გზად.

ვინც იმ წიგნს წაეკითხავს, რომელშიც 1936 წლის დისკუსიის მასალებია დაბეჭდილი (ეს წიგნი ჩემს მაგიდაზე დევს ახლაც), ადვილად მიხვდება, რომ კამათში გამოვლინდა ტრ. ლისენკოსა და მის მომხრეთა ერთგვარი უკმაყოფილება იმის გამო, რომ ესა თუ ის მეცნიერი მათგან განსხვავებულად აზროვნებს, თავი იჩინა სურვილმა თუ მოთხოვნამ, აეკრძალათ სხვანაირად აზროვნება, მკვლევართგან მოითხოვდნენ, უარი ეთქვათ თავიანთ მეცნიერულ მიზანზე, აზროვნების განმასხვავებელ თავისებურებაზე და ყველა ერთი კალაპოტით, მხოლოდ ლისენკოს მიერ არჩეული თუ შექმნილი კალაპოტით დაკმაყოფილებულიყო.

ტრ. ლისენკოს მომხრენი უკივილებდნენ გენეტიკოსებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან ჰყოფენ განუყოფელს — ორგანიზმის სხეულსა (სომას) და მასში არსებულ მემკვიდრეობით აპარატს (ქრომოსომებს). ისინი დასცილდნენ, აბუჩად იგდებდნენ რაღაც „მემკვიდრეობით ნივთიერებას“, როგორც იდეალისტურ მონაჩმახს, ვეისმანიზმის რეაქციულ გადმონაშთს. შეუძლებელია, ამტკიცებდნენ ისინი, რომ მთელი ორგანიზმი (სომა) არ მონაწილეობდეს მემკვიდრეობითობის გადაცემაში (ან ცვლილებებში) და რომ ეს მხოლოდ ვეისმანიტურ-მორგანიტულ „გენზე“ იყოს დამოკიდებული, რომლის არსებობა ჭერ არავის არ დაუმტკიცებია და ვერც ვერასოდეს დაამტკიცებს!

დისკუსიაზე მოხდა საბოლოო ფაქტური გამიჯვნა ორი მებრძოლი ბანაკისა: გენეტიკოსები უარს ამბობდნენ სასარგებლოდ ეცნოთ, როგორც ისინი ახასიათებდნენ, „ანტიბიოლოგისტი, ანტიგენეტიკური“ მიმართება ლისენკოველთა ჭკუფისა, რომელიც „მთელ თანამედროვე მეცნიერებას ეწინააღმდეგება“; ტრ. ლისენკო და მისი ჭკუფი კი უარყოფდა „ფორმალური გენეტიკის საფუძვლებს როგორც ანტიმეცნიერულსა და, ამდენად, ანტიხალხურს“, უპირისპირებდა მას ორგანიზ-

მთა გარდაქმნის, აღზრდისა და შეგუების „საბჭოურ პრაქტიკას“, რომელიც გარემოს ზეგავლენით სომაზე (და არა რალაც გენებზე) სასურველ, წინასწარდასახულ ცვლილებების მიღწევას ემყარებოდა ყოველგვარი გენეტიკური ფორმალიზაციის გარეშე.

კიდევ უფრო მწვავე ხასიათი ჰქონდა 1939 წლის დისკუსიას, რომელიც მოაწყო ეურნალმა „პოდ ზნამენემ მარქსიზმა“. სხვათა შორის, ეს სიმწვავე ალბათ ზოგიერთმა გარეგნული ხასიათის გარემოებაამც განაპირობა:

პირველი ის იყო, რომ ტროფიმე ლისენკო ამ დროისათვის ოდესის სასელექციო ინსტიტუტიდან მოსკოვში გადაიყვანეს და ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტად დასვეს. ამდენად, ის უკვე ერთ-ერთი პროვინციული ინსტიტუტის დირექტორი კი აღარ იყო, არამედ საკავშირო მასშტაბის ოფიციალური პირი, რომლის ხელში ფაქტიურად თავი მოიყარა სასოფლო-სამეურნეო დარგის მთელმა მეცნიერებამ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე დისკუსიის ადგილისა და მასზე დამსწრეთა თავისებურება: ეს აღარ იყო აკადემიის ან რომელიმე სხვა სამეცნიერო დაწესებულების ჩვეული ატმოსფერო, არამედ თათბირი, მოწყობილი წარმმართველი ეურნალის მიერ, რომელიც, ბუნებრივია, იდეოლოგიის დარგში ყველასათვის სახელმძღვანელო იდეებს და მითითებებს აყალიბებდა; დისკუსიას ესწრებოდნენ ფილოსოფოსები, რომლებიც, ცხადია, არ იყვნენ გენეტიკის ვიწრო სპეციალისტი-ექსპერიმენტატორები, არამედ ფართო პროფილის მეცნიერები, ძირითადად დიალექტიკური მატერიალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც კარგად ერკვეოდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ზოგადი მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს ბიოლოგიის შემდგომ განვითარებაში. დისკუსიას ფაქტიურად წარმართავდა აკადემიკოსი მ. მიტინი,

რომელიც ხელმძღვანელობის ბრძოლის გამოხატავდა.

ამ თათბირ-დისკუსიის მოწყობის აცილებლობა და მნიშვნელობა ოფიციალურად შემდეგნაირად იყო დასაბუთებული:

უკანასკნელ წლებში გენეტიკისა და სელექციის დარგში ეწყობოდა დისკუსიები დარგინიშმის ძირითადი თეორიული პრობლემების გარშემო, კამათი ეხებოდა მენდელის აღმოჩენისა და ქრომოსომული თეორიისადმი დამოკიდებულებას.

ამ დისკუსიებზე გაკრიტიკებულ იქნა ევრეთ წოდებული კლასიკური ანუ ფორმალური გენეტიკის ზოგიერთი მეტაფიზიკური კონცეფცია; მეორე მხრივ, ეკვი იქნა გამოთქმული გენეტიკაში მიჩურინის მომხრეთა მიღწევებისადმი მცენარეთა ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის, ახალი ჯიშების გამოყვანის ახლებური მეთოდების დამუშავების დარგში.

გენეტიკის თეორიაში სხვადასხვა მიმართულებათა ბრძოლამ გავლენა მოახდინა საშუალო და უმაღლესი სკოლის პროგრამებზე, წარმოიშვა წინააღმდეგობანი, მოსწავლეთა და თვით მასწავლებელთა დეზორიენტაცია მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის სწორ გარკვევაში. და, რაც მთავარია, თეორიულ უთანხმოებას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაზე, მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებზე, სასელექციო სადგურებზე, საჯიშე საწარგებზე.

ამგვარი ვითარება მეცნიერების იმ უმნიშვნელოვანეს დარგში, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ამოცანები, აუტანელი ვახდა. ყველაფერი უნდა გაეეთღეს, რათა დავეხმაროთ ამ დარგის მუშაებს, ნათლად გაერკვნენ გენეტიკის მეცნიერების საკამათო საკითხებში.

როგორც ვხედავთ, მეტად კეთილშობილური ამოცანა იდგა ამ დისკუ-

სიის წინაშე. მაგრამ ჩემი მოკლე კუთხით მაშინ სულ იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ დაეხმარებოდნენ არასპეციალისტები სპეციალისტებს.

თუ თქვენ იმას მეტყვით, რომ მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდი საყოველთაოა ყველა დარგის მეცნიერებისათვის, მე დაგეთანხმებით. მაგრამ ერთ კითხვას მეც დავსვამ: ვანა თვით მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდის მომარჩვევა რომელიმე ვიწრო სპეციალური დარგის მიმართ რამდენადმე მაინც არ უნდა ემყარებოდეს ამ დარგის მდგომარეობის ობიექტურ ანალიზს?

მე მეცნიერი არა ვარ, მათემატიკის უბრალო მასწავლებელი ვახლავართ და მიჩვეული ვარ მიუყვარძობელ ანალიზს.

ობიექტური ანალიზისათვის ფაქტების, სულ ცოტა, ცოდნა ხომ მაინც არის საჭირო, ხოლო თუ იცი, იმის მიხედვით უნარიც ხომაა აუცილებელი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ? ამ მინიმუმის გარეშე ვანა შეიძლება მეცნიერების რომელიმე დარგისადმი მიდგომა?

რა აიძულებს არამარქსისტ, ბურჟუაზიულ მეცნიერს სტიქიურად, ძალაუნებურად დადგეს ხოლმე ზოგჯერ მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციასზე თავისი კვლევის სფეროში? კვლევის ლოგიკა, ფაქტის ან მოვლენის სწორი ანალიზი, ამდენად, მეცნიერულ ფაქტებს და მოვლენებს გააჩნიათ თუ არა ლოგიკა, დიალექტიკისაქენ რომ უბიძგებს ზოგჯერ მკვლევარს მისი სურვილის მიუხედავად?

ცხადია, უკეთესია, უფრო ადვილია მატერიალისტური დიალექტიკის თავიდანვე შეგნებული მომარჩვევა, მისი მეთოდოლოგიური პრინციპის თავიდანვე გამოყენება. მაგრამ პრინციპის მხოლოდ აღიარება როდი უზრუნველყოფს მის სწორ გამოყენებას.

არ ვიცი, დარწმუნებული არაფერში არა ვარ და არც არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ იმ ფაქტების მიუდგომელი ანა-

ლიზი, რომელიც უკვე მაშინ გააჩნდა გენეტიკას, მაიძულებენ ვთქვა, რომ დიალექტიკოსებად იმ დისკუსიაზე სწორედ უმეტესი გენეტიკოსი-სპეციალისტი ჩანს, ხოლო უმეტესი სპეციალისტი — დიალექტიკოსები დოგმატიკოსებად და დემაგოგებად ჩანან.

აი, მაშინდელი განსაზღვრა გენისა: „რალაც მოჩვენებითი მატარებელი მკვიდრეობითობისა, თითქოს რომ უზრუნველყოფს ორგანიზმის ამა თუ იმ ნიშან-თვისებათა შთამომავლობისათვის გადაცემას, რომელიც თითქოს ქრომოსიმებშია მოთავსებული. გენზე წარმოდგენა მეტაფიზიკისა და იდეალიზმის ნაყოფია“.

შვიდ დღეს გრძელდებოდა დაძაბული დისკუსია. ზოგიერთ მის მომენტს, ახლაც რომ არ დაუყარავთ მნიშვნელობა, მოკლედ შეგახსენებთ.

შესავალ სიტყვაში მ. მიტინმა დაახასიათა შექმნილი ვითარება, მიუთითა, რომ აუცილებელია საკამათო საკითხების საბოლოო გადაწყვეტა, რათა პროგრესულად განვითარდეს ბიოლოგიური მეცნიერება და სწორად ვუხელმძღვანელოთ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. მან დაასწრეთ მოუწოდა, ღრმად აეთვისებინათ უკვე დაგროვილი ფაქტობრივი მასალა: „საჭიროა კრიტიკულად ავითვისოთ ძველი მეცნიერული სიმდიდრე, ყველაფერი ის, რაც ფასეულია ამ დარგში“.

აკადემიკოსი მიხეილ ზავადოვსკი თავის სიტყვაში შეეცადა სწორედ ის გენეტიკისა, რაც ფასეული იყო გენეტიკაში, მან ჩამოთვალა უამრავი ფაქტი და ბოლოს აღნიშნა, რომ ფაქტებისა და მეთოდების სიმართლე უმკველად გენეტიკის მხარეზეა, რომელიც სულ მალე კიდევ უფრო განსაცვიფრებელ შედეგებს მიაღწევს.

შედარებით სხვა პოზიცია დაიკავა აკადემიკოსმა ბორის ზავადოვსკიმ, რომელიც კომპრომისის გზას დაადგა და მოწინააღმდეგეთა შერიგებისა და მორიგების აუცილებლობას ქადაგებდა. შემოთავაზებული კომპრომისი მაშინ-

ნეე უარყოფილი იქნა ვლ. მილოვანოვის მიერ, რომელიც ხელადებით მოითხოვდა მენდელიზმის აკრძალვას და გენეტიკის კათედრების დახურვას.

აკადემიკოსმა ნიკოლოზ ვავილოვმა თავის ბრწყინვალე გამოსვლაში მოხაზა გენეტიკის განვითარების მსოფლიო მასშტაბის სურათი, ყურადღება გაამახვილა საერთაშორისო გენეტიკაში მოპოვებულ სულ ახალ ფაქტებზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლისენკოსა და მის მომხრეთა ძირითადი მოსაზრებანი მკვეთრად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ საბჭოთა გენეტიკოსების ექსპერიმენტებზე დამყარებულ თვალსაზრისს, არამედ მთელ თანამედროვე ბიოლოგიურ მეცნიერებას.

აკადემიკოსი ალექსანდრე სერგებოვსკი იმედს გამოთქვამდა, რომ ამ დისკუსიის შემდეგ, როცა გათვალისწინებული იქნება გენეტიკის ყველა მიღწევა, ბოლო მოეღება ჭეშმარიტი მეცნიერებისადმი ნიპილისტურ დამოკიდებულებას და საბჭოთა გენეტიკოსებს საშუალება მიეცემათ ნაყოფიერად იმუშაონ.

პასუხად მას იქვე უპიყენეს, რომ იგი იდეალისტი, მხოლოდ გენში რომ ეძებს მემკვიდრეობით თვისებებს, ხოლო პროფესორმა მ. ჩერნოიაროვმა კატეგორიულად მოითხოვა გენეტიკის სწავლების საერთო აკრძალვა.

ვითარება მეტად დაიმუხტა.

ტროფიმე ლისენკომ თავის სიტყვაში მტკიცედ უარყო რაიმე კავშირის არსებობა მასა და გენეტიკოს-მენდელისტებს, „ფორმალისტ გენეტიკოსებს“ შორის, ე. ი. უარყო შერიგების შესაძლებლობა. იმის შემდეგ, რაც აკადემიის პრეზიდენტი გახდა, მას „აღარ სურს“ ეკამათოს მენდელისტებს, „ეს მას უკვე აღარ შეეფერება“, ამასთანავე აგრობიოლოგიაში იგი „სრულად უარყოფს მათ ძირითად დებულებებსა და შეხედულებებს“.

გაზრდილმა პრეტენზიებმა უფლება მისცა მას ახლა ელაპარაკა რაღაც განსაკუთრებულ „მიჩურინულ გენეტიკა-

ზე“. „მენდელისტი-მორგანისტები“ უკვე ლისენკომ, თავის თავს „რამდენიმე კური“ გენეტიკის წარმომადგენლებს უწოდებენ, ბოლო დროს უბრალოდ სპეკულაციაზე გადავიდნენ. ისინი აცხადებენ, რომ მენდელიზმის კრიტიკოსები თურმე ანგრევენ გენეტიკას. მათ არ სურთ აღიარონ, რომ ნამდვილი გენეტიკა მიჩურინის მოძღვრებაა... საბჭოთა მიმართულების გენეტიკა მხოლოდ მიჩურინული მოძღვრებაა. რაც უფრო მეტი წარმატება აქვს ამგვარ გენეტიკას (მე მეცნიერებაში თავმდაბლობა არ მახასიათებს, ამიტომ სიამაყით ვაცხადებ, რომ წარმატებები ბევრი გვაქვს), მით უფრო გაუჭირდება მენდელიზმ-მორგანიზმს მეცნიერებად შენიღბოს სხვადასხვა ტყუილით“...

და თუმცა თავის სიტყვის ბოლოს ლისენკომ მოუწოდა „გენეტიკოს-მენდელისტებს ხელი აიღონ დავაზე და ერთობლივად იმუშაონ მეცნიერულად მკაცრად დამუშავებულ საერთო გეგმის მიხედვით“, ნათელი იყო, რომ ეს უკვე ახალი ეტაპია მის მოღვაწეობაში, რომ იგი უკვე ცდილობს, ბოლო მოუღოს „თანაარსებობას“, რომელსაც სთავაზობდნენ ნ. ვავილოვი და სხვა გენეტიკოსები.

ამას, ცხადია, არ შეეძლო პროტესტი არ გამოეწვია გენეტიკოსთა მხრივ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს კიდევ სჯეროდა, რომ ლისენკოს დარწმუნებას შეძლებდა: ნუთუ აუხსნელ სიყვარულს გამოიჩენდა ახალი პრეზიდენტი იმ უტყუარი ექსპერიმენტული ფაქტების მიმართ, რომელზედაც მსოფლიო ლაბორატორიები და რომლებიც სტუდენტებისა და ასპირანტებისთვისაც კარგად ცნობილი და ნათელი იყო?

მიჩურინის მოძღვრების „საბჭოთა გენეტიკად“ გამოცხადება მეტად პარადოქსულ მოვლენად ჩანდა: ყველამ იცოდა, რომ ივანე მიჩურინს, ამ დიდ მეცნიერ-მებაღეს, ექსპერიმენტულად არასოდეს არ ემუშავა გენეტიკის საკითხებზე, იგი იყო ბრწყინვალე სელექციონერი-პრაქტიკოსი, ხეხილის უამ-

რავი ჯიშის გამომყვანი და თუმცა თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში სექტატურად ეპყრობოდა მენდელის ცდებს, მის „ბარდის კანონებს“, მათი ღრმად შესწავლის აუცილებლობას ყოველთვის აღიარებდა.

გენეტიკა გაცილებით უფრო ფართო მასშტაბის ზოგადი მეცნიერებაა, ვიდრე, ვთქვათ, სელექცია, ჯიშების მყნობა-გამოყვანა, შექცევარება-გაუმჯობესება (ყველაფერი ეს გენეტიკის კანონებს ემყარება, ან უნდა ემყარებოდეს). ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ძირითადად ლაბორატორიულ ექსპერიმენტს ემყარებოდა (და ჯერაც ემყარება), ზოგადად რომ ვთქვათ, იგი სიცოცხლის წარმოშობის საიდუმლოების, ყველა ცოცხალი ორგანიზმის ევოლუციის, მემკვიდრეობითობის, მის ცვლილებათა კანონზომიერებების, ბუნების არსებობის უღრმეს საკითხთა გარკვევის საქმეს ემსახურებოდა.

მეცნიერები ამბობდნენ, რომ თუ მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ბირთვული ენერჯის საიდუმლოების ამოხსნას მიეძღვნა, მეორე ნახევარი გენის საიდუმლოების გარკვევას მოხმარდებოდა.

სწორედ იმ მიზნით, რომ როგორმე დაერწმუნებინა ლისენკო თეორიული და ექსპერიმენტული გენეტიკის სიკეთით, მისი უდიდესი პერსპექტივით და ზოგიერთი მიღწევის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობით, გამოვიდა ამ დისკუსიაზე მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ მსოფლიოში უკვე აღიარებული, ბრწყინვალე მომავლის მქონე პროფესორი ნიკოლოზ დუბინინი (1966 წელს მან ლენინური პრემია მიიღო, ვმადლობ გაჰჩენს, რომ იმ დრომდე მომასწრო!).

მაგრამ ამოდ დაშვრა...

1939 წლის დისკუსიის შედეგად, მართალია ჯერ არ მომხდარა „მენდელისტ-მორგანიზმთა სრული განადგურება“, მაგრამ ტროფიმე ლისენკოსა და მის მომხრეთა პოზიციები საოცრად განმ-

ტყიცდა და ყველასათვის თითქმის სავალდებულო გახდა.

აქ პირველად უშუალოდ შეეტაკნენ ერთმანეთს პროფესორი ი. პრეზნტი და პროფესორი ა. სორდია.

ი. პრეზნტის, ლისენკოს ამ ნამდვილი დემონის (ასე ეძახდნენ, მას ბრალდებოდა ლისენკოს უამრავი თეორიული შეცდომა), გარეგნულად სხარტ, დემაგოგიურ და ფსევდომარქსისტულ გამოსვლას დაუპირისპირდა ა. სორდიას შედარებით ღიწვი, ნაკლებად მწვავე, შინაგანად სავსებით ორგანული და გულწრფელი გამოსვლა ბიოლოგიაში და, კერძოდ, გენეტიკაში მატერიალისტური დიალექტიკის როლისა და აქედან გამომდინარე დასკვნების შესახებ.

თუმცა მ. მიტინმა თავის „შემჯამებელ გამოსვლაში მწვავედ გააკრიტიკა ი. პრეზნტი, აღნიშნა მის მრავალ გამოსვლათა პრეტენციოზულობა, კადნიერი და საჩოთირო ხასიათი, მან არ დაინდო ა. სორდიაც. რადგან მისი დებულებები არ ემთხვეოდა იმამად სახელმძღვანელოდ აღიარებულ მოსახრებებს.

მაშინ ეწოდა ჩემ ძმას „მენდელიზმ-მორგანიზმის ფილოსოფიური ადვოკატი“ და ეს გამანადგურებელი ზედწოდება მრავალჯერ იქნა ნახმარი მის მიმართ მაშინაც და შემდგომშიც...

ომისწინა, ათასცხრაას ორმოცი წელიც დადგა.

იმ დროისათვის ჩვენი ოჯახის ვითარება ამგვარი იყო:

სანდრო მოსკოვში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

სამი წლის წინათ დაქვრივებული სოფიკო თბილისში იყო შვილებითურთ. რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, სოფლიდან ვეხმარებოდი სურსათით — სიმინდის ფქვილით, ლობიოთი, ყველით, ხილით...

დაცოლშვილებული ლადი უკვე კარგა ხანია მუშაობდა საქენერგოს სისტემაში ინჟინერ-ენერგეტიკოსად. ისიც თბილისში ცხოვრობდა.

ოცდათორმეტი წლის ილიკო, სოფ-

ლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორი, წნორის მტს-ში მსახურობდა, იქაური ქალი შეერთო და შვილებიც გააჩინა.

ანიკო და ნინო ქუთაისსა და ხონში (მაშინ უკვე წულუკიძეში) მასწავლებლობდნენ.

ყველა ჩემმა დამ და ძმამ უმაღლესი განათლება მიიღო. ყველანი გამოირჩეოდნენ შრომისმოყვარეობით და საქმისადმი თავდადებით. ცოტა ილიკო იყო საქმეში აჩქარებული, ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს, ხან გორში იყო, ხან თელავში, ხან ყვარელში და „ღონეუნიობდა“ კიდევ, როგორც სიცილით გამიმელანა ჩვენმა კახელმა რძალმა, „მაგრამ ისე მიჭირავს, ხელიდან ვერ გამისხლტება, რაც თვითაც კარგად მოეხსენებაო“...

იმ წელს, აგვისტოს დასაწყისში, ორიოდე კვირით უკანასკნელად მოვიყარეთ თავი ერთად და-ძმებმა ჩემთან სოფელში.

ეს არის მარად დაუვიწყარი ორი კვირა.

საოცარი ვარძობა დამრჩა იმ აგვისტოდან...

ყველანი ჯანმრთელი ვიყავით, არავინ გვაკლდა (ერთი სიძის გარდა). შვილებით გარემოცულებმა, რძლებითა და სიძეებით დამშვენებულებმა, ერთხელ კიდევ ვაჩვენეთ სოფელს, რომ ეპიფანე სორდიასა და ტასო ლორთქიფანიძის ოჯახი ცოცხალია, დიდი ოჯახია და მომავლის კარგი იმედი აქვს.

ექვს და-ძმას უკვე თოთხმეტი შვილი გვყავდა (მხოლოდ სანდრო იყო მარტოხელა).

როგორ ვეტეოდით ჩვენს პატარა ორთავლიან სახლში?

რა ვიცი, ვეტეოდით! კაცებს ხან ეზოში ვეძებინა, ხან აივანზე; ბავშვებს იატაკზე ვუშლიდით ერთად. ვეტეოდით.

გათენებიდანვე ატყდებოდა ჩვენი გოგო-ბიჭების ყრიაშული, იწყებოდა ბალიშებისა და მუთაჭების სროლა, დედების ვითომ გაჯაგრება და ბავშვების

მომეტებული აურზაური... კოტრილი, ზოგჯერ ტირილიც... ერთად დავდიოდით საბანაოდ და სთევზაოდ.

კარგი სანახავი ვიყავით, როცა შარვალაკაბიწებული კაცები და ტიტლიკანი ბავშვები სულორში მწკრივად ჩავდგებოდით და ვხელობდით. დედები, ცოლები და დები გვაჭებებდნენ და ნაპირზე ამოსროლილ აფართხალებულ თევზებს იჭერდნენ.

იმ წელს ბოსტნეულისა და ხილის მართლაც საუცხოო მოსავალი იყო. ჩემი მეუღლე ღირსს გარდა დიასახლისობდნენ ჩემი დები და ზოგჯერ რძლები. სანდრო, ლადი და ილიკო ორჯერ სანადიროდ იყვნენ რიონის ლაჭაშეშში და ჩვენს სუფრას გარეული იხვები შემატეს. ილიკომ დაიჩემა, კახური მწვადი უნდა გაჭამოთო, იშოვნა სოფელში წალამი და მართლა სამეფო მწვადი მოგვიზადა.

ყველაზე კმაყოფილი და მზიარული ჩვენს შორის სანდრო იყო. მთლად ბავშვად იქცა. დილიდანვე აიყოლიებდა ჩვენს შვილებს და ხან მახლობელ მთაზე აიყვანდა, ხან სულორის ქალებში დაჰყავდა, ხან მეზობელ ტყეში შეიყვანდა. მთავარი მაინც მისი საუბრები იყო. იმდენი საინტერესო მოისმინეს ბავშვებმა იმ ორ კვირაში გარემო სამყაროზე, ბუნების ევოლუციაზე, ცის მნათობებზე და მიწის წიაღზე, რამდენიც მანამდე ალბათ არასოდეს სმენიათ.

ბავშვების ბუნებრივი პატივისცემა უფროსი ბიძისადმი პირდაპირ მის თავანისცემად იქცა (და მე გულში ვნანობდი, რომ სანდროს საკუთარი ოჯახი და შვილები არ ჰყავდა). მის ერთ დამახებზე ყველა მზად იყო თავგამეტებით სცემოდა მითითებულ საქმეს. ეზოში პირწმინდად მოსპეს სარეველა ბალახი, ჭიშკარი და ღობე სულ ახალს დაამსგავსეს — შეაკეთეს და მწვანედ შელებეს, სახლის კიბე გაამაგრეს, ორიოდე მომავალი საფეხური გამოუცვალეს, ტყიდან მოტანილი ხის შტოებით



საზღვრულ ფაქტს მოწინეს და შეუცუ-  
ცლი გააჩაღეს, ჭიჭირიდან კიბემდე  
ბილიკი გაათართოეს და მდინარის პი-  
რიდან მოზიდული ხრეშით მოფინეს...  
მასლა სად იყო თორემ, იმდენი მუშა-  
ხელი გვყავდა, სახლს ერთ ოთახსაც მი-  
აშენებდნენ!

გამგზავრების წინა ღამეს სანდრომ  
და მე საფუძვლიანად ვისაუბრეთ. თან-  
მიმდევრულად ვერ გავისხენებ, მაგრამ  
საერთო შინაარსი და ზოგიერთი წვრი-  
ლმანი კარგად მახსოვს.

სანდროს შთაბეჭდილებით, ტროფი-  
მე ლისენკო ხალხის ღრმა წიადიდან  
გამოსული ნიჭიერი კაცი იყო. მან უს-  
წრაფესად განვლო გზა რიგითი სპეცი-  
ალისტიდან აკადემიკოსობამდე და ბე-  
ვრის თვალში ავტორიტეტი დაიმსახუ-  
რა. მაგრამ ზოგჯერ ისეთ სიბეცეს, სი-  
ჯიუტეს და ერთგვარ დიქტატურულ  
ჩვევებს ავლენდა, უკვე სახელი გაიტე-  
ხა.

„სხვა მის დამსახურებებზე და მეც-  
ნიერულ მიღწევებზე რა მოგახსენო, —  
მეუბნებოდა სანდრო, — მაგრამ მის  
მიერ წამოყენებულმა სტადიური გან-  
ვითარების თეორიამ ერთგვარად დად-  
ებითი როლი შეასრულა, რადგან მცენა-  
რის ზრდის ყოველ სტადიას ანუ პე-  
რიოდს შესაფერისი აგროტექნიკური  
ხერხი მიუყენა. რაც შეეხება გენეტი-  
კის საკითხებს, იგი მათში ან ბოლომ-  
დე ვერ გაერკვა, ან გრძნობს რა, რომ  
პრაქტიკულ შედეგებს ამ გზით ადრე  
ვერ მიიღწევს, ხომ იცი, გენეტიკა მო-  
მავლის მეცნიერებაა, ცდილობს სხვა  
გზით, ანტიგენეტიკური გზით მიიღ-  
წიოს იმას, რისი მიღწევაც სურს ხელ-  
მძღვანელობის დასაწახად“.

ჩემს შეკითხვაზე, იქნებ მართალია  
ის კაცი და რას ეწინააღმდეგებით, სან-  
დრომ გაიციხა და მითხრა:

„არ დაიჯერო ეპო! ჩვენს დროში,  
ნამდვილი გენეტიკოსები მართლაც სა-  
ოცარი შედეგებს აღწევენ აქამდე იდუ-  
მალებით მოცული მემკვიდრულობის  
საკითხთა გარკვევაში. მართალია, მათ  
მიერ არჩეული გზა გრძელია, მაგრამ

ერთადერთია, გაიგე ერთადერთია.  
სწორედ ამ გზით გვმართებს მტკიცე  
სიარული, რათა ოდესმე დავეუფლოთ  
მემკვიდრულობის მიზანდასახულად შე-  
ცვლის მეთოდებს. ლისენკოს მოსაზრე-  
ბანი და მეთოდები გუშინწინდელი  
დღეა, ლამარკიზმის დაგვიანებული გი-  
მოძახილია, რომელიც ბორკილივით  
ზღუდავს ჭეშმარიტი მეცნიერების  
სწორ განვითარებას. ხომ გახსოვს ლა-  
მარკი იოსებ ოცხელის საუბრიდან?“

მე თავი დაუქუნიე, მართლაც მახსო-  
ვდა, მაგრამ ზოგადად, მხოლოდ ის მა-  
ხსოვდა, რომ დარგინის ერთ-ერთი წი-  
ნამორბედი იყო.

„მაშინ მე გავახსენებ და მის წიგნ-  
საც გამოგიგზავნი მოსკოვიდან, რომე-  
ლსაც „ზოოლოგიის ფილოსოფია“ ეწო-  
დება, — თქვა სანდრომ, როცა ვუთხა-  
რი, რომ კარგად არ მახსოვდა, — ჯერ  
ზოგადად, — განაგრძო მან: — ჯერ კი-  
დევე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყის-  
ში ეს ლამარკა ჩამოაყალიბა პირვე-  
ლი მთლიანი სისტემა ცოცხალი ბუნე-  
ბის ევოლუციის შესახებ. ლამარკის  
მექანიკური შეხედულებების მიხედ-  
ვით, ცხოველთა და მცენარეთა სახეე-  
ბი მუდმივ ცვლებადია, გარემო სა-  
ყაროს გავლენითა და სრულყოფისაკენ  
რალაც შინაგანი მიწრაფებით ორგანი-  
ზმები მუდმივი გართულებისა და ზე-  
ალსგლის პროცესში იმყოფებიან. ამას-  
თან, ლამარკა ვერ შეძლო ევოლუ-  
ციის ჭეშმარიტ მიზეზთა დადგენა, ეს,  
როგორც იცი, დარგინს ხვდა წილად, ხო-  
ლო ლამარკის „ფილიდების“ თეორია  
და ორგანიზმში თავიდანვე არსებული  
ლტოლვა სრულყოფისაკენ ლამის მის-  
ტიკური წარმოდგენაა ღვთის მიერ წი-  
ნასწარ დასახული მიზნისაკენ სწრაფ-  
ვისა... ხომ ადვილი გასაგებია, ეპო?“

„თუ „ზოოლოგიის ფილოსოფიას“  
გამომიგზავნი, ძალიან მადლობელი ვი-  
ქნები“, — ვუპასუხე მე.

„კარგი, არ დამავიწყდება. ახლა ცა-  
ლკეული მტკიცებანი ვნახოთ: ლამარ-  
კი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ გა-  
რემომცველი სამყარო უშუალოდ

ცვლის ორგანიზმს, გენეტიკის საწინააღმდეგოდ ამასვე ამტკიცებს ლისენკო; ლამარკი თვლიდა, რომ ორგანიზმი ვარჯიშით იძენს მისთვის აუცილებელ თვისებებს, გენეტიკის საწინააღმდეგოდ ამასვე ამტკიცებს ლისენკო; და, რაც მთავარია, ლამარკი ამტკიცებდა, რომ ამგვარად შექმნილი თვისებები თაობიდან თაობებში გადადის, გენეტიკის საწინააღმდეგოდ ამასვე ამტკიცებს ლისენკო. გენეტიკა კი თვლის, რომ თუ ცვლილებები არ მოხდა უშუალოდ მემკვიდრეობითობის გადაცემე სპეციალურ სისტემაში, გენებში, ორგანიზმის ცვლილება არ ხდება და, ბუნებრივია, არავითარი არსებითი ცვლილება შთამომავლობას არ გადაეცემა. სწორედ ამის არ სჯერა ლისენკოს“...

„მერე გენეტიკოსებს რა გეშველებათ-მეთქი“, — ვკითხე.

სანდრო დაფიქრდა და მიპასუხა:

„ჯერ ერთი, მე ნამდვილი გენეტიკოსი აღარა ვარ, ექსპერიმენტულ მუშაობას თავი დავანებე, ახლა ჩემი მთავარი სპეციალობა ბუნებისმეტყველების თეორიული საკითხებია. მეორე და მთავარი ისაა, რომ ჯერ კიდევ შეიძლება მუშაობა, გენეტიკის პრობლემების კვლევა გრძელდება დიდი აკადემიის ინსტიტუტებში, მოსკოვის, — ლენინგრადისა და კიევის უნივერსიტეტების კათედრებსა და ლაბორატორიებში, მარტო სასოფლო-სამეურნეო აკადემია ხომ არაა ქვეყნად! მართალია, იქ ლისენკო ვაბატონდა, მაგრამ მუშაობა კვლავ გრძელდება და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არც შეწყდება. განა აღვილია ნამდვილი მეცნიერების შეჩერება? ის კი დაფიქრებს, რომ ლისენკოს და მის მომხრეებს დიდი აღიარება და ავტორიტეტი აქვთ ხელმძღვანელ წრეებში, რადგან, კეშმარტ გენეტიკოსთაგან განსხვავებით, უხვ დაპირებებს აძლევენ მათ, მრავალი კონკრეტული ამოცანისა და დავალების უსწრაფესად გადაწყვეტას პპირდებიან და, აბა, რომელი ხელმძღვანელი იტყვის ამაზე უარს? მაგრამ, როგორც კი დაპირებებს

ყავლი გაუვა, როგორც კი ნათლად გაიჩვენება, რომ ლისენკოს გზით ერთდერი ხელშესახების მიღწევა არ შეიძლება, მაშინვე გამჟღავნდება მისი ან შეგნებული ტყუილი ან უნებლოე შეცდომა.

„ეგ რომ მალე არ მოხდეს, ლისენკოს გზა რომ ერთადერთ გზად აღიარონ და სხვა სამუშაოები შეწყვიტონ, მაშინ რას იზამთ?“ — ვეკითხები.

სანდრო კვლავ ღრმად დაფიქრდა და თქვა:

„ლისენკო არც ისე მარტივი კაცია, პირიქით, რთული პიროვნებაა და წინდახედულად ბევრს იღონებს საკუთარი ავტორიტეტისათვის, მაგრამ მას თუ გულწრფელად სწამს თავისი სიმართლე, მაშინ წინდაუხედავად, ჭიჭურ წავა და ყველაფერი მალე გამჟღავნდება. ხოლო თუ ეს ასე არ მოხდა და სხვებისთვის მუშაობის საშუალება მოიპოო, მაშინ უკვე აღარ ვიცი...“

ეზოში დიდ ქვაზე ვისხედით. ეს ქვა სულორის ნაპირიდან ამოვართიე და ეზოში დავავდე იმის მსგავსად, ქუთაისში რომ გვექონდა. მართალია, ძველზე უფრო პატარა იყო, მაგრამ ორი კაცი მაინც ვეტოლით. ზაფხულის თბილ დამეში პრიტიზობლები შეუწყვეტიე პრიტიზებდნენ. სახლში ყველას ეძინა, მხოლოდ აივნიდან გვესმოდა კაცების ხმადაბალი საუბარი. სანდროს თავი ჩაეღუნა და ფიქრობდა. მთავარე ანათებდა იქაურობას, ხანდახან ნიაეი აშრი ალებდა ხეებს და წამით არღვევდა ღამის იღუმალეზას.

„საქმე ისაა, — ვანაგრძო დახანების შემდეგ სანდრომ, — რომ თვით ნამდვილ გენეტიკოსებში არ არის ერთიანობა. თუ ლისენკოს ხალხი მუშტივით შეკრულია და მისი მეთაურობით ერთმანეთს ყველაფერში მზარს უბამენ, გენეტიკოსები — პირიქით, მკაცრად კამათობენ ერთმანეთში, დაუნდობლად დავობენ, რადგან მათ საქმე აინტერესებთ და არა კარიერა. არ ვიცი, რა გამოსავალი მოიძებნება... ერთი ის არის, რომ ყველას ამხანაგ სტალინის იმედი

აქვს, ხომ უნდა გამოიცნოს იმგვარმა კაცმა, ვის მხარესაა სიმართლე, ვის მხარესაა მომავალი, ჭეშმარიტად ვინ ემსახურება ხალხისა და ქვეყნის ინტერესებს? საბჭოთა გენეტიკის მსოფლიოში ახლა უდიდესი პრესტიჟი აქვს, ვაგილოვი, სერებროვსკი, ჟუკოვსკი, ასტუროვი, ლევიტსკი, ზევადოვსკი, ებრაიკი, დუბინინი და სხვები მსოფლიო მასშტაბის მეცნიერები არიან. განა ეს მცირე ძალაა? განა მათ არ გაუწევინ ანგარიშს? შარშანდელი დისკუსიის შემდეგ, როცა ვითარება მეტად დაიძაბა, მე ვურჩიე დუბინინს, ხომ იცი, მასთან ვემგობრობ, პირადად ამხანაგ სტალინს მიემართოთ-მეთქი. დუბინინმა თავი შეიკავა ორი მოსაზრებით: არც ისეთი ვითარებაა, რომ ამხელა პიროვნება შევაწუხოთ ჩვენი შინაური საქმეებით, ჩვენვე რომ უნდა მავაგვაროთ და თანაც ამას ორგანიზება უნდა, წერილს დაწერა სპირდება, შემდეგ — ხელმოწერები, ზოგი ასე იფიქრებს, ზოგი — ისე, ათასი საჭოკმანო ამბავია, გაჭირდება, გაგრძელდება და სულ სხვანაირად დამთავრდება, ვიდრე შენ გგონიაო. თანაც დაუმატა, რომ ნიკოლოზ ვაგილოვს, ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე დიდი დამსახურების მქონე კაცს, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო აკადემია შექმნა და მისი პირველი პრეზიდენტი იყო, ცხადია, აქვს ნაშეილება ამხანაგ სტალინის პირადად ნახვისა და სრული ინფორმირებისა... ვნახოთ, რა ვითარება დამხვდება ახლა მოსკოვში, რა გზით წარიმართება ყოველივეო“...

სწრაფად მიიწურა ის ორი კვირა!

ჯერ სანდრო გავაცილეთ, მას ყველაზე გრძელი გზა ჰქონდა მოსკოვამდე. შემდეგ წავიდნენ სოფიკო შვილებითურთ, ლადი და ილიკო ოჯახებით. უმცროსი დები ცოტა ხნით კიდევ დარჩნენ, შემდეგ კი მათაც მიაშურეს ქუთაისს — აგვისტოს თათბირები იწყებოდა სკოლებში.

პირველი სექტემბრიდან მე და ლიზიკოც შევეუდეთ ახალ სასწავლო

წელს და ჩვენი წამოზრდილი შვილებიც მიუსხდნენ მერხებს.

ცხოვრებას ერქვა შრომა და ამ შრომაში ვლინდებოდა ცხოვრება.

ბედნიერი ვიყავი? ვიყავი ბედნიერი და გულწრფელად მიხარებდა ყოველი სიკეთე, ჩემს გარშემო რომ ხდებოდა. მთავარი ის იყო, რომ ვიცოდი ცხოვრების მიზანი, ვიცოდი, რისთვისაც ვარსებობდი და, როგორც შემქმლო, ვემსახურებოდი ჩემს ხალხს იმ საქმით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანად მიმაჩნდა — ახალი თაობის განათლებას, ახალგაზრდების პატიოსან და ქვეყნის გამოსადეგ მოქალაქეებად აღზრდას. ეს მანიჭებდა ბედნიერებას და სოფლის საქმით კაცად ვთვლიდი თავს...

ორმოცდაერთი წელი შემისრულდა და ორმოცდაერთის ივნისმაც იქნება.

ლადი, ილიკო და ჩვენი ორივე სიძე მაშინვე გაიწვიეს. ისე წავიდნენ, გამომშვიდებოდაც ვერ მოვასწარი.

მე არ გამიწვიეს სიკოპლის გამო (ოდნავ ვკოპლობდი იმის შემდეგ რაც ოცდაჩვიდმეტში ფეხი მოვიტეხე, მთიდან თივის ჩამოზიდვაში კოლექტივს რომ ვეხმარებოდი მასწავლებლები). ჩემი ხნის კაცებიც მოხვდნენ ფრონტზე, მე კი რაიონის გამანდგურებელ ბატალიონში ვირიცხებოდი.

სკოლაში მარტო ქალები და ორიოდე ასაკოვანი მამაკაცი დავრჩით.

ბევრი რამ შემქმლო მომეთხოვოთქვენთვის ომის პერიოდის ქართული სოფლის შესახებ, ბევრი გაჭირვება გადაგვხდა, სიხარულიც გვერთო, მაგრამ, რადგან სანდროზე გწერთ, მთავარი მაინც სანდროს ამბებია.

როგორც იცით, ომის პირველ, უმძიმეს წელს მტერი სწრაფად მოიწვედა წინ და შემოდგომის დასაწყისში მოსკოვს უშუალო საფრთხე დაემუქრა.

დედაქალაქის მრავალი საწარმო, სამეცნიერო-კულტურული დაწესებულება, სახალხო კომისარიატი და მთელი დიპლომატიური კორპუსი ღრმა ზურგში, ურალისა და ვოლგისპირა ქალაქებში იქნა ევაკუირებული.

სანდრომ და მისმა რამდენიმე კოლეგამ უარი თქვეს ევაკუაციაზე და ჯერ სხვა მრავალ ათას მოსკოველთან ერთად მონაწილეობა მიიღეს უშუალოდ მოსკოვის გარშემო ახალ თავდაცვით ღონისძიებათა განხორციელებაში — სანგრების თხრაში, ტანკაწინააღმდეგო ორმოების, ბოქინტებისა და ესკარპების მოწყობაში, ხოლო შემდეგ, ნოემბერში, როცა მტერი გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვიდა, სახალხო ლაშქრის — მოსკოვის მშრომელთა „ოპოლჩენის“ — მეორე პოლკში ჩაეწერნენ და იარაღით ხელში უშუალოდ მონაწილეობდნენ ბრძოლებში.

მოსკოვის დაცვაში ყველაზე მძიმე ათას ცხრაას ორმოცდაერთი წლის ოქტომბერ-ნოემბერი აღმოჩნდა. განსაკუთრებული საფრთხე ქალაქს ჩრდილოეთიდან დამუქებდა, სადაც, სოფელ კრიუკოვოსთან, „ოპოლჩენეების“ ერთი დივიზიაც იბრძოდა, რომლის მეორე პოლკის მეორე ბატალიონის კომისარი სანდრო იყო. მძიმე ბრძოლებში პოლკი თითქმის განახევრდა, მრავალი მეტაჟრი და კომისარი დაიღუპა, ასე რომ, დაჭრამდე სანდროს დროებით პოლკის კომისრობამაც მოუწია.

სანდროს მონაყოლით ვიცი შემდეგი: მათი შენაერთი მეთექვსმეტე არმიის შიგნით იყო, რომელსაც კ. როკოსოვსკი სარდლობდა. ერთხელ, ნოემბრის ბოლოს, როცა დივიზიებისა და პოლკების მეთაურები და კომისრები სარდლის საკომანდო პუნქტზე სოფელ კრიუკოვოში თათბირობდნენ, სარდლი ადიუტანტმა იხმო, ამხანაგი სტალინი გთხოვთ „ვჩ“ ტელეფონით. როკოსოვსკი ხუთიოდე წუთში შემობრუნდა და თქვა: „მტერი უტეგს დასახლებულ პუნქტებს ბელი რასტა და კრასნაია პოლიანას (ამ სოფლებიდან მოსკოვამდე ოცდახუთი კილომეტრი თუ რჩება), საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, უმაღლესი მთავარსარდლის პირადი დავალება! მეორე პოლკის მეთაური ამხანაგო ივანოვო და კომისარი ამხანაგო სორდია, ახლავე მოამზა-

დეთ პოლკი სალაშქროდ, ამ მარშრუტით წახვალთ (რუკაზე დაწვრილებით აჩვენა), გათენებისას ფლანგიდან დაპირავეთ მტერს, კრასნაია პოლიანას რომ უტეგს, უზრუნველყავით ჩემთან უწყვეტი კავშირი — ტელეფონით, რადიოთი, მეკავშირე ოფიცრებით. დრო არ ითმენს, ნახევარი საათი გეძლევათ მომზადებისათვის!“

(ეს ეპიზოდი აღბეჭდილია თვით კ. როკოსოვსკის ფრონტული მოგონებების წიგნში, რომელიც სიამოვნებით წავიკითხე ამას წინათ. იქ, ცხადია, არც ივანოვი და არც სორდია ნახსენები არ არიან, რადგან იმ ეპიზოდის აღწერაში ავტორის მთავარი მიზანი იყო მოსკოვისათვის შექმნილი რეალური საფრთხისა და უმაღლესი მთავარსარდლის მიერ ტაქტიკურ განკარგულებათა უშუალოდ გაცემის ჩვენება).

შუალამე გადასული იყო, როცა პოლკი თავისი არტილერიითა და საზიდრებით კრასნაია პოლიანასკენ დაადგა გზას. დიდი თოვლი არ იღო, მაგრამ საკმაოდ ჰყინავდა, იქნებოდა ასე თხუთმეტ გრადუსამდე. სოფლის დაღეწილი გზა ხან გორაკებზე აცოცდებოდა, ხან ხევებში ჩაქანდებოდა. თენდებოდა, როცა კრასნაია პოლიანადან ორ კილომეტრზე პოლკი გერმანელთა ფლანგის პოზიციებს წააწყდა. სანამ არტილერია სათანადოდ ვანლაგდებოდა და სროლისთვის გაემზადებოდა, მტრის ორი ტანკი მეავტომატთა თანხლებით სწორედ იმ ბატალიონს ეკვეთა, სადაც იმ წუთში სანდრო აღმოჩნდა.

ჩვენი ჯარისკაცები პირდაპირ თოვლში ჩაწვინენ და შამხანებითა და ტყვიამფრქვევებით სროლა ატეხეს. აუცილებელი იყო ტანკების როგორმე შეჩერება. ხელყუმბარების შეკვრით ხელში სანდრო მახლობელ ტანკისაკენ გახიზნდა, რომელიც რამდენიმე წამში მას გვერდს მიუშვერდა. თხუთმეტოდე ნაბიჯიდან მოხერხებულად ნასროლმა ხელყუმბარების შეკვრამ იმ ტანკს მუხლუხოები კი შემოაღლეწა, მაგრამ მე-

ორემ, სანამ ისიც აფეთქდებოდა ჩვენი არტილერიის პირველსავე ზალპით, ორასიოდე მეტრიდან ზარბაზნის ერთი გასროლა მაინც მოასწრო სწორედ იმ უფოთლო დამზრალი ბუჩქისკენ, რომლის ძირში სანდრო ჩაიკუნტა...

მეტი აღარაფერი ახსოვდა, ვიდრე სანიტარულ ნაწილში გონს არ მოეგო. სანდროს დაჭრის, უფრო სწორად — მძიმე კონტუზიის მიზეზი იყო ქურვით აგლეჯილი მიწის გაქვავებული ბელტი, სახეში და მკერდში რომ შეესკადა.

მძიმედ დაკაწრული სახე და შუბლი, ჩამტრეული ცხვირი, წინა კბილების ჩალეწილი ორივე რიგი, ჩატეხილი ლავიწები და თითო გაბზარული ნეკნი მკერდის ორივე მხარეს (კიდევ კარგი, თვალემა გადაურჩა სასწაულად!) — აი ამ კონტუზიის შედეგი.

„საშინელი სანახავი ვიყავიო“, — იგონებდა შემდეგ სანდრო და ღიმილი ფოლადის კბილებს უჩენდა. ალელგებისას თავის ცანცარი და ენის ბორძიკი სამუდამოდ შერჩა, თუმცა, მისივე თქმით, ეს სრულიადაც ხელს არ უშლიდა.

ოთხი თვე იწვა სანდრო ჰოსპიტალში. ყველაფერი რომ მოუშუშდა, მაგრამ მაინც სუსტად რომ გრძნობდა თავს, ერთი თვის დასვენების უფლება მისცეს და საქართველოსკენ გამოეშურა.

გერმანელების ათას ცხრაას ორმოცდარი წლის ზაფხულის დიდი შეტევა სტალინგრადზე და ჩრდილო კავკასიაზე ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, გზები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჯერ არ გადაკეტილიყო, ამიტომ სანდრომ შედარებით ადვილად ჩამოაღწია ვოლგით ასტრახანამდე, იქიდან ზღვით — ბაქომდე (ზღვაზე კი ჭალიან გაუჭირდათ თურმე — მცირე, დაძველებულ-დანაწარეული გემით მოდიოდნენ) და შემდეგ რკინიგზით თბილისამდე.

გზაში გაციებულმა (მარტის ბოლო იყო) და საკმაოდ დასუსტებულმა ერთი კვირა სულის მოსაბრუნებლად თბი-

ლისში სოფიკოსთან გაატარა და შემდეგ ჩამოვიდა ქუთაისში, სადაც მე დავხვდი და სოფელში წავიყვანე იმ იმედით, რომ მე და ლიზიკო კარგად მივხედავდით (მართალია, სურსათი გვიჭირდა, მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც, ვთქვათ, თბილისში), თანაც დიდი იმედი გვქონდა სოფლის სიმყუდროვისა და გაზაფხულით გამოღვიძებული ბუნებისა, რასაც სანდრო ასე ესწრაფოდა.

რა ვთქვა იმ სამიოდე კვირაზე, სანდრომ რომ მაშინ ჩვენთან გაატარა?

ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ძმა ძლიერ იყო შეცვლილი. დილის ბინდ-ბუნდში (თბილისის მატარებელი ქუთაისში დილის ექვს საათზე ჩამოდიოდა) ვაგონის კარებში რომ გამოჩნდა, ძლივს ვიცანით: გაქალაქავებული, გამხდარი იყო, როგორღაც დამკვნიარი და გაყვითლებული სახე ჰქონდა, რომელზედაც ბაცი-ვარდისფერი ხაზებივით აჩნდა უამრავი ნაკაწრ-ნაიარვეის კვალი. მე და ლიზიკო რომ არ მივშველებოდით, შეიძლება ვერც ჩამოსულიყო ვაგონის მაღალ კიბეზე. თითქოს დაბატარავებული მეჩვენა ჩემი ძმა. რომ ჩამოვიყვანეთ, წელში ძლივს გასწორდა კენესით, დამნაშავესავით გაგვიღიმა და ჩურჩულით გვთხოვა, ჩქარა წამიყვანეთ, იქნებ დავიძინო, მთელი ღამე არ მომასვენა მკერდის ძელების ტეხვამო.

გული მომიცვდა. ლიზიკომ ხელი მოხვია, მე შევიგდე მხარზე მისი მძიმე შინელი, დავწვდი მსუბუქ ჩემოდანს და ნელა გავედით სადგურიდან. ფთხილად დავაწყვინეთ სანდრო ურემზე, შინიდან წამოღებული ბალიშები და მუთაქები მხრებში და ფეხებში ამოვუღდეთ და ნელა გავწვიეთ სოფლისაკენ.

პირველი კვირა სანდრომ თითქმის სულ მშოლიარემ გაატარა აპრილში უცებ დათბა, ამიტომ დღისით აივანზე იწვა ჩვენი მოწაფეებიბთა და ზოგიერთი თანასოფლეელით გარშემორტყმული. შემდეგ კვირას ადგა, ჯერ ეზოში დადიოდა, ახალაკვირტებულ ხე-ბუჩქებში სეირნობდა. შემდეგ ორლობეშიც



გაიხედა და გაიარა ორიოდ კვირაში კარგად მოქობინდა. რაც შეგვეძლო, საქმელს არ ვაყვებდით, მოსაკითხავიც მოსდიოდა მეზობლებიდან, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ცოტას ვამდა, ეს სპ-მოთხის პაერი თუ მიშველისო, ამბობდა ღიმილით.

სამი კვირა რომ მიიწურა, სანდრო აღარ გაჩერდა. ჯერ ქუთაისში უნდა შევიარო ქალაქკომშიო, შემდეგ თბილისში წავალ, რათა ახალი დანიშვნა დროზე მივიღო, ამ ვაგანია ომში ჩემი სოფელში ყოფნა დიდი ბოროტებააო. ვეუბნებოდი, დარჩი-მეთქი, პროფესორი კაცი ხარ, ჯავშანი გეკუთვნის... ნუ მგებურებო, მპასუხობდა და წასასვლელად ემზადებოდა.

წავიდა გავაცილე ქუთაისამდე. ქუთაისში საქმეები მოითავა და მეორე დღესვე თბილისისაკენ გაემგზავრა.

დაგბრუნდი სოფელში, ყური და თვალი სულ ფოსტალიონისაკენ მეჭირა. ჩქარა ჩემს უფროს ბიჭს სანდროსაც მოუწვედა ჯარი...

ჩემი ძმა ლადი ორმოცდაერთის აგვისტოში დაიღუპა სევასტოპოლთან.

მეორე ძმა ილიკო 414 დივიზიაში იყო ოცმეთაურად.

ორივე სიძის გზა-კვალი დაეკარგეთ, ორივე ქერჩში იყო.

ომი გრძელდებოდა. მეთექვსმეტელების ჯერიც დადგა.

წავიდა ჩვენი პატარა სანდროც. ახლა ფრონტზე ორი ალექსანდრე ვპიფანეს ძე სორაღია იბრძოდა — ჩემი ძმა და ვაჟი.

ორმოცდასამის მიწურულში სანდრო კვლავაც დაიჭრა, ამჯერად მსუბუქად, რამდენიმე ხანი მოსკოვის ჰოსპიტალში გაატარა, შემდეგ, ორმოცდაათში, თავის კათედრას დაუბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტში — ჯარიდან გაათავისუფლეს (მიუხედავად მისი დიდი წინააღმდეგობისა), რადგან მარჯვენა მკლავს ველარ ხმარობდა თავისუფლად (მხრის სახსრის დაზიანების შედეგად).

ორმოცდაათში ილიკოს დაღუპვის ცნობა მივიღეთ...

უგზო-უკვალოდ დაკარგულე ორი სიძის კვალს ველარ მივაგვნივთ და მიჭერედ და ორივე და...

ჩემი ვაჟი ბერლინის ალემამდე ბელორუსიის პირველ ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ მათი ნაწილი სასწრაფოდ აღმოსავლეთში გადაისროლეს და კვანტუნის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოუწია. დაბრუნდა ორმოცდაექვსში კაპიტნის ჩინით, მრავალი ორდენითა და მედლით დაჯილდოებული.

დამთავრდა, როგორც იქნა, ის ომი, უღმობელი, სისხლიანი, ამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე რომ შეიწირა და ასე დააზიანა ჩვენი ოჯახიც.

თანდათან გამოცოცხლდა სოფელი და მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ იბრუნა პირი.

მაგრამ კიდევ დიდხანს, დიდხანს ეტყობოდა ომის მიერ დატოვებული ჭრილობა თითქმის ყველა სახლს და ოჯახს, საიდანაც ზოგჯერ უცერად გამოვარდნილი ტირილის ხმა გულის დანასავით სერავდა...

ორმოცდაექვსის ზაფხულში ბიძის მიერ გახმობილმა ჩემმა ვაჟმა მოსკოვის უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა მისადები გამოცდები და სტუდენტად ჩაირიცხა. ამიერიდან, თუ რაიმე დაწვრილებით ვიცოდი სანდროს ცხოვრებისა და მოქმედების შესახებ, პატარა სანდროს მეშვეობით ვიცოდი.

„სანდრომ ცოლი შეირთო“, — მწერდა ჩემი ვაჟი „მადლობა ღმერთს“, — ვფიქრობდი მე.

„სანდროს წიგნი გამოვიდაო“, — და წიგნი გამომიგზავნა, ეს იყო ჩემი ძმის ყველაზე გახმაურებული წიგნი „ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის საკითხები“ (სტატიათა კრებული), ისე გამეხარდა, თითქოს მამა გამოცოცხლებოდე (ყოველთვის, როდესაც სანდროზე რაიმე კარგს, ან რაიმე უსიამოვნოს გვიკონებდი, მაშინვე მშობლები მიდგებოდა თვალწინ, ეს უცნაური რეაქცია დამჩემდა). სანდროს წიგნი კი სულ მალე მწვავე კრიტიკის ობიექტად იქცა,

ჯერ „პირადად“ ი. პრეზენტის, ხოლო შემდეგ ლისენკოს „ახალი მიჩურინული გენეტიკის“ მიმდევარ-თეორეტიკოსთა მრავალი წარმომადგენლის ყურადღება დამისახურა.

რაც შეეხება სანდროს მეორედ დოჯახებას, ეს უბრალოდ მომხდარა: სანდრომ ცოლად შეირთო შვილიანი დოცენტი ქალი, პარტიის ისტორიის სპეციალისტი, იმავე უნივერსიტეტში მუშობელ კათედრაზე რომ მუშაობდა. ეს ქალი იყო (გვარს შეგნებულად არ ვასახელებ) მაშინ ცნობილი აკადემიკოსის ქალიშვილი, რომელიც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ოჯახიდან სანდროს ღარიბულ ერთობიან ბინაში გადავიდა (შვილი თავის მშობლებთან დატოვა), ხოლო ჩემი ვაჟი სანდრო მაშინვე საერთო საცხოვრებელში გადაბარგდა. ახლადდაქორწინებულნი პირველ ხანებში საკმაოდ მშვიდად ცხოვრობდნენ.

დადგა ათას ცხრაას ორმოცდა რვა წელი, გენეტიკოსთა განკითხვის წელი.

31 ივლისს მოსკოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ისტორიული სესია, რომელიც 7 აგვისტომდე გაგრძელდა, ამიტომ „აგვისტოს სესია“ ეწოდა.

ის უკიდურესი თეორიული დასკვნები და მკაცრი ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი, რაც აგვისტოს სესიას მოჰყვა, თქვენთვის ალბათ ჩემზე უკეთაა ცნობილი და, ვფიქრობ, სრულიადაც არ არის აუცილებელი მათი შესხენება. ჩემი ძმის შეხედულებათა ბედი მაინტერესებს, მხოლოდ ის, რაც გენეტიკის ზოგადთეორიულ საკითხებს ეხება.

ხომ გახსოვთ, რომ იმ დროისათვის გენეტიკაში უკვე მოხდა ახალი ხარისხობრივი ცვლილებანი და იგი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დადგა, როცა მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის საკითხთა კვლევა მოლეკულურ დონეზე დაიწყო, კვლევის პროცესში შეიჭრა ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის მეთოდები, ნათლად გამოი-

კვეთა გენეტიკისა და ევოლუციური თეორიის ერთობლიობა: — მაგრამ მაშინ ეს ახალი იდეები და მეთოდები ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებულ და საყოველთაოდ აღიარებული, ჯერ კიდევ თავს იჩენდა ძველი ტრადიციები, ძველი მიდგომა, რაც საშუალებას აძლევდა კრიტიკას გენეტიკის არსი დაეყვანა ცალკეულ, უკვე დრომოკმულ შეხედულებებამდე. ისე, როგორც ადრე, კრიტიკა თითქმის სრულიად ვერ ამჩნევდა ახალ ძვრებს გენეტიკაში და თუ მას ზოგჯერ ყურადღებას აქცევდა, მხოლოდ უარყოფის პოზიციიდან.

წინათ, ოცდაათიანი წლების დისკუსიებში, ჯერ კიდევ ბევრი რამ ითვლებოდა საკამათოდ, მაგრამ ახლა, ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, ლისენკოს მომხრეთათვის, მათივე აღიარებით, საკამათო აღარაფერი დარჩა და გენეტიკა კაპიტალიზმის იდეოლოგიურ დივერსიად გამოცხადდა.

„კლასიკური გენეტიკის“ კრიტიკის ერთგვარი სახეცვლილება იმაშიც გამოიხატა, რომ თუ ადრე ლისენკო და მისი მომხრენი ცდილობდნენ, მაგალითად, ჩარლზ დარვინის „მოწყვეტას“ გენეტიკისაგან, ხშირად ემოწმებდნენ და ეყრდნობოდნენ მას როგორც აღიარებულ ავტორიტეტს, ახლა, როცა „დასაბუთებელი“ იქნა „მიჩურინული გენეტიკა“, საჭირო იყო, რომ დარვინის უზარმაზარ ფიგურას არ დაეჩრდილა ეს „ახალი“ გენეტიკა. მითუმეტეს რომ, ევოლუციური გენეტიკის განვითარებასთან ერთად, დარვინს სულ უფრო ხშირად იმოწმებდნენ სწორედ „მენდელისტი-მორგანისტები“.

ამგვარი იყო ვითარება ჩემი, არასპეციალისტის, აზრით.

შეფასებათა კატეგორიულობითა და სიმკაცრით, სხვადასხვა იარაღების უცერემონიო მიკერებით გამოირჩეოდა ტ. დ. ლისენკოს მოხსენება, რომლითაც იგი აგვისტოს სესიაზე გამოვიდა. არსის მხრივ მას ახალი არაფერი უთქვამს იმასთან შედარებით, რასაც წინა წლებში გამოთქვამდა და ამტკიცებდა. კრი-

ტიკის თვით ტონი და ფორმაც არ გამოიჩინოდა რაიმე სიახლით. უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად ნ. ი. ვავილოვი, ნ. კ. კოლცოვი, ა. ს. სერებროვსკი, ამიტომ კრიტიკის ცეცხლი ლისენკომ და სიტყვით გამოსულმა მისმა მომხრეებმა თავს დაატყვევეს ი. ი. შმალგაუზენს, მ. მ. ზავადოვსკის, ნ. პ. დუბინინს, პ. მ. მუჟოვსკის, ა. რ. ჟებრაქს, ი. ა. რაბოპორტს, ს. ი. ალიხანიანს, ა. ე. სორდიას და სხვა მეცნიერებს, რომელთა შეხედულებებს უარყოფდნენ ყოველგვარი ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე, იმ თვალსაზრისთან უბრალო „მიზომებით“, რომელიც მათ მიერ „ოფიციალურ“ თვალსაზრისად იყო მიჩნეული.

მართალია, ლისენკოს მოხსენების გარშემო აგვისტოს სესიაზე დისკუსია გაიმართა, რომლის დროს გამოვიდა მისი რამდენიმე მოწინააღმდეგეც, მაგრამ ამ ბუობის, განხილვისა და კამათის პირობები გაცილებით უფრო არახელსაყრელი იყო ოცდაათიანი წლების დისკუსიებთან შედარებით.

ძნელი იყო ლისენკოსთან კამათი — ამ დროისათვის იგი უკვე ექვსი ლენინის ორდენით იყო დაჯილდოვებული, ჰქონდა მინიჭებული სოციალისტური შრომის გმირის წოდება, სამჯის სტალინური პრემია, იყო ორი აკადემიის ნამდვილი წევრი და ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სრული განმგებელი — პრეზიდენტი.

სიმართლე რომ ითქვას, ეს უკვე დისკუსიას აღარ ჰგავდა, რადგან მისი შედეგები წინასწარ იყო ნაჯულისხმევი და განსაზღვრული.

და მხოლოდ ქელი უნდა მოვიხაროთ პატივისცემით იმ გენეტიკოსთა პრინციპულობის წინაშე, რომლებიც ამგვარ პირობებში ბედადღენ და ახერხებდნენ საკუთარი შეხედულებებისა და პოზიციების დაცვას.

მე მგონი, საკმაოდ გაგარკვევით ჩემი ძმის ხასიათში: თუ რაიმეს გულითა და გონებით ირწმუნებდა, ვეღარ გადაათქმევინებდით. მთლიანი, ერთი მუშტად

მტკიცედ შეკრული ნებისყუფუნს: ვაიცი იყო, არავითარი ტაქტიკური ხეყანა დახევა, დროებით გვერდზე გადაგომა ან უმოქმედო მოლოდინი არ შეეძლო: სულ მშვილდოვით მოზიდული, ისარივით სწორი, ბავშვივით გულწრფელი და კეთილი, მუდამ მზად იყო თავი გაეწირა რწმენისათვის, სიკეთისათვის, სიმაართლისათვის, როცა იმ აგვისტოს სესიის დასასრულს ორიოდე გენეტიკოსი გამოვიდა თავისი „შეცდომების“ აღიარებით და ლისენკოს თვალსაზრისის გაზიარებით, სანდრო სორდიამ არა მხოლოდ აღშფოთებით უარი თქვა ამგვარ მონანიებაზე, არამედ, ცოტა ხნის შემდეგ, როცა უნივერსიტეტში სწავლა განახლდა და ფაკულტეტის პირველი კრება ახალი სასწავლო წლის ამოცანებისა და ბიოლოგიაში დაშვებული იდეალისტური შეცდომების დაძლევის მიქედნა, იგი ამ კრებაზე აღელვებული, გულწრფელი, მაგრამ თავშეუთავებელი სიტყვით გამოვიდა. პარტკომში გააფრთხილეს. კათედრის სხდომაზე კვლავ იგივე გაიმეორა. კვლავ გააფრთხილეს. მეორე კრებაზე კიდევ მოითხოვა სიტყვა არ მისცეს. მაშინ სამწუთიანი განცხადებით გამოვიდა, რომელიც გენეტიკაში არსებულ ვითარებას მიუძღვნა.

მეგობრების, უპირველესად ნ. დუბინინის, თხოვნით ერთი თვის გაუთავალისწინებელი შეგებულება მისცეს „ნერვების დასამშვიდებლად და ომში მიღებული კონტუზიის კვლავ სამკურნალოდ“.

ჯერ პატარა სანდროს წერილი მიღებულიც არ გვქონდა, გაფრთხილებულნი არც ვიყავით, როცა იმ წლის პირველი ოქტომბერს სანდრო ჩვენთვის სრულიად მოულოდნელად სოფელში ჩამოვიდა...

ახლა საქმის არსი და ვითარება რომ გაგაცანით, მინდა გავარკვიო, ჩემთვის მაინც გავხადო ნათელი, თუ რამ გამოიწვია ის ღრმა სულიერი დეპრესია, ჩემს ძმას რომ მაშინ დაემართა, რა მყარი და ხელშეუხებელი სასიცოცხლო ძაფებით იყო იგი დაკავშირებული თა-



ვის საქმესთან, თავის მეცნიერებასთან, რატომ ვერ იპოვა შინაგანი ძალა, რომ პირადად მისგან დამოუკიდებელ გარემოებებს ასე არ დაეთორგუნა, ასე არ აპყროლდა გულისთქმას, ისე მწვეველ, ტრაგიკულად არ განეცადა ყვალაფერი.

ხომ იყვნენ ათობით და ასობით ნამდვილი გენეტიკისათვის თავგანწირული მოღვაწენი, რომლებიც აგვისტოს სესიის შემდეგ, მართალია, გარიყულნი აღმოჩნდნენ, მართალია, მათ საქმეს ანტიხალხური, მავნე და მანკიერი ეწოდა, დახსნეს კიდევ სამსახურებიდან, ლისენკოს ჩვეულის სრულ ზეიმს უკვე შორიდან შეჰყურებდნენ, მაგრამ მაინც არ დაკარგეს თავი, მაინც მძლავრად იფეთქა მათში თვითდაცვისა და თვითგადარჩენის ინსტიქტმა და, ზოგიერთი სუსტი პიროვნების გარდა, რომლებმაც მოპირისპირეთა რიგებში სწრაფი გადასვლა ირჩიეს, მოესწრნენ იმ დროს, როცა სიმართლე მთელი სისავსით აღდგა და შეიქმნა მათი შრომისა და არსებობის ნორმალური პირობები.

ამგვარ, ამ ხასიათის კითხვებზე პასუხი ვერ მიპოვნია.

იქნებ ვითარება იმანაც გააწვევა, რომ სანდრომ სწორედ იმ დროს კიდევ ერთი კატასტროფა განიცადა, უშუალოდ დაკავშირებული არა მხოლოდ მის გრძნობებთან, არამედ აგრეთვე მის რწმენასთან და მის შეხედულებებთან?

ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიდან შინ რომ დაბრუნდა, ცოლი ბინაზე აღარ დახვდა. მაგიდაზე დატოვებულ ბარათში იგი სწერდა, რომ მშობლების ოჯახში ბრუნდებოდა, რომ აღარ სურდა ხალხისა და პარტიის წინაშე მტყუან კაცთან ცხოვრება, რომლის მოქცევა ბოლო დროს აუტანელი იყო, რომ უკრძალავდა მის ნახვას, ტელეფონით შეწუხებას, რომ აღარ უყვარდა..

ან იქნებ იმან განაპირობა ყვალაფერი, რომ სანდრო მაშინ მძიმედ დაავადდა?

მაგრამ ხომ გვპირდებოდნენ ცნობილი ექიმები მღვთმარეობის გაუმჯობესებას და, სრულ გამოჯანმთელებას თუ

არა, შრომისუნარიანობის სრულ აღდგენას?

აღამიანის სულში ვერ ჩაძვრები, შენი ტუპისცალიც რომ იყოს, ასე ადვილად ვერ გაერკვევი მისი შინაგანი სამყაროს დღილი, ღელვისა, მოულოდნელი რეაქციებისა და უეცარი გადაწყვეტილებების მიზეზებსა თუ ბუნებაში. ადვილად ვერ მოუძებნი ახსნას და განმარტებას ისეთი, მაინც რთული, აღამიანის ქცევას, როგორც სანდრო იყო...

სხვისი კი არა, ზოგჯერ საკუთარ თავში ვერ გარკვეულხარ, ბოლომდე ვერ ავიხსნია შენივე მოქმედება, სიტყვა, განცდა თუ ქცევა, ან მათი გამომწვევი ნამდვილი მიზეზი.

ბევრჯერ დაფიქრებულვარ სანდროს მიერ გადადგმულ საბედისწერო ნაბიჯზე, რომლის გამართლება არც მაშინ შემეძლო და არც ახლა შემიძლია.

ოცდაათი წელიწადია ვფიქრობ, ვმსჯელობ ჩემთვის და იმ, შეიძლება, არასწორ, აზრს ვადგივარ, რომ სანდრომ მაშინ ის ამბავი განიცადა არა როგორც მხოლოდ დროებითი დაბრკოლება, მძიმე, მაგრამ მაინც დროებითი შეფერხება საყვარელი საქმის, ამდენად, მისთვის ერთადერთი საქმის ნორმალური, სწორი, ხალხისთვის სასარგებლო განვითარების გზაზე, არამედ როგორც პირადი ცხოვრების სრული, ტოტალური კატასტროფა, რომლის შემდეგ მნიშვნელობა ეკარგება იმას, ხარ თუ აღარ ხარ ამ ქვეყნად.

შეიძლება, მე ვცდები, მაგრამ რატომ მოუხშირა იმ შემოდგომაზე სანდრომ დედის საფლავზე სიარული, ორჯერ თუ სამჯერ მივიდა ჩვენი ყოფილ სახლში, ყოფილ გიმნაზიაშიც, იოსებ ოცხელის საფლავზეც და ერთხელ კიდევ გამწვრებით ეცადა დაკარგული მამის ყვლისათვის მიეგნო ამდენი წლის შემდეგ? სულ ფეხით მოიარა ის ადგილები, სადაც, მისი ვარაუდით, მამას შეიძლებოდა გაეცლო, გამოკოთხა ასობით მოხუცი აღამიანი, რომელთაც რაიმეს ცოდნა შეეძლოთ (ერთი კვირით შინიდან

რომ წავიდა, ქუთაისში მივდივარო რომ დიბარა, მაგრამ იქ ნახევა რღეზე მეტს რომ არ გაჩერებულა, აი სწორედ იმ ერთ კვირაში მომხდარა ეს ყველაფერი, როგორც გვიან დავაზუსტე).

რა ვქნა, ეს აზრები, ფიქრები და მოგონებანი ახლაც ისევე მაწუხებენ, როგორც მაშინ, ახლაც მიწამლავენ გონებას, სულსა და არსებობას, სულ იმ დასკვნისკენ მიმიძღებენ, რომ მეც მიმიძღების რალაც დანაშაული სანდროს წინაშე.

მაშინ რომ მე მეპოვნა მდგომარეობის შესაფერისი აუცილებელი სიტყვები, სანდროსათვის სათქმელი, მე რომ სათანადოდ შემოქმედა მასზე, რალაც სხვაწაირად რომ მოგქცეულიყავი, ვიდრე მოვიქციე, ხომ შეიძლებოდა, რომ ის ტრაგედია არ მომხდარიყო?

ღმერთო, რა ვიცოდი მე სულელმა, მე უბედურმა, რა ზღებოდა ჩემი ძმის გულში, განა რა შევატყე გარეგნულად მხოლოდ დაფიქრებულ, მხოლოდ დაბერებულ, მხოლოდ გუნება-გამოცვლილ სანდროს? რომ კენსოდა ძილში, ერთხელ-ორჯერ რომ ცრემლიც შევნიშნე თვალზე? განა ვფიქრობდი, განა მოვისაზრებდი, რის მომსაწავებელი იყო ის ცრემლი და ის კენსა ორმოცდარვა წლის ვაჟაკისა, ან რის მომსაწავებელი იყო ზოგჯერ უეცარი და უმიზეზო გამოცოცხლება ჩემი ძმისა, როცა ყველას საოცრად გვეაღერებოდა, გვაცინებდა, გვეხვეოდა და გვკოცნიდა?

ყოველთვის ვფიქრობდი, ყოველთვის მეგონა, ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ სანდრო სულიერად ძლიერი, მტკიცე, ბევრის ამტანი ადამიანი იყო. ზემოთაც არა ერთხელ აღვნიშნე, რომ მას ახასიათებდა დიდი მიზანსწრაფულობა, ნებისყოფა, შინაგანი მობილიზების უნარი. ჩემსავით კი არ იყო უბრალოდ, თითქმის ანგარიშმიუცემლად, ცხოვრების დინებას აყოლილი. ყველა მოვლენას, ჩემგან დამოუკიდებელს, მე ვხვდებოდი როგორც აუცილებელს, ისეთს, მხარი რომ უნდა აეუ-

ბა, მივესადაგო, შევეჯუღო, მომწონს თუ არ მომწონს, მაინც მივძღვებო, ვეყვებო ყველა შემთხვევაში, ყველა პირობებში სულიერი წონასწორობა შევიწარმუნო და მოყვასთათვის მხოლოდ სასიკეთოდ ვიმოქმედო.

ეს ჩემი სისუსტე, პასიურობა, ხანდახან რომ მევე მძულდა, თვით რომ ვგმობდი და ვარცხენდი ჩემს თავს, ნუთუ უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ფოლადივით მტკიცე სანდროს ნებისყოფა? სიძლიერე ადამიანისა, რომელიც არ ეგუებოდა მისთვის მიუღებელ არც ერთ ცხოვრებისეულ მოვლენას ცდილობდა ემოქმედნა მასზე, ისე მოებრუნებინა, როგორც საჭიროდ თვლიდა, ზოგჯერ გამოუდიოდა, ზოგჯერ არ გამოუდიოდა, მაგრამ ყოველთვის მზად იყო სამოქმედოდ, საბრძოლველად?

ეს იყო მისი სტიქია, ცხოვრების წესი, განათებული რწმენით და იღვით, არა გამოგონილი წესი, არამედ შინაგანად გაპირობებული, მისი არსებობის ერთადერთი და ბუნებრივი ფორმა.

ნუთუ მართალია, რომ ძლიერი ადამიანი უფრო ადვილად ტყდება, ვიდრე სუსტი და უნებისყოფო? ამის დაჯერება არ შემიძლია.

სპეციალობით სანდრო ხომ აგრობიოლოგი იყო, წარმატებით დამათერა თბილისის უნივერსიტეტი, შემდეგ იმუშავა გერმანიისა და ამერიკის სპეციალურ ლაბორატორიებში, სადაც გენეტიკის საკითხებს ექსპერიმენტულად ამუშავებდნენ. ამავე დროს, სპეციალობით ფილოსოფოსიც იყო, მიღებული ჰქონდა (მართალია, გერმანიაში) ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, დაამთავრა მოსკოვის კომუნისტური აკადემია, აქაც დაიცვა ხარისხები ბუნებისმეტყველების ფილოსიფიის დარგში.

ამრიგად, ჩემი ძმა ყოველმხრივ მომზადებული და მოწოდებული იყო იმ საქმისათვის, რომელსაც ემსახურებოდა. მას ვერაფერ ვერ წამოძახებდა, რომ დილექტანტი იყო ან ერთ ან მეორე საგანში (ეს არც წამოუძახებიათ).

აქ აღარაფერს ვიტყვი მისი თანდაყოლილი ნიჭიერების შესახებ, რომელიც საერთო ყურადღებას იპყრობდა არა მხოლოდ ბავშვობაში და ახალგაზრდობაში, არამედ შემდეგაც.

მხოლოდ აკადემიკოს ნიკოლოზ დუბინზე მივუთითებ, ამ შესანიშნავ მეცნიერსა და აღაშინებ.

იგი სანდროზე ექვსი წლით უმცროსი იყო, მაგრამ მრავალი წლის მანძილზე ძმურად მეგობრობდა მასთან. მე ამ სიკეთის დავიწყება არ შემიძლია.

თვალის ჩინივით ვინახავ და ვუფროთხილდები მის ერთადერთ წერილს ჩემდამი, სანდროს რომ შეეხებ.

ვიამაყობ და ყოველთვის ვიამაყებ იმ მაღალი შეფასებით, ამ წერილში სანდროს პიროვნული ღირსებების და მისი მეცნიერული დეაქტის მიმართ რომაა გამოთქმული. ნ. პ. დუბინინი დღეს მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორია (ის ადგილიც ოდესღაც ლისენკოს ეკიარა), მისი მთავარი ნაშრომები ეხება ზოგადი, ევოლუციური, რადიაციული და კოსმოსური გენეტიკის საკითხებს. იგი საზღვარგარეთის მრავალ მეცნიერებათა აკადემიის და გენეტიკოსთა საზოგადოების წევრია. მხოლოდ ერთხელ შევხვდი, წყალტუბოში რომ სამკურნალოდ იყო ჩამოსული და ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მისმა დახვეწილმა ინტელიგენტობამ, სანდროსადმი დღემდე შემონახულმა სიყვარულმა და პატივისცემამ.

განა სანდროს მისეულ შეფასებას ცოტა მნიშვნელობა აქვს?

ყველაფერი წინ ჰქონდა სანდროს.

მაშ რა მოხდა? სად შეცდა სანდრო?

ნუთუ ავადმყოფობამ ისე შეაშინა, ისე ივრძნო თავი დამცირებულად, რომ აღარაფერი აღარ ისურვა?

ნუთუ ოჯახურმა უსიამოვნებამ ისე იმოქმედა მასზე, რომ ყველაფერი დამთავრებულად ჩათვალა?...

პირველ ოქტომბერს მოულოდნელად ჩამოვიდა სანდრო. ჩამოვიდა და ისე იქცეოდა, როგორც ზემოთ აღწერე.

ორჯერ მთხოვა დედის საფლავზე წაყოლა, გავითავისუფლებდი და თავი და წავყევი ქუთაისში.

დიდხანს ვისხედით დედის საფლავთან ორი ძმა, ვისხედით იქ, სადაც მრავალი წლის წინათ, წარსულის ქარიშხლიან დღეებში ისე უცნაურად ვსაუბრობდით.

ვისხედით ორი ძმა — თმაგაცენილი, მხრებში მოხრილი, რაღაცით მეტად შექირვებული სანდრო და მე, მართალია, ჰლარაშერეული, მაგრამ ჯერ კიდევ დაუღლეელი კაცი. ვისხედით და ვფიქრობდით.

რახე ფიქრობდა სანდრო, არ ვიცი, მე კი ვფიქრობდი: აი, დაბრუნდა ჩემი ძმა, ჩემი სისხლი და ხორცი, რაღაც გაუჭირდა და ოჯახს მოაშურა.

დაბრუნდა, მაგრამ რამდენი ხნით? დაბრუნდა და მზად ვარ, შრომა და ცხოვრება მას შევწირო, მის ნათელ გონებას ჯანმრთელობას, სიტყვასა და ფიქრს, ჩემი მისდამი სიყვარულის, აღტაცებისა და იმგვარი ძმური პატივისცემის გამო, რომელიც მხოლოდ ძმობაში არ ეტეოდა, რაღაც უფრო დიდი იყო, მამისა და დედის ხსოვნით, მათი ჩემთვის მარად უცვლადი სახეებით გამთბარი.

ვფიქრობდი ჩემი ძმის ცხოვრებაზე, მშობლების ბედზე და ჩვენი ოჯახის მომავალზე...

ვფიქრობდი, რომ სანდროს ქუთაისშიც ხომ შეეძლო მუშაობა, იქაც ხომ იყო უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც კოლექტივი არ მიიღებდა მის სიხარულით? ვიქნებოდით ერთად და საჭირო ზრუნვას არ მოვაკლებდით არც ჩემი მეუღლე და არც მე...

ნეტავ სიტყვით მეთქვა მისთვის ის, რასაც მაშინ ვფიქრობდი და როგორც ვფიქრობდი!

მაგრამ ვერ მივხვდი მისი შინაგანი წუხილის ხასიათს და მიზეზს.

ვერ მივხვდი, რომ შეიძლება ახლა ესაჭიროებოდა მას ის სიტყვები, გულში რომ მიტრიალებდა.

ვერ მივხვდი და აი აქ ვგრძნობ თავს დამნაშავედ...

სანდრო მამის უნაურ ბედზე მელა-პარაკებოდა ზშირად. უნდა მოეძებნოთ — ეს აზრი აეკვიტა, აეკვიტა და ერთი კვირით დაიკარგა კიდევ...

მხოლოდ დედას და მამას იხსენებდა ღრმად დაფიქრებული. ზოგჯერ იმ წლებსაც მოიგონებდა, გიმნაზიაში რომ ვსწავლობდით.

სხვა დროს მისი თხოვნით საგანგებოდ ჩაბნელებულ ოთახში იწვა გაუნძრევლად და ჭერს მიშტერებოდა გაუინული მზერიით. თვალწინ მიდგებოდა დედაჩემის უკანასკნელი დღეები...

ჩვიდმეტ ოქტომბერს სანდროს დამბლა დაეცა. როგორც ჩანს, შერყეულმა ორგანიზმმა ველარ გაუძლო იმგვარ სტრესს, რაც ტვინში სისხლის გაქონვით და სხეულის მარჯვენა მხარის წართმევით დამთავრდა.

ველარ დგებოდა, მარჯვენა ხელს თითქმის ვერ ანძრევდა, ყბა მოექცა და გაჭირვებით ლაპარაკობდა.

— ებ-პ-ო, ხ-ხ-ედ-დავ, რ-რა დ-დ-ამ-მ-ემ-მ-ართა? — ძლივს ამოილულულულა და საწყლად გამოლიმა.

დავახვიეთ თავზე ექიმები, ერთი გამოჩენილი ნევროპათოლოგი თბილისიდანაც ჩამოვიყვანე, წყალტუბოში დასასვენებლად მყოფი ერთი ლენინგრადელი პროფესორიც მოეძებნე და მოვიყვანე, ქუთაისელ ექიმებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ყველა ერთხმად მიმტკიცებდა, რომ ინსულტი (გაქონვა) მცირე იყო, რომ სათანადო მკურნალობისა და ვარჯიშის შემდეგ სანდრო მალე მოიკეთებდა, წამოდგებოდა, ყბაც გაუსწორდებოდა, სრული მეტყველებაც უთუოდ აღუდგებოდა, შეიძლება მხოლოდ სულ თავისუფლად ველარ ეხმარა მარჯვენა ხელი და ფეხი, მაგრამ ივლიდა, დაწერდა, საერთოდ — იმუშავებდა. ოღონდ ყველაფერს დრო სჭირდებოდა, ასე სამი-ოთხი თვე ან ცოტა მეტი, დრო და სიფრთხილე. სათანადო პროცედურებსაც უნიშნავდნენ.

ცოტა დაემშვიდდით. მეც, ჩემი ლიხაც, ჩვენი ტასიკოც.

მე ვბანდი, ვაქმედო, მცურდზე. მხუტებული დამყავდა, სანდროსა და მეც, სანამ იმ სამედიცინო ნივთებს შევიძინდით, რაც ამ დროს აუცილებელია.

ერთხელ მითხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტ: „დაიხსომე ჩემი სიტყვა, გენეტიკაში ყველაფერი კარგად მოგვარდება, რადგან არ არსებობს ქვეყანაზე ძალა, ნამდვილი მეცნიერების განვითარება რომ შეაჩეროსო, ეს შეუძლებელიაო... დადგება დრო, როცა ჩვენი გენეტიკოსები მსოფლიოში კვლავ პირველ რიგში აღმოჩნდებიანო“...

ერთხელ თქვა კიდევ: „სანდრომ, შენმა ვაჟმა, უნდა გვესახელოს, კიდევ გაიფიქრებს მეცნიერებაში სანდრო სორდიას სახელიო“.

თქვა და ატირდა — ჩამოუგორდა თვალთაგან ცრემლები...

ისე ავიხსნათ ყველაფერი, როგორც ჩემი ძმის ეს ოცნება და იმედი ახლა, მაგრამ რალა დროს...

ოცდასამი ოქტომბერი გათენდა. სანდროს რომ მოეუარეთ, რაც დილით საჭირო იყო, ყველაფერი რომ გავუყვითეთ (წყნარად იწვა, თავისთვის ფიქრობდა მშვიდად), სკოლაში გავიკრიფეთ ყველანი — ლიზიკოც, ტასიკოც და მეც. ორი ვაკვეთილი მჭონდა დილით და მალე მოგბრუნდებოდი.

არადა, შინ უნდა დავრჩენილიყავით ერთ-ერთი მაინც.

პირველი შემთხვევა იყო, სამივენი რომ ერთად გავედით.

ვალარებ ჩემს შეცდომას, ვალარებ ჩემს დანაშაულს, მაგრამ იმასაც ვგულისხმობ, რომ თუ სანდრო რაიმეს ჩაიფიქრობდა, ყოველთვის იპოვიდა სათანადო დროსა და შესაძლებლობას ჩანაფიქრის შესასრულებლად.

მაინც ვამბობ, რომ დიდი შეცდომა მომივიდა და ეს არასოდეს მეპატიება...

მახსოვს, შემოდგომის წყნარი და თბილი დღე იღვა. ოქროსფერში ცურავდა ყველაფერი — ცაც, შორეული მთებიც და ჩვენი ორბობის შემოვარენიც. ოქროსფერ ხეივანში მივდიოდით მე და ჩემი ცოლ-შვილი; და ტასიკო

განგებ აშრიალეზდა გზაზე დაფენილ  
ოჭროსფერ ფოთლებს..

დაახლოებით თერთმეტ საათზე სკო-  
ლიდან პირველი მე მოვბრუნდი. გაკვე-  
თილებს მოვრჩი და, ჩვეულებისამებრ,  
სანდროს მივაშურე.

შინ რომ შევედი, უცნაური, დამწ-  
ვრისა თუ დენთის, მსუბუქი სუნი მეცა.  
მივვარდი სანდროს საწოლს.

მარჯვენა გვერდზე იწვა. თავზე რა-  
ტომლაც ბალიში ეხურა.

ფრთხილად აეწიე ბალიში.

მარცხენა ხელით „ნაგანს“ ჩაბლაუქე-  
ბუდა, რომლის ლულა კბილებში ჰქონ-  
და გაჩრილი.

გაშეშებული თითები ძლივს გავუხ-  
სენი და იარაღი პირიდან გამოვაცალე.  
ის „ნაგანი“ ვიცანი, სერგო რურუამ  
რომ ახუტა ოდესღაც ახალგაზრდობაში.  
შიგ ერთადერთი დაცლილი ვაზნა იდო..

როგორ მისწვდა იარაღს, ახლაც არ  
ვიცი, ალბათ მიფოფხდა ჩემოდნამდე,  
რომელიც ოთახის კუთხიდან თავახსნი-  
ლი შემომყურებდა...

მე და ლიზიკომ მაშინ დავმალეთ სან-  
დროს თვითმკვლელობის ფაქტი. ჩვენი  
სოფლის ბირობაზე ეს არ გავგვირგვია,  
თუმცა უნდა ვთქვა, რომ რალაც ლაპა-  
რაკი ხალხში მაშინვე იყო, ჩემს ყურ-  
საც მოსწვდა, მაგრამ არ გავიგონე. სამ-  
სახურსა და მეგობრებს ვაცნობეთ, რომ  
სანდრო დამბლისგან გარდაიცვალა-  
მხოლოდ ათი წლის შემდეგ გავამეღაფ-  
ნეთ, ისიც ნათესავ-ახლობლებში..

დასაფლავებას მთელი ჩვენი ოჯახი  
დაესწრო. კვლავ შევიკრიბეთ ერთად  
ნათესაობა. სოფელმაც დიდი პატივი  
გვცა.

დავსაფლავეთ სანდრო სოფლის  
სასაფლაოზე, დავადგი ჩვენს ეზოდან  
ამოტანილი ლოდი, რომლის ოდნავ გას-  
წორებულ ზედამხარეზე სოფლის ოს-  
ტატმა, წისქვილის ქვეშ რომ კოდავდა,  
შემდეგ მოკლე წარწერა ამოკვეთა:  
„ალექსანდრე ეპიფანეს ძე სორდია  
1900-1948“.

ჩვენი ქელები და ჩვენი ღირსი ურ-  
თიერთ სიყვარულის განმამტკიცებელი

და მომავლის იმედის მომცემი შევჩვენებდი  
იქცა კარგი შეილებზე გვეზარდებოდა და  
ჩვენი მშობლებისა და ჩვენი სახელიც  
ეს იყო..

პატივცემული მეგობარო!

თავდაპირველად, თქვენი თხოვნისა-  
მებრ, ათიოდე გვერდის დაწერას ვაპი-  
რებდი და ათჯერ მეტი კი გამომივიდა!  
რა ვქნა, ისე გამოიტაცა მოგონებებმა,  
რომ, როგორც ნახეთ, თავი ველარ შე-  
ვიკაფე.

ვიცი, ამ ჩემი მონათხრობის წაკითხვა  
ადვილი არ იქნება ენციკლოპედიის  
გადატვირთული მუშაკებისათვის, იმა-  
საც ვგრძნობ და ვხვდები, რომ არაფერ-  
ში არ გამოგადგებით ეს ნაწერი: ჩემს  
ძმაზე ცნობის შესადგენად ხუთიოდე  
სტრიქონი თუ დეკვირდებათ და, ვგო-  
ნებ, დაწერილიც გაქვთ უკვე, ის ხუთიო-  
დე სტრიქონი და მხოლოდ ზრდილობის  
გამო მომმარათეთ მე რალაც „დამატე-  
ბითი ცნობებისათვის.“

მაგრამ იყო, იდოს მანდ ეს ხელნა-  
წერი. იქნებ ვინმემ ოდესმე წაიკითხოს  
და გაიფიქროს: იყვნენ ადამიანები, ილწ-  
ვოდნენ, იბრძოდნენ, უხაროდათ, იტან-  
ჯებოდნენ და გაქრნენ..

ერთს კიდევ გავიმეორებ, რაც დასაწ-  
ყისში ვთქვი: შეიძლება, ბევრ რამეში  
ვცდებოდე, შეიძლება, მეტად ცალმხრი-  
ვად აღწერე ყველაფერი და მიკერძოე-  
ბულიც ვარ, ასე რომ დავინახე და შე-  
ვაფასე, ამიტომ ვთხოვთ, მხოლოდ გა-  
დამოწმების შემდეგ, თუ ამის საშუალე-  
ბა გექნებათ, კრიტიკულად აღიქვით ის,  
რაც აქ წერია.. მე მხოლოდ ჩემი ოჯა-  
ხის სიყვარული და ძმის ხსოვნა მალა-  
პარაკებდა.

ცხოვრება ისეთი უცნაური რამ ყო-  
ფილა, რომ მისი სწრაფწარმავლობით  
გაოგნებულ კაცს სულის ამოთქმის სა-  
შუალებას არ აძლევს. ხანდახან რომ  
გადავხედავ განვლილს, ზოგჯერ ეჭვი  
მიპყრობს: იყო კი ყველაფერი, რაც  
იყო, და თუ იყო, სად გაქრა, სადღა  
არიან ის ადამიანები, მათი საქმენი,  
მათი იმედები, გულის ზრახვანი, სიყვა-  
რული, სიძულელი?

და ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ცხოვრება თავისი შეუცნობელი გზით მიდის და მიდის, აღამიანები კი კვიანქველების შეუბოვრობით ებლაუტებიან მას და იმგვარ მცირე კვალს ამჩნევენ ამ ჩვენ ცოდვიან დედამიწას, რომ გინდ ყოფილან და გინდ არა.

ნუთუ ამოა ყვალაფერი, ვარდა იმისა, რომ ოდესმე გავჩნდებით და ოდესმე წავალთ? ხოლო ხაზი ამ ორ თარიღს შორის სწორედ ხაზია და მეტი არაფერი — არც არაფერს აღნიშნავს და არც არაფერს იტყვის?

განა ამისთვის ვიცხოვრეთ?

არა, არ უნდა იყოს ეს სწორი.

ახლა ჩემს გარშემო ახალგაზრდობის ქრიაშული მესმის. იმედის თვალით ვუყურებ მე მათ — იქნებ ცხოვრების გზაზე ისინი უფრო იღბლიანი აღმოჩნდნენ? ყველაფერი მათია, რაც მთავარია — მომავალი.

ასე ვფიქრობ, რადგან იმედის გარეშე სიკვდილიც კი მიმძიმს. უბედურია ის, ვისაც იმედი არ გააჩნია: ჩემი შვილი სანდრო უკვე კარგა ხანია ბიოლოგიის

მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია, ბიძის საქმეს ის აგრძელებს, ის პატრონობს ახლა ეპიფანე სორდიასა და ტასო ლარტიფიანიძის მრავალრიცხოვან მონაგარს... აღარ არის პროფესორი სორდია, მაგრამ კვლავ არის პროფესორი სორდია!

რაც შეეხება სიკვდილს, რას იზამ, ვინ არ მომკვდარა. ეს ისეთივე ბუნებრივი დაბოლოებაა სიცოცხლისა, როგორც სიცოცხლეა ბუნებრივი დასაწყისი სიკვდილისა. მთავარია, სიკვდილის წინ შენი თავი არ გტულდეს და ფიქრი არ გტანჯავდეს იმაზე, რომ ვერ გააკეთე ის, რაც ქართველ კაცს ცხოვრებაში გვევლებოდა, რომ ნამდვილ კაცად მოკვდე და შთამომავლობის წყველაკრულვა არ დაიმსახურო — სიკეთე, მეგობრებო, შვილებო და შვილიშვილებო, — სიკეთე...

შვილიშვილები მინაწერი: ბაბუა გარდაიცვალა 1980 წლის ზამთარში თექვსმეტ იანვარს, თავისი დაბადების დღეს. დაკრძალულია ძმის გვერდით ჩვენი საფლოს სასაფლაოზე.

ივანიშვილის  
გარეურობის

## გამოუქვეყნებელი ლექსები

ქართული პოეზიის თხუთმეტი ტომის გამოცემა, რასაც „ნაკადული“ ახორციელებს, დასასრულს უახლოვდება, ბოლო ტომები შერაცხვენი საუკუნის პოეზიამ შეადგინა. მეთექვსმეტე, დამატებითი ტომი, რომლის შედგენაც თითქმის დავითავერთ, აშუღღრ-ქალაქურ პოეზიის მოიცავს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართულ აშუღღრ პოეზიას სათავე დაუდგო ისტომი დედა პოეტმა, როგორც სათათრე იყო. ქართულ უაიდაზე გამართული მუხამბაზი სწორედ სათათრეს სახელს უკავშირდება. მის აშკარა გავლენას ვერ ასცდა თბილისელ აშუღღრ მთელი თაობები. ამ სიახლეს თავისებურად გამოეხმაურა ქართული კლასიკური პოეზია. მუხამბაზური კილო იგრძნობა ადგილობრივ კავკასიის, გრიგოლ ორბელიანის და თვით აკაკის პოეზიაში. შათ ახალი, ერთგული ელფერი მისცეს წარმომავლობით უცხო საღვთო ფორმას, ერთგვარი ქართული ლაზთი შეისმინეს მას და ხშირ შემთხვევაში ახალი წინაარსით აავსეს. აღმოსავლური პოეზიის სტერეოტიპების დამორგუწველ ტყვეობაში არც თავად სათათრე უყოფილა, წმინდა სატრფიალო ლექსების გვირდით მის ხმაში ხშირად გაისმის სოციალურ-ერთგული მოტივების შემცველი მანგები.

სათათრეს ღირსეული შემკვიდრე იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულის ცნობილი აშუღღრ შამჩი-მელქო (როგორც მისი ზედწოდება გვიჩვენებს, ხელობით მესანთლე უყოფილა, ხელშეახები ბიოგრაფიული ცნობები მასზე არ შემონახულა) შემთხვევითი არ არის, რომ მისი სტრიქონი („მუხამბაზო, რა ტბილი რამ ხმა ხარო“) ეპიგრაფად აქვს მოტანილი გრიგოლ ორბელიანს.

ღრმად ერთგული შეგნებითა და თვითმყოფობით გამოირჩევა მანირასა და იეთიმ გურჯიის შემოქმედება.

ტომისთვის საჭირო მასაღის მოსაპოვებლად დიდი სამუშაოს გაწევა მოგვიხდა, განსაკუთრებით იბლიანი აღმონდა გიორგი დეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუწეუწმში დაცული იეთიმ გურჯიის არქივი, სადაც ჩვენი მკითხველისთვის უცნობი არაერთი საუკეთესო ლექსი გამოვლინდა. ჩვენ ერთხელ კიდევ დავწმუნდით, რომ „ქველი თბილისის ბოხების“ ერთ-ერთმა ბოლო და ბრწყინვალე წარმომადგენელმა ტყუილად როდი უწოდა თავის თავს „არუსთაველის შეიღობილი და მეორე სათათრე“.

ბერძენი მასაღის გავიყნით ითხებ გრამატიკის სახლ-მუწეუწში. უვეღასათვის ცნობილია, თუ რა კოლონატური მუწეობა გასწია ითხებ გრამატიკაში აშუღღრ-ქალაქური პოეზიის შესწავლისა და შეგროვება-გადარჩენის საქმეში. ამ მხრივ მის უნიკალურ წიგნს „ქველი ტფილისის ლიტერატურული ბოქმა“ ზადალი არ მოეპოვება. მწელი ჩამოსათვლელია, რამდენი ლექსი და რამდენი ღირსეული სახელი გამოსატყა მან გულგრილობისა და დავიწყების უღმობრედ მდინარეს.

ქველ, გაცრეცილ რვეუღებში უცნაური ძალით აეღვარდა ნამდვილი სახალხო მომღერლობა და ლექსის მოქმედის მანირას დიდებული სახე, დიდი ერთგული შეგნებით მფთქავა მისი პოეტური წერტი.

ა, მანირას ერთი გულისწყრლობა, მისი თანამედროვე ქართული არისტოკრატიისადმი გამოთქმული:

„აზღანდელ ჩვენს სწავლულ და განათლებულ ვაჟბატონებს ქართულმა ტანჯვამ დატყვევებთ და თათრულსთვის გაგუებულნი არიან. მაგრამ, ეჰ, ამ დილაკებს გზა ისე არევათ, რომ მათ ჩვენი აღარა ეხმათ-რა და ვერც არას ჩემსას გაიგებენ. ესეც რომ არ იყოს, არც საჭირო ვიყავი ნასწავლი ხალხისათვის: ხომ არ ეძინათ, რომ გამოშვდებიანა. იმათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ მაწონი თერთია და ნახშირია შავი, რაღა ჩემი სწავლა უნდოდათ, ჩვენ იქ ვიყავით საჭირო, საცა ცხოვრებას ხალხისთვის კისერი მოეგრება, ტვინი და გული გაეციებინა“.

ფურნალ „მნათობის“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება იეთიმ გურჯის დაუბეჭდავი ლექსები.

ვფიქრობთ, ჩვენს მკითხველ საზოგადოებას სასიამოვნოდ დარჩება ამ ცოცხალი, ჩვენი უძველესი და მარად ახალი ქალაქის მადლით აღბეჭდილი ხმების მოსმენა და ინტერესით დაედლოდება ანთოლოგიის ბოლო ტომის გამოსვლას.

გივი ზაგვიძორი  
მუზარ კვიციანი  
ტარიელ ზანტური

### საძარტველოს

ძველი ღროის სიმღერა

ქართველთა ერის სამეფოს  
ქება არ უნდა, სხვა არი,  
თავში შავი ზღვა სდარაჯობს,  
ბოლოში კასპის ზღვა არი.  
გარს არტყავს სპარსნი, ოსმალნი,  
ორივე მისი მტერია,  
ღვთისმშობლის თვალი დაჰყურებს,  
იმის დავთარში სწერია.  
სამოთხე საქართველოა,  
მოწამე ნინოს ხატია,  
ნოეს ძეგლიც ხო იქვეა,  
დიდი მთა არარატია  
სატანტო თბილის-ქალაქი,  
მცხეთაც ხომ შამა ბერია,  
ქართველთა მეფეთ ტაძარი  
გელათი მონასტერია.  
ქართლი ხო ძველი გმირია,

კახიცა მეომარიო,  
თუშნი, ფშაველნი, ხევსურნი,  
ისიც იმისი გვიარია.  
იმერეთს სისხლი უღვრია,  
გურიას — მეტად მწარიო,  
გზა თურქის შამოსავალი  
იმათ უპყრიათ კარიო.  
დაბადებისა აქეთი  
მათი დღე ბრძოლა არიო,  
თურქსა და სპარსელს გასწყვეტენ,  
ერთმანეთს მისცენ მხარიო.  
იმერ-ამიერ ქართველნო,  
ქართლ-კახეთო და გურია,  
გმირებო, გმირის შვილებო,  
კავშირი გქონდეთ ძმურია.

1911

### ჩემმა ნისია მუხტარმა

ჩემ ნისია მუხტარებმა  
ვაქკაცობა იღინეს,  
რამდენჯერმე ტიკტორა  
თავქვე დამაკიღინეს,  
ბოლოს ნისიის დავთარს  
ცეცხლი წამაკიღინეს,  
ისე საქმე დამმართეს

საღმთო გამაყიღინეს,  
ვისაც ძმურად მოვექმეც,  
პურმარილი მიგინეს,  
ძალად კბენა მასწავლეს,  
კბილი გამაქლიბინეს.



## ბრმას რად უნდა მუზეიმში შეყვანა

ბრმის მუზეუმი  
საქართველოში

ბრმას რად უნდა მუზეიმში შეყვანა,  
 ყრუს რად უნდა ოპერაში წაყვანა,  
 ღორს რად უნდა ოქროს ტახტზე აყვანა,  
 ვირს რად უნდა სეინებში გაყვანა.  
 ყვავს რად უნდა მოქარგული გალია,  
 ინდაურსა კიდევ ოქროს ნალია,  
 ჭორს მიეცი ბრილიანტის თვალთა,  
 ქანქაჩ თათარს გიმნაზისტკა ქალია.  
 მონოგრაფით მორთე ღორის თავთა,  
 ვარდის წალკოტს რაში აქნევეს ყვავთა,  
 მკვდარს რად უნდა ბოზბაში და ფლავთა,  
 სამოვარში რას ივარგებს ნავთა.  
 სპილოს მიე დავეთნი, სახარება,  
 მოუხდება აქლემს ქოლგის ტარება,  
 ანუ კამბეჩს ცხელ წყალშია ბანება,  
 მაიმუნნი ქალად რას ემგვანება.  
 ძუნწს რად უნდა ლხინი-მზიარულება,  
 გიჟს რად უნდა თავზე ქუდის ხურება,  
 დათვს რად უნდა სარკეში შეყურება,  
 მგელს მუსიკის ჰიმნის რას ეყურება.  
 ღორს დაუდგი სუფრად ოქროს თასთა,  
 სულელისთვის კონიაკიც კვასთა,  
 კაცი ცოტა, ბრიყვეები კი ასთა,  
 ვინ რა იცის, იეთიმ-გურჯის ფასთა.

1920

## დილის საღამოს მოგილოცავ

დილის საღამოს მოგილოცავ,  
 თუ არა გწყინს, მომცემ ნებას,  
 თუ შენს სახეს ვერ ვიხილავ,  
 რაში ვაჭნევ ვათენებას.

მე უშენოდ არც იქ შევალ,  
 გინდ მიღონ სამოთხის კარიც,  
 მიწის ზემოდან ჩემი ხარ  
 და მიწის ქვეშ მეგობარიც.

ღმერთად, ხატად, სალოცავად  
 ამ ქვეყანას შენა მწამხარ,  
 მომკლავ, დამწყავ, ეგ შენ იცი,  
 მე კი გეტყვი, რომ მიყვარხარ.

მკლავებს დამპრი, თვალებს დამთხრი,  
 გინდ მომაპერ პირში ენა,

რაც გსურს მიყავ, კარგად იყავ,  
 მხოლოდ იცოცხლევი შენა.

პირის ფარდა ამიხდია,  
 სწორედ ნახე ჩემი სახე,  
 შვიდი წელი შენი ცეცხლი  
 გულში ჩუმაღ შევიწახე.

მეფე იყავ, ტყვედ ჩამთვალე,  
 კმარა, კარი გამიღევი,  
 შვიდი წელი ტყვედა გყავარ,  
 მანიფესტი გაიღევი.

მე რაში ვარ დამნაშავე,  
 სიყვარულის გამჩენს ჰკითხე,  
 იეთიმ-გურჯი გენაცვალოს,  
 მიხვდი, რიგზე წაიკითხე.

სიმღერა



სიმღერების გამჩენი, გეტყვით, გამაიცანით,  
საქართველოს მგოსანი იეთიმ-გურჯი იცანით.

მის კალამი უეცრად შეგიპყრობს და დაგიქერს,  
რაც რომ გულით გინდოდეს, იეთიმ-გურჯი დაგიწერს.

სიყვარულის ღმერთია, წერით ცაში აგიყვანს,  
ვინც რომ გულით გიყვარდეს, მის კალამი მოგიყვანს.

სიყვარულის წამალი, არწიყობის ექიმი  
სხვაგან აღარ ეძებოთ, კპოვეთ გურჯი-ეთიმი.

სიყვარულმან შეგიპყროს, ვერას გარგებს ჰაბაში,  
მარტო წამალს იშოვი იეთიმ-გურჯის სტამბაში.

აკვანშივე ბავშვებსა ლაპარაკსა ასწავლის,  
ვისაც სიმღერა გინდათ, იეთიმ-გურჯი გასწავლით.

თამადობის პატენტი არ ეძებოთ სხვასთანა,  
თუ ქეიფი მოგინდეთ, წადით იეთიმ ძმასთანა.

საქართველოს მხარეში ყველგან იმღერიანო,  
რუსთაველის შვილობილს იეთიმ-გურჯი ჰქვიათო.

1922

ვინც რომ ლხინი არ იცის

ვინც რომ ლხინი არ იცის,  
ქვეყანაზე რად არი,  
ვინც რომ ფულზე ლოცულობს,  
დასამარხად ღრმად არი.

ზოგი ღორი კაცუნა  
მუქთად ჰამა-სმად არი,  
სხვის სუფრაზე გორაობს,  
თითონ სხვისთვის ბრმად არის.

ზოგსაც უყვარს ქეიფი,  
თან კი ჯიბე თბლად არი,  
უნამუსოდ გაძღება,  
გასაპარად გზად არი,

დახარჯავს და წაიღებს,  
თან თითონ მწყურალად არი,  
კალებს ისე გაურბის,  
როგორც ღორსა თათარი.

ვინც ხარჯავს და არ აძლევს,  
ის სვინდისთან მტრად არი,  
თავის სისულელობით  
ყველგან პირშავად არი.

ვინც მარიფათს არა სცნობს,  
გაუთლელი ქვად არი,  
პურადი და ბილანი —  
ის კი ყველგან ძმად არი.

ჭირში, ლხინში მოძმესთან  
მუდამ მეგობრად არი,  
ვის რა ფერად შეღებავს,  
იეთიმ-გურჯი მზად არი.

1923

## კაცობა ქუდში არ არი

საქართველო  
საბჭოთაო

კაცობა ქუდში არ არი,  
ტვინი კიდე შარვალშია,  
ზოგი კაცი რისთვის გაჩნდა,  
არ იცის, წესი რაშია.  
ზოგს ჰგონია ბრილიანტი  
მოდის კუმისის ტბაშია,  
ზოგიც იტყვის, მარიფათი  
ხეებს ასხია მთაშია.  
როცა მეგობარი გლოვობს,  
იმას გაუღის ტაშია,  
კაცობა, გამოცდილება  
განა მეტი სწავლაშია,  
სპილო კითხვას ვერ ისწავლის,

რამდენიც ურტყა თავშია,  
კაცი უნდა მთვარეს ჰგავდეს,  
ბნელი გვინათოს გზაშია.  
მომავლენა მეგობარი,  
ვაეკაცი ავლამბარშია,  
ქულგასავით თავზე აღდა  
ტანჯულ მოძმეს ავლარშია,  
ოქროსავით გამოდგება  
ამხანაგთან აეკარგშია,  
მოუშლელად ჩაიწერა  
იეთიმ-გურჯის დავთარშია.

1921

## ერთი ჩიტი მამიფრინდა

ერთი ჩიტი მამიფრინდა,  
არ ვიცი, რად მამიგონა,  
იმ დღის სახელი დავარქვი,  
ვუძახოდი თამრიკონა.  
ჩემთან გალობა დაიწყო,  
შავატყე რო მამიწონა,  
ღმერთისავით ვდარაჯობდი,  
არ წამსვლიყო თამრიკონა.  
სულერის თავში ისა მყავდა,  
როგორც მაზა ვარდის კონა,  
ჩემსა ხატად ვლოცულობდი,

არ გამიწყურეს თამრიკონა.  
ერთი კვირა მევიქცია,  
ტკბილად თავი მამიქონა,  
სიყვარული გულს ჩამიგლო  
და ვაფრინდა თამრიკონა.  
ალბა ვარ კაცი ქვავზე,  
იეთიმს გული დამიღონა,  
რად მეჩვენე, რისთვის წახველ,  
სირცხვილი შენ, თამრიკონა.

1922

## გულით სიმღერა მწადიან

გულით სიმღერა მწადიან,  
ენა შამფურს ამიგია,  
მინდა ვთქვა და ვერა ვბედავ,  
ვერაფერი გამიგია.  
გულში ვმღერი საიდუმლოდ,  
პირი კი ვერ გამოიღია,  
მევე ვწერ და მე ვკითხულობ,  
მელნად ცრემლი ამიღია.  
ქვეყნად ჩემთვის ყველა ბნელა,  
არაფერი მიხარია,  
რა წამალიც მოვინდომე,

ის ექიმნი არ არიან.  
მხოლოდ ორნი ვართ სოფელში,  
სასაფლაოს ქვეშესა ვგავართ,  
ვერც ვუბედავ, ვერც მიბედავს,  
ორნივე უთქმელადა ვდგავართ.  
ხან ორივეს გვეცინება,  
პირად რო შავხვდებით როცა,  
იეთიმ-გურჯსა მე ის მიკვირს —  
არ ვიცი, ვინ შავვილოცა.

1923

**ბედს ყველასთვის თითო რამე**

ბედს ყველასთვის თითო რამე  
 მიუცია, მასზედ ხარობს,  
 მე კი დავრჩი უპატრონოდ,  
 ობლად ვარ, არეინ მბრალობს,  
 ჩემი ბალი გადაშენდა,  
 სულ ჯანღშია, აღარ დარობს,  
 მზეც ღრუბლებში გამხვევია,  
 მის სხივებიც აღარ მწყალობს.  
 დაჰქანა სიყვარულის ვარდი,  
 მგოსნის ენა აღარ გალობს,

გამხმარ ბაღში, ძეძვ-ეკალში  
 იგლოვის და ბედსა ნანობს.  
 გატყუდა სიხარულის ჩანგი,  
 დღენი ჩემი ასე წვალობს,  
 ყველას თავი-ვანაცვალე,  
 მაგრამ მე კი არეინ მყვარობს.  
 იეთიმ გურჯო, ვისთან ჩივი,  
 სუდიაც დედინაცვლობს,  
ლოდ დაქვის წინ, როდესაც დემეტრეს ქრისტიანულ დიდებულებს ვამოეწუვდონა „...სახედა მკვამედის ვარგე“, მემატინან ვამოკვეცებს ამათაც. რას აკეთებს დემეტრე ამის შემდგე (წიარებას იღებს). ე. ა. ავტორი ამ დროსაც მუდის ვერბლით ჩანს (გვ. 201). მნიშვნელევანა სხვა დეტალებზეც უვით აღნიშნული ვვიცნობ, რომ დავით უფლისწულის ტახარ ნონინბაში მავგარის ეპიპოდში („ტახარ წარბევანა (დავით) სახლბა თვისხა...“), საინტერესო ინფორმაციათა მოცემული. ვამთადმწერელი აქ ასეთი ნიუანსების ცოდნას აშეღავებს, რომელიმე მითიოდ თვითმხილველბისათვის თუ იყო ხელმისაწვდომი. მემატინან არა მარტო კართული, არამედ უნებლიედ მონდოლთა კარის მოხედვლათა საუკეთესო მცოდნედაც ვამედინებთ. პირველ რიგში, უნდა აღნიშნოთ, რომ მის მეტრ დასახელებული დავითის შემფარველი ტახარ ნონინ, აღბანათ ხინაშვალევნო კარგად ცნობილი მონდოლი მხედარმთავარი თადარჩ (ან თოდარჩ) ნონინი; ხოლო ტახარის უახანლო ზოგა, რომელსაც უშუალოდ „შეადრებს“ დავით უფლისწული — შემდგომის იღბანათა კარგე არა ნაკლებ ცნობილი ფინანსთა მინისტრი (სამხიდევანი) სადრ აღ დინ ამბედ აღ წენანი ანუ აღ ხალიდა. სამარსული წყაროები ერთმანდალნიშნევენ სადრ აღ დინსა და თადარჩის ახლო კავებრსა და კეთილმოუყვარობას.<sup>10</sup> როგორც ვხედავთ, ვამთადმწერელი, ამ ერთ ფრანკში ზუსტ ინფორმაციას ვეჭვობს. 1289 წ. უბრალო ზოგა სადრ აღ დინი, ცოტა ხნის შემდგე („ოუკანასკნელი“, კერძოდ კი 1292 წ. მართლად სპახი-დივანი ხლბა),<sup>11</sup> მოვლენის ეპიპოდურბობის ვაშო, ვამთადმწერელი დავითის შემფარველი ზოქის სახელბაც კი არ ასახელებს, მაგრამ თავისდაუნებურად აშეღავებს აღწერილი მოვლენის თანადამწერობას (საინტერესოა, რომ მოვლენიო ხანის ესტორიკოსი ფარსადან ვორგუჯანიძე, ვამთადმწერლის ტექსტის შეხამების ავჯილის ვაღმოკეშების, პირდაპირ სადრ აღ დინს უწოდებს ხსენებულ ზოგას) სხვათა შორის, ამ მომენტისათვის ჭარბ კიდევ ე. თორბანას მიუტყვეთა ურბადვბამართალია. იგი ვერ არკვებს ამ ზოქის ნამდვილ ვინაობას, მაგრამ სამარტლანანდ აღნიშნავს: „მემატინის მოხბობბას ისეთი ძალადუტანებელი, ზენარბივი მიმდინარებობა აქვს, რომ ვეკონებთ, ეს ეს არის... ახლად დახარგნებულ ვამბობბს თვლით ნათლბს, საქმით ვაწყიდლბს და დაწრებულბს... რა საქმით იყო ესტორიანა აღნიშვნა ვიდაც უბრალო ზოქისი, თუ რომ ეს ზოგა ცოდნული არ იყო ამ მატინის დავრების დროს“.<sup>12</sup> უნდა ვავითვალისწინოთ ჩვენითვის საინტერესო წინადადებბს ვაღმოკეშის ფორმაც, ავტორისათვის ამ მოვლენის ავჯილს წერტილი 1289 წელია. მემატინან ბაშინ იცოდდა, რომ დავით უფლისწულის შემფარველი პირი

უბრალო ზოგა იყო. მოგვიანებით კი, ეს ზოგა მაღალი თანამდებობის პირი — სახიზ-ღვიანი ხდებოდა. თუ ავტორი ამ ამბების პირადი დამწერე არ არის და მოკლებებს რეტროსპექტიულად გადმოსცემს, ე. ი. თოდოს წერტილი მოკლებ-ნის თანადროული კი არა, მოგვიანოა, მაშინ იგი-ვე წინადადება გამოადმწერელთან ასეთი ფორ-მით იქნებოდა გადმოცემული: დავითი შეე-ვედრებს სახიზ დივანს, რომელიც მაშინ უბრა-ლო ზოგა იყო. ამავე დროს, თუ გამოადმწერ-ტილი გადმოცემული მოკლებების თანამედრო-ვი და დამწერე არ არის, საიდან ვიცოქ მან თუნდაც ასეთი წერილმანი, თუ კონკრეტულად ვის ჩააბარებს დავით უფლისწული ტაჩარ ნოინის კარზე.

ახლა განვიხილოთ გამოადმწერლის პირადი დამოკიდებულება დემეტრე შერატესა და დავით VIII შიშართ. თუ გამოადმწერლის შრომის ტენდენციების დახასიათებისას, მხოლოდ იქი-დან ამოვალთ, რომ ის საეკლესიო პირია, წარ-მისობით მუხი და ძლიერ დაამტკიცებულია ქა-ველებთან (რაც დავას არ იწვევს), აუსწნელი და გაუფიქრარ ჩნება მისი საოცარი, სწორედ საშვედლო პირისაგან მოულოდნელი შემყნა-რებლობა დემეტრე II და მისი პარშო დავი-თის მიმართ. ამ საკითხზე საუბრადებოა, ახე ვოქვათ, დაუინტერესებელი პირის, ივანე ჭავ-ჩაშვილის პოზიცია. იგი, გამოადმწერლის ტექს-ტიდანვე გამოიძინარე, მკაცრად ახასიათებს როგორც დემეტრე შერატის პიროვნების უარყო-ფით მხარეებს (მოხმებვილიობისაკენ მიდრეკი-ლება, სამკლავიანობა და ა. შ.), ისე განსაკუთ-რებით დავით VIII მოღვაწეობას. იგი, ჭავჩა-შვილი წერს, რომ დემეტრეს დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, ძალზე შერყეული ყოფილა-იგი დემეტრე II პიროვნების ლაშა გიორგისას იდარებს. შემეტიანისგან განსხვავებით, რომე-ლაც, როგორც ცნობილია, სახტიად კიციანს დაშას და მის დას რუსუდანს, ივანე ჭავჩა-შვილი ლაშა გიორგის, დემეტრე თვედადებულ-ზე მალდა კი აუენებს. იგი წერს, რომ დემეტ-რე, ლაშა გიორგისგან: „იით დიდად განსხვავ-დებოდა, რომ თუ ლაშა თავისი გულის სტარ-ფოს დეარგვის შემდეგმ, საეკლესიოდ ცოლა იდარ შეითო, დემეტრე II, პირაქით, ერთი ცოლით თავისი... გრძინბა ვერ დაქვაყოფილა და საშავი კი გაუწაწილა“-ო (კ. კეკელიძის სა-ხელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჭავჩა-შვილის ფონდი № 261, ფ. 878-877 „ქართველი ერის ისტორიის“ ეს აბზავი, იტყობი გამოცე-მაში არ დახედეილა).

პირი უფრო უცნაურია საეკლესიო პირის, მოთაღმწერის ნორშების მკაცრი დამკველის — გამოადმწერლის ასეთი დომინირი დამოკიდებ-ულება დემეტრეს მიმართ. შემეტიანე ვერ მა-ღავს დემეტრეს ისეთ უარყოფით თვისებებს, რომლებიც, თავი რომ დავანებოთ ქართულ

ადამ-წიებს, დრმად მოჩწუნე სახულიერო პირისათვის, უადრესად აღმასწინებელი უნდა ყოფილიყო. აკი შეფეს მართიადმწერლად ამბი-ლებდენენ კიდევ თურმე ხაბლი მოაწინდელი და ნიკოლოზ კათალიკოსი, მაგრამ ამაოდ (გვ. 282). ნიკოლოზ კათალიკოსის პროტესტი იმდე-ნად დიდი იყო, რომ დემეტრეს საქციელის გამო, მან დემონსტრაციულად დატოვა საკათო-ლიკოსო ტახტი (გვ. 276, 282). დემეტრე საქ-მაოდ ვერცხლისმოკვარცე ყოფილა და კვენი-სათვის მძიმე დროს, დიდძალი ქონება დაუგრო-ვებია. საინტერესოა, რომ დემეტრეს საგანძურ-ში ერთი ნივთი (სარტყელი) იმდენად განთქმე-ული ყოფილა და ჩანს გამოადმწერელსაც არა-ერთხელ უნახავს, რომ შემეტიანე შას ასეთი ფორმით ამბენებს — „სარტყელიცა იგი დიდ-ფისინა“-ო. ამას გარდა, დემეტრემ ხაბი ცოლი მოიყვანა, ხოლო თავისი და თამარი, მესამე ცოლად გაატანა მედროვე დაღუნ მანუაბერდელს (გვ. 276). შის დროს გრძელდებოდა, აგრეთვე საეკლესიო მიწებს გამოწირვის ხსენებული პროცესი. „იწყეს მოთვარა ხელის შეხებად საუღართა და მონასტრთა“-ო (გვ. 276), გუ-ლისწყრომით წერს შემეტიანე. საოცარი სწო-რედ ეს არის, რომ ყოველივე ამის შემდეგ, გამოადმწერელი თავის თავს მხოლოდ ამის უფლებას აძლევს, გაკერით აღნიშნოს, რომ დე-მეტრე მართებულად ჯიდან მცირად გადაუტია და „ურისებოთა კეთილთა შერე აღტყეული, მცირედ სობროტედ მიდრეკა“-ო (გვ. 282), ივანე იოქმის დავით შერატის მიმართაც. შემე-ტიანის დამოკიდებულება დავითის მიმართ ყვე-ლაზე რაციონალურად ჩანს რუმის („სახერძნე-თის“) ქალაქ ტუნდუზლის განდგომილების აღწერისას. ამიტომ უფრო დაწერალებით გან-ვიხილოთ ეს ეპიზოდი.

1281 წ. ავგუსტოს ბოლის მონღოლ-ილხანებს განუდგა რუმის (დღ. თურქეთი) გამგებელი თო-ღაჩანი. იგი სწორედ ის ტაჩარ-თაღაჩარია, თი-მელმავ ამ ამბებშივე სულ ხამოადე წლით ად-რე, დემეტრე II დასჭისას, დავით უფლისწუ-ლი დაღუტვას გადაარჩინა. გამოადმწერლის მოწმობით, დავითმა კიდევ კარგა ხანს დამყო თღაჩარის კარზე. მართალია, უფლისწული „იწროებოთა შინა“ იმყოფებოდა, მაგრამ, თურ-მე. „ტაჩარ, თანა-შეიწყოდა დავითს“ (გვ. 283, 284). ამ დროს გარდაიცვალა დემეტრეს დაშქელი უენი არღუნ. ახალმა უენმა ქეღ-თუმ (1281-1285), ვითარება სწორედ შეხაფე-რისად, ჩთველა, უმრეწულად დასჭილად კარტვე-ლი შეფის ძის ლთალობის გამოსარკვევად. ამ მიზნით, მან რუმში, თაღაჩარის აქანების ჩასახ-შობად ვაჯუნა არა საქართველოს იმდროინ-დელი მეფე ვახტანგ II (1289-1292), არამედ დავით უფლისწული. ამგვარად, დავით უფლის-წულს აღტრინატივა წაუყენეს: მან ის უნდა გაიღლაშქრა თავისი ცოტანისწინანდელი ში-ა-

მაგისა და სიკვდილისაგან გადამარჩინებს წინა-  
აღმდეგ. ან უნდა გამოთხოვებოდნენ მეფობაზე  
უტყობ. დავითმა პირველი გზა აირჩია. მართ-  
ლად, მონღოლებმა სწრაფად ჩაახშვეს თაღ-  
ჩარის აჯანყება და უკან მობრუნებულ დავითს  
სათანადო პატივიც მიაგეს — საქართველოს  
სრულუფლებიან მეფედ დაამტკიცეს. „ვინათჳან  
დასდგუ თავი უფრო მსაზრებნად ჩემთვის და  
სდგანად ერთგულეებას ჩემსა უფად, მომიცემა  
მეფობა და სამეფო უფრო უცვლელი“ (გვ. 287).  
ამ სიტყვებით დაულოცა მეფობა დავითს ქვაბ-  
ით უცნობა. როგორც ამ ეპოქიდან ვხედავთ,  
დავითის საქციელი მანქანაზე მისწრაფი და  
აღსანიშნავი არ არის. საინტერესოა როგორ  
იქცევა: ამ შემთხვევაში გამოთქმულია. ამ  
შინაგულად მკვლევარებს იგი ვერ აუკლის  
გვერდს, მაგრამ გამოხატავს ამისი პოპოლარობა,  
რომ აღწერილი ეპოქიდან საერთოდ არ ასახე-  
ლებს რუმის გამაგარი გამგებლის — მისთვის  
კარგად ცნობილი თაღჩარის (ტაჩარის) სახელს,  
მემბრანე შეგნებულად. ხაზგასხიით აღნიშნავს  
მხოლოდ იმ ქალაქის სახელწოდებას (ტუნდუ-  
შალო), რომელიც თაღჩარის იმუფობდა  
(„განდა ქალაქი... ტუნდუშალო“). მეორე მხრივ,  
ეს ქალაქი ამ ამბების აღწერის სპარსულ წყარო-  
ებშიც კი არ იხსენიებს (მაგალითად, რაშიდ  
აღ დინის „მატიანეთა კრებული“). ქართველი  
მემბრანის ახსნაზე ბერძენი ჰერმის იტალიკოსი  
ყუთის, თავის დროზე, დახატულა შემოიტა-  
ნა. მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი, მაგალითად,  
ერთმანად აღნიშნავენ სპარსული წყაროების  
თაღჩარის აჯანყებისა და გამოთქმულებისუ-  
ლი ტუნდუშალოს განდგომილების იგავობას.  
მაგრამ ისინი გაკვირვებულნი იყვნენ, რა აუ-  
რეს ქალაქი ტუნდუშალო და რატომ დასჭირდა  
მისი ხსენება გამოთქმულების.15 ჩადგან გამო-  
თქმულების ხსენებული ბერძენი ამოცნობილი  
ვერ იქნა, ისინი ამ არასწორ დასკვნაზე მი-  
ვიდნენ. თითქოს ტუნდუშალო ქალაქის კი არა,  
პიროვნების — თაღჩარის და მანხანგებულო  
ფორმა უფიქრობს. სინამდვილეში, რუმში ახე-  
თი ქალაქი წამდლოდ არსებობდა. ამას მოწ-  
მობენ არაბული, სომხური და სხვა წყაროები,  
სადაც ეს ქალაქი თითქმის იხეივლი ტრანსკაპ-  
კაციით — „ტუნდუშალო“, იხსენიება.14 სახე-  
ლოვან მკვლევართა არასწორი დასკვნა იქნა გა-  
ნაპარობა, რომ არ იქნა გათვალისწინებული  
(ან ამოცნობილი) მემბრანის განწყობილება შე-  
ფის მიმართ. მემბრანე აქარად ერიდება, რა-  
მედნადე კი შესაძლებელია, დავით VIII აუჯად  
ხსენებას. აღწერილი მომენტის გარდა, სხვა  
შემთხვევაშიც, იქ, სადაც ივ. ჯავახიშვილი და-  
ვითის წინააღმდეგობას დაუნიშნავდა აკრიტა-  
ციას, მემბრანე ფაქტების მშრალი აღნუსხვის  
გამოყოფილდება.

გამოთქმულების ახელი პოპოლარ მხოლოდ  
მასინ ხდება გასაგები, თუ ვეკვლივსმებრ, რომ

იგი დემეტრეს საქართველოსათვის თავადების  
ოპიეტორი დაქანების გარდა, უმეტესად მის  
კარგეა გაზრდილი; რომ, „გარდა... მემბ-  
რანის დავალი მიუძღვის აგრეთვე დავით უფ-  
ლისწულის აღზრდასა და სიკვდილისაგან გადარ-  
ჩინის საქმეს. ყველა ამ პირობას პირდაპირ  
პასუხობს ამ მღვდელ-მონაწილეს მისენ პირობა-  
ნება, რომელიც დემეტრეს დასჯასა ფავორი-  
რებს. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე მუ-  
წავდა დახანაიებული, ზოგჯერ რაბი მის შე-  
სახებზე მანც მოცემულია. თუ გამოთქმულების  
მის მიერ (თითქოს სხვათაშორის) მოხსენიებულ  
მღვდელ-მონაწილეს მისენ მივიჩნევთ, მასვე ვსა-  
ნებდებო ავტორის, როგორც სამღვდელს და-  
სინამდვილეში, სამეფო კართან ურთიერ-  
ობისა და განაღობის (მისენ დემეტრე II „გაზრ-  
დილია“), ახელი დემეტრე II და დავით VIII-  
თან მისი დამოკიდებულება: მისენ პირდაპირ მო-  
წინააღმდეგობის დავით უფლისწულის გადარჩენის  
საქმეშიც და დემეტრე II გვამის მოპარებასა და  
საქართველოში გაგზავნაშიც. რაც შეეხება იმ  
გაზეთებს, რომ მემბრანე პირველ პარსია არ  
ახსენებს თავის თავს, ვფიქრობთ, ეს ადვილი  
ახსენებია. მღვდლებიც კი, ამ სახის იმუფლე-  
ბებში, ახელი რომ არ მოიხსენიება (ამიტო-  
მა „ქართლის ცხოვრებას“ უმეტესი მატრიანე-  
ბის ავტორი, უცნობი). თავდახალი მემბრანე  
ეროდება ხაზგასხიით თავისი დავალია გა-  
მოცემას, მაგრამ მიუძღვლიდა მანხანა ისიც, რომ  
მოთაწილად დაიწვევას მიეცეს მისი ზრუნვა გა-  
მზრდილი მეფის ცხედარსა და მის ძეგლს.

ამ ვარაუდის დასაბუთების, ცხადი ხდება იმ  
დაწვრილებითი დეტალებისა და ფაქტების წარ-  
მომავლობა, რითაც ახე უტყობი გამოთქმულების  
ისხულებს განაღობა მონაკეთია. ცხა-  
დია, მის მღვდელ-მონაწილეს, რომელიც თვითონ  
ესწერება დემეტრე II დასჯასა და XIII ს.  
მიწურულის სხვა მწოდებარე მკვლევანებს და-  
ნაწინააღმდეგობა და თვითმხილვითა, ამ გაუმარ-  
დეობა მათი დეტალური აღნუსხვა იმ დიდი  
მოცულობის საისტორიო შრომაში, რომელიც  
გეორგი Y მეფობაშია დასრულებული.

რაც შეეხება თვით ამ სახელს — მისენ, ქარ-  
თულ სინამდვილეში იგი ძალიან გაკრიტიკებუ-  
ლი არ არის, მაგრამ ძველი დროიდანვე გვეხდრება  
(გავისხენით თუნდაც მისე ზონელი). სინამ-  
დვილესა, რომ სინამდვილის ერთ მოგვიანო, და-  
ახლოებით XIV-XV სს. ბელნაწერში, იხსენიება  
„მღვდელი მისენ“, რომელიც აღნიშნული ბელ-  
ნაწერის გადამწერის საქმისთვის „ბერძენი უმარ-  
კია“.16 შესაძლოა, მას რაიმე კავშირი მქონ-  
დეს გამოთქმულების მოხსენიებას.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მისენ გამო-  
აღმწერლის მოდერნიზმის თარიღზე.  
თელი მატინიანდ გამომდინარე, სამართლი-  
ნად აღიარებული აზრია, რომ გამოთქმულები  
გეორგი ზრუნვისათვის თანამდებარე მოდერნი-

იუწყა ანტონ სებასტიანოზა ამის თაობაზე, იგი გიორგი V უმცროსი თუ უფროსი თანამედროვე იყო შატიანე, მართალია, შოტანდია 1817-1818 წლებში, მაგრამ ისტორიკოსი ახსენებს გიორგი V შერს ოსთა ქართლიდან განდევნასაც, ქაუთლით დამარბილებასაც და მონღოლთა უღლისტან განათავისუფლებასაც (გვ. 208, 256, 186). ამ უკანასკნელ საყოფზე, შემატიაწე სატოვად წერს, რომ XIII ს-დან დაწვებული, ქართელებს შემთხვევით აღარ მიეცათ მონღოლებზე გამარჯვება მოეპოვებინათ. ასე ვრძელდებოდა „ვიდრე ვამთამდრ ჩვენთა“-ი (გვ. 166). გვამწმობს იგი, მაგრამ ვითარება შეცვალა შატიაწის მდგენის, ე. ი. გიორგი V დროს. როგორც მონღოლთა უღლისტან განათავისუფლებზე წითილება, ისე ესმის ეს ცნობა იგი, ქავახიშვილს. უნდა ვთხოქროთ, რომ სწორედ ამის შემდეგ დაბედა შემატიაწეს სტრეილი, თვალწითელი წარმოიგინა შეთხველბასეთის შოთლი ის მძაღ ანწლოვანი პერიოდი, რაც ამ დროს შესანიშნავ მოვლენას, მონღოლთა უღლისტანსასტრულ, უძველთა წინ. ამიტომ არ იშურებს ვამთამდრეილი საქმბარ სიტყვებს გიორგი V შირართ. მის განმეფებას, ისტორიკოსი, დღის ვარსკვლავს — შოიების ამობრუნებას ადარებს („და იწყო შოიებმან აღმობრუნებებად“).

ჩვენი აზრით, შემატიაწის მოღვაწეობის ზედა ზღვარს განსაზღვრებს დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ვარემოებას, რომ ვამთამდრეილი არსად არ ახსენებს ლიბთიერეთის შემოერთებას გიორგი V შერს. ვახუშტის მიხედვით კი ეს 1880 წ. მოხდა (გვ. 801). უცნაური ის არის, რომ როდესაც შემატიაწე დახვედრთ საქართველოს ვითარებას აღწერს და მოვითხრობს დავით ნარინის შეილებს — კონსტანტინეს (გარდ. 1827 წ.) და მიქელეს (გარდ. 1829 წ.) შორის ატხელი ზეთობის შენახებ, ანტონი სიტყვით არ ახსენებს გიორგი V დახვედრთ საქართველოში ვადახვლას და მის შემოერთებას. იუწყა ვამთამდრეილი ვით ვარდაცვალებას მოსწრებას (გვ. 208). ამ ვარემოება შეიძლება ორგვარად იხსნას: ან უნდა მივიჩნიოთ, რომ ვახუშტის შესახებში ცნობა გიორგი V დახვედრთში ვადახვლას შესახებ სიბრძნელს არ შეესაბამება, ან კიდევ იმიო, რომ ვამთამდრეილი ამ მნიშვნელოვან მოვლენას ვედარ მოსწრო და ვარდაცვალო 1829-1880 წლებს შორის. პირველი მოსაზრება უფროდ უარსაყოფია, რადგან ლიბთიერებას შემოერთებას, ვახუშტის ვარდა, უტყუარად ამოწმებს „იწვედრ ქათა კოხისის“ ცნობაც (ქართლის ცხ. ტ. II, გვ. 304) და არაპირდაპირ უტყოფი წყაროც — 1880 წ. პეტრე ვერალდის წერილი, ამ წერილში დახვედრთ საქართველოს უძლიერესი ველოდლი შამია დადიანი შოთლი საქართველოს ამირსპასალარად ახსენებდა.17 აწვეარად, რინება შერს მო-

საზრება, ე. ი. ის, რომ საქართველოში ვედარ მოსწრება. თუ ვახუშტის მოსწრება ვამთამდრეილს არ აღნიშნა გიორგი V ეს უადრესად მნიშვნელოვანი დონისაა, ამ დროს, როცა გიორგი V უმცროსი მნიშვნელოვან ფაქტს — გიორგი V უმცროსის მიერ ოსთა განდევნასაც, ხაზგასმით აღნიშნავს (გვ. 208). ვამოლის, რომ ვამთამდრეილი გიორგი V უფროსი თანამედროვეა და დახვედრთ საქართველოს შემოერთებას (1880 წ.) იგი ვერ მოსწრო. ამ აზრს, თითქოს იგი ვარემოება ეწინააღმდეგება. ერთი ის, რომ ვახუშტის მიხედვით, ვამთამდრეილთან წახსენები ქაუთლითა დამორბილება, 1824 წ. მოხდა: მეორე ვარემოება კი ეს არის, რომ ვამთამდრეილი ერთვან გიორგი V შესახებ აღნიშნავს, რომ იგი „განდილთა უმეტეს შემადგომთა ქეფეთთა“-ი იგი, ქავახიშვილს თვის დროზე შატიაწე ყურადღება ამ წინადადებას და ვამოთქვა ვარემოდი, რომ აქ, ტექსტის ვეიანდილ დამაინქებათან უნდა გქონდეს საქმე და არა თვდაპირველ ვითარებათან. ეს ვარემოდი ექვან ვამთამდრეილს, რომ შემატიაწეს, რომელიც გიორგი V მოღვაწეობისას ცხოვრობს, მისი შემადგომი პერიოდის შესახებ ცნობები, ცხადია, არ უნდა გქონოდა. უკანასკნელ წახს, შვედევარმა რეველი კინამედი დადასტურა იგი, ქავახიშვილის ვარემოების სისწორეს. მართალია, თუ არ ვავლდისხებთ, რომ აქ განსაზღვრებლად ნათქვამ ფრანსთან, ანდა შერმინდილ ვადამწერთა შერს დამაინქებულ ტექსტთან ვავჯებს საქმე, ვამოლის, რომ შემატიაწე გიორგი V შემადგომ, ორი მეფის — დავით IX (1848-1860) და ბავარტ V (1860-1888) ზეობას შინც მოსწრებია. ე. ი. ამ შემთხვევაში ის სულ სხვა ცნობები — XV ს. მოღვაწე ვამოლის, რაც სავსებით ვამორიცხებია.

რაც შეეხება ქაუთლითა დავემდებარებას 1824 წელს, ამ თარიღს ვახუშტის ვარდა არავინ არ ახსენებებს, ხოლო ვახუშტის წყარო, ამ შემთხვევაში, ვურტკვევილია, ამავე დროს, თუ ამ თარიღს შევდარებთ ცნობას შამია დადიანის 1880 წ. ამირსპასალარობის შესახებ, შეუხაბამობა იქმნება, ე. ი. ვახუშტის მიხედვით ამირსპასალარობა 1824 წლამდე ქაუთლითა ვვარნია, პეტრე ვერალდის ცნობით კი, უკვე 1880 წ. შამია დადიანი ამირსპასალარი. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ვახუშტის, ეს თარიღი არასწორია აქვს ვამოთვლილი, რადგან უპირატესობა, დადიანთა ამირსპასალარობის შესახებ, უფროდ მოვლენების თანამედროვე პეტრე ვერალდის ცნობას უნდა მივნიჭოთ, უკელა სხვა, გიორგი V-თან დავავარებად მოვლენა კი, რომლებსაც ვამთამდრეილი ახსენებს — ოსთა განდევნა ქართლიდან (XIV ს. 20-იანი წლები) და მონღოლთა უღლისტან განდევნა, 1880 წლამდე სავლდისხებელი. ვვამ-

არის, ვამთაღმწერელი ამ წელს უკვე ცოცხალი აღარ არის და ჩაყვლით დამორჩილებაც მანამდე საგულისხმებელი.

შეჯამებული საბით, ანონიმი შემატანის შესახებ ასეთ დასკვნებს მივიღებთ: ვამთაღმწერელი წარმოშობით მესხეთიდანაა, სასული-

ერო პირია, სამეფო კარზე, ქვეყნებთან ძლიერ დაახლოებულია. შემატანის შემადგენლობაში დასწავლავს II დასწავლავს აღწერისას, როდესაც ახსენებს შვედელ-მონაწილს მოსენს. იგი უნდა მოღვაწეობდეს XIII ს. ბოლო რა ათეულში, ვიდრე XIV ს. 30-იან წლებამდე.

### შ ი ნ ი შ ვ ი ბ ი

1 ვახუშტი ბეგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლ. ცხ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 291.

2 იქვე, გვ. 10.

3 ვ. კიკნაძე, გიორგი V გამეფების თარიღის საკითხისათვის, საისტორიო კრებული, ტ. VII, თბ., 1977. აგრეთვე, ე. „მაცნე“ ისტ. სერია, 1983, № 2.

4 თ. გორდანი, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967 (დამატება I), გვ. 577-584; 3. ინგოროვე, რუსთაველიანა, თხზ. კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 118-120. კ. გრიგოლია, ვამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, „ქართული ისტორიოგრაფია“, I, თბ., 1968, გვ. 85-195.

5 ვამთაღმწერელი, ქართლის ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 153, 279, 260.

6 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 186.

7 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 86-87.

8 „ძეგლი ერისთავთა“, შ. მესხიას გამოცემა, მასალები საქ. და ვაგას. ისტორიისთვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 318.

9 ვ. კიკნაძე, ვამთაღმწერლის სირიულ წყარო, საქ. მეცნ. აკად. „მოამბე“ (იბეჭდება).

10 Рашид ад Дин, Джамии ат Таварих, т. III, Баку, 1957, с. 122.

11 იქვე, გვ. 136.

12 თ. გორდანი, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1967, გვ. 572.

13 ავ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 277-280, 246-247. შ. ზროსე, ქართლის ცხოვრება (ფრანგულ ენაზე), ტ. I, პეტერბურგი, 1850, გვ. 611, სქოლო 2.

14 რ. კიკნაძე, საქართველოს ისტ. წყაროთმკვლევების საკითხები, I, თბ., 1982, გვ. 190, შენ. 45.

15 ვ. კიკნაძე, ახალი მოსაზრება ანონიმი შემატანის ვამთაღმწერლის ვინაობის შესახებ. ახალგ. მეცნ. I ტესპ. კონფერენციის თეზისები, თბ., 1979, გვ. 49-50.

16 Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М., Л., 1940, с. 167.

17 ფურნ. „მნათობი“, 1982, № 9, გვ. 157-158.

18 რ. კიკნაძე, დასაბუღ. წიგნი, გვ. 54.

ზაურ კილაძე

## „მოლოზნის რეკვიემი“ — უილიამ ფოლკნერისა და ალგერ კამიუს ტრაგედია

ვისაც უ ფოლკნერისა და ა. კამიუს ტრაგედია — „მოლოზნის რეკვიემი“ წაუყითხავს, იმას უთუოდ ასეთი აზრი მოუვა თავში: მართლაც შეტად თანამედროვეა ეს ტრაგედია.

ხსენებულნი აზრის საფუძველს ქმნის, რაღა თქმა უნდა, მთელი თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა (XIX-XX სს.), რომელმაც ისეთი სიმაღლეები დაღაშქრა, ადრე რომ მიუღწევადი ჩანდა, მიუღწევადი ჩანდა იმის მიუხედავად, რომ მხატვრული ლიტერატურის შედევრები უძველესი დროიდანვე იწერებოდა.

ადამიანის სულის ხვედრები, ასევე, თანამედროვე ტრაგედიის საფუძველები ცხადივით ჩანს თ. დოსტოევსკის რომანებში, და „მოლოზნის რეკვიემი“ შეხანიშნავი ცდა არის პიესის საშუალებით გაგვაროთ ის, რაც უადრესად როდღაცა და რაც ადრე მხოლოდ რომანის მეშვეობით იყო გადმოცემული.

და მართლაც, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „მოლოზნის რეკვიემი“ სწორედ პაროზის — უ ფოლკნერის ერთ-ერთი რომანის ინსცენირებაა.

„მოლოზნის რეკვიემი“ თანამედროვეა არა იმიტომ, რომ ამ პიესის ამბავი ჩვენს დროს ხდება — ეს გარემოება ინადრეა ნათელი, არამედ მთავარი ის არის, ხსენებულ ტრაგედიაში არაუფროა იმთავითვე განაჩრობებულად, როგორცაა, ვთქვათ, „ტრაგედიათაგან ყველაზე უფრო ტრაგედიაში“ — „პამლეტიში“. „პამლეტის“ პირველივე სურათში ჩაქმდებულია მოსალოდნელი უბედურების ამბავი და მკითხველი თუ მსმენელივე მოედის კიდევაც ტრაგედიულ დასასრულს.

„მოლოზნის რეკვიემი“ ფორმის მხრივით თანამედროვე ტრაგედია და აქ წარმოჩენილია ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შენარჩუნებულია ის, რაც თანამედროვე ტრაგედიისთვისაა დამახასიათებელი და რაც ასე ახლობელია ჩვენთვის.

დამახასიათებელიაო რომ ვამბობთ, შემდეგ გარემოებას ვგულისხმობთ: თანამედროვე ადამიანმა უფრო იცის, რაც ადრეულ ხანაში ბნელი იყო მოცული. ამ ცოდნამ მხატვრულ ლიტერატურაში განაჩრობა ძიება ისეთი ფორმისა, რომელიც მისტიკური ბურსის გახაფანტავდ იქნებოდა მოწოდებული.

ადამიანმა დღეს ისეთ მწვერვალებს შიღწია (ნიშნულად გალექიონის პოეზია კმარა), რომ ბურსის რაღა სახსენებელია — კაცის სულის რეალობა ხაქმოდ ნათლად ჩანს: დღეს სხვა დროა. ასე რომ არ იყოს, მთლად გაუგებარი იქნებოდა უ. ფოლკნერისა და ა. კამიუს ტრაგედია, რაღადა ადამიანისათვის თუარდაწყდებოდა და აუტანელია ჩვილის მკვლელობის ამბავი, და ვინ იცის, სხვათა კლმით რომ შექმნილიყო მსგავსი ტრაგედია, სრულიად აბსურდული გამოჩნდებოდა, მაგრამ ამ დიდ შეოქმედება მოწონებოდა განაგებია მკითხველისა და მსმენელისათვის. ასეთი გაგება იმისი საწინდარი ხდება, რომ ადამიანი უფრო ამაღლდეს, თავისი თავი შეივინოს და ამ შეცნობის შედეგად განიწმინდოს კიდევაც.

მთელი ეს პათოსი თან ხდვის ამ ტრაგედიაში. მთლად ჩვეულებრივი არ უნდა იყოს ეს პათოსი აი ამ თვალსაზრისით: თავად ცხოვრების ძირისძირთან, ადამიანის მთელ მოდგმასთანა

წილნაყარი იგი და ამიტომ ამ ტრაგედიაში ყოველივე კეთშარიცა, ცხადია, წარსუალია.

უ. ფოლკნერმა და ა. კამიუს საცნობარო განადგურებამ და, რომლის ხელვა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეტულებელია — მხოლოდ ამ ტრაგედის გაყვანის შემდეგ შეიძლება გავიგოთ ადამიანის ერთერთი საიდუმლო, რომელიც საიდუმლოდვე დარჩებოდა, ეს ტრაგედია რომ არ დაწერილიყო თავად განსაქეთ, ვთქვამო და, რადლოც ცხოვრებაში ვნახეთ ან მოვიხმინეთ ეს ამბავი. ამ ამბის სწორად ახსნას ვერ შევძლებთ, ჩვენთვის უცნობი იქნებოდა ტრაგედის მონაწილეთა მნიშველი მოტივეები და ამიტომ ვერ გავიგებდით წენის მანაქოუსა და თემალ დრეივის სულის ჭურღმულებში დაძირულ თვალთუჩანარ რეალობას. და არა მარტო ჩვენთვის — თავად გმირებისთვის, თემალისა და ჰოლენისათვისაც უცნობია თავთავიანთ პიროვნებათა მეოხა და მთელი ტრაგედია გმირებისა და მკითხველთათვისაც ამ საიდუმლოს გამოშწურებთა.

მაგრამ ამ საიდუმლოს გამედავენებით, ანუ ამ პიესის შექმნით არ ამოაწურება უველაფერი; შედეგით დაიწერა — თვალთუხილავი რეალობა უკვე წარმოჩენილია, და ეს ისეთი რეალობაა, რომელიც განსჯანა და გაჩრევის მოითხოვს და ასე, ძნელად, მაგრამ შეძლებისდაგვარად შეიძლება განიშარტოს ზემოსხენებული რეალობა. თავად ამ რეალობის სრითულე გვაყენებს ამ აუცილებლობას. პიესის დასაწყისშივე ცნობილია თუ რა დასავა ნენსიმ და რა განაჩენი გამოუტანეს ამ დანაშაულის გამო ნენსის ამბვის ფონზე მეორე გმირი წარმოგვიდგება — თემალ დრეივი, დაღუპული ბავშვის დედა, თავის ოჯახში დატრიალებული უზედურების შემდეგ რომ წავა შობილიური ქალკიდან და მხოლოდ სასამართლოს დღებში დაბრუნდება უკან და კიდევაც მოვა სასამართლოზე.

მთელი ეს ხანი, მკვლელობის დღიდან განაჩენის გამოტანის დღემდე და შემდგომაც, როდებაც კვანძი იხსენება, თემალი ჩვილის დაღუპვით შეტრული, ნებაუნებლიე თავის შეცნობას ცდილობს, და ეს ცდა მოწმობს, რომ იგი, ბიწიერების მიუხედავად, ადამიანის სახელის დიარსია, ნენსიმ რომ დაუბრუნა მას.

ორი პაროვნება იბრძვის თემალში და, როგორც აღმოჩნდება ბოლოს, ის გამაჩრევებს, ვინც, ნენსის აზრით, გამაჩრევების დიარსი იყო.

ნენსი ხომ ორ თემალ დრეივის იცნობდა, ვინც იყო და ვინც შეიძლება ყოფილიყო და არ იყო იმტომ, რომ სრულად დაენთქა ბიწიერების ლექს და ასე მხოლოდ ეს ლექი ჩანდა ამ ქალის ცხოვრებაში.

თავდაღუ ბიწიერების მორცვით შიჯაცებულ ნენსისთვის სწორედ ეს გახლდათ აუტანელი,

რადგან მისი არსება სულის ხიღრმეში იყო წმინდა და მშვენიერი...

ჩვენ აქ იმ საიდუმლოს მივუხილავდით, ამ ტრაგედიის შეშევობით რომაა წარმოჩენილი, როგორც წარმოჩენილი და არა ახსნილი, რადგან ბელოვენების — ამ შემთხვევაში უ. ფოლკნერისა და ა. კამიუს მიზანი წარმოჩენაა, ხოლო ახსნა და გაგება ჩვენი, მკითხველია და მანუგრებელია თვლია.

ძველთაგანვეა ცნობილი, თუ ჩვენი განცდების ანალის შევეცდებით, მათინ ეს განცდები უკალოდ გაქრება ხოლმე.

იქნებ ამ გარემოებამ გამოაშქმევინა გოთის საყურთი თავზე: „უყოფელთვის ასე ამბობდნენ და იშორებდნენ, თითოეული საყურთი თავის შეცნობას უნდა ცდილობდესო, უცნაურია ეს მოთხოვნა, რისი შესრულებაც აქამდე ვერაინ შესძლო და არსებითად არც არავის სჭირდება ამისი შესრულება. ადამიანი მთელი თავისი ვრძნობებითა და მისწრაფებებით საწყაროსთანა დაკავშირებული, იმ საწყაროსთან, მისი გარემო რომ არის და ადამიანის ამოცანა ის არის, რომ შეიმეცნოს ეს საწყარო და იმსახუროს იგი... თავის თავზე კი მან არაფერი არ იცის“.

ხიენებული გარემოება თანამედროვე ფიქლოლოგიური მეცნიერების მიხედვით შეიძლება ასე ახსნას, — განცდებში შესაძლოა ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი რამ არსებობდეს და მათი ერთმნიშვნელოვანი ახსნა უკვე შეუძლებელია ხდება.

სწორედ ამ ტრაგედიის საშუალებით ცხადლეე ვხედავთ ურთიერთგამომრიცხავ განცდებს — სიკეთისა და ბოროტების კვილილს არა სხვადასხვა ადამიანებში, არამედ ეს კვილილი ცალკეულ პიროვნებათა მიხედვითაა გადმოცემული.

კიდევ უფრო ჩვეულებრივად შემოიქმნეს „მამლეტში“ სიკეთისა და ბოროტების ფუნქციები, მარტოად რომ ვთქვათ, სხვადასხვა გმირებს შორისაა დანაწილებული, და ყველ ბოროტებას, რაც კი ამ ტრაგედიაში ხდება, ერთი წყარო აქვს. ოფელიას საყვლელიც, რისი უშუალო მიზეზიც მამლეტია, წარმოდგება იმ ბოროტებთან, რომლის მღერიც და სახედისწერო შორცეს მამლეტი დაუნთქავს. ასე რომ, კარგად ჩანს ამა ტრაგედიის გმირების ერთმნიშვნელოვანება, ანუ ის, რომ ეს ტრაგედია ასეთი სახით, ასეთი ფორმით არის დაწერილი.

„მოლონის რეკვიზიტი“ მთავარი გმირებია არაერთმნიშვნელოვანი არიან — სიკეთისა და ბოროტების მატარებელი ერთდროულად. ადამიანის სიწმინდე და ბიწიერება ერთი პიროვნებითაა გამოშწურებული.

ცხადია, გარკვეული თვალსაზრისით, მთავარი გმირების საქმენიც არაერთმნიშვნელოვანია, არაერთმნიშვნელოვანია ჩვილის მკვლელობის ფაქტაც, რაკილა ეს ბოროტება და სიკეთიც, და ამ ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს თავისი



შეუვალა ლოგჯიკა აქვს — მთ შორის ზღვარი ისეა წაშლილი, რომ თავად ეს ცნებები კარგავს თავის ოდინდელ ტრადიციულ მნიშვნელობას და ახალ სახელებს მოითხოვს — შეიძლება აღამაინე ამ ცნებათა ხლართებში დაინტაქს და იმითომ... თუმცა ამ სახელების დადგენა მომავლის საქმეა. იქნებ შეცინებებამ — იგი რომ, შეიძლება ასე ვთქვათ, სულითა და გულით ესწრაფის ამას — შესძლოს და გადაჭრას ეს ურთულესი პრობლემა.

დღეს ზემოხსენებული არაერთმნიშვნელოვანება ასე შეიძლება გამოიხატოს — ბოროტება მოვლად ბოროტება არ ყოფილა, იგი სიეთეცაა ამავე დროს და, თავის მხრივ, სიეთეც მოვლად სიეთე არ ყოფილა, იგი ბოროტებაცაა ამავე დროს.

კონკრეტულად თუ ვიტყვით, ნენსის შიერჩაოლის შეკვდილობა მოვლად ბოროტება არ ყოფილა — ნენსის თქმით, ჩვილი „კვათაზე უნდა მიატოვროს და მშვიდდო, ცოტა ხანს იქნება იქ, სულ პატარაა, დღეებან ვერ იტირებს, არც არავინ გაიგონებს, არაფერ მოვა სპვედლად — სახლი რომ შეშებდ ვერაშიდე იქნება დაეცოდო, იმ დღემდე, სამამ ჰოუენი დაბრუნდება...“ ანდა, შიერე ვარაირტ, ნენსიმ ჭერ ან იცის, რომელს აირჩევს თემბო: „გოჯონა? ხელში რომ მოგადებს ის არააზნადა, მთელ რაბს უველაფერს გამოტყუებს და შერე ბავშვს ჭურაში გამოგადებს“.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ზემოხსენებული ბოროტებით ავსებული სიეთის გამოვლინება. ასე რომ იუბს, ნენსის დანაშაული ახსტრდული გამომჩნდებოდა — „თქვენ ბავშვები, არ რა არის მოვარა... თქვენს ქმარს უვეი ევა უნარება, რომ ბიკი მისი შევლია, თუ წაზელი, ამაში დარწმუნდება, შეზოხლდება და ბიკი ცულ დღეში ჩავარდება... პატარები არ უნდა გასტანჯოს შიშმა და სიკვებელმა, მათი დაცვაა საქირო. უველასი, ან იშათი მინც, რომელთა დაცვა შეიძლება, თუნდაც ერთის, მაგრამ ამ ერთისთვის უველაფერი უნდა გაკეთდეს. თქვენ, თქვენ კი ორივეს მიტოვებას ამირებთ, ამოხვითი, ლაფში, ჩვენთვის კარგად რომ არის ცნობილი...“

ნენსიმ ცხადღე განსჯერტა თემბლის, და არა მარტო თემბლის, უდანაშაულო ბავშვების ცოცხლად ლეობის აშხავე. განსჯერტა და დასწრო, ისეთი ზღვარი ვაველო ქლის, დედის წინ, რომლის გადახაქება აღამაინტოობს და დედასა და გაირტყუებას ნიშნავს. სტატენსენის სახლში დატრიალებულმა უბედურებამ საიდანღაც, ახაცნობარების ჭურღუღლებიდან საქუთარის სულის ქვეშარტის, აღმადიერი ხატო წარმოიჩინა თემბლს. და ამ საწარელი სახის ბილვამ სულით ბორცამდე შესწრა, აღარ გადააბიჭებინა ამ ზღვარს.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ზემოხსენებუ-

ლი ბოროტებით ცხებულთი სიეთის გამოვლინება; სწორედ ამ უნდა ითქვას, რაც უველადე უფრო პარადოქსული და... არაერთმნიშვნელოვანია ამ აშხავეში — თავად ნენსის სული, რომელიც ამ ბოროტების გამო სიეთესთან წილნუარი წარმოგვიდგება.

ამ პარადოქსის ახსნა ასე შეიძლება: სწორედ ამ ტრადიციამ წარმოგვიჩინა ნენსის სული — ბიწერების მიღმა შოკათე ნათელი, ვამ-ვამად რომ ძალუშად აბრდღვილდება და ამ დროს შეიძლება მის გარშემო ურველივე დაიწყას. შეიძლება თავადაც დაიწყას და გამართედის კიდევაც — ზემოაღნიშნული არაერთმნიშვნელოვანების საფუძველი იქნებ ამაშია საძიებულო.

აღამაინის რეალობის განჭვრეტა, როგორც ვეცით, ძალზე ჭირს. ამითომ საქირა ეს რეალობა გავამარტებოთ და ასე გავაზროთ, და შერე იქნებ მთლიანი სურათი შეექმნათ. ქვემოთ მოყვანილი პასაუტის სწორედ ეს ზერის სხაძირკულია და შიეთების შეიძლება ამ რაღაც ცალმხრივად წარმოუდგეს, მაგრამ ამ ცალმხრიობათა კანში იქნებ გარკვეული მთლიანი სურათი მოგვეცეს საბოლოოდ.

ხეივბული გამარტივების შედეგობდა ვთქვათ — ნენსის თუდადება ისე არ უნდა ვავიჯოთ, რომ ამ შესაზარელი საქმით მან თავი სასჯელილოდ გასწირა, ძალზე პრაბიტული იქნებოდა ეს ვაგება. სიკვდილი არაფერია, არარალობა იმ ცოდახთან შედარებით, თავის თავზე რომ აიღოს ამ ქალმა. ნენსიმ თავიხი საქციელით თავი არა მარტო ბორცდილოდ მოიკეთო, არამედ ენით უთქმელი ტანჯვისთვის ვადიდო კიდევაც, და ამას თემბლი კარვად მიხედა, სწორედ ამან დასჯა თავზარი მას, ამან და იმანაც, რომ მთელი მისი ცოდვები ნენსიმ წამოკაიდა სამარტო ჩახატანად.

ბავშვის დაღუბვამ, მისი ცხოვრების ამ უმძიმესმა განსაცდილმა კი არ მოაქცია თემბლი აღამაინად, არამედ ნენსის თავგანწირვამ, „მსხვეტლად მიმხველლმა სულმა“. გუტუში განხვეული სანწინდის ნათებამ თემბლი აღამაინის სულიადესა და აშაღებებს მიახვედრა, და თავადაც აზიარა ამ სიდიადეს.

„გონებას შეუძლია ავეიხსნას, მაგრამ ჩენი დარწმუნება მას არ ძალუქს“, უთქვამს გოეთის. გოეთისული სიტყვები რომ გვემხსოვრეს, უველო ჩავუტეებთ თემბლის აშხავს. გონების თვლით ის ზედავდა თავის მომავალს, ნენსიმაც კარვად დაუბატა ეს მომავალი, მაგრამ გონების კარნახი უილაქო გამოდგება ისეთი ქალისთვის, როგორიცაა თემბლი. ნენსი მიხედა, რაღაცამ უნდა შესწარას თემბლი სულით-ბორცამდე, რაღაც ძალუქსა ვრძნობა თუ ვაცდამ უნდა განწმინდოს მისი სული ბიწერების მარტუღე ლევისხვან ერთხანად მოვარდნოლი ნიაღვარით, განწმინდოს ის აღამაინისებული ძირისძი-

რი, რომელიც კინაღამ არ დანთქა ამ ლექსმა, და არა მარტო ეს უნაწილო ქალი, სუფთლანის მის გაჩემო...

თემალის გამო რაც ითქვა, იმისი კარგი ნი-  
მუნია, რომ ზოგჯერ ფარტყულები მიმდგირე-  
ბის შედეგად გამოითქვება აზრი ამა თუ იმ  
გმირზე.

საქმე ისაა, თემალის ბიწირება არა მარტო  
მისი პირადებიდან მომდინარეობს (თუმცა  
თვითვემის წუთებში ის მხოლოდ საყუარ  
თავს ადანაშაულებს), არის რაღაც, თანდათან  
რომ გახდება ცხადი გმირების დალოცვის  
დროს, და ეს რაღაც თემალის ერთმნიშვნელო-  
ვნად ვერ დაგვიხსიათებს — ამ გმირის სუ-  
ლის წიაღში სიყვით და ბორცტება ერთმანეთ-  
შია აღრეული.

მართლაც, ერთი მხრივ, სიკეთის ქმნა ისეთი  
ქმნარის მიტოვება, როგორც ჰოუნიია.

სიტყვამ მოიტანა და ჰოუნზეც უნდა ითქვას  
როგორედ სიტყვა, თუმცა ძნელია იმისი ახსნა,  
რაც ჰოუნმა განიცადა.

განიცადო, რომ ვამბობთ, ეს ცნება დაზუს-  
ტებას მოითხოვს — თავადაც არ იცოდა მან  
სულის სიღრმეში რა ბიწს ატარებდა, მას არ  
ქონია შემთხვევა, აღეანა ეს ბიწი, მხოლოდ  
ტრაგედიაშ შესტლო ყოველივე ამოვიდა მისი  
სულის წიაღიდან და საინაო გახდა მისთვის,  
რაც სხვებისთვის, გვიან სტივენსისა და თემ-  
ლისთვის — უკვე დღეი ხანია იყო ცნობილი.  
თემალის ზემოთ მხედრობელი ბიწირება მარად  
დაუძინებელი მატლივით უღრღნიდა გულს და  
სიწვადეს უკარგავდა. დაბოლოს, შინიდან გა-  
ქცევა (სულ ერთია, ხელ და ვისთან ერთად) მას  
უკვე სიეთოდ მიაჩნდა.

ჰოუნის ქერ კიდევ ღმირს აქვს თვალზე  
გადკრული, ის ქერ კიდევ იმას ზედავს, რასაც  
სულმუღამ ზედავდა, მხოლოდ უძძიმენი ტანჯ-  
ვის, სულიერი კოლაზისისა და ამით გამოწვეუ-  
ლი კათარზისის შედეგად შეიცნობს ჰემმარი-  
ტებას, რომელიც საკუთარ თავზე აღამადლებს  
მას, საკუთარი დანაშაულის მიკვლევა მასაც და-  
უბრუნებს აღამიანის სახეს, რომელიც სახოლო-  
ოდ ჰქონდა დაკარგული.

სხენწილდი ჰემმარიტეკა ეი ეს არის:

„ს ტ ი ე ვ ს ი. შენ მგონი დამძინე: „და ეს  
მოსწონდა კიდევო“, არა?... თემალე ზომ თა-  
ვისდა უნებურად გახდა შენი ცხოვრების საზა-  
რელი დღეების მიზეზი. ამას ვერც დაივიწყებ,  
ვერც მისიერლებს, ეს ვაწამებს და, რაც შეიავა-  
რია, ამ ამბავს, შენი აზრით, მისთვის სულიე-  
რი ტანჯვა მიუყენებია. პირაქით, მოსწონ-  
და კიდევ იქ უოლნა... გგონია დღე საზღა-  
ურს იხდი შენი ცხოვრების ერთი საათისთვის,  
შენს ცოლს უე თითქმის არაფერი დაუპარგავს,

არაფერს ნანობს...” (ჰოუნე რეუბლეს მოვტაცებს  
და მის მომავალ მეუღლეს რამდენიმე სწუნი-  
მეტავე სახლში მოუხდება უოლნი, და სტივენ-  
სი სწორედ ამ ამბავს გულისხმობს).

ახლა კი თავად ჰოუნს მოვუხსნიო:

„მარტოკამ უნდა მოვიწინაო და ვავიტანჯო,  
შენც სცადე ასე და მიხვდები, რა სასაზოვნოა  
დარდი იმაზე, რაზეც, შენი აზრით, სწუბდი რვა  
წელიწადი. შენ რომ არ გადაკეროდი, შესაძ-  
ლოა, ცოლად მომეყვანა ჰეკანია და ღარსუე-  
ლი ქალიშვილი, ვინც მანამდე არ აღივწნებოდა  
ვნივით, ვიდრე საკუთარი ქმარი არ განანათლე-  
ხდა...”

განაქებებას და ბრალდების ამ სიტუცებში  
უკვე სხვა, პირადებისა და მისი გრძობების  
არაერთმნიშვნელოვანების მაცნე სიტუცები ჩა-  
ეისოება — „ჩვენ ერთმანეთი უნდა შეგვევა-  
რებოდა. შე და შენ ერთმანეთი უნდა შეგვევა-  
რებოდა! ნუთუ აღარ გახსოვს!“

სწორედ ეს არაერთმნიშვნელოვანება არის  
იმის საწინდარი, რომ სახოლოოდ ჰოუნე გაი-  
კვებს იმას, რომ ასე მტკავენული და აუტანელი  
იყო თემალისთვის.

ზემოაღნიშნული გაგება უბრალო ამბავი არ  
არის აღამიანის ცხოვრებაში — მისი ძალის გა-  
მოვიწინება რთულზე რთულია და მხოლოდ  
დღეი შემოქმედის კალამი თუ აღწერს ამას  
სრულად.

სწორედ დღეი შემოქმედმა — თ. დოსტო-  
ევსკიმ შენიშნა და განმარტა ეს გარემოება, ამა  
თუ იმ განსაცდელის გამო „უმეტესობისათვის  
ლოკაცური შედეგი ხანდახან იმ უძლიერეს  
გრძობად მიიქცევა ზოლდენ, მიელ მის არსებას  
რომ მოიცავს და რომლის განღვენა ან გარდა-  
ქმნა ძალზე ძნელია. ამ დროს ამ აღამიანის გან-  
კურუნა მხოლოდ ამ გრძობის შეცვლით შეიძ-  
ლება, სხვა, თანახარაქლიანიო უნდა შეიკვად--  
ოს იგი. ყოველთვის ძნელი იყო ეს და ზოირად  
შეუძლებელიც“.

თ. დოსტოევსკის სიტუცებს თუ არ დავივიწყ-  
ებთ, შეიძლება ვთქვათ, „მოლოზინის რყევი-  
მის“ გმირები და მათი საქმენი საიდუმლოებით  
მოსულნი აღარ ჩანს. ეს ტრაგედია კიდევ ერთ-  
ნი წინგადადგმული ნაბჭია „ზოგადი“ აღამი-  
ანის შეცნობის გზაზე.

ეს შეცნობაც არ არის უბრალო რამ, ვთქვათ,  
საიდუმლოს ახსნა და მტეკი არაფერი. საქმე  
ისაა, ამ შეცნობის შედეგად განწმენილი,  
თანაღმობით შემტრული გული აღამადლებს ამ  
გმირებს და დაგვანაბრებს იმ ღვთაებრივ ნათ-  
ერლს, რაც ვაწავებამ იმთავითვე დააღვა აღამიანს.

უ. ფოლკური იქნებს სწორედ ამას გულისხ-  
მობდა, აღამიანის უკედევებასა და გაჩრჭება-  
ზე რომ წერდა.



# დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ფილოსოფიური საფუძველი

საკვ ცენტრალური კომიტეტის იელსის (1983 წ.) პლენუმში თავის ისტორიულ გადაწყვეტილებაში გადაჭრით მიუთითა მთელი იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი აღმავლობის აუცილებლობაზე.

აღნიშნულ დადგენილებაში ნათლად მოსჩანს იდეოლოგიის საზოგადოებრივ-სამსახურებრივი ფუნქცია. სოციალისტური, კომუნისტური იდეოლოგია არის იდეების ერთობლიობა ბურჟუაზიული საზოგადოების გარდაქმნის შესახებ. ასეთი იდეები ჭერ კიდევ ბურჟუაზიული საზოგადოების გაართვაფზე წარმოიშვა, მაგრამ იგი მეცნიერული კი არა, უტოპიური იყო. მხოლოდ მარქსმა და ენგელსმა აქციეს უტოპიური კომუნიზმი მეცნიერულ კომუნიზმად. მეცნიერულად დასაბუთებს ბურჟუაზიული საზოგადოების უფრო მაღალ კომუნისტურ საზოგადოებად გარდაქმნის ისტორიულ-პრაქტიკული აუცილებლობა, უჩვენებს საერთო და კონკრეტული გზები და მეთოდები მის განსახორციელებლად.

მარქსიზმის ფუძემდებლებმა მეცნიერული კომუნიზმის თეორიის საფუძვლად დაედეს მათ მიერ შექმნილი თეისობრივად ახალი მეცნიერული ფილოსოფია — დიალექტიკური მატერიალიზმი.

საკვ იელსის პლენუმის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის სოციალიზმის თანამედროვე ეტაპის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა საფუძველზე შემდგომი განვითარების, დამუშავებისა და გამოდგრების აუცილებლობა.

დიალექტიკური მატერიალიზმი გადაწყვეტია **მარქსიზმ-ლენინიზმში, მისი ხული და გულია, რომ მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას, მის პოლიტიკას და ტაქტიკას, სოციალისტურ, კომუნისტურ მშენებლობას უყოველივის უნდა**

თ. შვადიხაძე, „დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფიური ხისტიკა“, იმაღიას, იან, 1988 წ. I.

## მეუფენით დიალექტიკური მატერიალიზმი.

სწორედ იმიტომ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი კომუნისტური იდეოლოგიის თეორიულ-ფილოსოფიური საფუძველია, კომუნიზმისათვის პრაქტის უძლეველი იდეურ-თეორიული იარაღია, ბურჟუაზიული ფილოსოფოსები, იდეოლოგები უპაყოფენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიას, როგორც თვისობრივად ახალ მეცნიერულ ფილოსოფიურ სისტემას, მის მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიურ არსს.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ფიქრობდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი უშუალოდ არაა საზოგადოებრივ პრაქტიკასთან დაკავშირებული, არამედ ეს კავშირი გაშუალებულია ცალკეულ მეცნიერებათა თეორიებითა და აღმოჩენებით. რა თქმა უნდა, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ცალკეულ, კერძო მეცნიერებათა თეორიებისა და აღმოჩენების განზოგადებას ახდენს და კიდევ უფრო ამდიდრებს თავის ფორმასა და შინაარსს, მაგრამ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ამოცანების ასე წარმოსახვა ნიშნავს ამ ფილოსოფიის უპაყოფას, მისი მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიური ხასიათის შეზღუდვას.

მარქსი, ენგელსი, ლენინი, კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად ახალი დისკვენებითა და დებულებებით ამდიდრებენ თავიანთ ფილოსოფიას უწყინარეს ყოვლისა მეცნიერებათა და საზოგადოებრივ პრაქტიკის საფუძველზე, ისინი დაუდლობლად ებრძოდნენ ყველა ჭრის აშკარა თუ ფარულ მტრებს, რომლებიც ცდილობდნენ ხელეყოთ ეს ერთადერთი მეცნიერული მსოფლმხედველობა და მეთოდოლოგია.

დიალექტიკურ-მატერიალიზმზე ბევრი შრომა გამოვიდა და გამოდის ჩვენში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მრავალი სახელმძღვანელო და დამშარე სახელმძღვანელოები, საკმარისად იბეჭდება აგრეთვე, ცალკეული მონოგრაფიები საკუთრივ დიალექტიკაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ არის მთავარი. საჭიროა მონოგრაფიული



გამოკვლევები დიალექტიკურ მატერიალიზმზე, როგორც ფილოსოფიურ სისტემაზე. ამ მხრივ სისარგებლო გამოაქლის წარმოადგენს თენგიზ მშვიდლობის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა: „დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფიური სისტემა“.

აღნიშნული ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც თვისობრივად ახალი მეცნიერული ფილოსოფიის დახასიათება. ფილოსოფიისა, რომელმაც წარსულის მიღწევები პირველად კი არ უარყო, არამედ, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, კრიტიკულად გადაამუშავა და თანამედროვე შეხედულებებით შეავსო იგი.

ავტორი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ წარსულის მიღწევები დიალექტიკურმა მატერიალიზმმა მიიღო გარკვეულ ისტორიულ პერიოდში გერმანული კლასიკური ფილოსოფიის, კერძოდ ჰეგელის ფილოსოფიის „რაციონალური მარცვლისა“ და ფიგურაბის ფილოსოფიის „ძირითადი მარცვლის“ სახით. ავტორი უარყოფს ამ აზრს, რომ თითქოს იდეალიზმი დღესაც შეიცავდეს „რაციონალურ მარცვალს“ და ასაბუთებს იმის, რომ მეშვედრეობის პილდების აქტი შეიძლება განზორციელდეს ერთხელ გარკვეული ისტორიული აუცილებლობის კარნახით. მართალია, დასავლეთის სამყაროში დღეს ბევრ პროგრესულად მოაზროვნე იდეალისტს ეხედებით, მაგრამ ეს შესაძლებელია დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე დგომით ან აქეთველ მისწრაფებით და არა იდეალიზმის საფუძვლებზე დაყრდნობით.

როგორც ცხადყო თავისი თავი დიალექტიკურმა მატერიალიზმმა, როგორც თვისობრივად ახალმა ფილოსოფიამ? ავტორის მიხედვით ეს პირველ რიგში გამოვლინდა ფილოსოფიის სვანის გარკვევაში.

საზოგადოებრივი და მეცნიერული აზროვნების განვითარების აუცილებლობამ განაპირობა ახალი ფილოსოფიური თვალსაზრისის — დიალექტიკური მატერიალიზმის ფორმირება, რომელმაც მატერია გააზრა როგორც თავისთავთან მიმართებაში მყოფი სისტემა, მაგრამ ძველი მეტაფიზიკური ტრადიციის საპირისპიროდ და ასევე ჰეგელსაგან განსხვავებით თავისთავთან მიმართება გაგებულ იქნა როგორც დიალექტიკური წინააღმდეგობა, რომელიც როგორც იგივეობას, ასევე უკვლან დაზარენს (მსგავსება-განსხვავება, დაპირისპირება-ერთიანობა, ტოლობა-უტოლობა და სხვა) თავისთავში მოიცავს, როგორც მეორადულ დიალექტიკურ მომენტებს.

მატერიის, როგორც მარად მოძრავი სისტემის თვალსაზრისში, ძირეული ცვლილებები

შეიტანა პირველადისა და მეორადის ურთიერთობის, ფილოსოფიის ამ დიალექტიკური განვითარებაში. პირველადისა და მეორადის ურთიერთობას იდეალიზმშიც სენობს (მაგ, ჰეგელი), მაგრამ იგი ამ კავშირს მიიწინებს როგორც დროებითსა და წარმავალს, რომელიც მოქმედებს მანამ, სანამ აბსოლუტური ცნობიერა ვერ კიდევ დიფერენცირებულია შემეცნებელ სუბიექტად და შესამეცნებელ ობიექტად. ცნობიერის მიერ თავისთავის შემეცნებას შემდეგ ეს კავშირიც ძალას კარგავს და ქრება. დიალექტიკური მატერიალიზმის მიხედვით მატერიალური პირველადი არ არსებობს შიშველი სახით. იგი ყოველთვის გამოვლინდება მის მიერვე წარმოებული ამა თუ იმ ფორმით. აქედან გამომდინარე დიალექტიკური მატერიალიზმს გამოაქვს სრულიად ახალი თეორიული დასკვნა მეორადის, როგორც ასეთის, ორმხრივი დახასიათების შესახებ. ქვერთი, მეორადული დახასიათებული უნდა იქნას, როგორც პირველადი, განსაზღვრული, მეორე მხრივ კი მეორადული, როგორც აქტიური დიალექტიკური მომენტი პირველადისა, რომელსაც უკუქმედების უნაბი შესწევს, თავისი წვლილი შეაქვს პირველადის თვითმოძრაობის სისტემაში. მეორადულის ასეთი დიალექტიკა მანამდე გიუგებარი იყო. იგი ახსნილი იქნა დიალექტიკური მატერიალიზმის მიერ ფუნდამენტურ პრინციპებზე (მატერიალური მონიზმი და აბსოლუტური მოძრაობის თვალსაზრისი) დაყრდნობის შედეგად.

მარქსიზმ-ლენინიზმის არაკეთილმოხურენი ხშირად სვამენ ასეთ კითხვას: უოველივე ეს რომელ ფილოსოფიურ ტრატატში მოგვეცეს მარქსიზმ და ენგელსიზმი? რა თქმა უნდა. მეტაფიზიკურ ტრადიციებს ჩვეული გონება ვერ გაიგებს, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის შესაქმნელად სულაც არ იყო საჭირო ტრადიციული ფორმის ფილოსოფიური ტრატატები. ახალი ფილოსოფია განვითარდა და ჩამოყალიბდა მისთვის შესატყვისი გზით. სექვე იმაშია, რომ მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიის კარდინალური საკითხები: სუბსტანციის, პირველადის მეორადთან ურთიერთობის, კეშმართების და ა. შ. არ უკვლევიათ ზოგად-აბსტრაქტულ ფორმაში. მათ მატერიალური სუბსტანცია აღმოაჩინეს სინამდვილის ერთ-ერთი კონკრეტულ ფორმაში.

ამ გზით გადაიჭრა ფილოსოფიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა — საკითხი კეშმართებისა და მისი კრიტიკების შესახებ. მატერიალის თვითმოძრაობის სისტემა სოციოლური

არსებობს საზოგადოებრივი წარმოების ანუ პრაქტიკის სახით, პრაქტიკა არის სოციალურის მოძრაობა, მატერია ამ წესით ადგენს თავის თავს სოციალურში. ცნობიერების პრობლემაც მას შემდეგ გახდა გასაგები, როცა მას საფუძვლად ადებო პრაქტიკის ფილოსოფიური ცნება. პრაქტიკის გაანალიზება სულსტანციური თვითდადგენის ძალა. ამავ დროს იგი სხვა მეორადულ მომენტებთან ერთად ცნობიერების ელემენტსაც გულისხმობს. «საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ აღსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკისა და ამ პრაქტიკის გაგებაში» აღნიშნავდა მარქსი თავის „თეზისებში“ (VII თეზისი). პრაქტიკის სწორი ფილოსოფიური ცნება დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიულ საფუძვლად წარმოადგენს. აქედან გამომდინარე თ. შვიდობაძემ ფილოსოფიისა და მეცნიერების სხვა დარგების კავშირს პრაქტიკის საფუძვლად ხსნის.

ბოლოს ლაპარაკია დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ფილოსოფიაში ცნობილია პარტიკულოზის პრინციპის სახელით. ამ პრინციპის საჭიროებას განაპირობებს სოციალური სინამდვილე, რომელიც დღემდე წარმოადგენს კლასობრივად დიფერენცირებულ ანტაგონისტურ საზოგადოებას. «დიალექტიკური მატერიალიზმი, აღნიშნავს შრომის ავტორი, — ისტორიის ამ თავისებურებების ანალიზიდან შექმნა ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი და მძლავრად მოქმედი პრინციპი, რომელიც ერთ-ერთი პირობაა სწორი ფილოსოფიური მსჯელობისა, ეს არის პრინციპი ფილოსოფიის პარტიკულობისა».

ასეთია მოკლე შინაარსი თ. შვიდობაძის ვრცელი შრომაგაფილასა.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამის შესახებ? ნამდვილად პრინციპული მნიშვნელობა აქვს დღეს საკითხს ფილოსოფიაში შემკვიდრების შესახებ, ჩვენ ვეთანხმებით ავტორს იმაში, რომ წარსულის ფილოსოფიური შემკვიდრება დიალექტიკურმა მატერიალიზმმა მიიღო ერთხელ ჰეგელის „რაციონალური მარკვისა“ და ფორმების „პირითადი მარკვის სახით“. ორივე ერთად წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიულ წყაროს. თანამედროვე იდეალიზმს დღეს არ ძალუძს აწარმოოს „რაციონალური მარკვაი“. ამდენად ფუქია ედა დღეს განსხვავებულ თანამშრომლობით დიალექტიკური მატერიალიზმის თანამშრომლობის შესახებ. მითუმეტეს თუ იმსაე მივიღებთ მხედველობაში, რომ „რაციონალური მარკვაი“ ჰეგელთან წარმოებულ იქნა დიალექტიკის

და არა იდეალიზმის საფუძვლად იქნა, რომ შემკვიდრების საკითხი „დღეს“ მარკვისებრი მნიშვნელობის საკითხია რამდენადაც იგი დიალექტიკურ მატერიალიზმს გამოჰყოფს სხვა თვალსაზრისებისაგან.

ასევე აქტუალურია ყურადღების გამაზვილება ფილოსოფიის საგნისადმი. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველას როდი აქვს სწორად გააზრებული დიალექტიკური მატერიალიზმის საგანი. ფეხი მოიღვა ისეთმა შეხედულებამ, რომლის მიხედვითაც ფილოსოფიის საგანს თითქოს და წარმოადგენს ადამიანი. ეს არასწორია აზრია, მით უმეტეს იმიტომაც, რომ მისი მომხრეები „ადამიანის“ ქვეშ არსებითად მოიაზრებენ პიროვნება — ინდივიდსუბიექტს.

ავტორი მართებულად მოგვითხრობს იმის თაობაზე, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი სწავლობს სინამდვილეს, როგორც თვითმოძრა-თვითმიზნობრივ სისტემას, რომელიც არსებობს და მოძრაობს დიალექტიკური წინააღმდეგობის წესით. აი ეს წარმოადგენს ფილოსოფიის შემეცნების საგანს.

ასევე, ჩვენს აზრით, სწორადაა ასახული შრომაში პირველადისა და მეორადის ურთიერთობის საკითხი. მეორადის დაბასიათება რაი კუთხით: მეორადი, როგორც პირველადით განსაზღვრული და მეორადი, როგორც პირველადის აქტურია მხარე.

აქტუალურია საკითხი პრაქტიკის ფილოსოფიური ცნების მნიშვნელობის შესახებ დიალექტიკური მატერიალიზმის სისტემაში. მართალია, ბევრი შრომა მივძღვნა პრაქტიკის საკითხებს, მაგრამ დღემდე ყველას მიერ ბოლომდე ნათლად არ არის გააზრებული ის, თუ რა თეორიული ღირებულება აქვს პრაქტიკის ცნებას ფილოსოფიაში. ყველა როდი ატრეზებს ფილოსოფიის საკითხები განიხილოს პრაქტიკის ცნებას საფუძვლად.

საერთოდ კი ნიშნადობლივია, ის, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპული საკითხებისადმი მიძღვნილი შრომა გამოქვეყნდა დღეს, როდესაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იდეოლოგიის სფეროს, როდესაც ასეთი აქტუალობით დადგა დღის წესრიგში საზოგადოებრივი მეცნიერებათა ყოველმომცველი და საფუძვლიანი სწავლების საკითხი. ამ საქმეში წარმატება შეუძლებელია დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების ღრვა ცოდნის გარეშე.

# „შენ იყურები სარკმლიდან ასე“

დღეს, თავისი მასშტაბურობითა და შრავალფეროვნებით, ისე როგორც არსდროს, ქართულმა პრესამ ფართო ვასაქანი პოვა. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებაში, რომელთა ნიჭი და უნარი მიზანად მიმართულია პოეტური ყამირის ათვისებისაკენ. ჩვენს პრესაში დღეს შრავალ იმეკდება ტრადიციული, რითმიანი და ურითმო, თავსუფალი ლექსი, რომელთა ავტორები ედილობენ თავისი ენისა და სტილის დამკვიდრების ჩვენს ლიტერატურაში. ამ წიგნის ავტორიც, სწორედ ამ ძნელადსავალ აღმართს შესდგომა და საკუთარი ზმის ძიებაში ქმნის ღირებულ ნაწარმოებებს.

მუკმან ჭვუბურიას ეს პოეტური კრებული სულ ახლახან გამოვიდა სტამბიდან და მკითხველთა სამხეობაზე წარსდგა. როგორც წინათქმეში ვკითხულობთ, წიგნი თავმოყრილია უკანასკნელი სამი-ოთხი წლის ნაფიქრალ-ნაზრევი, ნაგრძობ-დანაბული თავისი პოეტური სარკმლიდან. იმ თვალსაწიერიდან ხელისგულივით მოიხმს, როგორც მისა კარმიდამოს ნაწილი, ისე ვგრძობთ აღქმული და სინამდვილეში არსებული მშობლიური ველ-მინდვრები: „მაგრამ შენ იცი მის იქით რაა, რადგან იცი ხარ და ვახლავ ფიქრად, იცი, ტყის მიღმა რომ ღურჭი ზღვაა, იცი, ვერ სჯანის საფიქრალს ტიხრი“. ამბობს პოეტი და მისი გულსუფროსი ყოველი კვთბე-კუნჭულისადმი. კრებულის ავტორის მზერა ძირითადად — გადატანილია თანამედროვე სოფელზე, მის ბუნებასა და მშრომელ ადამიანებზე, რომლებიც „კუბარსა და წყვილადს“ შევიღებულნი ჭერ კიდევ მყარად საბლობენ საფშავლოსა და მთა-თუნეთში. პოეტი დაიღ ემოციით ზატავს ბუნების მარადიულ ცვალებადობას და თავის ბუნწრფულ განცდებს მაგიური ძალით გადასდებს მკითხველს:

ვეღარ მაგრდება ჭრელი ბზო ფხვზე, —  
 ახლახან გაჩნდა იგი, —  
 მაგრამ დაღვებამ — ღმერთთა შემწვი, —  
 ყოფნის წესით და რავით.  
 მას ორთქლი ახდის და ღოკავს დედა,  
 ახწავლის ფიხზე დგომას,  
 ეს ვნახე დიღის ქალაში მე და  
 კარგი ამხავი მომავტს.

ამა თუ იმ მოვლენის დინახვისა და ღრმად გააზრების, გაანალიზების უნარი რომ შეგწევ-

მუკმან ჭვუბურია. „შენ იყურები სარკმლიდან ახლა“. გამომცემლობა „მერანი“, 1983 წელა.

ვღეს, უნდა გამოიჩინოე კოფეი ჩიფლებრივი მკითხველისაგან. რითი? — სწორედ სიგანთა შენუელი ხედვის, მზატერულად აღქმისა და გადმოცემის უნარით, ინტუიციით, კონკრეტული სახეების ძერწვით.

შემოთ მოვყვანილი ლექსი გადმოცემულია სადაღ, ლაკონურად, ყოველიგვარი ბრჭვეილა სამოსელის გარეშე, რაც მკითხველთან კონტაქტის გამყარების საშეალებას იძლევა. თუმცა, ისიც, უნდა ითქვას, რომ ავტორის ამ კრებულში, და საერთოდ მის პოეზიაში, არც გვხვდება, ეგრეთწოდებული, ძნელად აღსაქმეული, ბუნდოვანი ლექსები. რაღა პოეტი განახლებულ კოლხეთის დაბლობს უმღერის, არ შეიძლება თელი არ გაადვენოთ ზატკუნად წარმოთქმულ სტრიქონებს, რომელიც კაობის უკანასკნელი ბაყაფისდამა მიმართული:

...ნადიწვე მხედარს უფრობობდი ლაფშას,  
 ცხოვრობდი, როგორც ნამდვილი უნა,  
 მხარს ვიწვევებდა ცოლი მსუქანი,  
 გუჯდა ქალაბი თმახავით ხშირი,  
 ცხოვრობდი შენთვის თავისუფალი  
 და სიმღერები იყოდი ტკბილი;  
 ლაღად იუავი ძველად, ცხადია,  
 დღეს შენ მათული არ გახადია.

კრებულის ავტორი, ზოგჯერ, რამდენიმე სტრიქონშიც კი ახერხებს მოსწრებულ და ამოღებულად იქვე თავისი სათქმელი. სწორედ გღები კაცის გულწრფელობა, ალაამართლობა დაგვიანაბ პოეტმა ამ შთამბეჭდავ ტაქეებში:

ერთბელ ქალაქში მოხდა წყალობა,  
 ჩოჯა-ჭიკავით ვაიარა ვება ქურჩა,  
 შევიდა ღვინის მაღაზიაში,  
 იიღო ბოთლი, თავი მოტტება,  
 მოიყუდა, ღვინო გახინჭა  
 და უსიამოდ გადაამურჭვა, —  
 — აფსუსს — თქვა ცივად და გავაღა  
 მაღაზიიდან.

ამ, „ცოტას“ თქმით, ბერიი რამ გვაგრძნობინა შემოქმედმა, ნათქვამი და ნაგულისხმები გაგეთავისებინა და კეთილად განგაწყრო მშრომელი კაცის მიმართ.

შხისა და მიწის გამოღვიძებობ სურნელი იგრძნობა ლექსში „საგაზაფხულო“. ხელშესახებად გაყოცლებული ეს ულამაზესი ბუნებრივი ფერები და ყოფითი სურათები ემოციურად გვეტირთავს, იფელურად წარმოგვიდგენს პერიფერულ სამყაროს. სიიღუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე სტროფს:

მწვეთ მოღვაწე ჩემი ფაცხა,  
 აო, თითქოს კიდევ დაცხა,  
 რას ბუწუნებს ნება, ბები?  
 უსწინს ცუცხლი ქვაბის კვარჩხაღს,  
 ხაბუზ უნა გადაფარცხა,  
 გუწუნებუნ დიდი მთები,  
 ღობეს საზღვრავს ჩვენი თუთა,  
 და ცა არის ისე სუფთა,  
 ვით ღვაის ფეჭრი მწაწე;  
 და წინაბრებს როგორც უთქვამთ,  
 შენ ხარ შენი ქვეყნის სუნთქვა,  
 შენც მამულის ვალი გაწევს.  
 თბებს შირყავს ხეიან-ბიჭი,  
 მუნებრადიო რამე ნიჭით  
 მამლაუინწა უცივს მჭახედ:  
 აწ არა გვაქვს თურქის შიში,  
 არ გაიხმის ვაი-ვიში,  
 ვერ დაგვიღვამს მტერი მახეს.

ლეკსი სამ-სამ ტავადაა დანაწევრებული, თუმცა როგორც პირველი — მეორეს, ისე მეორეს ტავაზე ვრითმება მესამე. ამასთან, სრულ რიტუალებს აგრძნობა თითოეულ სტროფში და პარამონიულს ხდის ფეჭის მდინარეებს.

ხერთილ, მუდმიან ჭებუტრიას პოზნია დამუხტედა უფრო პოეტური ზილვადი ვლემენტებით, სადა, მხატვრული აზრებით, ვიდრე ქვედემსტრებათ, მეტარორული წიაღსელებით, რაც მის ნაზარეს ადვილ მისაწყდომს ხდის ყოველი მეათხველსათვის. ამ კრებულში, ავტორი მასკად გვესტრათებს ცხოვრებისეულ პრობლემებს. იქნება ეს ომისდროინდელი ტყველების გამოთხილი, მგვობარი მწერლებია და ახლობლების გახსენება, თუ სამშობლო მიწისადმი სიყვარული, რომელიც მშვიდროდა დაკავშირებული პოეტის წარსულთან და დღევანდელობასთან. ამ მხრივ უტრადლებს იქცევენ ლექსები: „ქვემშეგთის რვეულიდან“; „ისევ დაკარგული ბიძების გამო“, „ლეკის როცა ვწერდი“, „იმ სანახიან დაჩა ხელი“, „ჩემს უფროს ქალიშვილს, ღელსა“; „სხვა რა ღონეა“; „ღუდგებზე, ანუ ა. სავაიას მოსავონარი“; „ნაწვეტი პოეზიდან“: „ალი“; მთელი ცალკე ფშავ-მეგსტრეთზე შექმნილი ლექსებისა და სხვაი და სხვანი.

მუდმიან ჭებუტრიას ზემო აღნიშნულ კრებულში ვეკლიბრასეულ ლექსებსაც უჩენია თავი და არც თუ ურთოდ. მართალია, პოეტი ტრადიციული რითმიანი ლექსის წერისას უფრო აღწევს მიზანს და განაზოგადებს სათქმელს, ვიდრე თავისუფალ ლექსში, მაგრამ ზოგჯერ ამგვარ სახეობრივ აზროვნებაშიც ახტრებს თემის გაღლილებას. ასეთ შთამბეჭდავ ლექსებზე გვესახება: „მესაფლავეები“; „ის ცხენისკბილა თეთრი ყვავილი“; „ჩხართვი“; „ურთხით ლექსი“; „კაცი-კაციოთა“... ეს ნაწარმოებები წარმოდგენილია ხალხის ფერ-

ბით. მუვირბლა ფრანებისა და პოეტური საღებავების გარეშე, რაც ერთგვარ უპირატესობასაც კი ანიჭებს როგორც მწერლებში. აი, თუნდაც ეს სტრიქონები:

ურთხით ლექსი მჭავს შეცხადებას  
 დრო რომ არა გავს, როგორმე თავი  
 გაიღამაო  
 და ასე შეხვედ კარზე მომღვარ უბედურებას...  
 ანდა:  
 შე შენ ჩარგვლიდან მოკვარი თვალი,  
 როცა კერახთან ნეტის ჩხრეკით ვიყავ  
 გართული, —  
 როგორ მოფრინდი ქუმის მთებიდან  
 როგორ დასკუბდი აკაციაზე და შეიმეგრე  
 თავი წვალებით...

მეთხველზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსების ცალი, რომელიც ფშავ-ხეგსურეთსა და მის მკვიდრთა ცხოვრებას ეხმინება. პოეტი „ურთხით, მოუკმაზავა“ იწვევს პირველი სტრიქონების წერას, მაგრამ „ხეგსურებთან სტუმრობა“ თუ კლასიკური რიტმისა და რითმის მოთაღვამ კვლავ ტრადიციული ლექსის კალამტრე მოაქცია ავტორი. შემოქმედის ნიჭი ამ შემთხვევაში უფრო გემრავალფეროვნდა, ფორმა და შინაარსი სათქმელისა პოეტური სახეებით გამოიკვეთა, გასულეღრდა:

ფშავის ხეობას, ვით მუწეუზს სჭვრეტენ  
 რუხები,  
 ფხიზლად ჩამოდის ბილაკზე მწკრივი;  
 მისავთ უმკლავ პერანგები, მკაფუ ტრუსები,  
 აქაფებული არაგვი კვიის.

ლირიკოსის ეს ხატოვანი თქმა კარგად მიგვანიშნებს ფშავის ხეობის სილამაზეზე, მოგზაურთა ხასიათზე, მდინარე არაგვის შშავბუნებოვნებაზე. ამ ცალკისა და მეტ წილ სხვა ლექსებში მისი პირადი ვანდებში ვანოგადებულად ირეკლება, სათქმელი მოხდენილად იმტეტება სტრიქონში, მჭაფრდება სიტუაციური კონფლიქტები. პოეტს ადლებებს მისი სოფლის პრობლემებიც, რომელიც მეცხენეობამესაქონლეობასთანა დაკავშირებული:

შენ რად არა გუყვს? — ირაკლის ვკითხვ,  
 თიფულზე ფეჭრობ, აღბათ, —  
 — ძიარია ცხენი, — ირაკლიმ შიითრა,  
 — უწეროდ აღარ ვარგა.  
 — სათბი ბომ გავს, სხვა რადა გინდა?  
 — რძეს ვერ დაკლებს ბუღლებს,  
 თუძე ცხენი ფასობს ვეღლაზე დიდად,  
 არც ძროხა ფასობს ნაკლებს“.

საყურადღებოა კრებულში შეტანილი პაროდული ლექსიც, რომელიც ავტორს სერგანტის რომან „ღონ კობოტის“ მიხამებით შეუქმნია. ლექსის სიტუეტი მსუბუქი იუმორის ფორმებში ეითარდება და ამიტომაც კონს-

ტრუქოულ მთლიანობად წარმოჩნდება მკითხველთა ცნობიერებაში.

თავისი პოეტური კრებო შესანიშნავად ვაღიარებ მურმან ჩხუბურის ლექსში „პოეტი“:

და მავს პატომარს პოეტო, არცა  
ლექსს უარკატებს;  
და ხულს უჩინარს ესმება ზორცი,  
ასე დლითი-დღე.  
ტანჯვაა მისი უოფის არჩიე,  
ტანჯვა — დიალი;  
მერე ამ ქვეყნად რჩება „არწივი“,  
და „განთიადი“.  
აი ანდაზე: „ვიან რასაც დანთებს,  
იმას მოიშის“  
პოეტი იტანს წამებს ასეთს —  
ხულ სხვა დროითვის“

ამ ლექსში პოეტისა და პოეზიის დანიშნულება უმაღლეს ხარისხშია აყვანილი. ბრძოლა საკუთარ თავთან, დათრგუნვა პირადი ინტერესების გამორჩევის საწინდარია. მხოლოდ დიდი ტანჯვითა და მოთმინებით მიიღწევა ადამიანის, შემოქმედის სულის აღზევება.

დღეს, თანამედროვე ლიტერატურაში ფეხმოკიდებულ ახალგაზრდა შემოქმედთა დიდი ნაწილი მაძიებლის როლში გვევლინება. თავისთავადი, სხვათაგან გამორჩეული „პმის დამუშავების“ ერთი მოსაძიებელია თითოეულს. ზღერადუდებელია მათი გამბედაობა თუ სულისკვეთება, მაგრამ ფინატიყერ სურვილებსა და არარსებულ შესაძლებლობებზე დამყარებული მათი მსოფლმხედველობა ხშირად სოცარიელეს ტოვებს გაითეთწონობიერებულ სამყაროში.

მართალია, ზემოთქმული მურმან ჩხუბურის განსახილველ კრებულზე არ ვრცელდება, მაგრამ მკითრედი შეინიშნებო კი, რომელიც მის წიგნში გვხვდება, უთუოდ სახილველები და ვასათელისწინებელია.

ვერსოდ 140-ე გვერდზე კრებულში შედომის ეაწყდებით: „ქვეყნის წიგნი“ ვრის გრძელი და მხეგ — კეირა“. ჩემი აზრით, არც ეს სტრიქონი უნდა იყოს სტილისტურად გამართული: „აქა-იქ ქერაც იციება ფრინველი თვალეს“ — გვ. 111. იმათ — თვალეზი ფრინველს — უნდა იყოს. ერთგან ასეთი ტიპიც გვევლება: „და მძინეარბდა მალლი იმი“ გვ. 86; აქ სიტყვა „მალლი“ რომელიღაც სხვა სიტყვის ადგილს იკავებს და კითხვისას უზერხულობას გვეგრძნობინებს.

ვინც ჩემთან ერთად მოვიდა არსმე, მათგანი ყველა გამოდგა კაცი; მართო მე დეკრი, დმერთია მოწმე, არ შეიცვალა რომელმაც აზრი.

როგორც ჩანს, სათქმელი სრულყოფილად ვერ განსახიერდა, ამიტომ აზრიც დაიწრდილა და რითმის პოეტნიციურობაც დაქინდა. ერთ პატარა ლექსში, სადაც ქალიშვილის სილამაზეზე ამაზეილებს პოეტი ყურადღებას, წერს:

ვინ შეკერა ეს ტანი?  
თამარია, ნესტანი  
თუ —  
ახმათი“

სიტყვა — „შეკერა“ ნაღდად საჩოთირია ამ სიტუაციაში და ვერ ამართლებს თავის მიზანდასახულობას.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ მურმან ჩხუბურის ეს პოეტური კრებული დაინტერესებს მკითხველს—საზოგადოებრიობას, ვასში ბევრს აღმოაჩენს სათავისოს და გულთან მისატანს. პოეტისა და პოეზიის დანიშნულება რომ სწორედ ესაა.

ყრიდღონ სომხივეილი

## ავტორი ლამენათევი ლექსებისა

ერთ-ერთ თავის ლექსში ნანა ლვინუაძე ამბობს:

ცოტა შენა ბრალია,  
ცოტაც შე ვარ ბრალში,  
გაზუფხული უცარად  
ამოშდგა მზარში.  
თითკობ ჩავხედდია  
ანეთვიტკოს თვალში,  
ისე გამომარჩიე  
ათათახ ქალში.

გაზუფხული,  
ღმერთმანი,  
არ დაგრჩები ვალში!

ცოტა მიზი ბრალია  
ცოტაც მე ვარ ბრალში...

1 ნანა ლვინუაძე, „ერგები“, ლექსები, „მერანი“.

რაილა ამ ლექსში შემასხენა თავი, აქვე ბარემ იმასაც აღვნიშნავ, რომ „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ფრიად ორიგინალურ



ანთოლოგიაში, რომელსაც ასიყვარულის წიგნი" ჰქვია, ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშების გვერდით პოეტის ქალის "ახალი აღთქმა" და "ზედაშეც" არის დაბეჭდილი.

ნანა ლენინფაძისათვის, როგორც ჩანს, უფრო მასობრივია „ლექსი შემთხვევაზე“, რადგან მას მომადლებული აქვს „დღიური ყოფის“, პროზაული სინამდვილის პოეზიის ენაზე გადათარგმნის უნარი. აი, ერთბედაც პოეტის ბორჯომის ზეობაში გზად შემოპყრია ქართველი შევჩენკო, შემდეგ თბილისში გაუცნია თანამედროვე პოეტს მიხეილ შევჩენკო და ასე დაიბადა საინტერესო „ლექსი ჩვენს სტუმარს“.

ამ თვალსაზრის ადასტურებს გერარდ ასათიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლირიკული ქმნილება — „ცრემლი სათვისტომოდან“:

➤ მე ვხედავ ცაში  
უხილავ ვარსკვლავს  
და ვისაც გულში „  
ოქროს ზოდის აქვს.  
მე ვხედავ მასში  
პრომეთეს ძაღს,  
ვინც ეურჩება  
თავის ზოდიაქს!  
ვინც ერთიორჯერ  
ჩამოკრავს ჩანჯურს,  
სუველადს ჩოდნი  
ჰქვია მგოსანი.  
მერც ვაეღა გიტავით,  
თუ რამდენს ითმენს,  
როდის გაწყდება  
კრიალისანი...

შენც ხომ ხედავდი  
უხილავ ვარსკვლავს  
და მავანს, ხულში  
ოქროს ზოდიაქს...  
ღვიგნდავ გაქცევთ  
როგორც იმ ვაჟიანს,  
ვინც ეურჩება  
თავის ზოდიაქს.

რაც ღრო ვადის, სულ უფრო და უფრო იზრდება პოეტის არსებობაში მოქალაქეობრივი დამოკიდებულება იდამიანთა სატყუარისა თუ გასახარელის მიმართ. იგი ხმას იმაღლებს ომის საშიშროების წინააღმდეგ („ტრიპტიხი“), დამწყობრებული საშობლოდან გარდახვეწილ მამულიშვილთა მწარე ხედვრისა („სულხანს“, „ელეგია ზედწყარვებისა...“ და „შუაზე გაიეხილი სარფის“ გამა).

ნანა ლენინფაძის ზოგიერთი ლექსი კეთილი თვალთ შიგახედებს ხალხური შიირისაკენ, გვაგრძობინებს ხალხური შემოქმედების სიღბობას და სილალეს, თავისებურ სიმსუბუქეს („გაშორება“); „ამ წვიმაში ვინ მოვა, ვის ახსოვს და ვის არა, მოწყვნილი ასული, მოწყ-

ყენილი გიტარა“ („რომანსერო“). ზოგიერთი ლირიკული განწყობილება ზუნების მოქუნის ისე ამოპყვება, როგორც „საღამოსანის ქაჩბარბალას დაწმენილი მთავარე: „რა რჩება ქარის შემდეგ? ჩემი და მთვარის ერგე: ამოგლეგილი გული, ამოგლეგილი ნერგი...“ („ქარი“); ხალხურ მოტივებზე ავებულ ლექსებს ატყვია მეტი სინატიფე, მეტი ზუნებრიობა. ასეთი ლექსია, მაგალითად, „დალაობა“. ნანა ლენინფაძისათვის საცნაურია ინდივიდუალური პოეტური ხედვა: „ეს თეთრი ღამე აგდია შენს წინ, ვით სიმარტოვის ბოლო ფურცელი!“ „და შუადამის შივეტრატზე თმაშამოშლილი, თეთრი გუთშით ებატვ ხოლმე ჩემსავ შოლოდინს...“ („ღამისთევა“).

პოეტის საყვარელი ხერხია დიალოგი. გაიხსენოთ აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები — „გასაუბრება წმინდა აპრილითან“ და „კთხვაპასუხი“.

თუმცა გონებისმიერია და გრძნობისმიერი ელემენტები ჩვეულებრივია ავტორის მხატვრული ხედვისათვის, უნდა ითქვას, რომ იგი მიინც გულის პოეტად რჩება, მის სტიტიქონში ინტიმი უფრო მძლავრობს, თუმცა როგორც ზემოთაუ ითქვა არც მოქალაქეობრივი მოტივებს და მავორი ეუცხოვება. სწორედ ამგვარი ნიმუშებია „უკანასკნელი ლექსი ყოფილ ქიშირონიში“ და „პარათი შუა ზოდან“. ღრმა სინანულის განცდის უშუალობითა და ზუნებრიობით განსაკუთრებით პირველი მთავანი გამოირჩევა.

ამ კედლებზე ხატავდენ  
რა ფიქრებს და რა ხატებს;  
ახე გადაღლსავენ  
ჩვენს სულის ნახატებს.  
მერე გაიღიმებენ  
ენჭეღებო, იანი  
და ჩადგება ჩვენს შორის  
სინანული ვვანი.  
კიდევ კარგი, გადარჩა  
რამდენიმე ნაღლევი  
როგორც ზვეტიცხოველში,  
როგორც დაჯიო-გარეჯო.  
თითქოს გაიზარეს  
ეს ტკოველი იემბეს;  
კიდევ კარგი, არხეობოს  
ხადდაც მონანიება...

ასე იცვლება ინტონაცია. იგი თრთის სინანულიდან სიმეცარემდე და ასე თანდათანობით შევეავართ „პოეზიის ცხოვრებაში“.

პოეტი ქალის შემოქმედებითი წვა — ეს არის ძიება იმ პოეტური ბილაკებისა, რომლებიც მიემართებიან, საყუთარი შემოქმედებითი შიანეთისაკენ.

ნანა ლენინფაძის ეკუთვნის გამოჩენილი რუსი მგოსნის ანა ახმეტოვის სახელთან დაკავში-



რებული არაერთი საკუთარი ლექსისა თუ სა-  
არქივო დოკუმენტის გამოქვეყნება. ამ პოეტურ  
სტიქიონთან მისი ფიქრების შეწყველება თით-  
ქოსდა თავისებურ ელფერსა სძენს ქართული  
პოეტა ქალის ყოველ მარჯვედ ნათქვამ ფრაზას.  
ნანა ლეინფაძის ხეობებმა პოეტური კუთხით  
დაინახოს საგანი და მოეღწეა. ეს თვისება ყარ-  
ვად გამოვლინდა ლექსში „ენატრებოდა თურმე  
მამული“. ქართველი მანდილოსანი სალომე ანდ-  
რონიკაშვილი ანა ახმეტოვას მეგობარი და ერთ-  
ერთი შედეგის ადრესატია. პაპოლო იაშვილმა  
კი ანა ახმეტოვასადმი მიძღვნილ ლექსში ბლო-  
კის გარდაცვალების გამო სამშობლო გამოუც-  
ხადა რუს მეოსან ქალს: „მე მინდა ვითბრა სამ-  
ძიმარი, რომ ბლოკი მოკვდა“... ნანა ლეინფა-  
ძე ეხმიანება ანა ახმეტოვას და პოეტურ სა-  
მშობლოს უცხადებს სალომე ანდრონიკაშვილის  
გარდაცვალების გამო:

მე ვარ მეორე  
ქართველი, ალბათ,  
ვინც გავახსენებს  
საკივარს, ანა!  
მოკვდა სალომე!  
მწუხრის ზარება  
არა გსმენია  
ჩემამდე, ანა!

ნ. ლეინფაძის პოეზიას ორგანიზულად ამდიდ-  
რებს ანა ახმეტოვას ლექსთა მისეული თარგმან-  
ებმა. ეს ნიმუშებმა ჩვენს პრესაში პერიოდუ-  
ლად იბეჭდება და მკითხველზე სისაიპონო  
შთაბეჭდილებას ახდენს. სანიმუშოდ რაი თარგ-  
მანის მოყვანიც კმარა:

ფანჯარას ვტოვებ უფარფოდ,  
ოთახს მოაგნებ ადვილად.  
დღეიდან ბედნიერი ვარ,  
აღარ გეომობი ნამდვილად.  
თუ ვინდა ხასად მომწაოდ,

ყოფილა მე არ მედიხა,  
და მაინც შენი დარდა ვარ,  
მაგნი ღამის თუქისა...

თავისებური ზიბლიანობით, ანა ახმეტოვა-  
სეული სულისკვეთებისა და სტილური ელემენ-  
ტების შენარჩუნებით არის გადმოღებული სხვა  
ლირიკული გნომა:

ღობურაა თუქისა,  
სარცელი ფაქვისა,  
არა საამო ყოფილა  
მომორება იქვითა.  
განმადინე საწოლი  
ქვითინით და დაღლით,  
ღუნა მოკვცე უფაღმა,  
გულს იქვრებ ნაყარდით.  
აღარ დაგვლი ქადაგიო  
ან რაღა მაქვს სათქმელი?  
აღარ ვათევთ დღეიდან  
შენთვის მე და სანადელი.  
ეხეც ჩვენი ხიმშიადე,  
შორს ამო დღეღანი.  
რა ვატირებს, ცრემლადაც  
არა ვღირვარ, ღმერთმანი!

„ერგასი“ პოეტის ერთგვარი ლირიკული გა-  
ბასებაა ფიქრითა და ზრუნვით, სიყეთის სიყვა-  
რულითა და ბოროტის სიძულვილით განვლილ  
ნახევარ გზასთან. ხოლო პოეტა ქალის საშოშავ-  
ლო გზებზე უკეთესად, ალბათ, მისი რწმენის  
გამომხატველი ეს ნათელი სტიქიონები გავ-  
ცემენ არაორაზროვან პასუხს:

მე მინდა მუდამ გვეროდეს ჩემი,  
გაღელვებდე და გწამდე...  
ჩემს მაგიდაზე დეეს კაღენდარი  
თვით ორიათას წლამდე!

მუხრან თაკვიშვილი

### სწრაფვა ახალი სივრცეებისაკენ

როცა ნაკლებად ცნობილი პოეტის ახლადგა-  
მოცემულ წიგნს აიღებს ხელში, მკითხველს  
გრძობადი უნდობლობის გრძობა აქვს დაუფ-  
ლებული. ესოდენ მდიდარ ქართულ პოეზიაში  
ვიან რა უნდა შექმნას ახალი, ისეთი, რომ გულ-  
სა და სულს მივსაბუნებოსო — ფიქრობს იგი.

გულახდილად უნდა ვალიაოთ, რომ ჩვენც  
ასეთი განწყობილებით ავიღეთ ხელში ედემ  
კვირტიას ლექსების პირველი პატარა კრებული  
„გზაჯვარედინი“, მაგრამ მალე დაგრწმუნდით,  
რომ ეცდებოდით.

აქვე გვიჩინა ეთქვათ, რომ ედემ კვირტია სა-  
კმაოდ განსხვავდება ისეთი პოეტებისაგან, რომ-  
ლებიც ტრადიციულ, გერარქოღებულ, კონ-  
ვენციური ლექსით ახდენენ მკითხველზე ესეთ-

\* ე. კვირტია. „გზაჯვარედინი“. „მერანა“,  
1988 წ.

ტყორ ზემოქმედებას, მეორე მხრივ ამ პოეტურ მისიანე, რომლებიც თავისუფლებენ ლექსს რითმისა და რიტმის არტაბებისაგან, ევრეთეოდებული ვერლიბრის მიმდევართაგან. ვდემ კვირტას თავისი გზა აქვს მონახული, პოეზიაში ამ ორი მიმდინარეობისაგან განსხვავებული საშუალო გზა. იგი არ უარყოფს რითმს, რიტმული მუსიკალობა კი აველგან აქვს დაკლებული, ლექსს იწყებს რითმიანი ათმარცვლიანი სტროფით, რომელსაც მოსდევს ათმარცვლიანი თეთრი ლექსი. მათი მონაცვლეობა პოეტის აქვებს საშუალებას გამოიყენოს ერთობლივად რითმიანი ლექსის შესაძლებლობაც, თეთრი ლექსის შემადგებლობაც და მისცეს თავის სათქმელს შესაბამისი ფორმა. ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ ვდემ კვირტას ჰქონდეს გამოყენებული ეს ხერხი, მაგრამ მის სათქმელს, მისი ლექსის შენაარსს, ინტონაციას ასეთი ფორმა ესადაგება, ამიტომაც იგი ვდემ კვირტასთან სტილიზებულია.

თავისუფალ ლექსში პოეტის მეტყველების ინტონაცია დაახლოებულია სასაუბრო მეტყველებასთან. იგი ესაუბრება მეითხველს, ამ სიტყვის სრული გაგებით, ლაღად, თავისუფლად. ადამიანი საუბრის დროს ხომ არ იყენებს მხატვრულ ხერხებს, ყოველ შემთხვევაში, იმდენად იყენებს, რამდენადაც აზრს მკაფიოდ გამოხატვისათვის სჭირდება. ამოღის რა ამ პოზიციიდან, პოეტიც არ ტვირთავს თავისუფალ ლექსში თავის მეტყველებას მხატვრული საშუალებებით. მისთვის მთავარია სათქმელი თქვას რაც შეიძლება მკაფიოდ, გასაგებად, განსხვავებით ვერლიბრის მიმდევართა ლექსისაგან, სადაც პოეტური ბუნდოვანების ბრუნვისი უხვევია და იკარგება ზოლზე აზრი.

ვდემ კვირტას ლექსი სათქმელის ერთი მხატვრული გააზრებაა, ამიტომაც მასში რომელიმე სტრიქონის, რომელიმე მხატვრული საშუალების გამოყოფა შეუძლებელია. ცსთეტიკური ზემოქმედების მოხდენა არა პოეტური გამოხატვის საშუალებებით, არამედ სათქმელის პოეტური გააზრებით. — ასეთია ვდემ კვირტას პოეტური სტილის დამახასიათებელი ნიშანი.

პოეტური გააზრებით, წიაღსვლებით ერთობ რთული ლექსია „მსახობი“ (შეიძლება თქვას, კრებულში დაბეჭდილი 10 ლექსიდან ყველაზე რთულიც), რთულია, მაგრამ არა ბუნდოვანი. „მსახობის“ ლირიკული გმირი არ არის ერთი რომელიმე ეპოქის პირდაპირი. იგი პირთოდ აღამიანთა ცხოვრებაზე დაფიქრებული ანთროპონებაა. ცხოვრება, რომელიც თეატრის სკენასავით ბრუნავს, ადამიანს მსახობაზე აჭყვევს და ხან ოტელოს, ხან ევრეკლეს, ხანაც ვიორგი სავაძის როლში ათამამებს, გააზნია, რა სიტუაციაში აღმოჩნდება იგი.

ვდემ კვირტას პოეზიის ლირიკული გმირის ფიქსს, წიხილსა თუ ტყვიელს ადამიანის სიყ-

ვარული ასახარდებს. ლექსი „მესამე“, თითქოს სიყვარლის ინტიმურ თქმას უხდის, მაგრამ სინამდვილეში ასე როლია. ლირიკული გმირის სული იესება „მესამის“ უბედურებით გამოწვეული სევდით. ეს „ღამაზი სევდა“ გავფიქრებს და გვაჭკვდრებს პოეტის სათქმელს, რომ ადამიანი არ შეიძლება იყოს ბუნდოვანი, თუ მის გვერდით სტვა უბედურად გრძობს თავს, ანდა ადამიანი ვერ იქნება ბუნდოვანი, თუ ეს ბუნდოვანება სხვისი უბედურების საფუძველია და გვეული.

კრებულის ჰუმანისტური ნაყადს აგრძელებს ლექსი „ნუ გეზინია“, რადგანაც იგი „ჩამჭირალი ვარსკვლავის შექის“, „შემოდგომის მზის“, „ეკლიანი გზის“ გავლელი კაცის საბრალოდსა და სიყვარულს აღბრუნებს.

კრებულის ლირიკულ გმირს აფიქრებს ადამიანის ბედი ურბანიაციის ზანში, ის, რომ იგი თავის ოთახსა და თავის სურვილით სამყაროში გამოეკრილი, ნაკლებად ფიქრობს სტვაზე („მე და ლამე“), ის, რომ იგი თანდათან იძარცვება დიდი საზოგადოებრივი საზრუნავისაგან, პირადი ცხოვრების წერილობაწინაა ჩაფლული და თანამედროვე ლურსაბად იქცა („ლურსაბის ერთი ღღე“).

ყალბ გვიანდა შევხვით ლექსებს „ცდუნებასა“ და „შამაის“. „ცდუნება“ სიყვება როგორც „მსახობი“, ღრმა წიაღსვლებით ხასიათდება. ეს წიაღსვლები რთულია, მაგრამ სინათლე აქც აქ აყლია ლექსსა და მკითხველს არ უჭირს გამოცნობა, თუ რას ეუბნება აღწერილი ამათ პოეტი. დაბადების დღე აგონდება ლექსის ლირიკულ გმირს, დასაღუბავად განწირულს. ეს დაბადების დღეა ლექსის გასაღები, იგი უბრალო ფრაზა კი არ არის, დიდი აზრობრივი დატვირთვის მატარებელია, რადგანაც სწორად დაბადების დღე მოაგონდა გაკირვებაში მყოფს, დაავიწყა შიში და შეშატა ძალი. მაინც როგორ შესძრა ასე ლირიკული გმირი დაბადების დღის გახსენებაზე? რა მოაგონდა მას ასეთი? პოეტი ამის შესახებ არაფერს ამბობს, ზევნ კი ვგრძნობთ, რომ გაკირვებაში მყოფს მოაგონდა, თუ რისთვისაა დაბადებული, რატომ? მოვიდა ამ ქვეყანაზე? მოვიდა არა სიყვდილისა და უაზროდ დაღუპვისათვის, არამედ სიციხელებისათვის, ოჯახის შექმნისათვის, შევიდების დაზრდისათვის, ქვეყნის საკეთილდღეოდ მოღაწეობისათვის და ი. შ. მას კი ის მისია, რისთვისაც ქვეყანაზე გაჩნდა, არ შეესრულებოდა. ასე დაინახა „წყვდილიში შტვი“, ანუ ის მიზანი, რომელიც დაავიწყა დაღლა, მოაქმნინა გულისწილი, ჩაფლდინა თმებში ხელი და წაყვანინა იმ შტვისაგან — „თეთრი სინათლისაგან“.

ასეთივე სიტუეტური ლექსია და არა პოემა „შამაით“. მისთვის პირობითად შეიძლება გავფრობილება გვეწოდებინა, გაფრობილება ამის გამო, რომ ადამიანი არ უნდა აჭკარდეს, არ

უნდა დაეარსოს წინასწორობა. ქროლათვალებიანი მოწინააღმდეგის უზრდველი წიხითითა და მასთან ქედარეობით წინასწორობადინ გემოსული ლირიკული გმირი თავადიწველებული სინჩარით მიპაროლებს მანქანას შინასაკენ და იღვტება. ქალაქში ამათ არადფერი შეეცვლილა, ყველაფერი ძველდებრად გრძელდება, სიტყვბუნა გრძელდება და მოთხოვნის „წყალებს, ხაჯმებს, ხვედებს, ცოდვებს და დამიჯს და კიდევ კაცებს, ადვრებს და ხოთობს“. ამიტომაც გადის დრო და მის ქვრივსაც ავარუძეებს სევდა, ავარუძეობა იგო. რა ექნა, რაკა არ ასვენებდნენ „სხზარბის დამით და დღისთჳს ქროლად თავადების ხზარა“. ეს „ქროლად თავადები“ ისეთივე აზრობრივი დატვირთვის მქონეა, როგორც „დაბადების დღე“ ლექსში „ცდუნება“. ამა ჩვეულებრივი „ქროლად თავადები“ კი არ არის, ცხოვრებაა, რთმეოლი „დავითო-დავითანობებს“, თუ მის წერილობანებას, ზოგჯერ უზრდველი ხოთობს ყურადღებებს მიატევენს. მტკიცე ნებისყოფაა საჭირო — აი, საითცნ მოუწოდებს ავტორი ადამიანს, მაგრამ თვითონ ლექსში ამის შესახებ არაფერია თქმული, მასში ლირიკული გმირის მხოლოდ ერთი საღამოა აღწერილი, მკითხველი თვითონ დიქრობს, თვითონ გამოიკვს დასკვნა.

როგორც ყველა ლექსში, აქაც ედემ კვირტისათვის უცნოა მხაზარეული დასკვნის მიწოდება მკითხველისათვის. იგი ლირიკული გმირის ცხოვრების თუ სულოცება მღვთმარტობის ამა თუ იმ ეპიზოდს, ამა თუ იმ მომენტს აღწერს, მაგრამ ისე ნათლად, რომ მკითხველი ადვილად აგნებს ლექსის გასაღებს, იმ სათქმელს. რისთვისაც პოეტს ლექსი დიდუწერია.

ბევრი კარგის თქმა შეიძლება პოემაზე „1941-1945“, რომელიც ექვსი დღისათვისაგან შედგება და მოყვრდება პროზაული მიწმურით, სადაც ნახსენებია ოზებისევე ამოკვეთილი ოთხობადე მკომმის გვაბი და სახელი, რასაც მრავალწრიტალი მოსდევს. მკითხველმა არ იცის, რომელია მათგან ამ პოემის გმირები და არც არის საჭირო იცოდეს, რადგანაც პოემაში გადმოცემული ახალგაზრდა ქალაქის ტრავიკული ზიარადობა ყველა წინმოუსვლელს უყუთვინს. კომენტარს არ საჭიროებს ის, რისი თქმაც უნდა პოეტს ამ პოემით. ეს სათქმელი ყველა ადამიანის გულში დევს და პოეტის დამსახურება ტიპობური განცდების მიგნება კი არ არის, მათი ორიგინალური ფორმით გამოხატვა.

ადამიანზე ლექსის გაგრძელებაა პოემა „ცხოვროვი ვარსკვლავის სიმღერა“, ოღონდ სამწყურბაროა, რომ კრებულში იგი ფრაგმენტების სახითაა დამეტილი და შოკლებული ვართ მისი მდილობანაში აღქმის შესაძლებლობას.

პოემაში მზე დედაა, მთავარი — მამა, ვარსკვლავებში კი ხალხური ლექსის კვალობაზე დამმები იგულისხმება: „მზე დედაა ჩემი, მთავარი —

ჩემ — მამაჩემი, გუნდა-გუნდი ვარსკვლავები და და მამა ჩემი“. ვარსკვლავებზე და მამა ვარსკვლავები — აღმართები. ცნობილი ვარსკვლავი ერთი მათგანია, ხოლო „ცდომილი ვარსკვლავის სიმღერა“ პოემა შეშინდარ ადამიანზე, დაბადებდან ვარსკვლავებამდე მისი სულიერი განცდების პოეტური ვარდასახეა. ხალხური ზღაპრებიდანაც აღებული ის ვარსკვლავური, სადაც პოეტის ვარსკვლავის გმირი თავისი სულის უსასრულობაში შეცდომის ძაბებს იწევს.

ადამიანმა არ უნდა დიდშეას შეცდომი გზა ვარსკვლავებით, ღრმად უნდა დაკვირდეს, თუ რაშეული გზით უნდა განავარსოვს სიახლოე, თუდა კი არ უნდა განადვილოს და გაათავისუფლოს თავისი სულში, თავისი კუთვნილი ქრისტე უნდა ჩამოხსნას სიკეთისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

ფართოა ამ პოემისა და სავროდ კრებულის აზრობრივი დიპაზონი. პოეტს, რომელსაც თავისი შოლენიების ვარსკვლავით თავგანწირული შრომა მოეღებს, არ შეეცდოდა ამ ძენლ ვარსკვლავში ბედნიერად შენიშვნა საგზად არ გაუყოლოთ.

ედემ კვირტის მთელ ამ კრებულში უზეტეს წილად პარველი პირით გვესახებრება. ლექსში „ნუ გეშინია“ შეორე პირით საუბრობს, მაგრამ ცდუნების აქაც ვერა სძლევს და ბოლოს შინაც წამოცილება — „გამილე კარი“. ეს ზედმეტი ფრანა მთლიანად ამოვარდნილია ლექსის ქსოვილადან.

გასასწორებელია „მსახობში“ სტრიქონი — „და სლარწისათვის ეხება სენებს“. ღორწონათვის სენისათვის სავილის შეგება ერთმან უზრდველი და არაფორმალური გამოთქმაა. ლექსში „მეუ საშე“ ლოკატორი არ არის სტრიქონი „და ამა, სულის უდაბნოებში მოულოდნელად მოვიდა წვიმს“. როგორღა იყო წვიმის მოსვლა მოულოდნელი, რაკა წინა სტროფის მიხედვით შრავილი წლის, საუყურეთა და ათსწულულია მანძილზე ევლიდა მის მოსვლას?! ასეთი არაზუსტი ფრანგები არცთუ იშვიათად გვხვდება პოემაში „ცდომილი ვარსკვლავის სიმღერა“. პოემის შეორე თავის ბოლოს ნათქვამია „მემატარება და მივარდე ჩემი აქანა“. ეს კარგია, მაგრამ აქამდე, ვიდრე აკვნიან გადმოვიდოდა, როგორღა შეეძლო გარეთ გამოსულიყო და არ შეშინებოდა სიმარტობის? თუ აქვანში იწვია, როგორღა გამოვიდოდა გარეთ და ასიც ღამით პოემის დე-7 თავში ლირიკული გმირის ზედაქს რომ ბავშვს ასვალტზე დაუხატავს მზე, ტანკი და ყაყაოები. ბავშვის სტრატე ბუნებისათვის, სადაც ყერ იდგა არ არის გალომეხებული, უცნობა ტანკის დახატვა.

პოემა იცის, რომ ვერავითარი ბედგნა რთმება „მომხურს“ და „რითმებს“, „მუფობობს“ და „სტრიქონს“, „ლექსზე“ და „შენზე“ (ამ

და ლამე") კარგი იქნება, თუ თავისი ლექსის რითმიან სტროფებს უფრო მდიდარი რითმებით გააწეონ პოეტს, მაშინ მათი ესთეტიკური ზემოქმედების ძალა უფრო გაიზრდება და მთლიანად ლექსის მხატვრული ღირებულებაც ამალდება.

ქართული ენა უარესად კეთილშობიანი, მუსიკალური ენაა და ვინც ლექსს წერს, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს ენის თავისებურებას. მხედველობაში გვაქვს ლექსის რიტმი. რიტმის აღრევთ, მოწესრიგებლობა არ ვხატება და არც ვკადრება ქართველ პოეტს. ზოგჯერ თეთრი ლექსის დამთავრებისას („მსახიობი“, „მე და ლამე“) პოეტს აქვს ჩავარდნები, თმარცვლოვანი რიტმიდან ხუთმარცვლოვანი გადაბრები, მაგრამ ეს არ იგრნობა და ლექსში მუსიკალური მრავალფეროვნების შეტანის ხერხადაც აღიქმება. ეს იმიტომაც, რომ ხუთმარცვლოვანი თმარცვლოვანის კვეთის შედეგია და ერთმანეთს მონათესავენი არიან მათი შინაგულება რიტმულ აღრევად არ ეთვლება პოეტს, მაგრამ პოეზიაში „ცდომილი ვა-

რცვლოვანი სიმღერა" ასე ვერცხვრება რიტმული მხარე ერთობ მოწესრიგებული, სწორი და ზუსტი ხაზებიდან და თავის ხაზებს ვარქმევ ვეღარ უფრს, ზე მიხარია; ზე რომ ამოდის და დილსავე გაწვდომ ზელებში მივირავს სხვი". ამ ნაწილებში ლექსის რიტმული მდინარება თმარცვლოვანია, მაგრამ პირველი სტრიქონი „მე ვამოვედი სიზმრიდან" მთლიანად ამოეარდნილა რიტმიდან და ლექსის მუსიკალობის ზიანს აყენებს. ასეთი ბლავი სტრიქონები, რიტმული ჩავარდნები პოეზიაში უამრავია. პოემა იმდენად კარგია, რომ ღირს პოეტმა გულდაგულ იმუშაოს მისი რიტმული მოწესრიგებისათვის და მომავალში სრულად დაბეჭდილი უნაკლო მუსიკალური დოკუმით შემოგვთავაზოს.

ეს რამდენიმე შენიშვნა სულაც არ ამცირებს ამ პატარა კრებულის მნიშვნელობას და თუ მაინც გამოვთქვით, ეს იმიტომ რომ, გვინდა პოეტი არ აყვეს ცდუნებებს, კოჭლობით კი არა, გამართლად, ლაღად იაროს ახალი სივრცეებისაკენ.

გიორგი აბულაძე

### ვაშინგტონი და იდენსკი

შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციიდან (იუნესკო) ვახვლა გადაწყვიტა. იუნესკოს ფონდში თავისი წილი ხარჯების შეტანა შეწყვიტა. რით გამოიწვია ასეთი რისხვა ორგანიზაციამ, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ხედვით ყველაზე ზუმანურ, კეთილშობილურ მიზნებს ეწახსურება? ვიდრე ამას ვიტყოდეთ, გავიხსენოთ, რომ ბოლო წლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) მთლიანად და სრულად, თავიდან ბოლომდე ოციციკლიურა ვაშინგტონის გამოდგომული თავდასხმების ობიექტი გახდა.

1977 წლის ნოემბერი. პრეზიდენტ ჯიმს კარტერის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ტოვებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას. მიზეზი: შრომის ორგანიზაციის საქმიანობა „პოლიტიზირებულია“ და ამდენად არ შეესაბამება მის წინაშე დასახულ ამოცანებს. აშკარა შანტაჟი შედეგი არ მოჰყვა და 1980 წელს შეერთებული შტატები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას დაუბრუნდნენ.

1982 წლის შემოდგომა. რომელღ რეიგანის ადმინისტრაცია თავს ესპმის გაეროს ხელღებთი დარსებულ ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს (შაგატე). ჯერ აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციის ფონდში სახსრების შეტანას წვედებ, შემდეგ კი შაგატე რაგებს საერთოდ ტოვებს. მიზეზი: ატომური ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოში გახედა და თელ-ავივილი აგრესორება, ერჰყეს ატომური ცენტრის განადგურებისათვის, ამ ორგანიზაციიდან გარიცხა. 1983 წლის გაზაფხულს შეერთებულმა შტატებმა ოულღის შეტანად განაახლეს და კადემი დაუბრუნდნენ შაგატეს.

1983 წლის აგვისტო. ვაშინგტონი გაეროს ფარგლებში მოწვეულ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეტენესი II მსოფლიო კონფერენციას უცხადებს ბოიკოტს. მიზეზი: ვაშინგტონის საზოგადოებრივი სიონისტების და სამხრეთაფრიკელი რასისტების დამოხმობა კი არა, გაქვწყველად კი არ შეიძლება.

1983 წლის ოქტომბერი. სახელმწიფო დეპარტამენტი იზუქრება, რომ თუკი გაეროს

წესღების სისტემატურად დარღვევისათვის გენერალურ ასამბლეაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდან ესრადლის გარიცხვის საკითხი დაღგება, შეერთებული შტატები საერთოდ არ მიიღებენ მონაწილეობას 88-ე სესიის მუშაობაში და გაეროს ფონდებში გადასახღების შეტანას შეწყვიტებენ. 1983 წლის ნოემბერში კონგრესის კომისია გადაწყვეტილებას იღებს ამ წლის დონეზე გაყენოს გაეროს საღაროში შეერთებული შტატების წილი სახსრების გადაღად.

გაეროს ლანძღვა-გინების დედოფლის ტახტზე ამ ორგანიზაციაში შეერთებული შტატების მუღმავი წარმომადგენელი ჯინ კირკპატრიკი წეს. 1983 წლის სექტემბერში გაეროში შეერთებული შტატების დელეგაციის წევრმა ჩარლზ ლინჩენსტანმა შორიგ მუქარას მიმართა: მსოფლიო ორგანიზაციის „უკმყოფილო“ წევრებს გაეროს შტაბ-ბინის რომღიმე სხვა ჯვეყანაში გადაღატანა „საკითხის სერაიოზულად განხიღვა“ შესთავაზა. ამ მუქარას პრეზიდენტი რ. რეიგანიც ამოულღა მხარში.

ერთა მსოფლიო ფორუმზე თავღასხმების კორიანტელში განსაკუთრებით „უღბლო“ იუნესკო აღმოჩნდა. მიზეზი: შეერთებული შტატების ადმინისტრაციას შიამინია, რომ იუნესკო დაღ ადგილს უთმობს „პოლიტიკური“ საკითხების განხიღვას, რაკ მის კომპეტენციაში არ შეღის; ვაშინგტონის სურვილის საწინააღმდეგოდ, იუნესკო ვმობს ესრადლს და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, სწორად ვანაოღების და კულტურის საკითხებში უღმერთო დისკრიმინაციული პოლიტიკისათვის; და, რაკ მთავარი, იუნესკო საერთაშორისო ინფორმაციის სერაროში იმპერიალისტური ჯვეყნების მონაოღების წინააღმდეგ გამოღის; როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის ოციციკლიურმა წარმომადგენელმა ა. რომბერგმა განაცხადა, „იუნესკო თავისუფალი ბაზრის და თავისუფალი პრესის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას იღებს“. ვაშინგტონში გადაწვდა იუნესკოსათვის ჯეუტენწაღლებინათ. ამ მოლოყას ადმინისტრაციის წევრები ერთხმად დაღდგენ, კამათს მსოფლიო საჩელიის ზომა და ხასიათი იწვევდა. ზოგიერთი მონაცემით, სახელმწიფო მღავანი ჯ. მულცი იუნესკოს ბიუჯეტში შეერთებული შტატების შესღატანის შემტარებით ან საერთოდ

შეწვევით დაკმაყოფილებას მოითხოვდა. მას და მის მომხრეებს მიანდათ, რომ ამ ორგანიზაციიდან შეერთებული შტატების წასვლა „პროციების საპროტა კავშირისა და მისი მომხრეებისათვის ჩახარებას ნიშნავს“. როგორც ჩანს, აღმინისტრაციის სხვა წევრებზე ასეთმა არგუმენტმაც ვერ მოახდინა ზოგადი გავლენა და ხაქმის ტენდენციურად ახდევ-დახედვის შემდეგ მაინც ორგანიზაციიდან წასვლა გადაწყვიტა.

თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი ინფორმაციის და კომუნიკაციის საშუალებები ცხოვრების უველია სფეროში (გაფართობდა, კულტურა, სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაცია და სხვა) იმდენად ღრმად შეიჭრა, რომ მას ხელისუფლების სპეციფიკურ როლს და საშუალებად მიიჩნევენ. ამავე დროს, არასოციალისტურ მსოფლიოში ინფორმაციის მთელი ნაკადი მხოლოდ ერთი მიმართულებით — განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში — მიედინება. დასავლეთის ოთხი უდიდესი საინფორმაციო სააგენტო (იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლი, ასოშიატედ პრესი, ფრანს პრესი და რიტეივს) უკუელ-დაუბრუნდნენ მსოფლიოში შეტანის გადამცემს, განვითარებადი ქვეყნების დაშორებულ კუთხეებში ინფორმაციის გაცემის მიზნით. ამ ინფორმაციის გაცემის მიზნით უკვე პრაქტიკულად ასე ხორციელდება პრინციპში „ინფორმაციის გაცემის მიზნით“ არსებული შტატები ნახევარსაათიან ტელე-პროგრამას, უჭვეთ ინჯლისში, 2-3 ათას დოლარად უდიდს და იმევე პროგრამას განვითარებად ქვეყნებს სულ რაღაც 100 დოლარად „თემათს“.

ამ პრობლემას მეორე მხარეც აქვს. დღეს მსოფლიოში კომუნიკაციების საშუალებათა ტექნოლოგიური რევოლუცია მიმდინარეობს. (დღეს მსოფლიოში 1 მილიარდ 800 მილიონი რადიომბლები, 550 მილიონი ტელევიზორი, დასავლეთში 150 საინფორმაციო სააგენტოა). ინფორმაციის საშუალებათა მკვეთრ რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღმავლობას ხაზდება და კულტურებს შორის უფროსი ურთიერთგაგება, ან, პირაქით, მდიდარ და განვითარებად ქვეყნებს შორის განხეობილების და მტრობის გაძლიერება შეიძლება მოყვებოდეს.

განვითარებადი ქვეყნების მდგომარეობა ამ ოვანსარისითაც სავალალოა. მაშინ როდესაც „მეხამე საშაროში“ დღეამიწის მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს, განვითარებად ქვეყნებზე გავლენების მსოფლიო ტრანსის მსოფლიო 17 პროცენტი, საგარეთო ქადალდის გაზოყუნების 9 პროცენტი, რადიომიმდებების 18 პროცენტი და ტელევიზორების 5 პროცენტი მოდის.

ასეთი რეალობა და უღრმესი უკუბრუნებულობა განვითარებადი ქვეყნების კულტურულ-სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას იწვევს. აზიას, აფრიკას და დასავლეთ-აფრიკას სახელმწიფოთა რევიოლუციური საბრძოლველობა შეხვედრებზე ერთმანეთის მიყოფნით მიიღებს რევოლუციური კომუნიკაციებისა და ინფორმაციის სფეროში უფრო სამართლიანი წესრიგის დამყარების შესახებ. ეს არის ინფრაციის წინააღმდეგობა (1947 წელს) უდიდესი უკუბრუნების მოთხოვნა და, შენეობრება, რომ ეს ორგანიზაცია ინფორმაციის საშუალებათა მთელი სტრუქტურის დემოკრატიზაციისათვის იღწევს.

განვითარებადი ქვეყნების პოლიციის გახატულად საინტერესოდ მივახიზნა ერთი ისტორიული ფაქტი. პირველი მსოფლიო ომის წინ საერთაშორისო ინფორმაციის სფეროში სამი დერაშული სააგენტო იყო გახატულადი (რიტეივსი, ჰავასი და კოლდის სატელეგრაფო სააგენტო). ინფორმაციის სფეროში დერაშული მითხლებით შეწუხებული ამერიკელები პოლიცია ამოიშობებდნენ პრესის მათხმდელთა გინერალურმა დარტტტორმა კენტ კუპერმა ასე ჩამოაყალიბა: „საერთაშორისო სააგენტოებსა საერთაშორისო საინფორმაციო საშახორზე განუსრუტული კონტროლი დაწესებს და მიიღებს იმის გადაწყვეტის უფლება, თუ თითოეული ქვეყნის ხალხმა რა უნდა იცოდეს სხვა ქვეყნების ხალხების შესახებ და როგორ უნდა გაგრცოდეს ახალი ამბები... ზოლო ასი წლის მანძილზე ამ სააგენტოების მიერ გაკრცდებული ცნობები ომების ერთ-ერთი მიზეზი იყო, თუ შვიცა ეს არსობებს არ გამომდევანებულა. დარტტმუხებული ვარ, რომ ინფორმაციის საერთაშორისო გაცულაზე არსებული მიგვიმონა რადიოლურად უნდა შეიცავდეს“. დღეს სწორედ ამას მოახსოვენ განვითარებადი ქვეყნები. მაგრამ ამგვრად უკვე შეერთებულმა შტატებმა შეიციბადეს ეს მისწრაფება და ინფრაციის დასჯა გადაწყვეტის ეს არის შენაძნო, რომელიც მხოლოდ ინფრაციის არ იღებს მიხანში. ვაწით „ფილადელფია ინკუარტირის“. აზრით, „წრტებს, რომელიც ვარსო დაწესებს, მიანდათ, რომ შეერთებულმა შტატების ინფრაციოდან წასვლა საერთოდ ვარსოინებული ერთების ორგანიზაციის წევრობაზე უარის თქმის ნიშანი შეიძლება ვახდეს“. რას იწამ? ასეთი ფაქტები და ავტორიტეტული სიტყვის თქმა მხოლოდ დროს შეუძლია.

3050 წამწმრძი: „მარგარეტ ტეტჩერი — ცოლი, დედა, პოლიტიკური მოღვაწე“, ლონდონი 1983 წ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ხოგრაფი უფრანლისტა ქალი ჰენი ჭნორი ვახდავტორი ბევრ რამეში „რკინის ლიდის“ შეხედულებებს იზარტებს. წერს ომიეტიკვისტურ,



მაგრამ მაინც თანაგრძობის ტონით. მიუხედავად ამისა, პენი ჯენერის მასალა წარმოაჩენს ფანატიკურ, უკიდურეს მეზარცევე პოლიციებსზე მდგომი ანტიკომუნისტის პოლიტიკურ ხაზებს, რომელსაც უდიდესი შრომისუნარიანობა გააჩნია, მაგრამ მაინც შეზღუდული მხოლოდმდედრობის პაროქიულად რჩება. ავტორის სიტყვით, მ. ტუტჩერის „მეგობრები“ ცოტა უყვს. არა აქვს არავითარი შიში, არ აინტერესებს არაფერი, რაც პოლიტიკის მიღმა რჩება, ვარაუდით ვამოწყობისისა — რაზე. ტუტჩერი არ არის კომპრომიტების მომხრე; ვაუხვრადილებული შეხედულებებისა საშუალო, რომელთაც მისთვის მხოლოდ შეგ ან თვით ტონებითაა წარმოდგენილი და მხოლოდ „სიკეთის“ ან „ზოროტების“ კატეგორიებს მოიცავს“.

მარგარტ რობერტი (ქალწულობის გვარი) პოლიტიკულ ქალაქ გრანტში შეყვარება და მედუნის ოჯახში დაიბადა. მისი პაროქიულად ჩამოყალიბებაზე დიდი კვალი დააჩინა მკაცრი ხასიათის მამამ: აღიზარდა ძველ ვიქტორიანულ გარემოებაში, სივრცე ადგილი არ ჰქონია გამოქვეყნების „შე ქვს არ შეშინდება“ ან „ეს ჩემთვის ძალიან ძვირია“.

სკოლაში ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ დიდი მოწოდებისა და შურსპოვნის წყალობით ერთ-ერთი პირველი მოსწავლე იყო. მოგვიანდა პირველი ოქსფორდის უნივერსიტეტის ქიმიის განყოფილება დაამთავრა. აქვე იყავი პოლიტიკის — აქტიურად მუშაობდა ოქსფორდის უნივერსიტეტის კონსერვატორთა ასოციაციაში. ბიოგრაფის სიტყვით: „რობერტს არ გააჩნდა საკმაო ინტელიქტი, რათა უსრულო პირველთა შორის დემონსტრაციების. ამიტომ მიიღო დროს ასოციაციაში ატარება და როგორც მის თანაგონებლებს მიაჩნდათ, პოლიტიკურ თვითგანაღიებას ანიჭებდა უპირატესობას. ისინი დაწინაურებულიან არიან, რომ მარგარტს ოქსფორდი თუმცა პატივითა შეგვიძინა საფუძვლად მიიჩნდა და მხოლოდ ამ მხენით იყენებდა მას“. მალე მარგარტი ოქსფორდის კონსერვატორთა ასოციაციის პირველი ქალი — პრეზიდენტი გახდა.

პენი ჯენერი არ მალავს, რომ კონსერვატიული პარტიის მოგვალი ლიდერი გამოკვების საქმეზე ანგარიშიანობით ზედმედანელოდა. მისი მომავალი მხედლე — დენის ტუტჩერი — ბიზნესმენი და კონსერვატორთა წრეებში საკმაოდ ცნობილი პირი იყო. ბიოგრაფის სიტყვით „მარგარტის რაციონალიზმის გრძელხანაა დენის ტუტჩერში მოცემული იყო უკიდურესი იმ, რაც მას აკლდა. იგი იგი წილთ უფროსი იყო და მარგარტი თავს უვალაზე არგად ახალი მასზე უფროსი აღნიშნების წრეში გრძნობდა. ხელეძახება და შეაღებების უფროსი დირექტორს დენის ტუტჩერს საქმიანობა საშუალოში

მტკიცე პოლიციები იყრა. მარგარტი კვლავიან. ქანა „იდეალური“ დადიოდ. მარგარტი ლიდერი იყო და გარეგნულადაც არა უშავდა რა“.

1951 წელს მარგარტი რობერტი ქალბატონი ტუტჩერი გახდა და ქმრის სიმდებრცე მისი პოლიტიკური ამბიციების სახაზურში ჩადგა. მარგარტი კარგად გრძნობდა, რომ ქალიშობის დახლოებით პოლიტიკურ ხარბილზე შორს ვერ წავიდოდა და იურიდიული განათლების მიღება გადაწყვიტა. ასევე მოხდა — პროცესისა შეიცვალა და იურიდიულ პრაქტიკას მიუღებოდა თანდათანობით გრძნობდა მისი გავლენა კონსერვატორებს, განსაკუთრებით მეზარცევე კონსერვატორებს შორის და 1959 წელს იგივე პალიტიკის წვერიც გახდა.

„მეში ქმრის შეზღუდვის გარეშე მე ვერ ვძლებდი დანიანობებს, სწორედ დენისა უწყობა დაამდებარე ჩემი ცხოვრების ცხარე“ — იტყვის შემდეგ ბრატანეთის მოვრობის მეთაური.

როგორც ბიოგრაფიაში აღნიშნული, პარტი-მენტში ტუტჩერის მუშაობას საშუალო გულმოდგინება და საკითხების უწყობადას მდებარეში შესწავლა ახლდა თან — „ორაგინალოტი აზროვნების სისუსტეს „ხაზინაო დავალების“ ბეჭითად შესწავლითი ავსებდა“ — წერს პენი ჯენერი. მალე მოვრობაში პირველი ოფიციალური თანამდებლობა მიიღო — ექსპერტის სამინისტროს ხაზარდმენტო მდივანი გახდა, ამის სხვა პოსტებზე მოყვა, მაგრამ... მილიონობით ინგლისელის დაუფარავი სიძულვილის ობიექტად გახდა. განსაკუთრებით მას შეზღუდა, რაც მისი ინციპიტის პარტიანობა 1972 წელს დაამტკიცა კანონპროტები 7-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის უფასო რძის მიწოდების შეწყვეტის შესახებ. „ტუტჩერი — რძის ქურდი“ — ასე მოხალა პრესამ მარგარტი იმ დღებში“, წერს ჯენერი. იყო შემთხვევები გაცხარებული ამოხრტვებით გაღაბებას რომ უპირობდნენ, მის შვილებს უნივერსიტეტში სტუდენტება ბიოკობა გამოუსხადებს. მერე და რა? ასეთმა და მსგავსმა მოვლენებმა კიდევ უფრო გაამძაფრა მ. ტუტჩერის ხასიათის ისეთი ნიშნები, როგორცაა ცინიზმი, უდმობლობა, მწულვაერება საზოგადოებრივი აზრის მიმართ.

ზნარად ისმის კითხვა თუ როგორ მოხდა, რომ კონსერვატორებს უძველესი (დაარსებულია 1867 წელს) და ნაკადი ბურჟუაზიული პარტიის ლიდერი მ. ტუტჩერი გახდა? როგორც ჩანს, გადაწყვეტიტი როლი მაინც ახერგებიათ დაქმნეულმა შეასრულა. ტორტებს ახალი დიდურის არჩევნების ცხამს (1974) იღბალი მასთან აღმოჩნდა: კონსერვატორების აღიარებული მოღვაწეობა და პარტიის ლიდერობის უვალაზე რაციონალი პრეტენდენტები ედვარდ შიტი, კობ ჯოზეფი და ედვარდ დუ კენი სხვადასხვა მი-



ზუნს გამო „თამაშს გარეშე“ აღმოჩნდნენ. პარლამენტის არჩევნებში ე. ზიტის მარცხმა გააცმტვერა მისი პრესტიჟი; ნამდვილი სკანდალი გამოიწვია კ. ჭოუტის მოხსენებამ ქვეყნის „უღებლებს კლასებში“ შონაღობის შეზღუდვის გარდუვალობას შესახებ; ე. დუ კენა თითონ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ანთ სტრუციანში იწვლის მონაპოლისტური კაპიტალისტების შემარქვენ და უღმობელი მ. ტიტბერის კანდიდატურა იდეალური აღმოჩნდა.

ვარაუდი ვამარტლდა. „იტბერისში“ უკიდურესი შემარქვენ კონსერვატიზმი, რომელსაც სისტემა ეკონომიკური პოლიტიკა და მილიტარისტული კურსი, ანტიკომუნისმი და სოციალისმის მიმართ უსაზღვრო სიძულელი ამორჩევებს. ვახუდი წლის ივნისის საუკვეთლო არჩევნებში გამარქვენამ კი, მ. ტიტბერის დიქტატორული ჩვეუბიუ გაუჩინა. როგორც პენი ჭუნისი წერს, „ამჟამად იგი შეტწილად საკუთარი შეხედულებებით მოქმედებს, თავდაქერბულად და სხვათა აზრის მიმართ შეუწყწარბელი სდებნა. არ გაჩინა სულგრძელობა, ტაქტი და ზოგჯერ უზრადოდ უბეზია“.

**პარტოველოლოგიური შრომები იმპონიუში**

იზრდება ზვენი ქვეყნის ისტორიითა თუ კულტურით დაინტერესებულ უცხოელი მეცნიერების რაოდენობაც და გეოგრაფიაც. სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ქართველოლოგიის კერები მხოლოდ ევროპისათვის იყო დამახასიათებელი, შემდეგ ამერიკაში მოიკადა ფეხი, ამჟამად კი იაპონიაშიც გაუჩნდა ქომაგები. ქართველი ხალხის ისტორიის პრობლემებზე მუშობს მოკაიდოს უნივერსიტეტის (ქ. საპარო) მუშანატარული ფაკულტეტის მეცნიერი თანამშრომელი სეიჩი კიტაგავა. მას განსაკუთრებით საქართველოში მონღოლობის პერიოდი დაინტერესებს და ხანსტორიო დიტირატურას ქართულსავე ენაზე ამუშავებს.

სეიჩი კიტაგავამ ქართულის შესწავლა სამშობლოში დაიწყო თვითმასწავლებლის დახმარებლი. იქვე გაეცნო პირველად საქართველოს

ისტორიის პრობლემებს ევროპულან შედუბული მ. ბროსის, დ. ლანგის, ტ. კიტინის შრომების ფოტოახლებით; შემდეგ ივ. ჭავჭავაძის შემოქმედებულ ისტორიოგრაფიული ნარკვევით მოიპოვა... ასე დაიწყო, მაგრამ მთავარი წინიყუ: 1982 წელს ქართულში მიღებულ ცოდნის სრულყოფისა და საშუალო საუკუნეების საქართველოს ისტორიის პირველწყაროების გაეცნობის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავაძის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს ეწვია 102 დღით. ხანგრძლივი მიწლინების ყოველი დღე ნაყოფიერ შრომაში გაატარა, ქართველი მეცნიერების დახმარებით და შესაშური შრომისუნარიანობის წყალობით საწადელს მიაღწია, სამშობლოს ქართულ ენასა თუ საქართველოს ისტორიაში ცოდნის სიღიდური შარავით დაუბრუნდა.

უკვე მომდევნო, 1983 წელს სეიჩი კიტაგავამ მოკაიდოს უნივერსიტეტის შრომებში 2 ქართველოლოგიური ნაშრომი გამოაქვეყნა. პირველი ქართველი ხალხის მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეხება და იაპონურ ენაზე მოკაიდოს უნივერსიტეტის ყოველწლიურ შრომებშია დასტამებული (XXI—1 № 58, 1983, ნარკვევს ინგლისურ ენაზე დაწერილი რეზუმე ახლავს თან).

ამავე უნივერსიტეტის გურნალ „ში ხოუში“ (№ 16, 1983 წლის ოქტომბერი) იაპონელმა ქართველოლოგმა 1982 წელს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში საქართველოში გამოქვეყნული ლიტერატურის მიხედოვრად ია გამოაქვეყნა. მიხედოვრად იაპონურ და რუსულ ენებზე შედგენილად და ქართველი ავტორების 88 ნაშრომს მოიცავს. რამდენადაც ვიცით, ეს პირველი შემთხვევაა უცხოეთში ქართველი მეცნიერების ასეთი ვრცელი მიხედოვრად ია რომ ქვეყნდება. იქვს გარეშე, ეს პუბლიკაცია იაპონიის სამეცნიერო წრეებს და საერთოდ საზოგადოებრიობას ქართველი საბჭოთა ისტორიკოსებმა წარმატებათა რეაღორ სურათს შეუქმნის.

დასაწყისი კარგია და როგორც სეიჩი კიტაგავა გვხმარდება მომავალი უკეთიხე უნდა იყოს.

- რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრისიპეტი, № 12.
  - ტელეფონები: რედაქტორის — 92-55-11, შთ. რედ. მოადგილის — 92-55-18, 3/ვე. მდივნის და განყოფილებების — 92-55-15; 92-55-17, 92-55-20.
- საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობა, 1984.

გადიეცა ისიწყობად 22. 03. 84 წ. ზელმოწერილია დასაბეჭდად 10. 04. 84 წ. ანაწყობის ზომა 71/4X12, ქაილდის ფორმატო 70X108, ფოზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. საიდრ.-საგამომცემლო თაბაბი 16,58.

უე 06478. ტირაჟი 35,000. შეეე. 704 საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

3360 80 333.

29 254

0600360  
76128  
0600360  
0600360

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ